ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარი

3

1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

130

გამოცემის მეთორმეტე წელი

3

მარტი

1968

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

საქართველოს სსრ სახ. ბიბლიოთეკა
ელექტრონული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა და პოეზია

3. ოთარ ჩხეიძე. ალმართ-დალმართი რომანი. დასასრული.
31. ლადო სულაბერიძე. ციკლიდან „ჩრდილოეთის ციალი“. ლექსები.
34. ტარიელ ჯანტურია. ლექსები.
39. გურამ კლდიაშვილი. ლექსები.
40. ილია რურუა. მწვანე კორდი. მოზაიკური სტრათეგია.
64. მარი გველესიანი. ლექსები.
64. თამარ ერისთავი. შუადღე თეკამზე. ლექსი.
65. ნუნუ კერესელიძე. ლექსები.
66. რუსუდან მკერვალიშვილი. შენ წახვედი... ლექსი.
66. იზა ორჯონიკიძე. დაბადება. ლექსი.
68. ბელა შალვაშვილი. ლექსები.
68. ლალი ჯაფარაშვილი. ლექსები.
71. ელისო გურდინოვა. დღეს ჩემი დაბადების დღეა. მოთხრობა.

ჭაშნიკი

97. ბალთერ არაბული. ლექსები.
99. ვანო ჩხიკვაძე. ლექსები.

ნარკვევი

102. გურამ ფანჯიკიძე. ვილიონერი მეფოლადე.

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

113. „ციხეების“ ანკეტა: ნოდარ დუმბაძე, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ზოთა ნიფხანიძე, არჩილ სულაკაური, ედიშერ ყიფიანი, დემნა ფენგელია, ნოდარ ფულეისერი, რეზო ჭეიშვილი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, რევაზ ჯაფარიძე.
128. აკაკი ბაძრაძე. „სანავარდო“ ანუ უნაყოფობის ტრაგედია.
134. იოსებ გოგცაძე. სასარგებლო წიგნი.
140. ტარიელ კვანჭილაშვილი. ნარკვევის თავისებურებანი.

მოგონებათა ფურცლები

152. თამარ ოკრუაშიძე. ცოტა რამ მოგონებიდან.

იუმორი

154. გოდერძი ჭეიშვილი. ჭრიჭინა. მოთხრობა.
158. ყოველი მხრიდან.

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი ბაძრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
ოტია პაჭორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ნოდარ ფულეისერი,
ტარიელ ჯანტურია,
სერგი ჭილაია,
თამაზ ჭილაძე,
ლაშა ჯანაშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

ქოქარ-ფოქარი

რომანი

XVIII

უცნაურსა, უჩვეულოსა გუგუნებდა კოშკი ღვაჩლიანისა და აივანზე, რომელიც დარბაზს ხუთიოდე მეტრით თუ დასცილებდა, იმტკვრეოდა დეუეთ ღვაჩლიანი, იმტკვრეოდა და ბოძს ეხვეოდა, მოაჯირს ეხვეოდა, ძირს არ ჩავარდეო; მოაჯირს ეხლებოდა გულითა, გული დაიბეგვა, ტუჩებიც ჩაიკვნიტა,— ახ, ვინ ავუშვი, ვაი, ვინ ავუშვიო. თვალებიც, ვინ იცის, როგორ უელავდა, ჰო, ვინ იცის, რადგან არავის დაუნახავს, ვერც ვერავინ დაინახავდა, ქუდი ყოველთვის ზედ ჩამოეფხატა, რომ გამოუჩნდეს, ვისაც შეჰხედავს, გააშეშებსო. ალბათ იცოდა სიავე თვალთა, ან გული ჰქონდა ძალიან ავი, არ უნდოდა არავის დანახვა, არ უნდოდა და არც უცქეროდა, ხოლო მაშინ მხრების კვირისტავები რომ უთახთახებდა, იმითიც კარგად გაიგებოდა, თუ როგორა ღელავდა, როგორა მრისხანებდა, — ახ, ვინ ავუშვი, ახ, რატომ ავუშვიო. კოშკი კი ისევა გუგუნებდა: „ყოლლლლეგა! კო... ლე... გა...“

იქ სამნი იყვნენ, ლენტო, ფარნაოზი, ბაუჩი. ბაუჩი დაბლა შეჩერებულიყო, ქვედა სართულის სათოფურიდან იტვრიტებოდა, ვითომ რაო, მეც ძალიან მოვხიბლულვარო, მასპინძლობდა, თავაზიანობდა, თორემ კოშკი იმისთვის არაფერი იყო, ეობეზრებოდა, მოსძულებოდა, ხელის აუკანკალებლად მოეწერა, დაინგრეს, კინტორია აშენდესო, ის ხომ საბჭოში მდივნობდა, ჰოდა, იმ ოქმის ბრალიც თუ იყო თავის კოშკში რომ აღარ უშვებდა დეუეთ ღვაჩლიანი. „ქალაქელები არიან, სტუმრები არიან, არ დაუშალო!“ — ყელს უწევდა ბაუჩი. „შენი ქალაქელები არიან, შენი სტუმრები არიან, შენი კოშკი უჩვენე“. „რომ აღარა მაქვს...“ — ეხრებს იჩეჩდა ბაუჩი. „რატომ აღარა გაქვს?!“ — ლამის ქუდი აწეულიყო, ლამის თვალები გამოსჩენოდა დეუეთს, — ნწ, არა!.. — თავს იქნევდა, ზურგშექცევით ელაპარაკებოდა... უკვირდათ ფარნაოზსა და ლენტოსა, ნეტავი ამდენს რასა ლაპარაკობენო, უკვირდათ და გარს უვლიდნენ მაჩუბ-დარბაზსა, კოშკსა; სურათს იღებდნენ, დეუეთსაც შეეხეოდეს, იმასაც დაუმიზნეს აპარატი, ეგება ეამოს, ყურადღება მოგვაქციოსო, მაგრამ ნურაფერი გტკენიათ, ვითომც არც დაუნახავს, არც უგრძვნია; ჰო, ვითომცაო, ორეულ მხრები გაისწორა, მკერდი აზიდა, ოდნავ უკან გადიწია ქუდი, ყელი მოიღერა, წვრილი, წვრილი ყელი. და ქუდი ოდნავ რომ აიწია, განა ხელითა? — ო, არა! შუბლის ნოჭები აჰკრა შიგნიდანა, აბა!.. მაინც „ნწ... თი“ დაბეჭდა უარი. მაშინ საღღაც გავარდა ბაუჩი, ვიღაცები მოიყვანა. ისინი მძი-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 12, 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ ავიდნენ აივანზე, მძიმე-მძიმედ შელაგდნენ ოთახში. ცოტახნის შემდეგ ბაუჩი გამოვარდა წარბებგახსნილი, ავიდეთო. და ახლა, ვინ იცის, ისიცა ნანობდა, ასე ახირებულად რომ გაისმოდა: „კოლეგა! კოლეგა!“ ჰო, ვინ იცისო, რადგან ეგება სინანული არ იცოდა ბაუჩიმა. ხოლო დეუეთ მწარედ ნანობდა, ტუჩებს რომ იკვნეტდა, სტუმრებს რაო, ბაუჩიზე იღესდა კბილებსა.

მრისხანებდა მრისხანე დეუეთ, მრისხანებდა და რახან თავი უნდა შეეკავებინა, იმტვრეოდა მოჯირეზედა, სხვა არა ძალუძდა რაი, თორემ თუ იქნებოდა სამხუბიმ მახუში, თუმი რომ ირღვეოდა, თვალით შეჰკრავდა, რისხვით შესწნავდა, საკუთარ ძესაც შუბზე ააგებდა თუ ეურჩებოდა; ჰო, ააგებდა, მაგრამ გარე ძალებს რას დაუგვრიდა, გარე ძალებსა, უჩინარსა და ულმობელსა, შემპარავსა და გარდაუვალსა: ჰა, რას დაუგვრიდა სამხუბიმ მახუშიც რომ ყოფილიყო?! ან ქორა მახუშთა ვითომ რაღა ბედენა იყო, — ყველა წასველოდა, ძმებიცა, შვილებიცა, შვილიშვილებიცა, ყველა შემოსცლოდა, ეს კოშკი, დარბაზ და მაჩუბბიღა შერჩენოდა, ხსოვნაც შერჩენოდა, ხსოვნა იმისა, იქაობა რომ აღესილიყო ვაჟკაცებითა, ქალ-რძალითა, ყიჟმატობითა, ქუდს თვალებიდან იმიტომაც თუ არ იშორებდა, ის მოგონებაც არ წამივიდესო; არ იშორებდა და კვლავ ცხადადა ჰხედავდა საკარცხულზე ბაანჩხლებულ ქორა მახუშსა, თავის მამასა, ბაანჩხლებულსა და ახველებულსა სიანჩხლისგანა, თვალწინ რომ ენგრეოდა დიდი ოჯახი, ენგრეოდა და ვერაფერი ეღონა...

„კო... ლე... გა... კო... ლე... გა...!“ გუგუნებდა კოშკი ღვაჩლიანთა, დეუეთ იმტვრეოდა მოჯირზედა და ფიქრობდა, სიანჩხლე კი არა, ამისი მრისხანება უნდა ჰქონოდა ქორა მახუშსა, დიდი ოჯახი აღარ დაენგრეოდაო, — ახ, სად იყო ჩემი მრისხანება, სად იყო მაშინა?! — ხოლო კოშკი ისევა გუგუნებდა, „კოლეგა!“ და როცა ამასაც წიგანა ხველა აუვარდა, მაშინღა მიხვდა, მრისხანება არა ჰკლებოდა არც ამის მამასა, მაგრამ რომ ვეღარაფერი ეღონა, ანჩხლად ქცეულიყო.

გუგუნებდა კოშკი...

ახველებდა ქორა მახუში დაცლილი კერიისა, ახველებდა და მოაჯირის ახლოდა გულსა... როცა გაეცალნენ, გზამშვიდობისაც როდი უთქვამს, აღარ ეხველებოდა, მაინც ახველებდა; ქუდი უფრო ჩამოეფხატა, ვითომ დაქნეულ ხელებსაც ვერა ჰხედავდა, თუმცა თავითფეხამდის ზომავდა ორივეს, რომელი გაჰკიოდა, წყევლა რომელს დავადევნოო, მაგრამ ვერ მიხვდა, ან ეგებ მიხვდა, ოღონდ მაინც ორივე დასწყევლა, ორივე შეაჩვენა.

სამადიეროდ, ბულათმა დალოცა, ბულათ ჩარქსელანმა, ლამარიას ტაძართან დალოცა და ალბათ წყევლა ვეღარ გასჭრიდა. და მერე რა ტკბილად დალოცა, რა ღუღუნა ხმა ჰქონდა ბულათ ჩარქსელანსა!.. შუბლი ნათელი, სახე მშვიდი, კეთილი, განსეტაკებული... ესეც ქორა მახუში იქნებოდა, უფრო მეტიც — სამხუბიმ მახუში, ოღონდ იმ დროისა, როცა ჯერ ხიწვიც არ ჩამოვარდნოდა გვარსა, — იყო ძლიერი, შეუვალი, მტკიცეზე მტკიცე; ხალხიცა მრავლობდა, საქონელიცა, სათიბები გალაღებულიყო, ვერცა მთიბავნი გასწვდენოდნენ, ვერც მძოვარნი, ბარად ჩასულნი უხიფათოდ ბრუნდებოდნენ, ბრუნდებოდნენ დატვირთულნი იარაღითა, შესამოსელითა, ტკბილეულითა, მარილითა. და იყო ქორწილები, იყო ლინთურალი, იყო დღეობები და ტკბებოდა მახუში, გალაღებული გვარითა. ასე ჩამტკბარიყო ბულათ ჩარქსელანი, მაღალი, წარმოსადეგი, სპეტაკი, ვითარცა შხარა განათებული მზითა...

ბექობზე შეხვდნენ ლამარიას ტაძართანა, ყვავილს ურჩევდა ვიღაც ქალსა და კაცსა, ბექობის ყვავილებსა, სხვაც მოეტანათ მივიწყებული საფლავის გასაცოცხლებლადა. ის თავისუფალი სვანის — ბესარიონ ნიკარაძის საფლავი იყო. იმთაც დაწყვიტეს ყვავილები. ნუ დასწყვეტთო, მიწიანად ამოიღეთო, ჩაიდუდუნა ბულათ ჩარქსელანმა. აღარ იცოდნენ, რა ექნათ მოწყვეტილთავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა... ამ კაცმა დაულოცათ გზასავალი, დაულოცა სუფთა გულითა; ჰოდა, აბა რაღას გასჭრიდა წყეული გაანჩხლებული დეუტეთისა, დაულოცა და კარგახანს მისდია, ძლივს გააბრუნეს...

ჰო, გაბრუნდა ბულათ ჩარქოლანი. მახტში იმ ჟამისა, გვარი რომ ზეობდა, გაბრუნდა ტკბილი მოხუცი, სპეტაკი მოხუცი, ლამარიას ტაძრიდან გადაჰყურებდა მიმავალთა.

კოსტა ჩარქოლანმა კი გვერდით ჩაუქროლათ, მთარიანი აიქნია, შშვიდობითოთო, ნახვამდისაო, აიქნია და გასწია ჭენებითა. ეს სხვა მახტში იყო, მღელვარი, დაუდეგარი, დაუთმობელი, მაძიებელი სადრტვინველისა, საშფოთველისა. დილას სწორედ იმან უმასპინძლათ, დილასვე გამოემშვიდობა, ეს მეორე გამომშვიდობება იყო, გულიანადაც დაეპურა, სიტყვითაცა ვანა...

— ლენტეხში რა უნდა უშქულსა?!

— სად ლენტეხიო, სად უშქულიო?! რადა სწერია ლენტეხის რაიონადა?!

— აბა... აბა... ნწ... ნწ... ნწ... ნწ... — ქათმის ბარკალსა წუწნიდა ლენტო.

— მითხარი აბა! — მერე ფარნაოზს შეუჩნდა კოსტა.

— რა მოგახსენო... თუმცა ვითომ სულერთი არ არის?!

— სულერთიაო?! რასა ბრძანებ?! — შეჰყვირა კოსტამა, შეჰყვირა ხივანა ხმითა, ბევრი ლაპარაკით თუ დამართნოდა ასე.

— აბა სულერთი როგორ იქნება?! — მეეშველა ლენტო, ვითომც იმისთვის კი სულერთი არ იყო.

— არ იქნება, არა და არ იქნებ! ჩვენ ზემო სვანეთი ვართ, თავისუფალი სვანეთი ვართ. ლენტეხი რა არის, ლაშხეთი რა არის, იმათი თანამდგომი რადა იქნება! ეგ სვანეთი არცა ყოფილა, ყოველთვის საბატონო ყოფილა და აბა საბატონო სვანეთი ვის გაუგონია?! სვანეთი თავისუფლებაა, ბატონისა რასაც დარქმევია, იმას სვანეთი აღარ დაერქმის. ჩვენ ყოველთვის სვანეთი გვერქვა და ლენტეხს არ დავირქმევთ, სვანეთი გვერქვა და აქეთ, კალასაკენ, მესტრისაკენ ვიყავით. იმათთან ვიყავით, იმათზე მაღლაც ვიყავით, ფუთა დადეშ[illegible]ლიანს იქ შეუდწევია, აქ ვერა, ნწ... ვერა და ვერა! ლამარიას ტაძარი ვინახავთ, ჩვენი ლამარიასი, უშქულთან ლამარიასი? იქ, კარებთან ქვის დიდი საკარცხელია საპატიო და სადიდებელი, აი იქ დავაბრძანეთ ფუთა ბატონი, რომ აღარ მოგვეშვა, ბარისაკენ გზები რომ მოგვიჭრა, მოვიწვიეთ, გვიბატონეო; იქ დავაბრძანეთ, ჩვენი შეერთება ვიზეიმოთო, დავაბრძანეთ და კარიბჭეში თოფის ლულა გავაცურვეთი, იმ თოფს გრძელი ბაწარი ება, მთლად უშქული ჩაეჭიდა იმ ბაწარსა, თოფმა რომ დაიჭექა, ყველამ გამოსწია ის ბაწარი, ფუთა რომ გადმოვარდა საკარცხელიდანა, ყველამ შეჰყვირა, — მე მოვკალიო. აი ვინა ვართ უშქულელები! ისინი ჩვენი წინაპრები იყვნენ, ჩვენც ისინი ვართ, ლენტეხი რაო, ამის ჩამდენი იქ ვინა ყოფილა?!

— სხვა რამე თქვი, თორემ მოკვლა ყველგან იცოდნენ...

— ჩვენთან სხვანაირად იცოდნენ, ჩვენ თავისუფალი სვანეთი გვერქვა. ჩვენ ყოველთვის აქეთ ვიყავით-მეთქი. აბა ლენტეხი აქ სად არის?! — და უბით გახეხილი ქაღალდები წამოჰყარა, გაშალა დიდი სიფრთხილითა, ხელის გულზე დაიფინა და ჩაიკითხა, ან უფრო — ზეპირადა თქვა, — „სახელითა ღვთისაითა, მამისა, ძისაითა და სულისა წმიდისაითა. ესე წიგნი დაეწერეთ ყოვლად წმიდა უშქულისა, თავადრმოწამე გიორგი სეტისა და მაცხოვრისა ლატალისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა, უშქულისა, მესტიისა და ლატალისა ერთგულობასა ზედა, მტერის მტერობასა ზედა“. სად არის-მეთქი?! რატომ არ მიპასუხებთ?! ჰოოო... აბა ახლა ესა ვნახოთ! — და სხვა გაშალა, ისიც დაფუთფუთებული, იმასაც ჩაჰყვა ზეპირადა, — „მაცხოურისა ლატალისა თავსდობობითა და შვამდგომობითა, მაცხოურისა ლენჯერისა თვისდობობითა და შვამდგომობითა, მაცხოურისა სეტისა

ოთარ ჩხეიძე

ალმასარ-დალმასართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისდობობითა და შვამდგომობითა, მაცხოურისა მეულახისა თვისდობობითა და შვამდგომობითა. მაცხოურისა მეალვისა თვისდობობითა და შვამდგომობითა, მაცხოურისა წურემისა თვისდობობითა და შვამდგომობითა, მთავარმოწამისა გარდაშისა თვისდობობითა და შვამდგომობითა, მაცხოურისა ელისა თვისდობობითა და შვამდგომობითა, მთავარმოწამისა იფარისა თვისდობობითა და შვამდგომობითა, მაცხოურისა ჰადიშისა თვისდობობითა და შვამდგომობითა, წმიდისა კუირიკე კალისა თვისდობობითა და შვამდგომობითა, დედისა ღმრთისა უშქულისა... დედისა ღმრთისა უშქულისა... გესმით?.. დედისა ღმრთისა უშქულისა თვისდობობითა და შვამდგომობითა, — დაუწერეთ საგმობი ესე ერთობილმან სვანეთისა ხეუმან...“ ერთობილმან სვანეთისა ხეუმანო, აბა ლენტეხი სად არის-მეთქი?! გაჩუმდით! ყველა ეგრე გაჩუმდება ხოლმე, მაინც ლენტხს მიგვაკრეს და მიგვაწვეს. კალაში ვეღარ ჩაესულვარ სირცხვილითა, ორ ჭიქას ვიდრე დავლევდეთ, კიდევ არაფერი, მესამეს ავიღებ თუ არა, ჰაი, შენ ლენტეხელოო, იხვინებიან კალელები...

— შენც ნუღარ დალევ მესამესა.

— ეეე... ნუ დალევ!

იქვე იჯდა კოსტას ვაჟიცა, ახალგაზრდა, ოღონდ მომთმენი, გამოცდილი ვაჟკაცივითა ,ერთხელაც არ გამოხმაურებია მამასა, არც სადასტურო წამოსცდენია, არც საუარო. ბოლოს იმანაც ვერ მოითმინა:

— თან დაალევინე...

— ჯერ გავაგებინო... — ჰო, ჯერ გავაგებინო და ორივე ხელს იქნევდა კოსტაი, ხიოდა, ხიოდა, წიოდა, წიოდა, უცნაურად იცვლება ხმასა; ხან ამოუვარდებოდა მჭახედა, ხან ისე მიუწყდებოდა, გეგონებოდათ, არიქა, სული ამოუვიო, მაგრამ არა, იმავე წამს ამოიმტკრეოდა, ამოდაფფენდებოდა წყალივითა, მერე ისევ ხივილამდის, სულის ამოსვლამდის ჩაილეოდა. შეგაშინებდათ, შეგბოჭავდათ ეს უცნაური მონაცვლეობა თუ ტანჯვა ხმისა, შეგბოჭავდათ და შეგიპყრობდათ, ვერ წაუხვიდოდით, უსმენდით და უსმენდით, თუნდაც ჯერ გაგეგონათ, როგორც მის ვაჟსა; თუნდაც ამაოდ ჩაგვთვალათ ამდენი მღელვარება, როგორც ფარნაოზსა, თუნდაც არად ჩაგეგდოთ, როგორც ლენტოსა, სულერთია, მაინც მიაჩერდებოდით თვალდაღებული, მაინც უსმენდით ამ გატანჯულ ხმასა; ჰოდა კოსტასაც სხვა რაღა უნდოდა, ამტკიცებდა, იმუქრებოდა, ხსნიდა, ნიშნავდა, — ხსნიდა „ლენტეხელებსა“, ნიშნავდა „მესტიელებსა“... თუმცა მოიცათ, ამასაც ხომ ახსნა უნდა, ეს ლენტეხელნიო, ეს მესტიელნიო, მაგრამ მართლა ლენტეხელნი თუ მესტიელნი აქ არაფერ შუაში იყვნენ, თვით უშქულელებს დარქმეოდათ ერთიცა და მეორეცა. „მესტიელობდა“ ყველა, ვინც ოდესღაც მოეხსენათ თუ გაეთავისუფლებინათ საბჭოს თავმჯდომარეობიდანა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდანა, სკოლის დირექტორობიდანა, საბჭოს მდივნობიდანა, ერთი სიტყვით, ყოველგვარი თანამდებობიდანა, თუნდაც ფოსტალიონობიდანა; „მესტიელობდა“ ყველა გადამდგარი თუ გადაყენებული, რომელთაც კოსტა მეთაურობდა, რა თქმა უნდა, ისიც გადაყენებული, თუმცა ბეჯითად ირწმუნებოდა, ძლიესძლიგობით გავინთავისუფლე თავიო, — მე განა ის მალაპარაკებს საბჭოს მდივანი რომ აღარა ვარო, რა სათქმელია, რა პირიდან ამოსაშვებია, მე მხოლოდ ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად ვიბრძვიო, მე. მხოლოდ ხალხის ბედი მაღელვებსო... განა თქმა უნდა, რომ იგივე აღელვებდათ „ლენტეხელებსა“?! ანუ აწმბრძანებელთა, აწუფროსთა და გამგებელთა? იმათი საფიქრალიც ხომ ხალხი იყო, იმათთვის იღწვოდნენ, იმათზე ზრუნვით ათენებდნენ და ალამებდნენ, იმათი გულისთვის წაჰკიდებოდნენ „მესტიელებსა“, თორემ ისე რა ექნებოდათ სადავიდარაბო?! ოღონდ როგორც კი მოხსნიდნენ რომელიმესა, ის იმავე წამს „მესტიელებს“ მიეკედლებოდა, მწარედ მოინანიებდა წარსულ ცოდვათა, თითებს დაიკვნეტდა, ყველაზე მრისხანე „მესტიელებს“ გაუტოლდებოდა, მაგრამ

კოსტას მაინც ვერა, ის სხვა იყო, სხვა ყალიბზე მოჭრილიყო, სხვა ჯავარი დაჰყოლოდა დედის მუცლითა; ეს ჯავარი, ეს მადლი უწერტილო, სულმოუთქმელი ლაპარაკი იყო, გაბმული ლაპარაკი, უნარი იმისა, არავის მოუსმინო და მაინც ილაპარაკო, თუნდაც არც არავინ გისმენდეს. აბა კოსტას ვინ გაუტოლდებოდა, — ეს ხომ არსად ისწავლებოდა, ეს ბომ ნაჭი იყო თანდაყოლილი, ღვთაებრივი! არ ისწავლებოდა და არც უნდოდათ, კოსტა ქმაროდა ენადა, ეს თავდადებული, თავგანწირული სხვებისთვისა, მხოლოდ სხვებისთვისა, საერთო საქმისთვისა, ისტორიული ჭეშმარიტებისთვისა...

— მაშა, მაშა! ხალხისთვისა, თორემ მე რაღა მინდა, სახლ-კარი გამიმართნია, შვილები დამიზრდია, მერე რა შვილები, მტრებიც დამნატრიან! მე დამიზრდია, სხვამ რაღა ჰქნას, ეს სკოლა ეყოფათ?! უმაღლესამდის გზა არ გვინდა?! იტყვით, გინდათო და მერე სად არის, ლენტეხისაკენ ისეთი ზვავები იცის, თვეობით ჩავიკეტებით ხოლმე.

— ჩაკეტვა ის არის, თუ სხვა გზა არა გაქვთ, აქეთ იარეთ...

— აქეთ რადაო, ლენტეხის რაიონი რახანა გვქვიან, ლენტეხზე უნდა ვიაროთ.

— ეს ახირებაა...

— ზოგ ვინმესაც ასე ჰგონია, მაგრამ ვისაც გზა საითაცა აქვს, იმისი არის. გაიგეთ?! მაგრამ თქვენ ბალღები ხართ, ეგრე მალე ვერას მიხვდებით, მარილისათვისაც სისხლი დაგვიღვრია და მაინც უბატონონი ვყოფილვართ, გაიგეთ? ვერა, თუ კარგად არ გაგაგებინეთ, ისე ვერ მიხვდებით. აი აგერ ექიმები რომ დაგვხვევიან, საქოჩრიდან ფეხის ფრჩხილებამდის რომ გვხილავ-გვჩხრიკავენ, თქვენთვის ესეც ისახსნელია, თორემ გეგონებათ, ჩვენი დარდით აღარ არიან, გვერდიდან აღარა გვშორდებიან, ფრჩხილის წამოტკივებასაც აღარ გვაცდიან, მყისვე გვკურნავენ და გვაახლებენ, რა თქმა უნდა, ასე გეგონებათ, როცა არ იცით, ძაღლის თავი სადა მარხია. ან ეგებ იცით... იცით? არა, არ გეცინ- დინებათ, თქვენ ისე, მიამიტი მოწმენი ხართ, ჩემს თვალს ეს არ გამოეპარება, წახვალთ და წაიღებთ ამბავსა, უშქულში რომ ექიმობაა, ქალაქშიც არ არის ისეთიო. ლენტეხელებსაც მეტი რა უნდათ, მაგრამ ვითომ ეგრე იოლად გაა-ცურებენ კოსტა ჩარქსელანსს?! ვიდრე ქალაქს დაბრუნდებოდეთ, ვიდრე ჩახვედოდეთ, ჩემი განმარტებითი ბარათი ჩაგისწრებთ. და იცით იქ რა ეწერება? ყური დამიგდეთ... — და ახლად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო ჯიბიდანა, — „ჩემი მეასერთე განცხადება, რომლითაც თქვენს ყურადღებას მივიქცევდი მდგომარეობას, რაც უშქულში სუფევს საექიმო მომსახურეობის გამო, თქვენ შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადმოუგზავნეთ ლენტეხის რაიონს. რაიონმა, ვიდრე შემოწმებას დაიწყებდა, უშქულში სასწრაფოდა და სახელდახელოდ მოავლინა ექიმთა ბრიგადა. შემმოწმებელნი, რომელნიც ამის შემდეგ მობრძანდებიან...“ — ქაღალდი ისევ ჯიბეში ჩაიდო, — დანარჩენი საჭირო არ არის, ისედაც მიმიხვდებით. და როცა ამ ამბავს ჩაიტანთ ქალაქში, რასაც მიმიხვდით, ისიც დაუმატეთ, თორემ ჩემს განცხადებას სულერთია ვერსაით წაუხვალთ, თუმცა ვიცი, ზოგი იმის კაცია, ნაწერი მიჩქმალოს, მაგრამ მე თვითონ ჩამოვალ და ჩემი მიჩქმალვა არც ისე ადვილია. იქ კარგად მიცნობენ, ერთხელ ჩამოვსულვარ თუ ორჯერ! თუმცა თქვენზე არაფერს ვიტყვი, არ იცოდით და არცოდნა არცოდეა არისო. გითხრეს, ერთი უშქულს ადით, ნახეთ როგორ ვეფერებითო, ამოხვედით და ნახეთ, ნახეთ და იტყვით, ოხ, ოხ, თურმე როგორ ეფერებითო! ეგრე ვიცითო, კიდევ ეთქმით საყვედურიო?! ოხ, ოხ, გაგიოცდებათ, საყვედური რა პირიდან უნდა ამოუშვანო... ჰმ, იქ არის კოსტა, ერთი ღვთისაგან შეჩვენებულიო, უფრთხილდითო, დაგბარებდნენ. მაგრამ რახანა ნახეთ ის პირი, სამდურავი საიდანაც

ოთარ ჩხეიძე
ადმართ-დადმართი

ამოდის, უკვე სხვანაირად იგალობებთ ჩემო ყმაწვილებო...

— მამაჩემო!..

— ახლა დავლიოთ...

— ვიღაც სხვები გგონივართ...

— ვინც გინდათ იყავით, ახლა დავლიოთ, ყელი გავისველოთ...

ლენტომ წაიზმუვლა, თავზარი დაეცა, ყელს რომ გაისველებს, რაღა გვშველებაო.

— ოღონდ იცოდეთ, რომ... — ბრალდება მაინც ვერ აეტანა ფარნაოზსა.

— რა ჩვენი თქმა უნდა, — არ დაეცადა ლენტომა, — ყველაფერი იცის პატივცემულმა კოსტამა.

— მაგრამ...

— „მაგრამაც“ იცის...

— ოღონდ...

— „ოღონდაც“ იცის, რაღა არ იცის, არა, პატივცემულო კოსტა?!

— დიახაც, დიახაც, თავიდანვე შეგატყვე, რომ შენ უფრო გონიერი ბიჭი იყავი.

— ჰა, ჰა, ჰა... გესმის, ფარნაოზ?

— ფარნაოზიც კარგი ბიჭი მოსჩანს, მაგრამ...

— „მაგრამები“ ფარნაოზსაც როდი უყვარს, ყელი გავისველოთო, ასე ბრძანეთ, არა?

— სხვაც ბევრი რამ მოგახსენეთ...

— ბევრი და დიდებული, მხოლოდ ბოლო სიტყვები შეგახსენეთ. ისე თუ გნებავთ, თავიდან ბოლომდის გაგიმეორებთ, ბოლოდან თავამდისაც მოვყვები, „ყელი გავისველოთ...“ „ახლა დავლიოთ...“ „ვინც გინდათ იყავით, ოღონდ დავლიოთ...“ „კოსტა ერთი ღვთისაგან შეჩვენებული ვინმე არისო, დაგაბარებდნენ, მაგრამ მაინც დავლიოთ...“

— სხვასაც ვეტყოდნენ, იქ ხომ ჩემი ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებენ. მაგრამ იცით ვინ არიან ჩემი მლანძღავები?! აქაურები, ჩვენებურები... წაიყვანენ ხან ვისა, ხან ვისა, თანამდებობას მისცემენ და შეუნდებიან, ხედავ რას გიშვრება კოსტაი, გესმის, უშჭული თუ გამოჰყვეს ჩვენი რაიონიდანა, მაგ ადგილზე ვიღა გაგაჩერებსო... აბა! გესმით! ისიც სხვას აღარაფერს აკეთებს, მლანძღავს და სამარეს მითხრის ზურგსუკან, ეს არის იმისი სამსახური, ამაშია ლეკვენ ფულსა. ილანძღონ, გაცოფდნენ, გამწარდნენ, გაწიწმატდნენ, მტერი თუ გაწიწმატებულა და ილანძღება, უღონო ყოფილაო. ძლიერი მტერი დედაკაცივით არ იწყვლება.

— მამა...

— დავლიოთ, დავლიოთ... ისე კი კარგი ეშმაკები არიან, ო, რა ეშმაკები არიან! ოოოო... არ იცით?! რა ენა მოსთვლის! ერთხელ ხალხის ყბაში ჩამაგდეს, კინაღამ გადამკიდეს ხალხი, ოქმიც შემიდგინეს... იცოცხლე, მე იმათ ვუჩვენე სეირი, ისეთი განცხადება დავადევნე, ქვას გახეთქავდა...

— ამდენი ბარათები, განცხადებები, ალბათ მთელი ტომი გამოვა...

— რატომ ათი არა?!

— მამა...

— ჰმ, ჰმ... ყელი გავისველოთ...

ფარნაოზს ფეხი წაკრა ლენტომა, კრინტი აღარ დასძრაო; გაუგონა, მაგრამ სალაპარაკო მაინც არ გამოილია კოსტამა, არ გამოილია და მოჰქონცა ისინი, მიასავათა, ისეთი დღე დააყარა, აღარც ჭამის თავი ჰქონდათ, აღარცა სმისა, წელიც გაშეშებოდათ, მაინც მოახერხეს, ადგნენ როგორც იყო, მზის თვალი დგას, ეგება მოიღრუბლოს, ბარემ ავალთ კოშკზედა, უშქულს გადავიღებთო... ოღონდ კოშკი აღარა ჰქონდა კოსტასა, დიდიხანია ამოეგდო ძირფესვიანადა, დიდიხანია აივნებიან სახლად ექცია, მაგრამ ხომ არ გამოტყდებოდა, თუმცა ოდესღაც თავგამოდებითა ტრაბახობდა, კოშკი პირველმა რომ დააქცია და ეკლესიასაც ჩამოსტეხა ჯვარი; ახლა სატრაპახოდ არ გამოადგებოდა, არც მონანების ჭკუაზე იდგა, ჰოდა, მოიგვარა ღირსეული იერი, ხმასაც ჩაუწია დარბაისლურადა და ისე თქვა:

— როცა იქ ვიყავი, — მხარზე გადიქნია ცერი, საბჭოს გულისხმობდა, — სტუმრებს თხოვნა არ დასჭირდებოდათ, ვიცოდი, როდის რა უნდოდა, ვინ რას მოისურვებდა... ჰმ, ესენი... არცა გკითხულობენ!.. — დარბაისლურადვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოდგა, გავიდა აივანზე, — ბაუჩი! ბაუჩი! — გადაიძახა.

მოვიდა ბაუჩი, არც ის გამოტყდა, თავისი კოშკი რომ დაექცია, უყოყმანოდ გაუძღვა.

და მერე იყო, რომ გუგუნებდა კოშკი ღვაჩლიანთა, — კოლეგა! კოლეგა! და მოაჯირზე იმტკრეოდა დეუშეთ ღვაჩლიანი.

XIX

მწვერვალზეც აგუგუნდა ლენტო, აგუგუნდა და აგუგუნა ხევები, მწვერვალები ერთმეორეს გადაბა, უფსკრულში ჩაიტანა, ამოზიდა უფსკრულებიცა, ამოავსო, გასწორა, გაათანაბრა და გაიხარა, გალაღდა, გაიბადრა.

სხვები დაღლილიყვნენ.

დაღლა არ აკლდა არც ლენტოსა, მაგრამ თავსზევით რომ ვეღარაფერი დაინახა, დაღლილობა გადაიყარა. კინაღამ ჩაეშალათ მწვერვალზე ასვლა და მერე, ვინ იცის, კიდევ იქნებოდა ასე ახლოს მწვერვალებთანხ! ჰო, კინაღამ ჩაეშალათ... იმათ უკვე მოეთავებინათ თავიანთი საქმე, ენგურის სათავეში ასვლა დაეთქვათ და ასულიყვნენ, პირველი წვეთებით აეკოთ პეშვები, პირველშობილს დასწაფებოდნენ, მინერალის აუარება ნიმუში შეეგროვებინათ, ყვავილთა ნიმუშიც აუარებელი; რაც ჩაეთქვათ, მიეღწიათ, რაც ესურვათ, აღსრულებოდათ, კმაყოფილი იყვნენ, კმაყოფილებად ნეტავი მეტი რაღა ითქმოდა, — არც არაფერი, კარვებს აშლიდნენ, აიყრებოდნენ, დაეშვებოდნენ, ასვლით ავიდნენ, ჩამოსვლითაც ჩამოვიდოდნენ.

და მაშინ მიუსწრეს, სწორედ აყრას რომ აპირებდნენ... ფარნაოზმა მხრები ჩამოჰყარა, ლენტო მაშინვე ვერაფერს მიხვდა, ჰოდა, მხრებიც არ ჩამოუყრია, ვერ მიხვდა, ვერ გაიგო, რადგან იმხელა გზა, — ან რა გზა, იმდენი ოღრონჩოღორო ისე აათავა, რომ მხოლოდ მწვერვალები, არყნარები, დეკიანები, ქვათა ზღვები, ულამაზესი ყვავილნარები, შემაშფოთი ჩანჩქერები და თვალმიუწვეელი ხევები აღბეჭდა. ბევრი რამ იყო, კარგადაც გადიღო, მაგრამ რაღაც აკლდა, ვიღაც აკლდა, იყო ბუნება პირველყოფილი, პირველყოფილი სილამაზითა და საშიშროებითა, ოღონდ უადამიანებოდ თითქოს ლაზათი აკლდებოდა, უაზრო ხდებოდა, სიკარიელეს ემგვანებოდა. თუ ხალხი არ იყო, ისე სურათში შინაარსი არ ამოდიოდა. ფარნაოზი თან ახლდა, ყოველ ფონზე ის აღბეჭდილიყო, მაინც არა კმაროდა, მაინც იკლებდა სიდიადე მწვერვალებისა თუ დაბლა წერტილებივით არ ეყარნენ ადამიანები, სხვადასხვანი, მრავალნი. იქ უცებ აღიესო ეს სინკლულე. ინგურუხვამის ძირას გაშლილმა კარვებმა, იქიდან გამოფენილმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა აავსეს, აამძრავეს გარინდული მწვერვალები, პიტალო კლდეები. გოგონები რომ გამორბოდნენ, თითქოს ნამყვამი ჩამოირბინეს, ორი უსახელო გადმოვლეს და ზხარასაკენ მიექანებიანნ. ეს უკვე ამბავი იყო, პტარა ამბავი დიდი მწვერვალებისა, ოპერატორის თვალის მომტაცი, თვალისაცა და გულისაცა. ჰოდა, რა თქმა უნდა, მაშინვე ატარატ მოიმართებოდა, ჰოდა, ცხადია, მაშინვე ვერ გიგიებდა, თუ რად ჩამოჰყარა მხრები ფარნაოზმა, თუმცა ფირზე ყველაფერი აღბეჭდილიყო: დამხვდურები სიხარულით შეეგებნენ ფარნაოზსა, შემოეხვევნენ, გადაეხვევნენ, ფარნაოზიცა ხარობდა იმათი შეხვედრითა, ოღონდ თვალი ზხარასკენ გაურბოდა, აღტაცებული თვალი. დამხვდურები ქვევით, დაღმა იშვერდნენ ხელსა... და ეშვებოდა მხრები, იღუნებოდა, ცვივოდა.

ოპერატორისათვის ესეც სურათი იყო.

მერე ოპერატორობას აღარ დასჯერდა, რეჟისორობა მოინდომა. ქვიანების ყვავილმა მოჰგვარა ეს სურვილი. ლამაზ გოგონას შეენიშნა ქვიანების ლამაზი ყვავილი. ბევრი შეეგროვებინა მდელოს ყვავილი, ალპური ზონის ყვავილი, არყნარებშიც, დეკიანებშიც, მყინვართა ძი-

---

ოთარ ჩხეიძე

ალგათ-ალგათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებში გამოერჩია, ჰერბარიუმი სავსე ჰქონდა ნაირფერებითა, ნაირგვარებითა, მაგრამ ისეთი არ ენახა, არ გაეგონა. შორსა მდგარიყო, მარტოდმარტო, ყელმოღერილი, ქვის ზღვაში ამოჩენილიყო, თითქოს მოღელავდა, მოცურავდა, გაშუქებული, განთებული ალაპლაპებულ ქვების ტალღებზე. ის მოცურავდა, ამასაც ეწეოდა. თვალი მოეკრა, ფეხი დასცდენოდა, ქვები დასცურებოდა, დაცემულიყო, თეძო დასჩეჩქვოდა. მოშუშებოდა, ოღონდ მაინც ძლიან დადიოდა. ის სულ ბოლოს გამოეგება ახალმოსულებსა... და ლენტომ მოინდომა გადაეღო დაცემა მშვენიერი ყვავილისთვისა, გადაეღო თუ როგორ შენიშნა, როგორ გაუშურა, როგორ დაეცა, როგორ მიეშველნენ, გამოიყვანეს ქვების ზღვიდანა, ყველაფერი, ყველანი გადაეღო, — მეგობრები შეწუხებულნი, ტკივილები, ექიმის მხნეობა და სიმარჯვე, მაგრამ მაინც მიუყურებლობა ტკივილებისა, ვიდრე ჯაბუკი არ გადასწვეს კარვის კალთასა, ჯაბუკი, იმ ყვავილით ხელდამშვენებული... ასე მოინდომა რეჟისორმა, ასე აუხსნა თავის მსახიობებსა და რეპეტიციები დაიწყო, სწრაფი, მგზნებარე, ცეცხლოვანი. თუმცა რეჟისორი უფრო მგზნებარებდა, მსახიობები ეგრერიგად ვერ აიყოლია; კისკისებდნენ გოგონები, ხითხითებდნენ ბიჭები, ხოლო მთავარმა გმირმა ხომ არასდიდებით არ მოინდომა დაცემულიყო, მდელოზედაც ვეღარ გაბედა, თორემ ქვიანებს ვიღა გააგონებდა. მაინც არ ეშვებოდა, მხურვალება არ ელეოდა, ჰოდა, აბა ყურადღება სად ეყოფოდა, როგორ გასწვდებოდა, თუ რად განაპირებულიყვნენ ფარნაოზი და ერთი მოდაბლო, თხელა ბიჭი, ინსტრუქტორი ალპინიზმისა.

— ეგა არის და ეგა, — ამბობდა ფარნაოზი, — ბრუნდებით, ჰა?..

— ვბრუნდებით.

— მეგონა, შხარაზე ადიოდით.

— ამდენი ხალხით, ამდენი გამოუცდელითა?!

— მცირე ჯგუფით მაინცა...

— არც იყო დთქმული, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეგრეთი არაფერი ქალაქი უვალებიათ. აქამდის უნდა ამომეყვანა, ამოვიყვანე და სხვა არც არაფერი მეკითხება, თავიანთი ხელმძღვანელები ჰყავთ, თავიანთ საქმეს მორჩებიან და ბრუნდებიან.

— ჩვენ რომ ავიდეთ?

— მე და შენა?!

— ლენტოც წამოვა.

— მაინც...

— ორიოდე მოხალისე ამათშიც გამორჩნდება.

— ხელმძღვანელები არ დათანხმდებიან.

— აქ, ამ მიუვალ მთებში იმდენი ძალა აღარ ექნება იმათ სიტყვასა.

— თავს გამოიდებენ, ისინი არიან პასუხისმგებელნი.

— ნურცა ვკითხავთ, ჩუმად გავიყოლოთ.

— გაიგებენ...

— მერე მოგვყვნენ თუ ბიჭები არიან. — შხარას გაჰხედა ელვარე თვალითა.

— ეგრე არ ივარგებს, ახლოს ვიღაცანი უნდა იყვნენ, ისე ვერ შევბედავთ.

— აგერ არიან...

— მიდიან-მეთქი.

— ვთხოვოთ, მოიცადონ ერთ-ორი დღეცა.

— მაშინ ვეღარც ვერავის გავაპარებთ.

— არც არავინ გვინდა, სამნი ვიქნებით.

— რად აგიხირებია?!

— არ ვიცი, იქ მინდა! — შხარასთვის ვეღარ მოეწყვიტა თვალი.

— იქ მაინც გაჭირდება...

— ნამყვამი იყოს...

— აქეთ უსახელოები?

— თუნდაც უსახელოები, მაინც მწვერვალებია.

— მწვერვალებია... მაგრამ მეც რომ დასაბრუნებლადა ვარ განწყობილი.

— მაშ ამაოდა ვლაპარაკობთ.

— ვინ იცის, წაქეზება დიდი რამეა.

— მერე ასე პირისპირა ვართ...

თვალი შემოავლო თეთნულდსა, გის-

ტოლასა, რუსთაველსა, უშბასა, იალბუზსა, უსახელოთა.

ინსტრუქტორი დათანხმდა, ის დათანხმდა, მაგრამ ხელმძღვანელებმა შორს დაიჭირეს, რა მწვერვალიო, რის მწვერვალიო, გაცხარდა ბოტანიკოსი, — ან აქამდისაც რა მინდოდა, რა მესაქმებოდა მყინვარებში, ხათრით წამოგყევი და კინღამ ბავშვი დამეღუპაო. გამოდის, რომ მე მაბრალებო, მხრები აიჩეჩა გეოლოგოსმა, მაგრამ მინერალისათვის ხომ არ შემთხვევია ფათერაკი, ყვავილს გაეკიდაო. ადრე რომ გავბრუნებულიყავით, აღარც ეგ ავბედითი ყვავილი შემოგვეყრებოდა, არც ამდენ შიშსა ვჭამდითო, მაგრამ ხათრი კაცის დამღუპველიაო. რა ხათრიო, რის ხათრიო, ვითომ ვის რად უნდოდა შენი ხათრიო. ერთი სიტყვით, მე ვბრუნდებიო. ჰოდა, ეგა თქვი, რა შარზე დგეხარო. მე ვბრუნდებიო. მეცა ვბრუნდებიო. მეტი თანხმობა აღარც იქნებოდა, — აშლა ბრძანება ბანაკისა, ბრძანეს და აღსრულდა, იაკეცა, იაკრიფა თეთრი კარვები, აგროვდა ბარგი, გაიტენა, გაიბერა ჩანთები, ყველაფერი ზურგებზე მოექცა, დაიძრა ქარავანი. ეს აყრაც მოეწონა ოპერატორსა. მარტოდ დარჩენილი კარვიდან ორი ჭაბუკი ხელს რომ იქნევდა, ისიც რაღაცას ნიშნავდა; კვანძი იკეროდა, მიდიოდნენ, სტოვებდნენ, ვინ უწყის, რა საფრთხის წინაშე, — ჰოდა, იმათაც იღებდა, ამათაცა, გადაჰქონდა და გადმოჰქონდა აპარატი, მირბიმორბოდა, ხან წინ მოექცეოდა, ხან უკანა, ხან გვერდობს აირბენდა, ხან ჩაბლობში ჩავარდებოდა, ხვითქში სცურავდა, ოღონდ ქარავანი რომ დაშორდა, ძალიან დაშორდა, ოფლი შეაშრა, უცებ შეაშრა.

— მართლა მიდიხართ?! — თითქოს გული მოსწყდაო, ისე დაიძახა.

უკანანი შეყოვნდნენ, შემობრუნდნენ.

წინანიც შეყოვნდნენ. სულ წინ უფროსები იყვნენ, რატომ შეჩერდითო, იარეთ, იჩქარეთო. მაგრამ აღარ აჩქარებულან, იქ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, რაღაც წაიდავეს, წაიკამათეს. აქ ეს ჩამომჯდარიყო ლოდზე, ხელები ჩამოეყარა, გაიცქირებოდა უაზროდა. იქით რავთან წაწოლილიყვნენ, ერთი პირქვე, მიწას ჩასჩერებოდა, მეორე გულაღმა, ლურჯ კამარას მიშტერებოდა. ესეც გადასაღები იყო, მაგრამ აღარ იყო სხვა გადამღები, კარგი იქნებოდა ყოფილიყო, გადაიღებდა, თუ როგორ გამოეყო ხუთი ჭაბუკი დათავქეევებულ ქარავანსა, როგორ გადაუდგნენ უფროსები, მერე როგორ შემობრუნდნენ ყველანი, წამოვიდნენ, თან წამოიღეს უფროსებიცა, ჰო, წამოიღესო, მაშ რანაირად ითქმის თუ არ გეთანხმება, თუ არ უნდა, თუ აიძულებ. მთებმა იციან გაურჩება. ჩამოვიდოდნენ, ჩამოიკაკბნენ და მერე... თუმცა ამას რაღა ბევრი ალიანჩალიანი უნდა, იმას მოგახსენებდით, კარგად გამოვიდოდა-მეთქი. ერთი სიტყვით, დაბრუნდნენ, ისე დაბრუნდნენ, არაფერი აღბეჭდილა ფირზე.

— მარტო ვერ დაგტოვებთ... — თქვა ბოტანიკოსმა.

— ორ დღეს მოგიცდით, — თქვა გეოლოგოსმა.

— კარგი იქნება, — თქვა ინსტრუქტორმა.

— წასულიყავით, — თქვა ფარნაოზმა.

იმ ერთადერთ კარავთანა თქვეს, იქ მიგროვდნენ, არც ეს აღბეჭდილა, არც ისა, თუ ხელახლად როგორ აღიმართა სხვა კარვები... იმავე ქვაზე იჯდა მხურვალე ოპერატორი, უთავბოლოდ მიუგებდა თავსწამდგარ ქალიშვილებს, მწვერვალზე ასვლა თუ უნდა გადაიღოო, რომ ეკითხებოდნენ...

უთავბოლოდ მიუგებდა, მოდუნებულიყო და იმიტომ მიუგებდა უთავბოლოდ. უცებ, ერთბაშად მოდუნებულიყო, იმ აყრას არ ელოდებოდა და, რომ შემობრუნდნენ, თითქოს იმისაც ველარაფერი გაიგოო. მერე, კარავში რომ შერგეს თავი და ფარნაოზმა უთხრა, დილაადრიან გავალთო, მაშინღა დასძრა კრინტი.

— მაშ ხვალ უკვე იქ ვიქნებით,

ოთარ ჩხეიძე
ალგართ-დალგართი

უშქულიდან საოცრებად რომ მოსჩანდა?

— არა, იქ არა!

— იქ არა?!

— არა. უსახელოზე ავალთ.

— უსახელოზე რა გვინდა?! რა სახელი უნდა მოვიპოვოთ უსახელოზე ასვლითა?!

— სახელს დავარქმევთ.

— სასახელო თუ იქნებოდა, აქამდისაც დაარქმევდნენ.

— ავლენ და შეარქმევენ ხოლმე.

— რატომ არ ავიდნენ?!

— უფრო ძნელ მწვერვალებს ეტანებოდნენ...

— სახელიანთა და სასახელოთა.

— თუნდაც ეგრე ითქვას.

— იქ ავიდეთ! რამ შეგაშინათ?!

— ჩვენ იქა ვყოფილვართ.

— ჩემი გეფიქრებათ?!

— იმ ყმაწვილებისაცა. ესეც არ იყოს, იქაც ხომ ვინმე უნდა ავიდეს.

— მერე და, რაღა მე უნდა ავიდე?!

— ჩვენც იქ ვიქნებით.

— თქვენ სხვაგანაცა ყოფილხართ.

— შენც იქნები.

— ვინ იცის, კიდევ დაედგები მწვერვალებზე ასვლის ჭკუაზე...

— დადგები, თვითონვე აღარ გაგიშვებენ.

— მაინც თავიდანვე სახელიანთან ჭიდილი სჯობიან. უსახელოს რას გამოვრჩები, უსახელობის მეტსა...

— შხარა ძნელსავალია.

— სახელიც იმიტომ დაუგდია.

— მაშინ ნამყვამი იყოს, ისიც ხომ სახელია.

— მაინც შხარა მირჩევნიან.

— ათასამდე მეტრით უფრო მაღალია...

— მით უკეთესი...

— მწვერვალზე ერთი მეტრიც საბედისწეროა.

— ათასი ათასჯერ საბედისწერო, ათასჯერაც სასახელო...

— ავიდეთ შხარაზე, — მოსჩრა ფარნაზმა.

— არა! — მტკიცედა თქვა ინსტრუქტორმა.

— როგორც გენებათ... — თქვა ... ტომა, — ოღონდ უსახელოზე მაინც ნუ ამიყვანთ, არ მინდა უსახელოზე!

აღარ შეპასუხებიან. წაინაბა ჰიმალაური, როგორც სხვა კარავნიც წანაბულიყვნენ. თუმცა კლდე ჩამოზიავდა, წამოვიდა გრიალ-ხრიალითა, აგუგუნდა მთები, თითქოს ქვეყანა იქცევაო, მაგრამ არ შერხეულან, მინაბულიყვნენ, ძილი არ დაფრთხობიათ მძინარეთა, მიჩვეულიყვნენ, იქ ასე იშლებოდა კლდეები, ცვივოდა ქვები ხან სიიდანა, ხან საითა, ზოგჯერ ახლოსა, ზოგჯერ შორსა, ოღონდ ერთნაირადა გუგუნებდა მთები.

იყო სიბნელე და გუგუნი, გუგუნი ხანგამოშვებითა, სიბნელე ხანგამოშვებლადა, მხოლოდ ხანდახან აპწკიალდებოდა წანაცრული კოცონები და პატარა ნაპერწკალსაც დიდი ჰქონდა შუქი.

XX

საგანთიადოს რომ მიატანა, აღარაფერი არღვევდა სიბნელესა, აღარც ქვათა ცვენა, აღარცა პწკიალი კოცონებისა. მერე შეიბზარა აღმოსავლეთი, შეიბზარა და გამოცრიაკდა; მალევე გაფითრდა, გადაიბურა, ღრუბლები თუ გადაეფარა. პირველი ცრიაკი ნიშანი იყო, სადღაც ახველდნენ, სადღაც ხველით გაეპასუხნენ, სადღაც აჩქამდნენ, ზოგი აქეთა, ზოგი იქითა, მერე შეერთდნენ და გაიპარნენ, გაუდგნენ გზასა... ბანაკს რომ დაშორდნენ, მოიმარჯვეს ჯიბის ნათურები, მაგრამ რა მოიმარჯვეს, — მაინცადამაინც მარჯვედ ვერ არღვევდა სიბნელესა. ჯერ გადამღებს არაფერი ესაქმებოდა, აპარატი ზურგზე მოეგდო. ფრთხილად მისდევდა ფარნაზსა, უკან შვიდი ახალბედა მიჰყვებოდა, ბოლოს — ინსტრუქტორი, — თუმცა სულ ინსტრუქტორად ხომ არ მოვიხსენიებთ, შითა ერქვა და შითადა ვთქვათ; ჰო, ასე გამბულნი მიდიოდნენ, ლარივით გამბულნი თუ სწორეზე მოხვდებოდნენ, ერთმეორის ზურგსა გრძნობდნენ. თუ ასცდებოდნენ, ქარი დაუსისინებდათ შუბლზე, მაშინვე მყუდროსკენ გადაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევდნენ და მიდიოდნენ, მიდიოდნენ... არაფერია, გათენდებოდა, ფათერაკებიც ჯერ წინ იყო, თუმცა ფათერაკები უფრო ახლოს იყო, ვიდრე განთიადი, — ჯერ მოწმენდილშიც რა არის მთების განთიადი, მერე ღრუბლიანში! მაინც მოიწმინდებოდა, მაინც გაშუქდებოდა, ამაოდ არ ათრევდა აპარატსა.

პირველ ფათერაკს რომ გადაეყარნენ, ვერც მიმხვდარიყვნენ, კარგახანია გაცისკრებულიყო, თუ ის-ის იყო ინათლა. ბნელი იიმღვრა, თვითონაც იიმღვრნენ, ბნელი იმათ ამღვრევდა, ისინი ბნელსა, როგორღაც უცნაურად აიჩჩხებოდნენ, გაიწელებოდნენ, გაწყდებოდნენ, აირეოდნენ, აპოლდებოდნენ, დამღორდებოდნენ, აირეოდნენ, აიწოწებოდნენ და გასხლტებოდნენ, ეს იყო ხტომა ლოდიდან ლოდზე.

ხევს მიატანეს და შეჩერდნენ, სხვა გზა აღარ იყო, ხევში უნდა ჩასულიყვნენ, იქიდან აჰყოლოდნენ წყალნადინარსა, სამედო იქნებოდა, ჩამკვიდრებული იქნებოდა წყალნადენი. მაგრამ იქამდე მიდგომა თქვით! მთას შეჩვეული თვალი სავალს იოლად ირჩევს, მუხლი ეგრე იოლად ვეღარ მიჰყვება. რამდენგანმე გასჭიმეს თოკი, რამდენგანმე სული კბილით ეჭირათ ფარნაოზსა და შოთასა, ხოლო ვინც არ იცოდა, ვინც ვერა ხვდებოდა ფათერაკსა, უფრო თამამობდა... მიხტოდა, მითამამობდა ლენტო, მისდევდნენ ახალბედები, სული კბილით ეჭირათ უკვე ნაცადთა...

მიდიოდნენ, მიფოფხავდნენ, ერთმანეთს ეწეოდნენ, ზურგს უდგამდნენ, გადასაღებად გამოდგებოდა, კარგად გამოვიდოდა, მაგრამ მღვრიე განთიადს დილაც მღვრიე მოჰყვა, შუადღეც თუ აიმღვრეოდა, ნეტავი აპარატი რაღას წამოვათრიეო, ბუზღუნებდა ლენტო. ოღონდ მალე მზე უფრო გაბედულად შეეჭიდა ღრუბლებსა, აპარატმაც იარგა, გადასაღებიც უკეთესი შეხვდათ. ეს იქ იყო, უფსკრულს რომ მიადგნენ. ფარნაოზმა გაიკვირა, გაიკვირა შოთამაცა. ახალბედები ვერაფერს მიმხვდარიყვნენ; რა ვუყოთ თუ მიმდგარიყვნენ უფსკრულის პირასა, აუქცევდნენ, შეგოუვლიდნენ, აბა, შიგ ხომ არ გადავ-ვიდებოდნენ. მაგრამ გამოცდილნი თვალმა უკვე მოზომია გარემო, — ასაქცევი არსაით იყო. ან უნდა გადაელახთ უფსკრული, ან უნდა გაბრუნებულიყვნენ პირშიჩალგამოვლებულნი. ფარნაოზი მაინცა ჯახირობდა, ციცაბოზე მიფოფხავდა, უფსკრულსაც გაჰყვა ნაპირ-ნაპირა, უფრო ვიწრო სხვგანან არ იყო, არც მოსავლელი მოსჩანდა სადმე, მწვერვალიც სადღაც გადაკარგულიყო, ღრმად ჩაფლულიყო, ნისლში, ღრუბლებში. უფსკრულის სიღრმეც ნისლებს დაეფარა, ნისლებს ამოეესო, თითქოს არც ისე საშიში ყოფილიყოს, ვითომც იქვე თავდებოდა, სადამდისაც მოუწევდა თვალი. მაგრამ ეს ნუგეში როდი დასცალდათ, ზედ მათს თავზე გათეთრდა ღრუბლები, ძალიან გათეთრდა, მზე ახლოს მოდგა, თითქოს დასაცინადა. ლენტომ გაიხარა, აპარატი მომართა, ხელად აღბეჭდა პირდაღებულნი პირდაღებულ უფსკურლთანა, ძირი რომ წაუვიდა და წაუვიდა, ჩავარდა და გავარდა ძირი; შვერილებიც წამოგრძელდა, წამოიწოპა, თითქოს მოიწევდა ალესილი, გაალმასებული, აქ თუ არ ჩამოხვალთ, მანდ ამოგეჭრებით, მანდვე დაგბანჯლავთო, შოთა და ფარნაოზი არას ამბობდნენ, არც სანუგეშოსა, არც გასამხნევებელსა, ისინი უკვე შეთანხმებულიყვნენ, თოკს ისროდნენ მეორე ნაპირის ლოდზე გამოსადებადა. ისროდნენ და ისროდნენ, არ გამოდიოდათ, სტუდენტებიც მიეშველნენ, თითქოს თამაშიაო ან შეჯიბრი, აბა. ვინ როგორ იმარჯვებსო. ბოლოს იმარჯვეს, გამოსდეს, ცალი ბოლო გამოაყურთმაჯეს, მეორეს წამოაცვეს, გამოსწიეს, გაცურდა ყურთმაჯი, წავიდა, წავიდა, ლოდს შემოეჭდო, კიდევ გამოსწიეს, ყველა ჩაეჭიდა, ერთად დაეჭიდნენ. ყველას გაუძლო. მაშინ შოთამ ყველას ხელი გაუშვებინა, გართობა კმაარაო, უფსკრულში ისროლა მეორე ბოლო, ჩავარდა, ჩაქანდა, დაეკიდა იქითა მხა-

---

ოთარ ჩხეიძე
ალგათ-დალგათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესა. აქეთ უფრო ადვილი იყო, ადვილადაც დაამაგრეს მეორე თოკი, ჩაჰკიდეს. ფარნაოზი შემსუბუქდა, ერთი თოკიც წელზე გამოიბა და ჩაჰყეა ჩაკიდულ თოკსა. კარგად დაიკვირდითო, — შოთამ თქვა. — უფსკრულზე გადასვლა ასე უნდაო. აქ კი შეფიქრიანდნენ სტუდენტები, მხოლოდ გვიჩვენებენ თუ ჩვენც უნდა გამოვცადოთო. ამასობაში ფარნაოზმა იკარაუდა, საკმარისიაო, აქეთა კედელს მტკიცედ მიაბჯინა ფეხები, აიჭიმა ან უფრო, გაიხიდა უფსკრულზე, ჩაბუქნა და, ცალ ხელში ისევ აქეთა თოკი რომ ეჭირა, იქითას წაიტანა მეორე ხელითა, მარჯვედ შეიპყრო მარჯვედვე დაეკიდა, გადაინაცვლა. ასე უნდაო, — კიდევაა თქვა შოთამ, მოწონებითა თქვა. კიდევ უფრო შეფიქრიანდნენ სტუდენტები, ხოლო ლენტოს ალო დასდგომოდა, ატრიალებდა აპარატსა, ხან აქედან წაიჩოქებდა, ხან იქიდანა. ფარნაოზი კი უკვე ზევით მიცოცავდა, ფრთხილად მიცოცავდა, იქით ხომ თოკს არავინ იცავდა, მიცოცავდა და მიცოცავდა. ასე, ასეო, — თითქმის ჩურჩულებდა შოთა, თან ფარნაოზის წელზე გამობმულ თოკს იმოკლებდა, ტუჩს აწვალებდა კბილებითა, ჰა. ჩაეკვნიტა თუ არა, ჩაეკვნიტა თუ არა, ხოლო იქით რომ გადაფოფხდა ფარნაოზი, შემობრუნდა, ხელი დაიქნია გამარჯვების ნიშნადა, — აი, ასეო, — გულიანად ამოიძახა, ჯერ თავისთვის ამოიძახა, იქ მყოფებს რომ მიუბრუნდა, იმათთვისაც გამიმორა, — აი ასე! ასევე მოიქცევა, ვისაც გული ერჩის და სიმარჯვე არ აკლია, ვისაც ეეჭვება, გაბრუნდეს. გზის დაკარგვისა თუ ეშინიან, აქეე დაგველოდოს. აგერ იქ კარგი ადგილია, იქ დასცეს კარავი. — ხელი გაიშვირა ვეება ქვისკენა.

ბიჭები შეფიქრიანდნენ, მდუმარედ ითათბირეს, შოთაც მდუმარედ ჩაერია მდუმარე თათბირში:

ვითომ რამ შეგაფიქრიანათ, გამბედაობა არა გყოფნით?!

მაშინ ხომ არც გამოგყვებოდით.

მეც ეგრე მგონია... ცოტა სიმარჯვეც მიუმატეთ და მორჩა, ეგ არის ყველაფერი.

სამარჯვეც არ გვაკლია, ჯანი გვაქვს და სპორტსაც მივდევთ.

აგაშენოთ ღმერთმა, სიმარჯვე და გამბედაობა თუ გყოფნით, ალპინისტობა მეტი არც არაფერია.

არც ეგრე უნდა იყოს...

სწორედ ეგრეა.

გვიადვილებ...

ოღნავადაც არა, გამბედაობა და სიმარჯვე! გააქვთ? შევუტიოთ! არა გაქვთ? დაველოდეთ!

თავმოყვარეობაზე გვაგდებ...

ეგეც დიდი რამაა, უმაგისობაც არ იქნება.

და მოთავდა ეს მდუმარი საუბარი. ერთი წინ წადგა, ხელი ჩაავლო თოკსა, იდგა, იდგა, გაიცინა და ჩაეშვა. ლენტომ იმასაც დაუმიზნა აპარატი, შემდეგ ჩასულსაცა, მერე ქვევიდან გადაღებაც მოინდომა, უფრო გრძელი თოკი ჩაშვებინა, უფრო ღრმად ჩავიდა, შვერილზე ჩამოჯდა, იქიდან ატრიალებდა აპარატსა... და როცა ყველანი გადავიდნენ მეორე მხარესა, ცოტა არ იყოს, თავმომწონეობდა: ჯერ არავის გადაუღია. ასეთი კადრები, ერთ რამედა ღირს, საუკეთესო ფილმებს დაამშვენებსო. შოთამ მაშინვე გაუნიავა, — კინოსტუდიის პავილიონებიდან არც გამოვლენ, ბევრად ამადელვებელ სურათებს შეჰქმნიანო. „ის ხომ სიმართლე არ იქნება?!“— შესძახა ლენტომა. „ოღონდ დაჯერეტუყეილი იქნება თუ მართალი, რა ბედენაა!“ აღარაფერი მიუგო ლენტომა, ხასიათი წაუხდა, ხალისი წაუხდა...

სოცარ აღმართსაც მისდგომოდნენ, თითქმის დაოთხილნი მიდიოდნენ, უფრო სწორედ, მიხოხავდნენ, თოკიცა ჰქონდათ გაჭიმული ყოველ შემოხვევისთვისა, თუ ვინიცობაა ვინმე აყირავდებოდა. ესეც კარგად გამოვიდოდა. არ გადაიღო, ნისლებიაო, მოიმიზეზა. ნისლი მართლაც უფრო მუქდებოდა, ავდებოდა, მწვერვალი გამქრალიყო, ვერა ჰხედავდნენ, რისკენაც მიისწრაფოდნენ, თითქმის ბრმად მისდევდნენ ალღოსა, ფარნაოზის ალღოსა. ხან ფარნაოზსაც დაეკ-

ვებდა თავისი ალღო, შოთას ეთათბირებოდა, მერე ისევ გასწევდა წინა, ან გასწევდა რა სათქმელია, მიხტოდა ჯიხვივითა. ასე ეჩვენებოდათ, რაც უფრო იღლებოდნენ, დაუღალავი ეგონათ ფარნაოზი. — მთას სხვანაირი მუხლი უნდაო. „მაინც რანაირი?! ორბისში ხომ ვერაფერში მჯობნიდი, ჰა?! — განა ამბობდა, ფიქრობდა ლენტო, — თბილისში სულაც მოდუნებულიყო, კისერი წაკინწვოდა, ქუდი რომ დაეხურა, თავი ჩამოუვარდებოდა, აქ რაო, ღონიერია ხომ არ უმამია! — როგორ მიხტოდა, მართლაც ჯიხვივითა! უკვირდა ლენტოსა, უკვირდა და მისდევდა, მისდევდა და სწყენელდა ნისლებსა, ჯერ სწყენელდა, მერე აგინებდა ორბისულადა, გვიანღა მიხვდა, მზე რომ იყო საგინებელი, მაგრამ ვერა, ვერ შეჰბედა მზესა. მზემაც დაუფასა ეს მორიდება, გადმოჰხედა მწყალობელი თვალითა, ნისლები შორს, შორს გადაჰყარა, ღრუბლებიც მიხვეტა დასავლეთისკენა, მწვერვალები ააბრიალა. ოღონდ იმათი მწვერვალი როდი, — თუმცა ალბათ ისიც აბრიალა, მხოლოდ ისინი ვერა ჰხედავდნენ, მაღალ დერეფანს მისდგომოდნენ, ის უნდა გაეკლოთ, მერე ეგებ გაესწორებინათ თვალი მწვარვალისთვისა. თუმცა ვინ იცის... ისიც გალიეს და მაშინვე ცხვირწამოწვდილი პიტალო შეეფეთათ, ცხვირი უფსკრულამდის მიდიოდა, ფეხის მოსაკიდებელიღა რჩებოდა, თითქოს მისტყუებლადაო. იქ ბევრი აღარ უფიქრიათ, თოკი შემოირტყა ფარნაოზმა, ის იქით გაკურდა, აქეთ თოკს ყველამ ჩაჰკიდა ხელი... ფრთხილად, ფრთხილად მიცოცავდა ფეხი, ჯერ ერთი, მერე მეორე, შემდეგ ხელი გადაინაცვლებდა, თვითეული თითი ცალ-ცალკე ეძებდა მოსაკიდებელსა, ცალი რომ მკვიდრად ჩააჯდებოდა, მერეღა აცოცდებოდა მეორე ხელი, ნდაყვი, მუხლი, მუცელი, მკერდი, ყველაფერი ბრჯოლებიანი გამხდარიყო, სალს ჩაეკვრებოდა, როგორც კი გახოხდებოდა ფეხი. იხოხა, იცურა, ცხვრის შემოუარა, თოკი დაჰქნია, სამშვიდობოსა ვარო. უკვე მეტი იმედი გაჩნდა, თოკი გაჰკვროდა სახიფათო სავალსა, იმედი იყო, მხოლოდ იმედი, შემმატი გბედულებისა, ნურავინ დაეცემოდა, თორემ... საბედნიეროდ, არავის წაუფორხილია, სამშვიდობოს გავიდნენ, სწორე ზურგს დაადგნენ, იარეს წელში გაშლითა. წყაროსაც წაწყდნენ, შესვენება და წახემსება ალალი იყო, ერგებოდათ, შეერგებოდათ...

მზემაც იძალა.

მწვერვალიც გამოჩნდა.

მწვერვალმა გაახარა, მზისა აბა რა მოგახსენოთ, ასე ნასასოებმა, ასე ნანატრმა, ეგრე დაიცხუნა, ეგრე მოთენთა, წამოდგომა როდიღა უნდოდათ. მაინც აიშალნენ, მუხლი ეკვეთებოდათ, მაინც მიეძალნენ. დახანება რას ივარგებდა, მწვერვალი წინ იყო. არ იშლიდნენ, მზეც არ იშლიდა. ბარგი დამძიმდა, სამოსი დამძიმდა, გამხურვალდა, გაიოფლნენ, ხვითქი წვიდა ღვარადა. თუ ითქმოდა, მაშინ ითქმოდა გინება მზისა, მაგრამ მაინც ვერ შეჰბედა ლენტომა, ვერც სხვებმა შეჰბედეს, სხვებმა საყვედურიც ვერ მოახერხეს, ლენტომ უსაყვედურა: „ეჰეი, შე დალოცვილო, ზომა აღარ იცი?!“ არაო, თვალი ჩაუკრა, ჩაუცინა, შორს მირეკილ ღრუბლებს მოჰხვია მკლავი, შემოიყარა, შემოიკრიფა, ისევ მორეკა. იქ ცის საზღვრები ვრცელი არ იყო, ბევრი ღრუბელი არ დასჭირდებოდა, მალე ჩაიფლობოდა, ჩაიმალებოდა. ასეც უჯობდათ, თითქოს გაუგონა ლენტოსაო, თავს გამოჰყოფდა ღრუბლებიდანა, თვალს ჩაუკრავდა. ლენტოც უცინოდა, ეპირფერებოდა, ამიტომაც თუ ჩამორჩა. შოთამაც აღარ უგდო ყური, კარგა მანძილი უხიფათო იყო. რაღაც კიბის მაგვარი შეხვდათ, თითქოს მართლაც ვეება კიბე არისო, ხელით გამოთლილი, გამოკვეთილი, ოღონდ საფეხურები ისე მაღალი დაეტანებინათ, იმათი ლაჯი ვერა სწვდებოდა. ყველა თავის გასაჭირში იყო, რის ვაივაგლახით მიიფაფხებოდნენ. ათთავეს როგორც იყო, მერეღა გადმოჰხედეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენტოსა, პირველ საფეხურზევე რომ დასკუპებულიყო და მისჩერებოდა მზის სიცელქესა.

მანდა რჩები?! გადმოსძახა ფარნაოზმა.

წამოგეწევით!..

მაშ მალე, ცუდი ასავალი იწყება...

მართლაც ცუდი გამოდგა, თუმცა თავალდ ცუდს როდი ჰგავდა, არც უფსკრული იყო გადასასვლელი, არც ასაფოფური სალი კედელი, უცნაური ქვიანები იწყებოდა, აწოპილი, წაწვეტილი, სტალაგმიტებივით ასვეტილი; საკიხვე თუ იყო, იქ თუ დაფრინავდნენ ჯიხვები... რაც იყო, იყო, გადაიარეს გაჭირვებითა; იარეს, იფოფხეს, ჩაეშვნენ და აქანდნენ, ერთმანეთს მოეჭიდნენ, მნარიც შეუდგეს ერთიმეორესა, თავბედიც იწყევლეს, იცინეს უაზროდაც, წვიმაშიც მოხვდნენ, ისევ მზისგულზედაც. წამოწიათ ელექტიკა, იმედიც გადაუწყდათ, ქვეშო ბანაკში ყოფნაც ინატრეს, ბარი ინატრეს, ქალაქი ინატრეს; ვინ იცის, რამდენჯერა და მოულოდნელად, თითქოს უკვე მოულოდნელადო, იქვე, სულ ახლოს აღიმართა მწვერვალი... თითქოს მისდგომოდნენ, მისდგომოდნენ თუ ზედაც შემდგარიყვნენ, ლამის თავი შეელიათ ღრუბლებისთვისა... წვიმდა, ქუხდა, ელავდა... ელვა დაეხვია მწვერვალსა, გარს შემოერტყა, შემოეგრაგნა, ისევ დაისრდა, დაისრდა იმთკენა... იმთ საქიჩრეებზე აცეკვდა, თმებში ჩაიბა, ჩაიხლართა. „წერაყინები დაჰყარეთ!“ შოთამმა ბრძანა. განა აღარ დაგვჭირდებაო, ვიღამაც იკითხა. თუ დაგვჭირდება, აქვე იქნება. თუ არ დავყრით, აღარაფრად გამოგვადგებაო, თქვა ფარნაოზმა და ისროლა წერაყინი. სხვებმაც ისროლეს, ელვა გადაჰყვა წერაყინებსა, ისევ შემობრუნდა, ისევ აცეკვდა საქიჩრეზე, ისევ გავარდა, აბრიალდა მწვერვალზედა, აბრიალდა მაცდურადა, — აბა თუ დაახანებთ, აბა თუ არ გამოეშურებითო. რას არ გაეშურებოდნენ, რას არა, — რა ვუყოთ, თუ ძალა მიელოდათ, სურვილი ხომ უფრო მოძლიერებულიყო, ანთებულიყო, აბრიალებულიყო, როგორც მწვერვალი ელვაშია. სულმაც აიტანა, სულმა აზიდა მოწყვეტილნ წესელი და მოჭრილი მუხლი, აიყვანა, აზიდა, ოღონდ თვითონ მოწყდა, მოეშვა, ლამის დაეცა. ის კუდიანი ელვა გაჰქრა, წვიმაც მიილია, ღრუბელიც გაიპო, გადაიხლიჩა, — თურმე გუშაგზე ასულიყვნენ... განა არა, არ მეცნაურაო, — თქვა ფარნაოზმა. არც მეო, — დაატანა შოთამმა! არც მეო, მიადევნა ლენტომმა. შვიდივე ლენტოს მიაჩერდა, შვიდივემ გაიმეორა, — არც მეო, არც მეო... „ჰოდა ვიაროთ!“ — ბრძანა ფარნაოზმა. ეს უკვე ხუმრობა აღარ იყო, არც ბრძანება იყო ისეთი მკაცრი, ვისაც უნდოდა დარჩენილიყო, დაეცადა, მაგრამ დარჩენას ვიღა ინდომებდა, თუ დარჩენა იყო, იქვე დარჩებოდა, იქ, დაბლა, აქედან დაბლა, ქვევითა, იქ გოგონებიც იყვნენ, გულგასიებული უფროსებიცა, უხიფათობაც იქ გაჰლდათ... უთქმელადაც იგრძნობოდა და, აბა, ერთი კიდევ შევუტიოთო, ბრძანა შოთამმა...

აბა, ჰა, ერთი კიდევ შევუტიოთო, შესძახა შოთამმა.

შევუტიოთო და შეუტიეს, ერთი კი არა ბარე ორიც შეუტიეს, ბარე ორჯერაც წაიფორხილეს, ბარე ორჯერაც შეისვენეს, ბარე ორჯერაც დასსხა შხაპუნა წვიმამა, მხოლოდ ქუხილი მოეშვათ, ელვაც მოეშვათ, თუმცა ერჩივნათ, ზოგჯერ მაინც განათდებოდა მწვერვალი, ჯანღ-ღრუბლიანი მწვერვალი. ზედ რომ მოექცნენ, მაშინღა განათდა, მხოლოდ ის როდი, სხვა მწვერვალებმაც გამოანათეს. ხევებში ნისლებმა ითაფა, ითაფა უფსკრულებში, წავიდა, წავიდა, სადღაც ჩაიკარგა თვალმიუწვეველში. და მაშინღა მიხვდნენ, თუ რა ხიფათის გზაზე ევლოო, რა შიშსა სჭამდნენ ნისლებით რომ არა ყოფილიყო ამოვსებული ის უფსკრულები. ახლა რაღაო, როგორც უნდოდათ, ისე გამოჩენილიყვნენ, სადამდისაც უნდოდათ, გავარდნოდათ ძირი. რაც უფრო ჩაიცლებოდნენ, მით უფრო იგრძნობდნენ, რა სიმაღლეზედაც ასულიყვნენ. მით უფრო მეტ ხმას გამოსცემდნენ, უფრო შეეხმიანებოდნენ ლენტოსა, თავგანწირული რომ გაჰ-

კიოდა, „კო... ლე... გა... კო... ლე... გა...

შოთა და ფარნაოზს სხვა გაწამაწიაში იყვნენ, დაწერეს, ვინ ასულიყვნენ, როდის ასულიყვნენ, დაპქონდათ ის დანაწერი, დაეძებდნენ წინაასულთა ნაკვალევსა, თოვლსა ბერტყავდნენ ქვებიდანა, ქვებს აბრუნებდნენ, ჩაყინულ ქვებსა. ბოლოს იპოვნეს ახუხულავებულ ქვებში მოქცეული თუნუქის კოლოფი, იქიდან ქაღალი ამოაძვრინეს, უბეში შეინახეს, თავიანთ შიგ ჩასდეს და მერე კოლოფი ისევ ქვების ხუხულაში მოაქცეს.

ამასობაში საძახილო გამოიცვალა ლენტომა, „კოლეგას“ მაგივრად „ბულდოგი“ სტყორცნა მწვერვალებსა, მაგრამ არ მიიკარეს მწვერვალებმა „ბულდოგი“, მხოლოდ უფსკრულებმა ამოიბუყბუყეს, ისინიც მალევე მიჩუმდნენ, ჩაქვავდნენ. მერე იკვე „კოლეგა“ გასძახა, ისევ შეასკდა გამოძახილი მწვერვალიდან მწვერვალსა, ხევებმა ხომ დაიგუგუნეს და დაიგუგუნეს...

აქ არა ყოფილა ბულდოგის ადგილი, — თქვა ლენტომა.

ჯერ არა, მაგრამ მალე იქნება, იალბუზზე იქნება, საბაგირო გზას გასჭიმავენ, ყველა ავა, — თქვა ფარნაოზმა.

ნუ გაიყვანენ... — გაწყრა ლენტო.

გაიყვანენო, — მიუსამძიმრა შოთამა.

იალბუზს გაჰხედეს, — რა სპეტაკი იყო, რა დიდებული, რა ზვიადი!..

— მაშ ყველამ უნდა დაადგას ფეხი?

— ყველამა, ყველამა...

თითქოს იწყინანო, ღრუბელი მოიხვია იალბუზმა, თეთნულდმაცა, სხვა მწვერვალებიც ნელ-ნელა ჩაიბურა, იმათკენაც ფამოვიდა ღრუბლები. „ვიიჭაროთ!“—ბრძანა შოთამა. ვიჩქაროთო და იჩქაროდნენ, მწვერვალი თვითონვე ერეკებოდა, დაღმართი თვითონვე მიაქანებდა. ქარიც სცემდათ ხან ზურგიდანა, ხან წინიდანა, თითქოს უნდა შეაჩეროსო, მაგრამ იმათი შემჩერებელი აღარაფერი იყო, ჩამოდიოდნენ, ჩამოდიოდნენ.

XXI

და სულ ჩამოვიდნენ, — იქამდის ჩავიდნენ, სადაც ბულდოგს უკვე დიდი ხანია გაეცა საბაგირო გზები. იმ გზებითაც ვერ იარა ლენტომა, კისერი მოიტეხა. კალდებზე უფრო მარჯვედ იფოფხა, დაებადლა გამოცდილებსა, ფრთები გაშლოდა, მწვერვალებს შესძახოდა ომახიანადა; მაგრამ ჩამოვიდა, ფრთები დაეკეცა, ხმა წაუვიდა, გული დაუძმიდა, თბილისის სადგურშივე უაზროდ მიაჩერდა ფარნაოზსა. „ჩემთან წამოდი!..“ უთხრა ფარნაოზმა. აედევნა ისე, არც გაუგონია, ხელიც წაატანა სახელოზე, არ დავიკარგოო. ნაძალადევის მთას თვალუწვდენელა აჰყვა, მეგონოს, ვითომ ისევ მწვერვალზე ავდივარო. შინ რომ შევიდნენ, მაშინვე ტახტზე დაემხო და ფარნაოზს შეეევდრა, — ნურაფრისათვის შემეხმიანები, ერთი კარგი მკვდრული ძილი მინდა, თუ გამომაყენებს, ის გამომაყენებსო...

მეორე შუადღისას მოთავდა ის მკვდრული ძილი, მხარი არც შეუცვლია, როგორც დაემხო, ისევე წამოდგა, წამოდგა გაახნევებული. „შენნაირი ძილი რომ ვიცოდე, რაღა მომკლავს!..“ — დანატრა ფარნაოზმა. ლენტომ გაიცინა, კიდევ და კიდევ გაიცინა, გაახნევებულიყო, გახალისებულიყო, პირში ეღარ ეტეოდა კბილები, იცინა, იხვინა, მერე თავქვე დაეშვა, უკვე მზად იყო შეეხვედროდა ყველასა, კეთილსა და ბოროტსა, შმაგსა და დამცხრალსა, ალალსა და ცბიერსა, უსასოსა და ძალიერსა, ყველასა, ყველასა, ეს ყველაფერი, სიკეთესა და სიალალეს თუ გამოვტოვებთ, იმისი ყოფილი უფროსი იქნებოდა, სწორედ იქითაც მიექანებოდა.

კარი შეაგდო, შექანდა დარბაზში, მონატრულების გრძნობით შექანდა, მაშ რაო, შესჩეეოდა იქაობასა, ადამიანი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო, ნათქვამი არის, ის ხომ ჯოჯოხეთი მაინც არ იყო, ყოველშემთხვევაში ჯოჯოხეთზე მეტი არ იყო, ჰოდა შექანდა, გამარჯობათო, უნდა დაეძახა, მაგრამ კრინტიც ვერ დასძრა, პირს კატა ეცაო, ამაზე იტყვიან; ჰო, პირს კატა ეცა და კატის თვა-

ოთარ ჩხეიძე

ალმართ-დალმართი

ლებმაც შეანათა, თვალები კიდევ იმდენი არაფერი, ტუჩებიც ისე გადაიხსნა, გადაიჭიმა, ბრჭყალებმაც ისე წამოიწია, კატამ რომ იცის, როცა უნდა ისკუპოს, მსხვერპლს დაეცესო. მხოლოდ ეს არის, საკატე მსხვერპლი არ იყო ლენტო, ხოლო დამხვდური ვეფხვისოდენს ვერ გაიფხორებოდა, კატის რიხიც აღარ შერჩებოდა, ისე შეპბღვირა მოსაულმა; აღარც შერჩა, უჯრაში ჩარგო ცხვირპირი, სურათები წამოქექა, ოღონდ ეტყობოდა, კეფაზე გამოსხმოდა თვალები, ლენტოს თვალებიც იმ კეფასა ხვრეტდა. იცნეს ერთმანეთი, დიდი გამოცანა არც უნდოდა, მხოლოდ პირველი სიტყვის გატეხვა ჭირდა, ეს გასაჭირიც მალე ჩამოეხსნათ, — გადაიხსნა აღსავლის კარი, დიდი სახე გამოჩნდა, გაპრიალებული, თითქოს ქონწასმული, ბანჯგვლიანი ხელი წინ წამოვიდა, კონვერტი წამოიტანა, უჯრაში ჩაპირქვავებულ ბიჭს მხარზე დაუკაკუნა, — აჰა, წაიღეო, გადმოისროლა დიდმა ტუჩებმა. ბიჭი წამოვარდა, ჩაბღუჯა კონვერტი, ლენტოს ჩაუქროლა, გვერდი წაჰკრა, ვითომ კარებში რას გახიდულხარო; ვერ დასძრა, შეყოვნდა, თითქოს კიდევ უნდა წაეხალოსო. მაშინ შეანათეს თვალები ერთმანეთსა, ლენტო უკვე დამცინავად იცქირებოდა, ის მრისხანედა. დამცინავმა გასტეხა რისხვიანი, ბიჭი გაიძურწა... განმეორდა: მაშინ ასევე სხვა გახიდულიყო კარებში, ლენტომ იმ ბიჭივითვე ჩაუქროლა, შეპბღვირა, კბილები დაუკრაჭუნა, იმისგან დაცინვა და სიბრალული გადმოეღვარა, დაცინვა ისე როდი ემწვავა. სიბრალულმა დაუღარა გული, ფეხის გადადგმა აღარ უნდოდა, მაინც წავიდა, მიხვდა, თავიდან იშორებდნენ, უნდოდა სცოდნოდა, ო, როგორ უნდოდა, თუ რა ილაპარაკეს, რად მოიშორეს... აქამდის ვერ გაიგო, ახლა ისიც გამეორდებოდა:

— კიდევ იშოვნე ბრიყვი?! — ლენტომ დაიწყო.

— ბრიყვს რა დალევს?! — საქმიანად მიუგო, — დაბრძანდი! — ესეც საქმიანად დაატანა, კარი გადაკეტა, ხელი არავინ შეგვიშალოსო, იქვე ჩამოჯდა მომცდელების მაგიდასთანა. მაგიდაზე ბევრი, ყდებგადახეხილი ეურნალებიც იწყო. — დაბრძანდი-მეთქი!..

ჩამოჯდა ლენტოცა.

— მაშ არ დაილევა?!

— რაი... ვინა?!

— ბრიყვი...

— ისევ იქა ხარ?! ეგ ხომ ითქვა, მოვრჩით?! ახლა ეს მითხარი, შენი ვალი ხომ არა მაქვს რა?

— არაფერი...

— არც კაპიკი?

— არც კაპიკი...

— კეთილი და პატიოსანი... ჩემი აპარატები გაქვს...

— მაქვს... მოვიტან...

— მოიტან, წაიღე... — თავი გაიქნია პატარა ოთახისკენა, სადაც ლენტო იძინებდა, ლოგინსა და სამოსსა გულისხმობდა.

— ეგეც დაგრჩეს...

— რაში მჭირდება შენი შმოტკები?!

— სართად დაგრჩეს. ეგება გგონია მეტი რამ მიმდევს...

— არც არაფერი. არც არავისი მინდა, არც ჩემსას გავატან არავისა. ცხოვრება ანგარიშია და სადაც ანგარიში სწორია, თანხმობაც იქ არის. ჩვენი ანგარიში სწორია? სწორია! ძმები ვართ? ვართ! ძმამ ძმას ანგარიში უყო, მაინც ძმები იყვნენო, ასე არ არის? ასე არის!

— იყოს...

— იქნება. მე სანთელივით სუფთა ვარ შენთანა, შენ ცოტა ელამი თვალით მიყურებ, მაგრამ სანთელი რომ სანთელია, მეც ისა ვარ, არა, თუ?! მოყუჩება გელოდა, როგორც კაცი, დაწვა გელოდა, კიდევ გელის? არა! როგორც კაცი, არა და არა!.. ჩვენ ძმობა გვითქვამს ერთმანეთისთვისა, მამად გეკუთვნი და ძმობა გითხარი, გაგყიდიდი?! ვაჰ, მიწა გენახოს ჩემს გულზედა... გადაგარჩინე...

— შენი თავი გადაარჩინე...

— ვაჰ, შენ არ გამოგიხსენი?!

— შენი თავი გამოიხსენი...

— შენც ხომ გიხსენი?!

— სხვა რა გზა გქონდა?!

— შენც ხომ გიხსენი-მეთქი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ რას იზამდი?!

— ვაჰ, გიხსნიდი, კიდევაც გიხსნი!

— გეყოფა, მოკეტე! ჩემთან ეგეები რაღად გინდა, შეინახე, გამოგადგება, ბრიყვებე ჯერ ხომ არ გამოლეულან...

— ჰო, კარგი... რა გულზე დაგერჭო!.. არ გიხსენი და ნუ გიხსენი... ყველაფრისაგან თავისუფალი ხარ, მიხარებია, ამის მადლობა მაინც არ მეკუთვნის?!

— ვიცოდი...

— საიდანა?!

— თავიდანვე ვიცოდი...

— ასე ლაპარაკი არ გამოდის, — ალექსანდრე წამოდგა, — რამეს მოვიტან.

— არ მინდა... — დასწია ლენტომა.

— ისე რომ არ გამოდის?!

— როგორ არ გამოდის, ამბობ, ვამბობ...

— ეს რა თქმაა?! განა ასე უნდა დაევმშვიდობოთ ერთმანეთსა?! ჩემგან ნამდურავად არავინ წასულა. ქუჩაში კაცს შევხვდე და თეთრი კბილი არ ვუჩვენო, ჰმ, სად გაგონილა?!

— თეთრი კბილი და შავი გულიო...

— გული რა არის, სად ჩაფლულა, ვინ ჩასწვდება იქამდისა, მთავარი კბილია, კბილით გაუტანია, თუ ვინმეს რამე გაუტანია, — მაინც გაიწია, გავიდა, თითქოს მომზადებული ჰქონდაო, მალევე შემობრუნდა, ღვინო და შესატანებელი გამოიტანა, — ისე არ გვიხდება, უშნო რამ გამოდის... — ჭიქები აავსო, — ჩვენი განუყრელი ძმობისა დაგლიოთ! ერთად ვიქნებით თუ ცალ-ცალკე, სულერთია, ძმობა ძმობაა, უხილავი ძაფებით ვიქნებით გადაბმულნი. დალიე! ასწი, ჰა!..

— არ მინდა!

— ღვინო არ გინდა?!

— არა...

— კონიაკს მოვიტან.

— პატრონიც მოკვდომია. არ მინდა!

— შენგან მიკვირს... ნუ გინდა. — თავისთვის დაისხა, — ეს შენი სადღეგრძელო იყოს, შენი მომავლისა იყოს, სადაც მისულიყვე, უკეთესად გეხაროს, ვისთანაც მიხვალ, უკეთესი ძმობა გქონდეს, ვიდრე ჩემთანა! — დასცალა, — დალიე, შეაფერთხე შენს ეშმაკებსა!..

— სხვის ეშმაკები გავახარო?!

— ეეე... რანაირი პასუხება გისწავლია...

— წამწყმიდა წახედულობამაო.

— კარგი თქვი, კარგი გაიგონეო.

— ავს გადავეყარე...

— მთებში? მა რა იქნებოდა. — სიტყვა აღარ დააცადა, — აჰაა შენი ქსივები, — საბუთები გაუწოდა, — კარგიც ეს არის. გაწერილი იყავი თბილისში? არ იყავი. შრომის წიგნაკი გქონდა? არა გქონდა. ფული გქონდა?— კბილზე ცერის ფრჩხილი გამოიკრა, — არაფერი შენ არ გებადა, არაფერი იყავი და კაცად იქეცი, ვითომ რაო, კარგი რით არ არის?! და კარგი რომ არის, ვითომ მე არაფერ შუაში ვარ?!

— ჩემთვის ეცადე?!

— შენთვისაცა და ჩემთვისაცა, ცხოვრება ანგარიშია-მეთქი, არ გითხარი? გითხარი. სადაც ანგარიში სწორია, თანხმობაც იქ არის-მეთქი. არ გითხარი? გითხარი. ჰოდა, რახან გითხარი, ჩვენს შორის ხომ ყველაფერი გასწორებულია? გასწორებულია. მაშ აქ სიავე სადღა არის, უთანხმოებას რაღა უნდა ჩვენს შორისა, მითხარი რაღა?!

მიაჩერდა პირმართლადა, ჯიუტად მიაჩერდა, თითქოს დასჯაბნა, თითქმის დასძალა, მაშ რა ითქმის, აზრი რომ ვეღარ მოებრუნებინა, ენა ვეღარ მოეტრიალებინა, სიძულვილი თუ ზიზღი მოსწოლოდა გულზე, ზევით ვერ ამოეტანა, ლამის დამხრჩვალიყო, სახე მოჰქცეოდა ყელშიწაჭერილივითა, ტუჩები დაბრეცოდა როგორღაც უცნაურადა, თითქოს დუეი უნდა გადმოუვიდესო. თითქოს უნდა დაეცეს და აღმუვლდესო. თვალი მოარიდა ალექსანდრემა, თავისთვის დაისხა, იმასაც ჭიქა ახლოს მიუწია, ეგება დალიოს, გადაუვლისო.

— გეტყვი... — სული მოიბრუნა ლენტომა.

ოთარ ჩხეიძე

ალმართ-დალმართი

— რაც იყო, იყო...

— უნდა გითხრა!

— შენი ნებაა...

— მე რომ ყველა მიყვარდა, მთელი ქვეყანა მიყვარდა, ყველას ვენდობოდი, ყველასათვის სიკეთე მინდოდა, სიძულვილისა რომ არაფერი ვიცოდი, უნდობლობისა რომ არაფერი გამეგებოდა, სიბოროტე რომ აზრადაც არ მომსვლია და ახლა ყელამდის აღვსილვარ, ვის ვალად მოდის, ჰა?! ის გაბზარული სიყვარული, გატეხილი სიკეთე, დაკარგული ნდობა, ვის კისერზეა, ჰა?! ახლა შენ მითხარი, კიდევ მითხარი, როგორი უვალო გამოდიხარ, ჰა?!

— ჰა, ჰა, ჰა... ეგ ვითომ რა ვალია, ვითომ რა თანხა გამოდის?!

— როგორ თუ თანხა?

— ვაჰ, თუ ვალია, თანხა უნდა იყოს. სიყვარულიო რომ ამბობ, რა ღირს ეგ შენი სიყვარული?

— განუზომელია...

— მერე და განუზომელი ვითომ რა არის?! ერთი კარგად დააკვირდი, ვითომ რა არის-მეთქი?! განუზომელი არაფერია და თუ რამეა განუზომელი, დედამიწაზე არ არსებობს. ამ ქვეყნად ყველაფერს ფასი აქვვს, რიცხვი აწერია, რასაც ფასი არ აქვვს, რიცხვი არ აწერია, ის არც არის, არა-მეთქი, არა! კარგად დაისწავლე, ჩემო შვილო და ძმაო, ეგ ზღაპრები არაფერში გამოგადგება, ვინც მაგეებით თავს ირთობს, კუჭი უხმება შიმშილითა. დაიხსომე და მომიგონე, როცა კიდევ წაიტეხო კისერი. დალიე, ჰა, ნავსი გატეხე! დალიე-მეთქი, ეს ქვეყანა დუმაა, მოთალე, ჭამე, ფილოსოფია ეს არის და სხვა ყველაფერი მონაგონია. დალიე, ჰა!..

მაინც არ დალია, არც შეეპასუხა, აადგა, გამოეშვიდობა, კარი რომ გაიგდო, შემობრუნდა:

— შენი ქალიშვილი მაინც მიფრთხილდეს, იცოდე, ვეღარ გადამირჩება!..

— ჰა, ჰა, ჰა... მე აღარ მეკითხება, მოვრჩი ჩემს ვალსა, პატრონს ჩავაბარე, იმან იდარდოს...

— გითხოვდა?!

— გითხოვდა... ჰა, ჰა, ჰა...

ჩაიქირქილა პატივცემულმა ალექსანდრემა, გაისტუმრა ამ ქირქილითა, გაისტუმრა და თან გააყოლა, თითქოს ყველაფერი ქირქილებდა, ავტობუსებიცა, ტროლეიბუსებიცა, მსუბუქი ავტომობილი, სატვირთოებიცა, განა რახრახებდნენ, ქირქილებდნენ, ქირქილებდნენ, ხალხისას ხომ ნუღარ იკითხავთ, ქირქილებდნენ ყველანი, ამსვლელნიცა, ჩამსვლელნიცა, კაცნიცა, ქალნიცა, კიდევ კარგი, ბევრი ხალხი არ იცის ზაფუხლის თბილისმა, კიდევ კარგი, თორემ რა გაუძლებდა, ვინ იტანდა, — ამდენის ატანაც ძალიან გაუჭირდა, მერე თვითონვე დაიწყო სიცილი, ჯერ გულში, შემდეგ სახეზეც ამოეფინა, ასე უჯობდა, მხოლოდ ასე თუ შეებრძოლებოდა მოზღვავებულ დაცინვასა.

— რა გაცინებს?! — ვიღაცამ წაატანა ხელი, შეაჩერა.

აიხედა ლენტომა, ბადრიას გადაჰყროდა.

— არაფერი... არაფერი...

— ისეთი სახე გაქვს, თითქოს ქვეყანა შენიაო.

— მეგონოს, ვის რა დაუშავდება?!

— არც არავისა... გეგონოს, ოღონდ სულ მაინც ნუ დაისაკუთრებ, ვინმე სხვასაც ჩაუდე წილი.

— შენ ხომ არა? ინებე, ნახევარი ქვეყანა გეყოფა?

— მეყოფა.

— რა იოლად მოვრიგდით!

— ხარბი არა ვარ და ამიტომა...

— გეტყობა. ბულდოგი კი უცნაური კაცია, როდი სჯერა...

— რას დაიჯერებს!... დაუშოჭეს?!

— პატივცემულ ალექსანდრესა, ქალ, ნაცად მუშაკსა?! ჰმ!.. კარგად ვერ გიცვნიათ...

თვალები მომოატარა ბადრიამა, მოქანცული, ნაბახუსევი თვალები, პირის გამოსაკეთებელს დაეძებდა.

— შევიდეთ სადმე... — თქვა, როცა რამდენიმე ადგილი მონიშნა, მარჯვნივ რესტორანი, მარცხნივ სამწვადე, ცოტა ქვევით სასაუზმე, თუმცა იქამდის რაღა უნდოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უფრო შორს გასწია ლენტომა, რახან შესვლაა, შესვლა იყოს, ბარემ ხიმშიას ვეწვიოთო. ვეწვიოთ და ვეწვიოთო...

ეწვივნენ... აივანზე გავიდნენ, იქ შემოუსხდნენ მაგიდასა.

— აქა სჯობიან... — თქვა ლენტომა.

— სჯობიან. მაგრამ შენ რომ არაფერს იმჩნევ, მე მაინც ვერ მომითმენია, უნდა გითხრა, რომ ცუდად გამომივიდა, არ ვიცოდი, მე ის ალექსანდრე მეგონა ყველაფრის თავი და ბოლო, თურმე შენა ყოფილხარ, მეგონა იმაზე ვიძიე შური, თურმე შენთვის გამომიჭრია ყელი.

— რა კარგი ნიავი!

სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ.

— თავი დავანებოთ...

— დავანებოთ, ოღონდ იცოდე, მე შენთვის ცუდი არა მნდომია.

— ვიცი...

— ჩემს უნებურად გამოვიდა.

— არც თუ ცუდი რამ, ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა ამოვსულიყავი იმ ორმოდანა... შენგან დავალებულიცა ვარ. ხიმშია!..

— ჰაჯან!..

მყისვე მოისმა, მაგრამ ხიმშიას ხმა რიდი გახლდათ; ხმას ვიღაცა მოჰყვა, რა თქმა უნდა, ხიმშია არა, დახლშიც ხიმშია არ უნდა ყოფილიყო; თუმცა მთელი დახლი არ მოსჩანდა ვიწრო კარიდანა, მაგრამ რაც მოსჩანდა, იქაც უცხო, კოტიტა თითები დაფაცურობდა. შემოსელისას თითქოს ხიმშიას მოჭკრა თვალი, კიდევაც მიესალმა, მაგრამ მაინც რა მოხდა, — არც გაეპასუხა, თავიც არ დაუკრა, ისე გაუძვრა თვალსა და ხელს შუა. ეგება სხვა ვინმე იყო, ან ეგებ მოელანდა? საკვირველი არაფერიაო, ოღონდ ხიმშია მაინც სადმე აქვე იქნებაო, იხმო და სხვა ეახლა... კეთილი, ეგრე იყოსო, იმას შეუკვეთეს, ისიც გატრიალდა სწრაფადა, სხარტადა, ჩვენში რომ იციან ოფიციანტებმა, კიდევ იციან, თითქოს ცეცხლი სცვივათ ხელფეხიდანაო. ცეცხლოვანადვე მოარბენინა საუზმეული, ღვინისა და ბორჯომის ბოთლები, — მზარეულმაო, მინდა სამწკადე ხორცი ვაჩვენოო, — უთხრა ლენტომა. თვითონ უკეთ იცისო, შესცინა ბადრიამა. მაგრამ ლენტო მაინც გავიდა, ტანმა უგრძნო, მზარეული არაფერ შუაში იქნებოდა. ასეც გამოვიდა, სამზარეულოს პატარა კარიდან გამოიჭვრიტა ხიმშიამა, თითი დაუქნია, თავისთან იხმო:

— აქ სად მომაყენე ეგ ღვთისპირისაგან შეჩვენებული! — ბრაზით და შიშით უთხრა.

— თვითონ წამომიყვანა... — მიუგო ლენტომა, მიუგო და ენა მოიკვნიტა, ეიცრუეო, უნდოდა ეთქვა, ვერა თქვა, ძალა არ ეყო, — შეგარიგებთ! — შეჰყვირა, თითქოს ამითი მოერია უხერხულობასა, — შეგარიგებთ! არ გინდა თუ?!

— როგორ არ მინდა... ოღონდ ეგ დამეხსნას და თუნდაც ლომის ხახაში ჩავყოფ ხელსა.

და ხიმშია გამხნევდა, დახლიდან აიკრიფა ის კოტიტა თითები, აიკრიფა და გაჰქრა, აფაცურდა ნაცნობი თითები, სხარტი თითები ხიმშიასი. შუბლიც გამოჩნდებოდა ხოლმე, გახსნილი შუბლი. ხალხი მოდიოდა და მოდიოდა, ივსებოდა მაგიდები, შუბლსაც ნათელი ემატებოდა. ოფიციანტებმაც ჩააბეს დავლური. მზე დაეშვა, სიგრილემ იმატა; მზე დაეშვა, მედუდუკეებმაც მოსინჯეს ყამიშები; მზე დაეშვა და აენთო ხელები ხიმშიასი და ისე, ხელანთებული, ხელდამშვენებული მიბრიალდა იმათთანა.

— კამპანიას გაუმარჯოს!.. — შესძახა ეშხიანადა.

ოფიციანტმა ორი დიდი თეფში მოარბენინა, საწებელი და მრგვალდ დაჭრილი ხახვი მოაყოლა. საწებელი ზვიდნარი იყო, მეტიც იცოდა, აქ ხიმშიას ქება არ უნდოდა; მწვადისასაც ნუ ვიტყვით თუ როგორი იქნებოდა, — აქ ხიმშიას ქება არ უნდოდა; თეფშზე რომ დააწყო შამფურები, მეორე თეფში ზევიდან წაამხო და შამფურები ამოაძრო ნემსები-

---

ოთარ ჩხეიძე

ალგამარ-დალგამარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითა, — არც ამას უნდოდა ქებაი, საქ-ბურზე მეტი იყო, ან ვიღას ეცალა, ყნოსვა ბრუდებოდა, სული გუბდებოდა, თეფში რომ აპხადა, ისეთი ალმური ავარდა მწვადსა. ასე როგორ გამოჰყავდა მწვადი, — ეს ხიმშიას საიდუმლო იყო, თურმანიძის მალამოსავითა. თუმცა როგორც უნდოდა ისე გამოეყვანა, ბადრია ამდენს არ დაგიდეედათ, სალამიც ვეღარ გამოეთქვა მკაფიოდა, ნერწყვი მოსდენოდა, ხელი მიუბრიდა მწვადისკენა, ხელიცა და პირიცა; თანა სჭამდა, პირი ეწვოდა, თანაც ეპასუხებოდა გაცხელებული პირითა.

— გაგიმარჯოს და გაგიმარჯოს, სულ გაგიმარჯოს, შენც რომ არ იყვე, პირის გემო წაგეიხდებოდა. სადა ხარ, სად დაგვეკარგე, ასე უნდა?! მიგვატოვე, გამოგვექეცი, სად უნდა გდიოთ?!

— რად უნდა მდიოთ?!

ცოტახანს ჩვენთან დაბრძანდიო, ლენტომ ჩაუთრო.

— რომ გაგვირბიხარ?! სად იყავი, სადა ხარ?!

— სად ვიქნები... — აქ ოფიციანტს ხელით ანიშნა, — იქიდან ვკნავით, სად თქვენის მადლით დამარხულნი ვართო, ასე არის, არა? — მაგიდას მიუჯდა, ოფიციანტმა ჭიქა, დანა-ჩანგალი და თეფშები მიურბენინა, მეორემ სველი ხელადა გამოაცურა მაგიდებს შორისა, იმათ მაგიდაზე შემოდგა, მუხრანულიაო, თვალი ჩაუკრა ლენტოსა.— ჰა, თქვენის მადლითო, არა?!

— ჩვენის მადლითა, მე და ლენტოსი?!

— თქვენის მადლითა...

— საკუთრივ ჩემი?! ჰა, ჰა, ჰა... არ დაგავიწყდა?! შენისთანა პურად კაცს განა ეგეთი ჯავრჩაყოლილობა შეეფერება?! არა, არამც და არამც! — აქ პირი დაეწვა, — აუფფფ...ფფუფფ... ან საჯავრელი რა არის, მადლობელი უნდა იყვე... აუფფფ... იფაფიფუ... რა არის, ნაკვერჩხალი თან ხომ არ შეაყოლე, შე ოჯახაშენებულო! შარი ხეირად ექცაო, რომ იტყვიან, ამაზე იტყვიან, აი რა დიდებულად მოწყობილხარ!

— დიდუბეში ცუდად ვიყავი?!

— დიდებულადა...

— კრწანისში?

— დიდებულადა!

— შავსოფელში?

— დიდებულადა!.. დიდებულადა, ყველგან დიდებულად იყავი! აუფფუ... იფაფუ... ვაჰ, ჯავრი გინდა ამოიყაროო! — თან უფრო დიდ ლუკმას წაეტანა, — შენ ის კაცი ხარ, ქვას ააყვავებსო რომ იტყვიან...

— მეყოფა. დავიღალე, მდევარიც დაიღალოს, რა იქნება!

— ირემი ერთიაო, მდევარი ათასიო... აუფფფფ...ფფფ... აქ ლენტო ჩაერია:

— თქვენს შერიგებას გაუმარჯოს!

— ჩვენს შერიგებასა?! განა ვიჩხუბეთ? როდისაო, ვის დროშიო?!

— არც არასოდესა, ააარასოდესა! — ხელები გაატანანა ხიმშიამა.

— განა ძმები არა ვართ?! იფაფუფფფ... აუფფფფ...

— ძმებზე უკეთესი!.. — შესძახა ხიმშიამა.

— რაცა ხართ და როგორცა ხართ ეგრე გაგიმარჯოთ, ეგრე წყვილადა!..

— ეს კარგია! აუფფ... ვახ, ეს რა არის!.. აგაშენოს ღმერთმა, მწვადის გემო რახან გამახსენე!

— აქაც თუ აღარ დამაყენებთ...

— განა ძმები არა ხართ?!

— მდევარი ათასია-მეთქი...

— პოეტისაგან არაფერი უნდა გეწყინოს!

— სულერთია ყელს ვინ გამომჭრის, პოეტი იყოს, თუნდა ღმერთი...

— ღმერთი ღმერთია, პოეტი — პოეტი, ჩვენ გარემოების საყვირები ვართ, პოეტმა უნდა ცხოვრება ასახოს! აფუფფფააფფ...

— ცხოვრება მე ვარ?! რაღა მე მომდეგიხარ?!

— ძმობა არა თქვითა?!

— ვთქვითა...

— მე და ჩემმა უფროსმაცა ვთქვითა...

—აჰა, ჰა, ჰა... აუფფფ... ფფფიფფფ...

ხიმშია წავიდა, თქვენ დრო გაატარეთ, სხვა ჩემზე იყოსო; დრო გაატარეთო და იმთაც კარგა გვარიანი დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაატარეს, ძმობის სადღეგრძელომდის კიდევ მივიდა ლენტოი, ოღონდ ისე ალმაცერად როდიღა, არა, მთელის გრძნობითა, აღტაცებითა. ის აღტაცება ღვინის ბრალიც იყო და ერთი ვინმეს ბრალიცა... ის ვინმე მესამე მაგიდას უჯდა, იმათგან მესამესა, იქვე, აივანზე, რაღა თქმა უნდა. მეორე მაგიდა ამოვსებულიყო ანუ თითო თავსა და ბოლოს იჯდა, ორ-ორი — შუაში; იმ ორ-ორთა შუა მოსჩანდა საოცრად ნაცნობი, საოცრად მომხიბლავი მხრები, კისერი, თმა, — თუმცა ცოტა უფრო დამოკლებული, მერე რაო, მაინც ნაცნობი, კარგა ნაცნობი; კაბა ამოჭრილი ბეჭებზედა, ცოტა კი არა, კარგა ბლომად ამოჭრილი, თუმცა კაბა ნაცნობობაში არ შედიოდა... ხან ჩაიფლობოდა ის მხარ-კისერი, როცა ორ-ორნი ერთმანეთისაკენ იზნიქებოდნენ, ხან გამოჩნდებოდა და მერე იცით რანაირად გამოჩნდებოდა? — ჰო, თითქოს გულზე დაუბნევია ვიღაც ვეებერთელა მამაკაცსაო. ის წინ უჯდა, მხობეკნანიერი, სახებრტყელი, ენებისთვალიანი. ჰოდა, ზოგი რამ იმისი ბრალიც იყო-მეთქი, განა ამისი, — იმისი, გულზე ვარდივით რომ დაპბნეოდა. მაგრამ არა ჰკავდა ისეთ მამაკაცსა, ვარდს რომ მიპფერებოდა, ძირს თუ დაუვარდებოდა, ფეხსაც არ მოარიდებდა, შესდგებოდა მიმოსრესდა იმ დიდი, ტატეი ფეხითა. და როცა ორ-ორი ჰფარავდა ნაცნობ თავსა, ლენტო შიშობდა, ძირს ხომ არ დავარდნილო, უკვე ტატეი ფეხი ხომ არ შესდგომია ზედაო. ამ შიშით გაიხედა მაგიდის ქვეშა. შარვლის ტოტთა შორის თვალი მოჰკრა მშვენიერ ფეფთა. ვინ იცის, ისე თავჩაკიდული დარჩენილიყო, მაგრამ შეიბრალეს შარვლის ტოტებმა, აირივნენ, აფრიალდნენ, გადაიღობნენ, დაჰფარეს ფეფები... ჰოდა, ზოგი რამ იმისი ბრალიც იყოო, ხოლო ის ვერა ჰგრძნობდა ჩაცებულ თვალებსა, ხან გაიელვებდა, ხან იმალებოდა არეულ ღრუბლებში. ღრუბლებიც უფრო ირეოდნენ, რაც უფრო თვრებოდნენ.

ბოლოს წამოდგა, ასცილდა ღრუბლიონსა, ასცილდა და გამოსცილდა, კაცი გამოჰყვა, მხიარული, ბედნიერი, მეგობარ-ვალმეტყველი. გვერდით ჩაუარეს. ქალი შედრკა, შეკრთა, ფერფურმა გადაკრა, მერე თავი შეარხია, თითქოს უქმეურს იშორებსო, თითქოს მოიშორაო და წავდა მტკიცე ნაბიჯითა, ვითომც ეს შეჩერება უმიზეზო იყოო. კაცმა მაინც რაღაც ეიქვა, ბადრიას გადაუბრიალა თვალები და გაჰყვა ისევ მეტყველებითა მხიარულითა.

— ვინ იყო? — იკითხა ბადრიამა.

— არ ვიცი... მოუჭრა ლენტომა, მოუჭრა და ტუჩი ჩაიკვნიტა, „სიცრუეს ხომ არ ეჩვევი, ჩემო კეთილო? თუმცა რა სიცრუეა, კითხვას ვირიდებ, ყველას ყველაფერს ხომ არ მოვუყვები?! მაინც სიცრუეა! მორჩა, აღარ იქნება!“

— რა თქმა უნდა, ჯერ არც უნახიხარ, ერთი თვალი დაგკრა თუ არა, მოიხიბლა!..

— არ ვიცნობ!..

— კარგი ერთი და...

— არ ვიცნობ...

ისინი აივნის ბოლოს გავიდნენ.

— ვერ დამაჯერებ.

— არც ვეცდები...

დახლთან გაიელვა ნაცნობმა მხრებმა. სკამს ასცდა ლენტოი, ბადრიამ მიიბრუნა მსხვილი, მოკლე კისერი, რის ეაიეაგლახით მიიბრუნა, ჩაიქირქილა:

— არ იცნობს...

— არ ვიცნობ!

მხრები აღარსაით მოსჩანდა, ის მხრები, ნაცნობი და მომხიბლავი; მაინც კი ისვენებდა, მაინც თვალებს დააცეცებდა, უცებ საიდანმე შემოაშუქებსო. აივანსაც გადაეკიდა, მტკვარზე ხომ არ ჩავიდნენ, ტივებზე ხომ არ არიანო.

— გამაცანი! — ტუჩები ჩაიწუწნა ბადრიამა.

— არ ვიცნობ...

— არც მინდა. ხომ არა გგონია, ასი შუაკაცი მაინც მოუნდება მაგის გაცნობასა?

— არა მგონია... დავლიოთ.

დალიეს, ჩატკბნენ. კარგახანს იჭუკ-

ოთარ ჩხეიძე

ადგართ-დადგართი

ჭუკეს. ბადრიას მოუნდა რაიმე კარგი გაეკეთებინა ლენტოსთვისა, მითხარი, რა გინდა, რას ისურვებ ოღონდ მითხარი და თუნდაც ვარსკვლავებს ჩამოგიკრეფ ზეციდანაო. ვარსკვლავები პოუტეგისათვის დამილოცნია, ხოლო ჩემი სიკეთე თუ მართლა გინდა კინოსტუდიაში მიშუამდგომლე, მწვერვალზე ასვლა გადავიღე, ეგება მიიღონ, ეგება გამოადგეთო. ჩემი თავი შენ შემოგევლოს, ოღონდ ეგ შენი გადაღებული მაჩვენე, მე ტექსტს დავუწერ და ისეთი ნარკვევი გამოვა, გამოადგეთო, რა სათქმელია, ისეთი ნარკვევი გამოვა, საერთაშორისო კინოფესტივალზე გავაგზავნინებო. ლენტომ გაიხარა, დაიჯერა თუ არ დაიჯერა, ამისი რა გითხრათ, მთვრალი იყო და გაიხარა, ხელი ხელს შემოჰკრეს. მერე ისევ ძმობის სადღეგრძელო თქვეს. მერე გადაჰკოცნეს ერთმანეთი. არა, არა, ჯერ ვახტანგური დალიეს. მერე მოჯერდნენ... ადგნენ. გამოთხოვებისას ჯიბეში რაღაცა ჩაუცურა ხიმშიმა. ქაღალდის ხელსაწმენდი იყო. მაშინვე გაშალა, გამომშვიდობა თუ არა ბადრიასა, გაშალა ქუჩის ნათურის ქვეშა, — ხვალ საღამოს გელოდებიო, თან მისამართი მოსდევდა...

XXII

მისამართს გაჰყვა და ორსართულიან შენობას მიადგა, ბარნაველის ქუჩაზე. ალაყაფის კარი ღიად დაეგდოთ, ოდნავ, თითქოს, განგებ, უხმაუროდ შესასვლელად დაეგდოთ; ასე იფიქრა, ასეც მოიქცა, შევიდა, შეიპარა. მანამდის გულმოდგინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა სახლი, ქუჩა, სხვა სახლები, გამვლელებსაც გააყოლა თვალი, რაღაც ივარაუდა, ვერც ივარაუდა, წუხანდელ ბარათს დაჰხედა, „ოდილავაძის სახლი...“ ეწერა, სახლსაც ივიდე ეწერა, — ოდილავაძისაო, კვლავ რაღაცის მოგონება სცადა, ვერაფერი მოიგონა და მერე იყო, რომ შევიდა, შეიპარა ჯერ ეზოში, შემდეგ ქვის ოვალურ კიბეებზეც ფეხაკრეფით ავიდა, სადარბაზო კარიც ღია იყო, ისევე შევიდოდა, მაგრამ შეყოვნდა, ასეც არ ივარგებდა, თუმცა ვითომ რად არ ივარგებდა, ზღაპრებში ხომ ასევე იყო, — შეიარა ერთი კარი, მეორე კარი, ან უფრო სწორედ, — შეამტვრია ერთი, მეორე... შეამტვრია მეცხრე კარები და იქა ჰპოვა მზეთუნახვაო; ჰოდა, რატომ არ ივარგებდა, — მეცხრე კარს რომ შეაღებდა, ისიც იქ იქნებოდა. მაინც უჯობდა ჯერ აქ მოეთქვა სული, პირველი კარი ხომ აიღო, მეორე კარიც აღებულად ჩაითვლებოდა, ეგებ დაეკრიფა ყვავილები და შესულიყო ხელდამშვენებული... ლამაზი ყვავილნარი ეხვია კიბესა, აქეთ ალაყაფის კარამდის მიდიოდა, იქით კედლამდისა. მაგრამ ჩუ!.. კარის სქელ შუშებში ის გამოჩნდა, ისა, წუხანდელი მომხიბლაობა, წუხანდელიცა, აწინდელიცა, ისევ მომზიდველი, მსუბუქი, ჰაეროვანი, — ითქვას ისე, როგორც ამას ეჩვენებოდა...

— რატომ არ შემოხვალ?!

— ვათვალიერებ...

— ტურისტივითა?

— ტურისტივითა...

— მაშ სურათებსაც გადაიღებ...

— გადავიღებ.

— გადამიღე... — და ჩანიავდა ჯერ ყვავილნარში, ბოროწეულსაც შემოეხვია, ვარდის ბუჩქთანაც წაინაბა, ცერეგბზეც შედგა, თუ მიწას ასცდა, ზევით მიფრინავსო. ლენტოც მისდევდა ცალთვალმოუუტული, ცალი თვალით აპარატდან შეჰყურებდა, იჭერდა ყოველ რხევას ტანისა, ეშხიან რხევასა, თავისებურსა, ძალდაუტანებელსა, შემპყრობსა, შემბოჭველსა. დაე, ესრიალა, ერბინა, ენიავა, ლენტოს როდი მოსწყინდებოდა, არც თვითონა ფიქრობდა, მომწყინდებაო, მხოლოდ მასპინძლის მოვალეობამ გამოაფხიზლა; ხელი ჩაავლო ჭაბუკსა, შინ შეიტაცა, შეიტაცა და სასტუმრო დარბაზის კუთხეში ღრმა სავარძელში ჩასვა, დაბალი მაგიდა მიუცურა, განჯინა გადაახსნა, რომელს ინებებო...

— არცერთსა...

— არცერთსა?! ეს „ენისელია“... „ძალიან ძველი“, „თბილისი“, ჰა, რომელს აირჩევ?... — თითებს დააცურებდა ეტიკეტებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არცერთსა მეთქი!.. ერთსა!.. ჩვენი ხასიათისა არ არის, ღვინის პატრონი მაგეებს რად უნდა ეტანებოდეს?

— ღვინო იყოს... — მეორე განჯინა გამოაღო. იქ ხელადები ჩაწყეპილიყო. სხვადასხვა მოყვანილობისა, სხვადასხვა ფერისა, სხვადასხვაგვარვარაყიანი. ერთი გადმოიღო, თან ფიალები გადმოაყოლა, — არ აგიხირდები. ფიალებით უკეთესია, არა?

— ურარაოდ უკეთესი იქნება.

— ეგ როგორღაო?!

— ისე, რომ ღვინოც არ მინდა, სიფხიზლეღა მინდა, ეგება გავიგო წუთისოფელი.

— წუთისოფელს უშენოდაც გაიგებენ.

— ჩემწილად ვიღა გაიგებს?

— ვინც გაიგებს, გაგაგებინებს.

— ეგ როდისღა, ყველა რომ გამაცურებს?! მეყოფა!

— რა იმედი გადაგიწყვეტია!

— არა, მიპოვნია.

— ვეჭვობ. მაშინ მეტი ხალისი გეტყობოდა.

— მეტი ზერელობა... ეგება ასე უნდა გეთქვა?

— როგორც მინდოდა, ისე მოგახსენე. მაშინ მეტი ხალისი გქონდა. სად დაიკარგე? რა გადაგხდა?!

— ბევრი არაფერი... მთებში ვიყავი, მწვერვალზე ავედი.

— იქ ჩაფიქრდი და ჩაფილოსოფოსდი?!

— იქ გავხალისდი, იქ კარგი იყო...

— ნეტავი წაგეყვანე!..

— აქ რომ აღარ მეგონე, შვებულებითა ვარო, მალე გავბრუნდებიო, და...

— აქ გადმოვედი.

— აქა?!

— აქა... აქა ვმსახურობ...

უბრალოდ ითქვა, ძალიან უბრალოდ, ვითომდა რაო, თვალი დამიხამხამებიაო, გაკვირვება ვედარ მოუხერხდებოდა, მოულოდნელობა მაინც ვერ დაპფარა. მაშ ღუზა ჩაუშვია საგულდაგულოდ ან სამუდამოდ. გუშინ ეგონა, ალბათ გაუტკბა, ხელმეორედ ჩამოისეირნაო, ან გზად შეჩერდა, სადმე მიდისო. ძველ საქარავნო გზაზე შეხვედრ. ძველი ფუნდუკის ნაადგილარზე, აბა სხვანაირად როგორ ეფიქრა. ახლა რაღა ჰქონდა საფიქრალი თუ საკარაუდო, გადმოვედიო, აქა ვმსახურობო, ბინაც, ღვთის წყალობით, კარგი ჩაუდგია ხელში, ბინა კი არა, სასახლედ ითქმის, ზღაპრულ კოშკადა, ბროლის კოშკადა. თვითონ გრძნეული დედოფალია, მპყრობელი ყოველთა, ან უბრალოდ — მპყრობელი ნატვრის თვალისა. ის ნატვრის თვალი „ოდილავაძე“ იქნება, შემძლებელი, დაუზარელი. განაჯნე კარნი წალკოტისა! — ინებე, დედოფალო!.. გადასდე ხიდები ზღვაზე! — ინებე, დედოფალო!.. ალმიყვანე ზეცად!—ინებე, დედოფალო!... ხოლო გზად თუ გადაეყარა მოუწონარი, უგერგილო, პირღია, ბიჭი, ან თუნდაც შმაგი ვინმე იყოს, ერთი ხელის კვრით ჩამოიცლებს, მოხსნის, მოაძრობს... „ეროხსნას, ოდილავაძე“. რატომ შეჩქვიფდი?! რა მოგაგონდა?! იქ ეწერა, გარეთ ეწერა, ეს სახლი ოდილავაძისა არისო. სხვაგან სად შეგხვდა?! ჰმ, გულმავიწყი გამხდარხარ! არა?!.. თითქოს ისევ ხელთ უპყრია ის ბრძანებანი: „დაინიშნოს... „მოიხსნას...“ „მიეცეს პასუხისგებაში...“ „ოდილავაძე“. ჰო, ის არის, ის ფურცლებია, ის ბრძანებანი, ის ბეჭედი, ხომ გაგონდება, „... ბეჭედს მიასვამს და გასრესს კაცსა, როგორც ჭიასა...“ ჰედაკი გიწინასწარმეტყველებდა, გაფრთხილებდა, გაფრთხილებდა ეშმაკურად, გადაკრულადა, იაპონელი პოეტი წერსო, — ჰმ, ბეჭედს რომ ყველგან ძალა ჰქონია... ჰო, ეშმაკურადა, გადაკრულადაო, მაგრამ თუნდაც ბეჯითად ეთქვა, თუნდაც შენითვე მიმხვდარიყავი, მაინც ცოუნებას ვერ გადარჩებოდი, იმის ხელთ იყავი, მოხიბლული იყავი, ჯადოს შეეკარი, არა?! ჰა?!.. ისევ ჯადო თუ მორეოდა, გრძნეული კიდევა სთავაზობდა გრძნეულ სასმელსა.

— დალიე!..

— არა...

ოთარ ჩხეიძე
ალვართ-დალვართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წმინდა ღვინოა, ხალასი. ნიკალაი ვასილიჩმა თქვა...

— იმან მოგაწყო?

— იმან...

— ეს სახლი?

— იმისია.

— მერე?

— მერე და მერე... გამოსაძიებლად ხომ არ მოსულხარ?! დღეს მარტო ვარ, კვირაობით მარტო ვარ ხოლმე, ნიკალაი ვასილიჩი ცოლ-შვილის სანახავად მიდის ხოლმე აგარაკზე... მარტოობა არ შემიძლიან.

— აგარაკობა რომ მოთავდება?

— მაგის გულისთვის ნუ შეწუხდები.

— მაინც?

— ბინასა მპირდება, მოაცემინებს... ახლა?! დალიე!

— არა...

— წმინდა ღვინოა...

— ნიკალაი ვასილიჩმა თქვა...

— მეც ვატყობ.

— ეტყობა, ფერზეც ეტყობა.

— გემოცა ნახე. აი, მე ვსვამ, შენს დაბრუნებას გაუმარჯოს, შენს ჩამოსვლას მწვერვალებიდანა!..

— ჩამოსვლას რატომ?!

— მშვიდობით ჩამოსვლასა...

— ასვლის სადღეგრძელოსა სვამენ ხოლმე, მწვერვალებზე ასვლისა, ხოლო თვითონ როდი ეტანებიან იმ მწვერვალებსა, არც ეტანებიან და ალპინისტებსაც გიჟებს უწოდებენ. იმათი მწვერვალები აქ სადღაც არის, ვაკეზეა, უჩინარია, სხვა თვალი უნდა, სხვა უნარი უნდა, სხვა ხერხი უნდა, ალპინისტები იქ ვერ ივარგებენ, ბევრი სხვაც ვერ ივარგებს, ზოგნი ავლენ, რჩეულებს დაირქმევენ, ავლენ და დალევენ ასვლის სადღეგრძელოსა, მანამდისაც ბევრჯერ დალევენ მხოლოდ ასვლის სადღეგრძელოსა, ზევით და ზევით ასვლისა, ჩამოსვლისას აბა ვინ დალევს?!

— მაშ ასვლისა იყოს...

— ნამდვილ მწვერვალზე, საჩინო მწვერვალზე...

— ეგრე იყოს, დალიე!

— შენ დალიე!..

— აბა, — მოსვა, — ახლა...

— სხვა თქვი.

— არ დამლოცავ?!

— მეტი რაღა დალოცვა გინდა?!

განა უნდოდაღა?! თვით ღმერთს დაუდვია ხელი, მიუნიჭებია სანატრელი თუ სასურველი, კიდევაც მიანიჭებს, ოღონდა თქვას, ოღონდა ბრძანოს; ან რა თქმა უნდა, მიუხვდება; მაშ რის ღმერთია, ხოლო თუ ვინმე უნდა დაჩაგროს, რათა სიკეთე ამას მოუტანოს, რა ვუყოთ მერე, — ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო; თვით ღმერთმაო, მართლა ღმერთმაო, ღმერთუკეს რაღა გაემტყუნებათ, ბევრის წაწყმედაც მიეტევებათ, ოღონდ შეეწიონ ერთსა... „მსუბუქად, მჩატედ ბეჭედს მიასვამს და გასრესს კაცსა, როგორც ჭიასა...“ ჰმ!.. და შეიძლება ჭიამ თავი წამოჰყოს, თვალი ჩაუკრას და ააფაროს მუნჯის სურათი, — აი, შენი დეიდოფალიო! სახე წამოეგზნო და მაშინვე გადაენაცრა. რა ბალღობაა. მართლაც ბალღობაა, ისღა დარჩენია ენა გამოუყოს, განა დრო არ არის მოათოს ბავშვობის ასაკი?! განა კიდევ რამდენჯერ უნდა წაიტეხოს კისერი?! თუმცა ზოგი სიკვდიმდე კისრისტეხაში არისო, ისე, რომ ბავშვობაც არ უნახავს ბავშვურიო. ეგეთე ხომ არ დაჰბედებია?! რაც უნდა იყოს, შურისძიება თუ მონდომებია, სხვა რამე უნდა გამოიგონოს, ხოლო ამას რას ერჩის, — რა კარგია და რანაირად შეფიქრიანებული!.. და მაინც საოცარია, რამ მოაგდო ოდილავაძის კარზე?! განგებამ მოაგდო, განგებამ იცის... და მაინც ჯიბისაკენ მიურბის ხელი, აწუხებს, აწვალებს, არ უნდა გულში ხნჯი რამ ჰქონდეს.

— ხომ არ გეცნობა?! — სურათს გაუწვდის.

ქალი აილწება.

— საიდან?!

— ნეგატივი გადმომცა, ათასი ცალი დამიბეჭდეო, მხოლოდ ერთი გადავიღე და ნეგატივი დავხე... — „ისევ ტყუხარ! პირველი და უკანასკნელი იყოს. პირველი?! უკანასკნელი, უკანასკნელი იყოს!“

ქალი მშვიდდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ო, რა მადლობელი ვარ!..

— სამადლობოდ არა ღირს...

— ღირს თუ მართლა გამრავლება უნდოდა.

— უნდოდა... — „დამეხსენ, ეს სიცრუე არ არის; ვამშვიდებ, ხომ არ ვეტყვი, ქვეყანას მოსდო-მეთქი, ვუთხრა?! რადა სდუმხარ, ვუთხრა?!“ — უნდოდა, არ დავანებე, ჩხუბი მოგვივიდა, გავშორდით ერთმანეთსა.

— ამის გულისთვის?!

— ამის გულისთვის... — „ახლა, კიდევ ამშვიდებ?! კრინტი აღარ დასძრა!.. ნუ შეტოპავ, ნუ, თორემ გამოსვლა გაგიჭირდება!“ — ამის გულისთვის არა, ისე... საერთოდ... ერთი სიტყვით ამ სურათსა ვხვევ... — დახია, ნაკუწები დაჭყარა საფერფლეზე.

— რა კეთილი ხარ, ო, რა კეთილი!.. რა სიმძიმე ჩამომაშორე!.. — შვებით ამოისუნთქა ქალმა, — აქამდის ლოდივით მაწვა, მეშინოდა, სანაღვლებლად ახლაც მექნება, მაგრამ შიში გაიკლის, ალბათ გაიკლის, რახან კვალი აღარ დარჩენილა. მინდოდა მეთქვა, მაშინვე, გახსოვს, პირველად რომ შევხვდითო... იმ დილით მთაწმინდაზე ავედით, საღამოს უკან გაბრუნებას ვაპირებდით. ჯერ თბილისი კარგად არც გვენახა, უნდა გავბრუნებულიყავით, ფული არა გვყოფნიდა. და აი მოულოდნელად გამოჩნდა ფული, შენმა უფროსმა შემოგვთავაზა, სამხატვრო სასწავლებლის პროფესორად გაგვეცნო, ჩემი მოწაფეები გადაგხატავენ და გასამრჯელოს მიიღებთო.

რამდენჯერ მინდოდა მეთქვა... უკვე მორჩა — საფერფლე აიღო, სადღაც გადაჰყარა ნაკუწები, — მორჩა, — ღიმილით გაიმეორა, როცა მობრუნდა, — მადლობელი ვარ!.. — მართლაც მადლობელი იყო... მისწვდა რადიომიმღებსა, მცირეხანს აწვალა, მერე მემბრანა მოსინჯა, ფირფიტა დასდო. ლენტოს გაუელვა, ემანდ ჩემი დუდუკები არ იყოსო, არა, საცეკვაო მუსიკა იყო. ქალი ტოკავდა, იწვევდა, იწვევდა და გაჰყვა, გაჰყვა და დასრიალებდნენ საგანგებოდ გაპრიალებულ პარკეტზე. დასრიალებდნენ, დასრიალებდნენ; ჩინებულად ცეკვავდა ქალი, ლენტო ასდევდა, უფრო ასდევდა, აჰყვებოდა მაშ რაო, ვინ არ აჰყვებოდა იმ ლამაზ რხევასა, იმ მომხიბლავ ღიმილსა, ვინ არ აჰყვებოდა!.. სილამაზესთან უგუნებობას რა უნდოდა, სილამაზესთან მიზეზიანობას რა უნდოდა, ფიქრს რა უნდოდა, აზრს რა უნდოდა, — ან სად იყო აზრი, — სად სიამეა, აზრს ნეტავი იქ რა უნდოდა, აზრი ბულდოგთან გამოადგებოდა, ოდილავაძესთან გამოადგებოდა, სხვასთანაც ბევრთან გამოადგებოდა, თუ ექნებოდა, გამოადგებოდა, მოხერხებას თუ იშოვნდა, ისიც კარგად გამოადგებოდა, აქ ეშხი უნდოდა, მხოლოდღა ეშხი, სილამაზეს ვერ დაიურვებდა უეშხოდა, ხოლო არც რა ივარგებდა უსილამაზოდა, არც რა უნდოდა უსილამაზოდა, ან რაღა უნდოდა, — ოდილავაძის დარბაზში იყო, ოდილავაძის ღვინო ედგა, ოდილავაძის სატრფოს წელზე ეხვია ხელი, შურისძიებაც ეს იქნებოდა, სილამაზე ხომ იყო და იყო.

— ჰა, ჰა, ჰა...

— გამხიარულდი! — შესცინა ქალმა.

— გავმხიარულდი...

— ასე არა სჯობს?! რაღაც უჩინო მწვერვალებზე ლაპარაკობდი... ფირფიტა გათავდა.

— თუ არ ვიცეკვებთ, ისევ მწვერვალებს დავუბრუნდები...

— ვიცეკვოთ, ვიცეკვოთ... — რადიომიმღებთან მიფრთხიალდა ქალი, მემბრანა მიუმარჯვა, ისევ მისრიალდა ლენტოსთანა, — ვიცეკვოთ ასე დაუსრულებლადა.

— არ ივარგებს, დასასრული უნდა...

— მანამდის ვიცეკვოთ, ვიყვეთ... მომწონს; შენთან მომწონს... შენ იცი სიყვარული, ღრმა სიყვარული. თავიდანვე ამიტომ მეგჩქვიე, თავიდანვე მივხვდი, სხვისა იყო ეგ სიყვარული, მაგრამ მინდოდა თავი მომეტყუებინა, შენ კი ხელს როდი მიწყობდი. ალალი ხარ და სიყვარული იმიტომ იცი... ისევ

ოთარ ჩხეიძე
ალგართ-დალგართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიყვარს? — თვალებში ჰაჰხედა, — გიყვარს! ო, რა კარგია! გიყვარდეს... მხოლოდ იცოდე, თუ ბედმა გმტყუნოს, თუ გაგიცრუვდეს ეგ იმედები, გულს ნუ გაიტეხ, ნუ შეგაშინდება, თითქოს დარჩები უსიყვარულოდა. ნუ შეშინდები, ვჯერდეს, ქვეყნად არის კიდევ ისეთი ვინმე, რომელმაც იცის ღრმა სიყვარული. დაიჯერებ? მითხარი რამე, დამეთანხმე, თუნდაც მეუარე. უარი როდი გამიკვირდება, ო, აბა, რად გამიკვირდება, თუ ვერ წარმოგიდგენია, რომ შემიძლიან სიყვარულისათვის თავი მოვიკლა... ოღონდ მითხარი... მითხარი შენთვის უცხო არის-თქო რომანტიკული გატაცებანი, შენ მხოლოდ ცეკვისათვის გაჩენილხარ-თქო. მე ხომ ცეკვა მიყვარს, შემიძლიან ვიცეკვო დაუსრულებლივ და თავიც მოვიკლა სიყვარულისთვისა, შემიძლიან...

— ნეტარ არიან მორწმუნენიო...

— ნეტარ არიან...

და ცეკვავდნენ, დასრიალებდნენ, დარბაზში ბინდი იპარებოდა, ბინდი თანდათან ეუფლებოდა დარბაზსა, ისინი ბინდში მიმოსცურავდნენ, ვიდრე ფირფიტა მიილეოდა... და რომ მიილია, ვაკმა ხელში აიტაცა ქალი, მსუბუქად აიტაცა, მაგრამ მაშინვე დაუმძიმდა, დაუმძიმდა ერთი წუთითა; ფირფიტა როდი შეჩერებულა, ბრუნავდა, ტრიალებდა, ნემსი მისდევდა ცარიელ ზოლსა, შეშინებდა, ხიხინებდა და თითქოს მოთავეებული ფილტვების უკანასკნელი ხიხინი იყო: ჰო, წუთით დაუმძიმდა, მხოლოდ წუთითა...

ფირფიტა ისევა შეშინებდა, ხიხინებდა. და იყო ბინდი დარბაზზში ოდილავამისა, ჯერ იყო სიბინდე, მერე სიბნელე და თითქოს სიბნელე შეშინებდა.

XXIII

ჰო, წუთით დაუმძიმდა, მხოლოდ წუთითა, მხოლოდ და მხოლოდ... და მწარედ ინანა, ძალიან მწარედა, მწარედა-მეთქი, სხვანაირად არც გამოითქმის ის სინანული, ვერც დაიხატება, თუმცა ვითომ რატომ არაო? — ვნახოთ, გავყვეთ, გავწიოთ ისევ ჭაპანი ჩვენი, ჰო, გავწიოთ. ოღონდ თუ კიდევ მოვხვდეთ ალეკასა დრეს ატელიეში, ნუ გაიკვირვებთ, ერთხელ კიდევ ხომ უნდა მოსულიყო, აპარატები უნდა მიეტანა; ჰოდა, მივიდა, მიუტანა... აღმზრდელი იქ როდი დახვედრია, ან უფრო სწორედ, — არ გამოსჩენია. ტანმა უგრძნო, სადღაც იქვე იყო, ჭუჭრუტანიდან გაჰყურებდა. ის ბიჭი შეეგება, — იმ სიძულვილით როდი, არა, თანაგრძნობით შეეგება. სახე მოღუშოდა, მოუმუშნოდა, თითქოს აი თუ ვინმემ იტირა, ისიც ატირდებაო. ასე გაუწოდა დეპეშის ფურცელი, გაუწოდა და პირი მოარიდა. იმ მორიდებულ პირს გაადევნა თვალი ლენტომა, დეპეშას ვერა და ვერ დაჰხედა, ან საითაც უნდა მიქცეულიყო, სულერთია, ვეღარაფერს გაარკვევდა, ისე გაბრუებოდა თავი შიშინითა, ხიხინითა, უცნაურითა უამრთითა, შემაარქოლითა, თითქოს მთელი ქვეყნის მემბრანები ერთდროულად დაბრუნებულიყო ფირფიტების ნაღარზედა, ცარიელ ნაღარზედა. და დაუმძიმდა ის ერთი ფურცელი, მალავი ჩასწყვიტა, გულიც ჩასწყვიტა, განა წუთითა. წუთი რა იყო!..

იქ ვეღარ მოიცადა, ან რიღასთვის უნდა მოეცადა, — გავიდა, იარა, იარა კეცხოველის ქუჩითა. იქ სხვანიც ვიდოდნენ დამძიმებულნი, იქ იყო საჯარო ბიბლიოთეკა, მუზეუმიცა, შედიოდნენ, გამოდიოდნენ დაფიქრებულნი, დამძიმებულნი ზოგი ჭკუითა, ზოგი მიბაძვითა. და ქუჩაში ყველა ჭკვიანსა ჰგავდა. მხოლოდ ლენტო არ გარეულიყო მიმბაძველებში, არც მუზეუმისა გაეგებოდა ბევრი არაფერი, არც საჯარო ბიბლიოთეკისა. აქ ერთხელ ილიას ბანკი იყოო, ფარნაოზმა უთხრა, ილია და ვანო მაჩაბელი აქა დაიმბდნენ, თუ როგორ გადაერჩინათ ქართული მიწა-წყალო, — არც აიმისა გაეგებოდა, მიდიოდა გაბრუებული, გაყრუებული, ალოლოს მიჰყავდა, ალოლ მიათრევდა, ან ჩვეკას მისდევდა, ასე გადიოდა ხოლმე კომუნარების ბაღში. ჭადრის ქვეშ ჩამოჯდებოდა, ორბისს იგონებდა, იგონებდა და სულს ოქვამდა. მაშინაც ხომ

სულის მოთქმა მონდომებოდა, თუმცა ნდომა რა სათქმელია, ფეხები მიათრევდა სულითხორცგაყრილსა.

მაგრამ ბაღში როდი შევიდა, აღმა შებრუნდა, შედგა ქაშვეთის კარიბჭესთანა. იდგა, იდგა. გაბრუება და დამძიმება მეტიც აღარ შეიძლებოდა. ტაძრები იმიტომ აეგოთ, რომ სძულებოდათ, ასე გაეგო, ასე შთაგონებულიყო. სხვა რამ არცთუ ვინმეს უთქვამს, არცთუ თვითონ გამოუძიებია. მაშინ რა მოხდა, ძნელი სათქმელია, თუმცა ეგება საძნელოც არ იყოს, აკი ალღო მიათრევდა-მეთქი, ინსტინქტი მიათრევდა, თუმცა მაინც საძნელოდ ითქვას. ხოლო რომ იდგა და იდგა, ამის გამოსახვაც ხომ არ გაძნელდება? რომ შევიდა ეზოში, წელისორევით აიარა ტაძრის კიბეები, არც ამისი გამოთქმა უნდა გაჭირდეს, ოღონდ თვითონ რომ გაუჭირდა, არც ამისი გადმოცემა გაგვიხდება შეუძლებელი; ჰო, გაუჭირდა და ძალიანაც გაუჭირდა, მაშ რაო, ხომ არ იცოდა თუ სად მიდიოდა, რად მიდიოდა, რად იყო ასეთი საოცარი თაღები, საოცარი თამაში შუქჩრდილებისა და მდუმარება საოცარივე, მდუმარება დამამშვიდებელი, — ცხადია, არ გაეგებოდა. ვერც მიხვდა, თუ როგორ ნელ-ნელა გაეშალა მომუქული, გამხმარი გული, გაეშალა და მოიღბა, მოულბა და მოენამა, მოენამა და წამოუვიდა ცრემლი წვეთ-წვეთადა, მერე წკრიალითა, წამოუვიდა და მიეწყდა, როგორც კი ცრემლებში ამოცურდა სანდომიანი სახე მოხუცი ქალისა, სანდომიანი და თანამგრძნობელი. ის იქვე იყო, სასანთლეში იჯდა, სანთლებსა ჰყიდდა. ლენტმა ხომ არც იცოდა, ვერც გაარჩია მანამდისა; გაარჩია და ჩაუწყდა ცრემლი, შერცხვა და ჩაუწყდა... წინ წავიდა; შეუისკენ წავიდა, იქ მეტი სინათლე იდგა, თეთრი კედლები კიდევ უფრო აქათქათებდა; თუმცა თვით კედლებზე ჩრდილი დათამაშობდა, ჩრდილი და სინათლე, გუმბათქვეშ მაინც სინათლე სჭარბობდა; როცა კედლებზე ფრესკები იყო, სხვაგვარი იქნებოდა შუქი, უფრო ელვარი, უფრო ნაირგვარი და ნაირფერი, მაგრამ ფრესკები რომ ჩამოეფხიკათ, თეთრი წაესვათ. მერე ლადო გუდიაშვილმა მოეფიქრებინა, ალედგინა ქაშვეთის ფრესკები, ალედგინა თუ ხელახლა მოეხატნა, — უფრო მოეხატნა ხელახლადა, თავისებურადა, საკურთხეველიან წამოიწყო, საკურთხეველი მოათავა და...

საკურთხეველში სხვა ფერებია, შუქრდილიც არის, უიმისოდ როგორ იქნება... ქართული კამარა, მართლა ქართული, ლურჯი ცითა, თიბათვის ცითა; ოქროს აკვანი მტრედებითა, ფარშავანგითა: აკვანთან დედა, ღვთიშობელი, ღვთიშობელი, თუ დედა ქართვლისა? დედაი ქართვლისა, ძე ღვთისა როდია, ძეა ქართვლისა, ცოტა ფერმკრთალი.

ძე უკვე დიდია, მოძღვარია სახელქებული, აზიარებს მოწაფეებსა, ზოგს ჩრდილი დასცემს, ზოგს ნათელი, ციმციმებს შუქი, ტყდება ჩრდილი, დაბლა ჩამოდის, იმალება დაბლა თაღებში. გუმბათის ქვეშ კი შუქია დიდი, შუქში ამოდის შავი თავშალი, შავი გულისპირი, შავი კავები...

დგას. თვალი დაჰკიდვია საკურთხეველის კამარაზედა: აი ქალი, აი ნაყოფიერება, აი დედა!.. ეს დიდი ნაყოფიერების სიმბოლოა, დიდი ნდომაა ნაყოფიერებისა, როცა დალეულა ღაღადისი, ველარ აღწევს გუმბათამდისა.

დგას და ცრემლი სდის.

ვიღაც მიმდიოს, როდის აქეთია მიმდიოს შორიახლოსა, როდის აქეთია, — უნდა შეემჩნია; რა ვუყოთ მერე, როცა იყო ხომ შეამჩნია, ჯიბიდან ფულს იღებს დაუფიქრებლადა, უანგარიშოდა, უწვდის მოძღვარსა.

ესეც არ იცის, არც უნახავს, არც გაუგონია.

— სახელი?..

— სახელი?!

— სახელი...

— თი... თი... თინა...

შემობრუნდება, გადის, ნელ-ნელა გადის და ისევ ჩამოსდის ცრემლი, ღვარად ჩამოსდის...

ოთარ ჩხეიძე

ალგვართ-დალგვართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXIV

მთის კიბეებზე რომ აფარფატდა, სულმთლად ჩამშრალიყო, ცრემლად როდი დაცლილა, ერთბაშად გაშრა, გამოიფიტა. თვალები ძალიან ღრმად წაუვიდა, — ღრმად წაუვიდა თუ გადაეშალა, აღარ მოუჩანდა, თითქოს სახეც გადაეშალა, სახე მეტყველი, აღარ ეტყობოდა არცაღა გრძნობა, არცაღა განცდა, არცაღა ფიქრი, დაცლილიყო, გათავებულიყო. ღრმა მწუხარებამ იცის ხოლმე ასე, ელდამ იცის, თავზარმა იცის, უეცარია, მეხივით არის, ზოგს გადაუვლის, შეაზრიალებს და გადაუვლის, ზოგს დაიტანს, დახლეჩს, დატოვებს ეგრე დახლეჩილსა. ის ჯერ ისევ შემზარავ ქუხილში იყო, მეხთა ცვენაში მოხვედრილიყო. ასე ივარაუდა ფარნაოზმა, თვალი შეაღლო თუ არა, ივარაუდა და ცოტა არ იყოს გულს მოეშვა, მოეშვა, რადგან ეგონა, მე უნდა ვაუწყოო, ეგონა და უჭირდა, უმძიმდა.

— ვწუხვარ...

— ჰა?! — სადღაც შორიდან შეეპასუხა თუ უაზროდ შესძახა.

— ძალიან ვწუხვარ!..

— ჰო... — ისევ შორეული იყო, ისევ უაზრო, გაუგებარი.

— საწყალი ძია სოლო...

— ჰა?! — ეს უკვე მეხის დაცემისგან იყო, კენესაც ისეთი ამოვარდა სხეულიც ისე მიმოიელწა.

— რა გემართება?! გამაგრდი!.. ყველას თავს არის... უნდა გაუძლო, ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო.

— ჰა?!.

— ... ვით ქვითკირსაო.

— ჰა?!

— ... ვით ქვითკირსაო...

— უნდა გამაგრდე. დედას უნდა შეუმსუბუქო...

— ჰო...

და უცებ მოირღვა, ძლიან შეიმაგრა ფარნაოზმა, შეიმაგრა და ვერც შეიმაგრა, ძლიესძლიერობისას მიიყვანა საწოლამდისა, მაგრამ ვერც დასვა, ვერც დააწვინა, ტანი ეშლებოდა, სახე ეფშხვნებოდა, ვარვარებდა და ინგრეოდა. მერე უცებ გადინაცრა, წაეხხო და ყრუ ქვითინი აუვარდა... სხვასა გლოვობდა, თურმე სხვა ჰყავდა საგლოველი. მძიმე განცდა იყო, საშინელი, თავზარდამცემი. დეპეშის ფურცელს მაგრადა მუჭავდა, არც დაუხედნია, ან რაღა დახედავ-უნდოდა, მუჭავდა ისე, ლამის თითები ჩაემტვრია, რახან ფურცელი არ იმტვრეოდა, მუჭავდა და ქვითინებდა, სტიროდა მამის სიკვდილსა, თავდანვე სწორად რომ ვერ გაეგო, იმასაცა სტიროდა, სტიროდა თავის ცდუნებებსა, სტიროდა ნაწვნევ სიმწარესა... ყელს მოსწოლოდა და ამოდიოდა, ქვითინებდა, ეთხოვებოდა სიჭაბუკესა...

სოფელში რომ ჩავიდა, მამის ცხედართან ჩაიჩოქა და კიდევ ატირდა. ოღონდ ეს მხოლოდ მამის გლოვაღა როდი იყო, ფიციც იყო. ობლებს უმამობას არ ვაგრძნობინებო. ეს უკვე ვაჟაკის ფიცი იყო. ვაჟაკი წარუდგა დაბნეულსა თუ პირმორიდებულ ბიძაშვილებსა, წარუდგა და ფულები ამოალაგა, უკანასკნელ კაპიკამდის, რაც გაჰნდა, ამოალაგა და დააწყო, დააწყო და ბრძანა, მამაჩემი ისე უნდა გავაპატიოსნოთ, საარაკოდ დარჩეს ამ ჩვენს მხარესაო.

ბრძანა და აღსრულდა. კარგად დაკრძალეს, კარგად დაიტირეს. გულითა სთქვეს შესანდობარი...

ჰო, დაიტირეს და მერე ერთ დას, ორ ძმას ხელი ჩაჰკიდა, თბილისს გაიყოლა. შინ კიდევ სამნი რჩებოდნენ, სამნივე გოგოები... სოლო ალბათ უკანასკნელი ქართველიღა იყო, შვიდი შვილი რომ დაეტოვებინა. ოთხი უკვე ქალაქისაკენ მიექანებოდა. მიგუგუნებდა მატარებელი, ბევრი სხვა მიჰყავდა. მიჰყავდა ისინიცა. ბევრნაირი ლაპარაკი ისმოდა ვაგონში, ბევრი ენა ისმოდა, ხან რომელი აუწევდა, ხან რომელი, ხან რომელი წაეჭარბებდა, ხან რომელი. ისინი კი მიყუჟულიყვნენ, მიძუძგულიყვნენ, — პატარები მიძუძგულიყვნენ და ახამხამებდნენ ხშირ წამწამებსა. ლენტო სარკმელს გადაჰყურებდა, დაფიქრებული, დაძაბული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან «ჩრდილოეთის ციალი»

დათვები ღამით

სტეპებზე ბორიალობენ დათვები,
ციმბირის თეთრი დათვები.
ნამქერებს ეთამაშებიან ბელები
პატარა, თოთო თათებით.
სტეპებმა ცად გათოშილი ხელებით
აანთეს ღამის სანთლები.
მიდიან ღამის თენებით, სვენებით,
მიჰყვებათ შავი ლანდები.
მიდიან ჯერ უდარდელი ბელებით
მშიერი თეთრი დათვები.

ნ ა ფ ო ტ ი

შემომანათა
ნაფოტმა თვალი,
წამოსხლეტილმა
ნაჯახის ფხიდან:

— მე ამ ხისა ვარ სისხლი და ძვალი,
მე მიწა მზრდიდა, მე ქარი მხრიდა.
მე არ ვიყავი თოფის კონდახი,
ან სახრჩობელა და ეშაფოტი.
დიდი სახელი დღემდე მქონდა ხის,
ახლა უეცრად გავხდი ნაფოტი.
ჯერ არ ყოფილა ამ ტყეში კაცი,
შემომყმუოდნენ მშიერი მგლები.
რად დამაჯახე ფოლადი მკაცრი, —
ჩამომჩეხე და ფეხზე ვერ ვდგები.
მე ამ ხისა ვარ სისხლი და ძვალი,
თუ მხრიდა ქარი, ამ ხესთან მხრიდა.

შემომანათა
ნაფოტმა თვალი,
წამოსხლეტილმა
ნაჯახის ფხიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ჩემი მშობლის სხეულს დავაკლდი,
ხე შენ მაქციე მცირე ნაფოტად.
მე დავაკვდები, თუკი დავაკვდი,
მიწას, რომელმაც ბევრჯერ გამფოთლა.
მე ჩემი ხის მაქვს სისხლი და ჯიში,
მე პატარა ცეცხლს ავანთებ კიდევ.
ჩემს ნაცარს ქარი ხეების ძირში
მიიტანს, მე მათ მხარდამხარ ვიდექ.

მე ნაფოტი ვარ, მაინც ვარ რაღაც, —
სამშობლოში ვარ, მე მაინც შინ ვარ...

ტყე ყურს უგდებდა
ნაფოტის ღაღადს.
მე ყურს ვუგდებდი
ნაფოტის გმინვას.

ცეცხლი

ღამეში დიდ გზას ავცდი,
წინ აღარ მიშვებს ტრამალი.
და ამიფრინდა ცეცხლი,
როგორც წითელი მამალი.

ალს მიეფიცხა ცივი
ტაიგის მკრთალი ლანდები.
და ჩემი ცეცხლის სხივით
ღამემ აივსო კალთები.

ახლა დავხუჭავ თვალებს,
რომ ვნახო თეთრი სიზმარი.
ცეცხლი იყივლებს მალე
და გამოკრთება ცისკარი.

შორს ღმუის რაღაც მხეცი,
თუ მისწვდა ალი ფრთამალი.
თოვლზე ფართქალებს ცეცხლი,
როგორც წითელი მამალი.

რაც დამაკელი

დღეს ის მაკლია,
სწორედ იგი,
რაც დამაკელი.
ჩემი სურვილის
თასი შენით
არ არის სავსე.
შენი ფრესკებით
კვლავ ჩახჩახებს
ჩემი კანკელი
და სულ მიწვდიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ მიწვდიან
ცარიელ თასებს.
ვინღა დამისხამს,
ვინ დამისხამს
იმ ღვთიურ ღვინოს,
რომლითაც უნდა
შენ აგევსო
ჩემი სასმური?!
შენ, ჩემო ჭირო,
ბევრო ჭირო,
შენ ჩემო ჩრდილო,
ხარ ჩემი ლხინის
დასაწყისი
და დასასრული.
ჰო, რაღაც იყო...
რაღაც ვნახე...
რაღაც ვიპოვე...
ცელი პრიალებს,
ყანა კიდევ
დამრჩა სამკელი.
მაგრამ ჩემს სოფელს,
ჩემს ღიმილსა
და ჩემს სტრიქონებს
დღეს ის აკლია,
სწორედ იგი,
რაც დამაკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰულაჰუპი

(უძველესი სიმღერა ეტლი საქართველოს მუზეუმში)

რამზესის ეტლი — წყვილი ბორბალი;
მზისა, მთვარისა — წყვილი ბორბალი;
დღისა, ღამისა — წყვილი ბორბალი;
ეტლი ჟამისა — წყვილი ბორბალი;

ცა კი — ხეთური და ურარტული —
რა უცნაურად არის ქართული.
მთა კი — ქართული და მშვენიერი —
რა გასაოცრად არის ძლიერი;
როგორი დინჯი;
ელეგანტური;
ისე მაღალი... ისე ქართული...

დაშლილი ეტლი — წყვილი ბორბალი;
მზისა, მთვარისა — წყვილი ბორბალი;
დღისა, ღამისა — წყვილი ბორბალი;
ეტლი ჟამისა — წყვილი ბორბალი;

ლურჯი ოცნების მძლავრ კატაპულტით
ისევ წარსულის ჩრდილში დავბრუნდი...
დავბრუნდი დიდი წარსულის ჩრდილში
და ვისმენ ახლა — მკაცრი და დინჯი —
როგორ მიყვება არყოფნის ზღაპარს
დრო — ჩვენი ბრძენი პაპების პაპა.
ვისმენ ტაძრების სიჩუმეს ტაძრულს,
წარსულში ვარ და ვიხსენებ წარსულს,
როცა ვფერავდი სისხლით იარაღს
და ეტლმა გულზე გადამიარა —

ქართული ეტლის წყვილმა ბორბალმა,
მზისა და მთვარის წყვილმა ბორბალმა,
დღისა და ღამის წყვილმა ბორბალმა,
მუხთალი ჟამის წყვილმა ბორბალმა.

ბრუნავს და ბრუნავს
მზის ჰულაჰუპი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგმენტი

... და მოწყალების დასავით თეთრი —
მოვიდა თოვლი ტკივილების გადასარჩენად...
მომეცი ხელი...
აქ სადღაც კიბე ჩატეხილია...
მომეცი ხელი...
ახადეს ფარდა სიზმრის ქვეყანას
და მოწყალების თეთრ დასავით
მოვიდა თოვლი...

□

ივსება ეზო ნეშომპალათი.
წვიმს დილით, ჟინჟლავს საღამოსკენაც,
და მამაჩემის მყუდრო პალატში
დაისადგურებს ძველი მოწყენა.

მაგრამ ღამეში იმედად ბრწყინავს
ხმაგაბზარული ყივილი მამლის,
და ბუხრებიდან ათასი ჯინი —
მიიწევს ცისკენ ათასი კვამლი.

□

თერთმეტი წელი.
უკვე სინათლის
თერთმეტი წელით დამშორდი თითქოს...
მე ვწუხვარ შენზე...
მე შენგან ველი
არა სინათლეს, არამედ სითბოს.

მიწყნარდა ქარი,
და წვიმა იშვა
ცისარტყელების ფერად ნეკნიდან.
ნაწვიმარ ველზე
გარბოდა ბავშვი.
შევკრთი... საკუთარ საფლავს ბეკნიდა...

□

ცას მოწყვეტილი ერთი ვარსკვლავი
ქარს მიაქვს, როგორც ბაბუაწვერა.
სადღაც შორს ისევ ყივის მამალი
და იტყუება, თითქო გათენდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

□

დასასჯელივით კედელს მიკვროდი...
ან რა გტკიოდა, ან რას ფიქრობდი.
დრო თითქოს იყო ლურჯი მდინარე —
გონწყრომეული სადღაც მიჰქონდი,
და არ გესმოდა ჩემი ძახილი.
თრთოდნენ ლანდების თეთრი ცხენები,
და იდგა ღამე, ვით ბალდახინი
და გულზე ეწყო შენი ხელები
ცისფერ მდინარეს.

□

გადაფრენისას გაყინულ მავთულს
შეასკდა... დაბლა დაეცა მწყერი.
აგდია ახლა ბალახში მარტოდ
და ელანდება სამხრეთის ფერი.

სხვები გაფრინდნენ. ბოძებს და სახლებს
გადაუფრინეს ღამეულ გზებით,
და მიიწევენ მაღლა და მაღლა,
უფრო და უფრო
ზევით და ზევით...

□

როგორც ხიდიდან მდინარეში,
საოცრად ცისფერ მდინარეში,
ცისფერზე ცისფერ მდინარეში —
მე შენს თვალებში ვიმზირები.

როგორც ხიდიდან მდინარეში,
მღვრიე და ავგულ მდინარეში,
აბობოქრებულ მდინარეში —
ფიქრის მორევში ვიძირები.

როგორც ხიდია მდინარიდან,
ამ ნადვლიანი მდინარიდან,
ამ მოწყენილი მდინარიდან
შორს — შენც ისე შორს იმყოფები.

როგორც ხიდიდან მდინარეში,
საოცრად ცისფერ მდინარეში,
ცისფერზე ცისფერ მდინარეში —
მე შენს თვალებში ვიღუპები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

□

ისევ მოადგა ღრუბლების ჩარდახს
მზე.
ისევ ისე ლილისფრად ჩანდა
მდინარე.
ისევ რქით მიწას ჩხვერდა
ხარი.
მე ისევ ვიჯექი შენთან.
მდინარეც,
ხარიც,
საღამოც — ყველა
და ყველაფერი სუნთქავდა შენით.
და ჩვენ ვკვდებოდით საოცრად ნელა,
ლურჯი საღამოს მათრობელ დენით.

ბავშვობის მეგობრებს

მე განახავთ ისევ — ოდისევსივით
დათმობის მაღალ სვეტზე მიბმულებს.
რაც დამიკარგავს — ყველას, სესხივით —
თქვენი ბიჭური სევდა მიბრუნებს.

მომეტმასნება ტალღა ქალური
ვნებით — მე ხშირად ვფიქრობ ამაზე
გამეხარდება,
და სიხარულიც
იმ უმიზეზო დარდით ამავსებს...

ბავშვი: გასროლა: სინანული:

ერნესტ ჰემინგუეის და სხვებს

„ბავშვს თოფი რატომ არ დაუმალეს“...
რა იყო ნეტავ, რა მოხდა წუხელ...
„ბავშვს თოფი რატომ არ დაუმალეს“,
შეშფოთებული ფიქრობ და წუხარ.

რა იცი კაცმა, არაა სანდო,
„ბავშვს თოფი რატომ არ დაუმალეს“...
ხელისგულს უშვერ ჩადვენთილ სანთელს,
„ბავშვს თოფი როგორ არ დაუმალეს“.

და გებრალება შენს თავში ვიღაც —
მეორე, უცხო, კეთილი ბავშვი.
მან ჯერ არ იცის წერა და კითხვა,
ან ვეშაპს როგორ ესროლოს ბარჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გებრალება პატარა ბავშვი...
„ფუჭ, თოფი როგორ არ დაუმალეს“.
და უცებ თეთრი მატულობს თმაში
და ვეღარ უძლებ წუხილს უმაღლესს.

უნდა ყველაფრის გაიგო ფასი,
მარტო სიკვდილის შეცნობა რად ღირს.
მზად არის თოფი. შენ ახლა ესვრი
ყველაზე დიდ და გულბოროტ ნადირს.

ევალებოდა პოეტს და რაინდს,
დანაშაული ეგრძნო უმალვე...
და დამნაშავე სხვებია მაინც:
ბავშვს თოფი რატომ არ დაუმალეს.

ბ რ მ ა

მან ერთხელ ღამით თვალი დახუჭა
და... სამუდამოდ დაბრუნდა სახლში.
დაბრუნდა სახლში. დახვდა სიბნელე.
გადამწვარიყო ყველა ნათურა.
ჩადგენთილიყო ყველა სანთელი.
ჩანაცრულიყო ბუხარში ცეცხლი.
ხელის ცეცებით მივიდა ტახტთან,
ტანგაუხდელმა მიღუალა თვალი
და... სამუდამოდ დაბრუნდა სახლში...

□

... იზრდება შუბლზე პატარა ხალი
და იმალება თანდათან თმებში,
და ჩამავალ მზის მოტანილ სიზმრებს
უფრო და უფრო ერევა დარდი,
და როგორც ზვინში ჩასული წვიმა —
მის ცხოვრებაში შემოდის ცრემლი
(ნოემბრის წვიმას შეუდგეს ტამტი).
იზრდება შუბლზე პატარა ხალი
და იმალება თანდათან თმებში,
და მის ადგილას ჩნდება ნაოჭი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდო სამშობლოვ!

დიდო სამშობლოვ, იმედად ჩვენდა
გიკურთხებ ყველა ხელის გამმართავს,
შენა ხარ ჩვენთა დედათა დედა
და გამკითხველი ჩვენთა მამათა.

მინდოდა მცირე სიმღერა შენთვის
შემომეწირა ლოცვა — ვედრებით,
იგანთიადა...
მობრძანდა მზე და
ააფერადა მთათა ფერდები.

ჩემი ყრმობის ალაგო

ქუთაისო...
        გორაკებზე
გაფანტული ნისლები,
მზის სხივები მოღერილი,
როგორც ოქროს ისრები.
მზე ათასჯერ დაკოცნილი
მინდა ვკოცნო თავიდან,
გათენდება,
ავმღერდები,
დაღამება არ მინდა...
შენს სიყვარულს, ვარდქალაქო,
ალბათ ვერც გადვურჩები,
მინდა გულში ჩავიხვიო
შენი მწვანე ქუჩები.
შენს ბაღებს და კუთხე — ალაგს
როგორ დავთმობ ადვილად,
ასე ხშირად რომ დავდივარ,
როგორ ფიქრობ, დარდი მაქვს?!
არა...
        მხოლოდ იმიტომ რომ
მატკბობს შენი მიდამო,
მინდა მუდამ შენთან ვიყო
მუდამ შენთან ვიდავო,
ჩემი ყრმობის ალაგო და
ჩემო კოხტა მიდამოვ...
და ნატვრასაც არ ვფარავ:
სიყვარულის ამარა
მხოლოდ შენთან მაცოცხლა და
შენთან დამასამარა,
შენზე თქმული სიყვარულის
სიტყვა ვერვინ წამართვას,
ჩემი ლექსის ყველა სტრიქონს
ქუთაისი დავარქვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია რურუა

მოზაიკური ჩუქურთმები

ლ ე ლ ა

ტანი უგრძნობს.

იმ დღეს ჩაის საკრეფად არ წავა. კერიდან შორს საქმეს არ გაიჩენს.

მანქანიდან ფეხიც არა გაქვს გადმოდგმული და უკვე გულში გიკრავს. გახარებულია, რომ მოიგონე კერიასთან მარტოდ დარჩენილი.

ამას ფიქრობს და ტირის.

კიდევ იმიტომ ტირის, შვილს რომ ვეღარ გამოეგებება ოჯახის მამა, კეთილი და დამაშვრალი „თოლიგე“.

შენ რაღასა იქმ, დედი? გაგხუნებია შავი კაბა...

მანქანიდან უჩა ბიჭიც გადმოძვრა. ბებიამ მხოლოდ ახლა შენიშნა შვილიშვილი.

ცრემლს იწმენდს, აღარ ტირის. ადგილის დედას უტყუარი ალღო აქვს და მიხვედრილობა:

მხოლოდ ღიმილი, მხოლოდ ალერსი და სიხარული ბაბუას კერაზე მოსულ პატარას, ნორჩი და ფაქიზი სული რომ არ შეკრთეს...

უჩა პირველად შევიდა ჭიშკარში. მის წინ დიდი, მწვანე კორდი გადაიშალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრიალებენ ხეები

ხე ყველგან მწვანობს — სოფელშიც და ქალაქშიც. მაგრამ ხეს ქალაქში არა აქვს ისეთი თავგადასავალი, როგორც სოფელში.

ქალაქში ხეებს რგავს „ვიღაცა". ჩვენცა ვრგავთ კვირაობებზე, როცა ძნელია გაარჩიო, ვინ რას და სად რგავს.

სოფელში ყოველ ხეს ჰყავს საკუთარი ხელი — გამხარებელი, აქვს საგანგებო დანიშნულება.

არის უკვდავი ხე, ხე-ტაძარი, როგორც ჭყონდიდი.

არის სეფე ხე, რომლის ვალია საუკუნოდ იდგეს, როგორც ოჯახის მწვანე ბაირაღი, როგორც მისი სვეტიცხოველი.

არის ხე — სარჩდილობელი, რომ გვაგრძნობინოს სიამენი ქვეყნისა.

არის, უბრალოდ, შუშად გაჩენილი ხე. ათასნაირი არის ხე.

არის ბაბუას დარგული... მამაშენის დარგული... იმის დარგული... ამის დარგული...

არავინ იცის, ის ხე ვინ დარგო.

იციან მხოლოდ, ჯოღორიას რომელიღაც ნაშიერმა დარგო.

ჯოღორია წარმართული სახელია, როგორც ხევსურული ძაღლიკა.

ჯოღორია ყოფილა მართალი და ამაყი კაცი. სწამდა კერის სიწმინდე.

მის ნაშიერებს ამის გამო ბევრიც უბრძოლიათ.

ჯოღორიას შვილს, მათეს, თავი გამოუჩენია რუხის ციხესთან. მტერიც ბევრი გაუწყვეტია და მძიმედ დაჭრილი იოსელიანიც გადაურჩენია.

თავისუფალი გლეხი გამხდარა. ცოტა მიწაც უწყალობებიათ.

ეს საუყენად მიუღიათ ზოგიერთებს. გადაჰკიდებიან ცხოვრებაში ყოვლად უწყინარ კაცს...

ამოგდება რომ დაუპირეს, თავადაც ბაირაღი უშიშვლია.

მათეს შვილები მთელ მაზრას აზანზარებდნენ ცხრაას ხუთში.

წითელრაზმელი ძმები ღალატით მოჰკლა თვლის ასახვევად მათთან მიკედლებულმა გუდამშიერმა აზნაურმა. ვერცხლზე გაყიდა. ვითომ პურმარილი გაუშალა ღელის პირას და დაღლილ-გაწამებულ ვაჟკაცებს, როცა ჩასთვლიმათ, ტყვია დაუყარა.

შურისძიებამ უწია მკვლელს, მისი ოდა ცეცხლმა შთანთქა... აღარ დაუდგათ გული ჯოღორიას ნაშიერებს ძველ ბუდეში.

წამოვიდნენ და ახალ ადგილას დაემკვიდრნენ.

მეკვლედ პატარა ბიჭი წამოიყვანეს. ძალიან კეთილი სახე ჰქონდა და ბატკანივით უწყინარი იყო.

მოეწონა თურმე ბავშვს მეკვლეს რომელიღაც ხე და უფროსებმაც იმ ადგილას ბრძანეს კერის დადება.

ის ბავშვი შემდეგ, უკვე ღრმად მოხუცებული, დიდხანს დაეძებდა იმ ხეს ჭალაში. ხე აღარ ჩანდა, მაგრამ შშოლიური ჭალის ქარს მის სმენამდე მოჰქონდა იმ ხის შრიალი...

იმის შვილსაც, უჩას მამას, ეგულება ხე, რომელიც ავსებს მადლიერებითა და ტკივილით.

დგას ერთი ჭადარი სოფლის ბოლოს და შრიალებს, დაუსრულებლად შრიალებს...

ჭადარი განსაკუთრებულად მოშრიალე ხეა. ქათქათა ტანი აქვს და მოცახცახე ფოთოლი. შემოდგომით ამ ფოთოლმა იცის სხვანაირი გაყვითლება და თავისი გრძელი ყუნწითაც სხვანაირად წყდება ტოტს. ფეხქვეშაც სხვანაირად შარიშურობს...

მის შრიალს შეერთებია დედამისის კვნესა...

ომი იყო. ომი კი ოჯახებს ჰყოფს, აცალკევებს.

ეს ოჯახიც გაყოფილი იყო: ცალი ფეხი ქალაქში ედგა, ცალი — კიდევ სოფელში...

დედა მუშაობდა, როგორც ნამდვილი მიწის მაშვრალი, რათა შვილებისათვის ქალაქში მიეშველებინა ცოტა მჭადი.

ეზიდებოდა ტვირთს, რომელსაც მტვირთავიც კი ძლივს აწევდა.

ილია რურუა
მწვანე კორდი

ასეთი ტვირთით იმ დღეს უფროს ვაჟიშვილთან ერთად მიდიოდა სადგურისაკენ. მიდიოდნენ ფეხით, რადგან მეეტლემ ბევრი ფული მოითხოვა. მათ კი მხოლოდ მატარებლის ფული ჰქონდათ.

და აი აქ, ამ ჭადართან, ტვირთის სიმძიმით მოცელილმა დედამ ამოიკვნესა:

„ვაი, ნანა!..“

ის ჭადარი დღემდე დგას იქ, სოფლის ბოლოს.

დედასთან რომ მიდიოდა, ამ ჭადართან გაიჩერა მანქანა, გადმოიყვანა უჩა ბიჭი და მოასმენინა ჭადრის შრიალი...

ახლა ცოტა რამ ნორჩ ხეზე:

მშობლიურ ეზოში შრიალებს ბერავალი ხე. უკვე გაჭაღარავებული კაცი ყველაზე უფრო ყურს უგდებს ერთი ნორჩი ხის შრიალს. ეს მამის ხელით დარგული მსხალია. წელს გამოიღო ერთადერთი ნაყოფი და ადგილის დედამ—შაოსანმა—ჩიტებსაც კი არ დაანება, უჩას მოაწყვეტინა, რადგან უჩა არის უფროსი შვილიშვილი.

შრიალებს ქარის მარადიულ არსებაში გადასული ხე-სვეტიცხოველი.

შრიალებს ჭადარი...

შრიალებს ნორჩი ხე...

მწვანედ ბიბინებს კორდი...

ᲒᲖᲔᲑᲘ

ცუდი გაკვალულია ბილიკი, თუ იგი შემდეგ გზად არ იქცა.

კარგ ადგილს, კარგად დანთებული კერის გარშემო, სოფელი კარგად ბარყყობს. ბილიკებიც ერთდებიან გზად, როგორც ნაკადულები მდინარედ.

კარგად გაკვალული ბილიკი იქცა გზად. ჯერ სამეზობლო გზად, შემდეგ შარაგზად. გზატკეცილად.

ამ გზაზე დაიძრა მილეთის ხალხი. მოეფარუნობდა საკვირველად ლამაზი კიდობანი — ფილიჟანსი და ისმოდა ყაყანი მგზავრებისა, სოფელში მატარებლის სუნს რომ ტოვებდნენ.

მოჰქროდა ძია ალეს ეტლი.

ალე ურიდია იყო მეეტლე და ძალიან კარგი კაცი, რადგან ქვეყანაზე ყველაზე მეტად უყვარდა ბავშვები.

ბავშვებსაც უყვარდათ ძია ალე და მისი ეტლი. ეს ეტლი იყო მათი ციური ფაეტონი. მან გაიყვანა ისინი პირველად სივრცეთა სანახებში.

ქვეყანა რომ ვრცელი იყო, სხვა რამეებიდანაც ჩანდა.

გრილით მოდიოდნენ გადახურული ფურგონებით ბოშები. ფურგონში ება გაძალტყაევებული ცხენი. ბანაკის წინამძღოლს აღვირით მოჰყავდა უკეთესი ცხენი. მაგრამ ეს ცხენიც არ აგლეჯდა პატრონს ხელში აღვირს, მოდიოდა თავჩაქინდრული, რადგან სოფელში შემოსვლის წინ ფილტვებმაგარმა ბოშამ გაბერა თავისი მაცდური სულით. ბოშებისათვის რომ გეკითხათ, ეშმაკის ნამდვილი მოწაფეები სოფლის მამაკაცები იყვნენ, რომლებიც ღიმილით ათვალიერებდნენ ამ ცხენს და ცალი ყბით ვაჭრობას იმით ამთავრებდნენ, რომ ცხენს მუცელს ქვემოთ ატაკებდნენ თითს. თითი ღრმად ეფლობოდა. გაწბილებული ბოშები გზას განაგრძობდნენ ძველი, გახეხილი ქვაბების, ტაშტებისა და ჯაჭვების ყრრიალით.

სოფელს გულს უჩვილებდა ბოგანოს ნახვა. საკმარისი იყო, რომელიმე ეზოში შესულიყო, ჭადი და ყველი ეთხოვა, რომ მთელი სოფელი შეიყრებოდა, — ვის რა მოჰქონდა და ვის რა; ადგნენ თავზე კოინდარზე ფეხმორთხმულ ბოგანოს გულუბრყვილო დედაკაცები და ვიშვიშებდნენ:

— კუში, კუში!

სიკეთის ორმოში ჩავარდნილი ბოგანო ხარბად ჭამდა და როცა ლუკმა გულზე დაადგებოდა, ახსენდებოდა, რომ მადლობის თქმა ემართა. მაგრამ მან არ იცოდა ამ ხალხის ენა და მხოლოდ ერთ სიტყვას ლუღლუღებდა:

— მამალიგა... მამალიგა...

— ე, ქალო, მამალი მინდაო.

თავს გაგდებინებდნენ ყვინჩილას და ხონჩით მიართმევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც, ბოგანოც, ჭამდა ყველაფერს, რაც მოჰქონდათ.

რა კუჭი ჰქონდა მაინც იმ ოჯახაშენებულს!..

ამასობაში სოფელში ისწავლეს რამდენიმე ღერი რუსული და გაიგეს, რომ იქ, რუსეთში მოუსავლიანობაა და ხალხი შიმშილობს.

ისინი, რომლებიც შიმშილობდნენ, მალე გამოჩნდნენ ჩვენი სოფლის გზაზე. ფურგონები სავსე იყო დაოსებული გრძელწვერა მოხუცებითა და ფერმკრთალი ბავშვებით.

სოფელს ორივე ხელი გზისაკენ ჰქონდა გაწვდილი.

დედაკაცები იცრემლებოდნენ. მამაკაცები ცოტათი დაბნეულად შესცქეროდნენ ფურგონებიდან გადმოკიდებულ ლამაზ ფეხებს;

— დიდი ჭყონისაკენ მიდიან... იქ შენდება ჩაის მეურნეობა... ბინა და ჭამა-სმა რამდენიც გინდა.

მიდიოდნენ და მიდიოდნენ ოთხთვალები დიდი ჭყონისაკენ და ცხენების ჭიხვინს უკვე ერთვოდა დანჯრიული გადაძახება-გადმოძახება ქართულად და რუსულად.

შიგადაშიგ ისმოდა სიცილი-კისკისი და სიმღერა.

ერთ მშვენიერ დღეს კი შოფერმა ვარდენმა ოჯახს ცისფერთვალება რძალი მოჰგვარა.

სოფელმა პირველად ცხვირი აიბზუა. ვარდენი გაკიცხა — რაში გამოგადგება უცხო ქალი, მაგას ჩვენი არ ესმის და მაგისი ჩვენაო.

ნინა ჩინებული ქალი აღმოჩნდა, ისეთი მეოჯახე და მოსიყვარულე, ავ დედამთილებს სიზმარში რომ არ მოელანდებათ.

ქოხები და ოდები

მაშინ უჩას ტოლი თუ იქნებოდა.

კოინფრიან ეზოში შემოვიდა ორი ლაზი. მოსორმული ჩაქურები ეცვათ და ხურჯინებში ხელსაწყოები ელაგათ.

გავიგეთ, ოსტატები გჭირდებათო.

ლაზები ჩნდებიან იქ, სადაც დგამენ ოდებს.

ისინი გასაოცარი სიმარდითა და სიმსუბუქით ხმარობდნენ იარაღებს, ჭრიდნენ ლამაზ ჩუქურთმებს.

ბავშვებს აოცებდათ, რომ ლაზები არ ჭამდნენ ღორის ხორცს.

კიდევ უფრო აოცებდათ ის, რომ იმ სიშორიდან ჩამოსულნი, ყველაფერს თავისუფლად აგებინებდნენ უფროსებს და ბებიას რომ ასე ესიყვარულებოდნენ:

— ჩქიმი ნანა!

„ჩქიმმა ნანამ“ კი მათ ერთხელ აჭამა ღორის ხორცი და ისევ ქრისტიანებად მოაქცია. ოსტატებმა ძალიან იწყინეს. მაშინ მათ გადმოუღეს ძველი, გაყვითლებული წიგნი, წაუკითხეს ლაზთა მეფის სიტყვა და შორიდან უჩვენეს ნაჭალქევის ციხის ნანგრევები.

ლაზები პირდაღებულნი უსმენდნენ და როცა ოდას მორჩნენ, სხვებთან ერთად წავიდნენ ძველი ეას ნანგრევების სანახავად და ახლა უფრო ტკბილად ამბობდნენ:

— ჩქიმი ნანა.

გახარებული ჩანდა ანესტიც.

ანესტი ბერძენი ბიჭი იყო, შავგვრემანი, ზეთისხილისფერი თვალები ჰქონდა და ნაღვლიანი სახე.

იგი სამხრეთის ფორნტიდან ჩამოიყვანეს, სულ პატარა. იქ ეპოვათ, რომელიღაც სახლის ნანგრევებში, როცა ყველაგამოღადრული მშობლებს დაღნაოდა.

ანესტის უყვარდა ნასწავლ ხალხთან საუბარი, როცა ელაპარაკებოდნენ ელადასა და ბიზანტიაზე, არგონავტებსა და აია-სოფიას ტაძარზე. და კიდევ ამაზე, თუ საიდან შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი გვარი — ივერპული.

ანესტიმ დაამტკიცა, რომ ნამდვილად

ილია რურუა
მწვანე კორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ ელინთა ნაშიერი იყო. ათი ხელობა მაინც იცოდა. ბოლოს ყველაფერს ქვისმთლელობა ამჯობინა. ცხადია, ფიდიასობამდე ბევრი აკლდა, მაგრამ გაცვეთილი წისქვილის ქვასაც საკვირველ რამედ აქცევდა.

მადლიერმა სოფელს დაუტოვა კარგად, ჩკვიდრად ნაშენები წყარო. ფოთში დასახლდაო, ძველი ფაზისისა და პონტოს ზღვის პირას.

ამაშიც ჩანდა, რომ ელინთა ნაშიერი იყო.

ლაზებისა არავინ იცის რა. წავიდნენ და ეგ არი.

მაგრამ მათ ბევრს ასწავლეს ოდების სიყვარული. ოდებისა და ქოხებისა.

პირველ რიგში უნდა ვესარჩლებოდეთო ქოხებს, რადგან ისინი არიან უმრწემესი შვილნი ოდებისა. მათში ყოველთვის მეტია გაჭირვება, მაგრამ მეტია სწრაფვა და იმედიც.

სოფლის პატრიარქი — თეთრწვერა მაქსიმე ალბათ ამიტომ თუ ეჩხუბა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. იგი სევასტის უცროს ბიჭს არ აძლევდა სამოსახლო ადგილს და მისი ქოხის აღებას მოითხოვდა.

ხალხმა არ დაანება. ახლა იმ ქოხის ადგილას დიდი ოდა დგას...

მაქსიმეს თანამოსაგრეებიც ჰყავდა...

ანთიმოზი, ათანასე, თადეოზი, პართენი, ზენონი...

მათ სხვა სახელსაც ეძახდნენ, რომელიც უცხოდ და შთამბეჭდავად ჟღერდა:

მედიატორენი!

თუ სადმე ძმათა გაყოფა ან რაიმე სადაო, ძნელად მოსარიგებელი საქმე იქნებოდა, ყველგან ამ მოხუცებს იწვევდნენ.

ჩამოსხდებოდნენ დაბალ სკამებზე, გაიჩალებდნენ ყალიონსა და უსმენდნენ მხარეთა გაცხარებულ პაექრობას. შესაშური იყო მათი გონების სიღრმე, სიმშვიდე და მოთმინების უნარი.

ხშირად მომხდარა, საქმის მსვლელობითა და სიმართლის შეუვალობით უკმაყოფილო რომელიმე ძმას ნავთიანი კოჭობისთვის ან მუგუზლისათვის წამოუვლია ხელი, რათა ოდა, რომელზედაც უფლება ერთმეოდა, არც [illegible] რგებოდა...

ალესილ წალდსაც გაუელვებია მარჩენალი ძროხისა თუ ქედნაჯაფი ხარის თავზე...

იფხრიწებოდა ნიშნობისას მაზლის მიერ მირთმეული და შემდეგ დამადლებული კაბა...

მედიატორენი ვერაფერს ვერ გამოჰყავდა წონასწორობიდან. მათს გრძელ სახეებზე რომაელი სენატორების ღირსება და აუმღვრეველი სიდარბაისლე იკითხებოდა.

ასჯერ გაზომავდნენ, ერთხელ გაჭრიდნენ.

სიტყვაძუნწები იყვნენ. თუ იტყოდნენ, მიაჩნდათ, რომ მათი ბაგით სინდისი მეტყველებდა. ამიტომაც მათი ნათქვამ-ნათათბირევი იქცეოდა კანონად.

სანამ ცოცხლები იყვნენ, სოფელი სხვა მსაჯულს არ სცნობდა.

ოდებიც მადლიერი ჰყავდათ და ქოხებიც, რადგან კარგად იცოდნენ ყოველი ქოხისა და ოდის ცხოვრება და სიხარული, ფიქრი და დარდი.

... ახლადშეუღლებული წყვილი სოფელ-სოფელ დადიოდა ოდის საყიდლად. თან ბიჭი დაიმგზავრეს.

კიდევ ერთგან, მივარდნილ სოფელში მიასწავლეს გასაყიდი ოდა.

არც ეს ოდა იყო ისეთი, როგორსაც ეძებდნენ.

ისე, მოგეცათ ლხენა, კოხტა კი იყო! ტაბაკის ფიცრებივით სუფთად და გულდაგულ გარანდული, თელის ფიცრებისაგან შეკრული, მაგრამ ძალიან პატარა, ერთთვალიანი.

მყუდრო, ხეხილით დაბურულ ეზოში, სათნო, თმაგათეთრებული დედაკაცი გამოვიდა.

ზრდილობისათვის მაინც აუხსნეს, თუ რისთვის იყვნენ მოსული.

— აღარ ვყიდით, შვილებო! — დაადასტურა სხვა ხმამაც.

ახლა შეამჩნიეს მაღალი, გამხდარი მოხუცი, მკერდზე დაფენილი ქათქათა წვერით, მზის ყურეში რომ იჯდა.

ორივე ღობეს მოადგა.

გასაოცარი იყო სარებზე შემოჭდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი მათი ხელების სითეთრე, თითების ნატიფი ჩამოქნილობა.

„ნუთუ ამ მოხუცებს არასოდეს უმუშავნიათ?!“

სულ სხვას ამბობდა მათი ეზო-კარი, ღარიბული, მაგრამ ფაქიზი ჩაცმულობა.

ისიც საოცარი იყო, გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგავდნენ ერთმანეთს.

მათს მოგრძო, სწორნაკვთებიან ფერმკრთალ სახეებს რაღაც სხვა, არაამქვეყნიურ შუქს ჰფენდა გულუბრყვილობით აღსავსე თაფლისფერი თვალები; სუჯუნის ტაძრის წმინდანებს ჰგავდნენ!

— გადავიფიქრეთ, შვილებო! — კვლავ გაიმეორა თეთრწვერა მოხუცმა. — გაჭირვებამ გვაფიქრებინა... მაგრამ ღმერთმა ხელი მოუმართოს კეთილ ხალხს.

— სხვა რა უნდა დავახვედროთ ჩვენს ბარდღას, — დასძინა ქალმა, — ამბობენ, ომი უკვე გთავდაო.

პატარა ბიჭს ომისა მაშინ არაფერი გაეგებოდა. მისმა თანამგზავრებმა ერთმანეთს გოცებით გადახედეს.

მაშინდელი, პირველი ომი, თურმე კარგა ათი-თორმეტი წლის დამთავრებული ყოფილა.

ისინი კი ელოდნენ თავიანთ ბარდღას...

მას შემდეგ კიდევ ოცდაათი წლით წავიცვალეთ წინ. ყველას კარგად მოეხსენება, კიდევ რა ხოცვა-ყლეტა გადაგვხდა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა...

ის მოხუცები ალბათ ცოცხლებში აღარ სწერიან.

მაინც დღემდე ვერ ივიწყებს მათი ბიჭი, დღეს უკვე ბაღარა კაცი.

ახლაც, თავისი ბავშვობის წიაღში მისულს, სურვილი ებადება — მოინახულოს მათი ეზო-კარი. მაგრამ ვინ მიასწავლოს ის სოფელი, სერი, რომელზედაც იდგა ბარღდას დაღონებული ოდა.

იქნებ სხვაც გაჩნდა ისეთი!

ამბავი ჩვენს გარშემო

ჩვენს გარშემო ყოველთვის ხდება რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი, სულ ერთია, ვიცით თუ არა მათზე რაიმე, ვწვდებით თუ არა მათს არსს.

ადრე თუ გვიან ეს მოვლენები აიყოლიებენ, ჩაითრევენ ყველაფერს, შეეხებიან ჩვენს სულს.

ამას გრძნობენ, თქვენ წარმოიდგინეთ, სათამაშოებიც.

... არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ბიჭისათვის ყველაზე უკეთესი სათამაშო გახლდათ ნაგულის ბორბლებზე შემდგარი ყავრის ურემი, რომელშიც ამოდ ცდილობდნენ კატების შებმას.

დედოფალა ხომ მთელი ამბავი იყო...

ახლა... თოჯინებს ენის ამოდგმაღა აკლიათ, თორემ სხვაგვარად თვალებს ცოცხლებივით აღებენ და ხუჭავენ, იცინიან და ტირიან.

ახლა პატარებს ხელთ უპყრიათ მსოფლიო ტექნიკის მიღწევათა მინიატურული მოდელები...

რაკეტა გნებავთ თუ მანქანა, მატარებელი თუ ტრამვაი, ტელევიზორი თუ ჩიტი მგალობელი... ყველაფერი ნამდვილს მიმსგავსებული, მოძრავი და მოქმედი, თვითმავალი და ავტომატური... გონების გასაღვიძებელი და საკირკიტო...

იმდენია ეს ყველაფერი, აღარც იცი-ან, ხელი რომელს მოჰკიდონ.

ახალ ბინაში რომ გადადიხართ, ბიჭს ჯერ მარტო ავტომანქანა აღმოაჩნდება ათას ერთი ცალი, სულ გაფუჭებული, ქანჩებდამძვრალი და დაშყლეტილი. მაგრამ ვერც ერთს ვერ შეელევით, რადგან პირმშოს ხელის შენახებია და ნაალერსები...

ასეა დღეს.

მაშინ კი — მამაპაპური ურემი და მისი ჯანი!

მაინც ქედაღლურად ნუ გადმოხედავენ დღეს უკვე გაჭაღარავებულ მამებს

ილია რეურეა
მწვანე კორდი

შვილები. ვინაიდან ნახტომი ინდუსტრიისა და ტექნიკის სამყაროში პირველებმა მათ გააკეთეს.

ეს პროცესი დაიწყო ამ კოინდრიან ეზოში.

მოაყარა და მოაყარა სოციალისტურმა ქალაქმა საკოლმეურნეო სოფელს მანქანა-ტრაქტორები, გუთნები და მისაბმელები.

გლეხები ცოტა ახირებული ხალხია. უცბად მადლობის თქმით მაინცადამაინც თავს არ იწუხებდნენ. ცალი თვალით ისევ თავიანთ ხარებს შეჰყურებდნენ, ძველებურ კავს ხელს არ უშვებდნენ.

ხარი რომ ტრაქტორმა დასჯაბნა და კავი — გუთანმა, გატყდნენ. ბოძებული უცვლელად მაინც არ მიიღეს. საკუთარი ტექნიკური გაუმჯობესებანი შეიტანეს. ეზო აივსო რკინისბორბლიანი მისაბმელებითა და ზედმეტად მიჩნეული ნაწილებით.

ემტეესის წარმომადგენელმა სულ ხეს ურტყა თავი, მაგრამ რაღას გააწყობდა. ხალხის ქონებას გაფრთხილება უნდაო, დაიბარა ბოლოს. ხალხს ქონებას ბრიგადირზე უკეთ ვინ გაუფრთხილდებოდა.

იმ დღიდან ეზოში ბავშვები ბეღურებივით ყივყივებდნენ. დააჭენებდნენ და დააქროლებდნენ ერთმანეთზე გადაბმულ მისაბმელთა ბორბლებს. თითები და საჯდომები სულ დალურჯებული ჰქონდათ, მაგრამ რკინის მერნები სხვაგვარად არ გაიხედნებოდა.

სოფელში გახშირდა გაზეთები.

ერთ გაზეთში ვრცელი მოხსენება იყო დაბეჭდილი.

კლუმენტო ბრიგადირის ალაგეს იმ გაზეთის ქნევით მოადგა მიხა-„კერენცკი“ და ნიშნის მოგებით იძახოდა:

— ესეც თქვენ!.. ესეც თქვენ!

ბრიგადირმა არაფრად ჩაუგდო მიხას სიტყვები, თავის ტვინი კიდევ ერთხელ გადაუტრიალა — ასე კი არა, ასე და ასე უნდა გავიგოთო გაზეთში დაბეჭდილი. მიხა-„კერენცკი“ მაინც არ ცხრებოდა. თავისას გაიძახოდა.

მეორე დღეს კვიტატიანის ქალმა თავისი თავშალი სარზე ააფრიალა და ასე მიუძღვა ქალებს სასოფლო საბჭომდე: ამდენი ხალხი ერთ საბანქვეშ არ დავწვებითო... ცოცხალ თავს შეგაკლავთ და არ ვიზამთ ამ საქმესო...

აბრამაც ურევდა ჩუმ-ჩუმად:

— რამდენი ხართ, ვადა, ბრიგადაში, რამდენი?!

— ათი კაცი.

— ძუკუიანად?

— რას ამბობ, კაცო. ძუკუა რაცაა. ჩვენი ბრიგადირია.

— ცხრა ყოფილხართ, რჯულის მადლმა! — ქირქილებდა აბრამა და ტარანით სავსე კალათას ტალახიან გზაზე ხტუნვა-ხტუნვით სხვა ეზოსაკენ მიაქანებდა.

კულაკები უღარიბესი გლეხის ხულაში გათოკეს, როცა იქ კოლექტივის დაქცევაზე ბჭობდნენ.

ხალხი თანდათან დაშოშმინდა. მოვიდა სხვა გაზეთი, რომელშიც ლაპარაკი იყო თავბრუდახვევებსა და გადახრაზე...

საქმე მიდგა კოლმეურნეობისათვის სახელის გამონახვაზე.

ამის სახელი დავარქვათ, იმის სახელიო...

ქვიაო...

ქვიაო...

მერე და რა მოხდა, კიდევ დავარქვათო.

დაარქმევდნენ ალბათ, ერთს რომ არ წამოეძახა:

„ხუთწლედი ოთხ წელიწადში“ დავარქვათო.

შემდეგ ამ წინადადების შემომტანმა ილაპარაკა ინდუსტრიული პოლიტიკის მნიშვნელობაზე. ისე მოსაწყენად კი არა, ზოგიერთი აგიტატორი რომ ლაპარაკობს.

ყველა სულგანაბული უსმენდა და ყველამ ხელი ასწია.

იცოდა ხალხმა ლაპარაკი, გულის ანთება. რაც მთავარია, საქმე: რამდენი ხუთწლედი შესრულდა ოთხ წელიწადში, თითქმის შიშველი ხელებით.

თვალის ახვევა რა იყო, არ იცოდა ვინმემ და სიცრუე. ქურდობა მით უმეტეს.

კარს არსად არ კეტავდნენ.

მთელი სოფელი სამუშაოზე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკრეფილი, მაგრამ ჩხირი არ დაიკარგებოდა. ათასში ერთხელ, ნაგები ღომი და ყველი თუ დააკლდებოდა თვალში დაკვირვებულ დიასახლისს.

ყველამ იცოდა, კიკუს აღებული რომ იქნებოდა, — კიკუ იყო უტვინო და დამთხვეული გოგო.

საქმე წინ მიდიოდა.

მადლიერმა ქალაქმა სოფელს გაუხსნა კოოპერატივი. აცუნცულდებოდი საქათმეში პატარა კიბით.

დედალი მოგცემდა კვერცხსა.

კვერცხს ჩააწყობდი ტომსიკაში...

ატტეპოდი-დახტებოდი და გაჩნდებოდი ნოქართან.

დახლზე დაულაგებდი კვერცხსა.

მოგცემდა ნავთსა.

გინდა მარილსა.

გინდა საპონსა...

ერთი ასეთი ტომსიკა გაატანეს ბიჭს. კოოპერატივი კარგა მომორებით იყო, მაგრამ სოფლის გზაზე დადიოდა ძია ალეს ეტლი.

ჩამოიქროლა.

ბიჭი ახტა-დახტა და უკან შეახტა.

ძია ალემ მათრახი შემოუქნია, მაგრამ ბიჭს წამწამი არ დაუხამხამებია, რადგან ძია ალემ ასე იცოდა, ყასიდად — ბავშვს მათრახს როგორ შემოკრავდა.

მტვერში გახვეული ბიჭი ეტლით მიგრიალებს, მაგრამ მტვერს რას დაგდევეთ.

ნოქარმა ახედ-დახედა და უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის კვერცხის ნაცვლად ტაფამწვარი მოგიტანიაო!..

იქით თუ მიფრინავდა, აქეთ ფეხს ძლივს მოათრევდა.

ბრიწეულის ხეებით დაბურულ ეზოს შორიდან ზვერავდა, მაგრამ ბიცოლას თვალი ვერ მოჰკრა. ის იყო ბიჭის მოსარჩლე, თუ დედა გატყეპავს დაუპირებდა.

ამჯერად ვერ გადარჩა.

ბიცოლამ იმ დროს მოუსწრო, ბიჭის ქოჩორა თავი ტომსიკის ლაწუნისაგან გოგლიმოგლოვით რომ იყო აქაფებული.

შემდეგ ყველამ ბევრი იცინა, მაგრამ მას რა!

ასე სამარცხვინოდ დამთავრდა ბიჭის პირველი ეკონომიური მისია და თბილი წყლით განბანილ თავში ისევ დაბუდდა მეოცნებე.

როცა პირველად...

პატარებს სჩვევიათ მიბაძონ უფროსებს. უჩა გაეკიდა სკოლაში მიმავალ სოფლის ბავშვებს. რამდენიც არ უშალეს, ვერ დაუშალეს. არც მამამ დაუშალ! რა მოხდა, გაყვეს, მივიდეს იქ, სადაც ოდესღაც მამამისიც მისულა.

... ეს იყო ოდა, დიდი, რიკულებიანი, ცისფრად შეღებილი. შემდეგ დალბა, დაინგრა. ბავშვებსაც ვეღარ იტევდა. ააშენეს ახალი, დიდი და უშველებელი, ქვიტკირისა. დღევანდელ ბავშვებს, ალბათ ეს მოსწონთ, მაშინდელი ბავშვები კი იმ ცისფერ ოდას მოიგონებენ მუდამ, იმიტომ კი არა. ქვიტკირისაზე უკეთესი იყო. ფერი ჰქონდა.

ბავშვის თვალს უყვარს ფერადოვნება. ზოგჯერ არ ესმით ეს. ქალაქში კიდევ ჰო, ასე თუ ისე, ყურადღებას აქცევენ. სოფელს კი ნაკლებად დაგიდევენ. ბავშვის თვალს უყვარს ფერები.

გახსოვს, როგორ შენატროდი წიგნს, უფროსკლასელებს რომ დაურიგეს? წიგნის ყდაზე ბრდღვიალებდა ჩიარაღდანი. წიგნსაც „ჩიარაღდანი“ ერქვა.

გახსოვს ფერი ფანქრისა, მაშინ რომ მოგცეს?! იგი ყვითელი იყო და საოცრად სურნელოვანი.

პატარა, ძაბრულა სამელნეში ჩასხმულ მელანს ხასხასა ფერი ჰქონდა.

რვეულის ყდა შინდისფრად ღვიოდა.

ეს იყო დღე, როცა დასაბამი მიეცა რაღაცას, მეხსიერებაში პირველს რომ უკავშირდება, პირველს და კარგს...

ილია რურუა

მწვანე კორდი

ხელი გამოუწოდა და კიბეზე აიყვანა ბახიას ნაწნავებიანმა გოგომ.

გოგოს ცისფერი თვალები ჰქონდა. ეს თვალები ბიჭს უღიმოდნენ — რა პატარა ხარო, რა სასაცილო ხარო...

ეზოში, მესერთან, უფროსკლასელები მღეროდნენ „თებრონეს“.

ბახიას გოგოს უმღეროდნენ.

ბიჭი გრძნობდა ამას და ბოღმით იევსებოდა.

მას უკვე უყვარდა. მისი გული გაიხსნა რაღაც დიდი ნეტარებისათვის:

აი ია...

ია აი...

უყვარდა წიგნის პირველ გვერდზე დახატული ია.

არ უყვარდა რვეულის ყდაზე დაბეჭდილი გამრავლების ტაბულა. უბრალოდ, თავში არ შედიოდა.

სამაგიეროდ, დამენიას ბიჭი, მის გვერდით მერხზე რომ იჯდა, სულ იმ ტაბულას უკირკიტებდა. მისმა გონებამ უკვე აღმოაჩინა მათემატიკური კანონების უსახური, მაგრამ მშვენიერი ჰარმონია.

მეორე, ის ბიჭი კი...

ფუჭი გამოდგა ყველა ცდა. ბიძიას ძალიან უყვარდა, მაგრამ ბოლოს აღიარა — მეშინია, ეს ბავშვი დამთხვეული არ იყოსო, და ჩხირებს ცეცხლში გადაუძახა.

ბიჭმა გადაშალა თავისი საყვარელი წიგნი.

აი ია...

აი ია...

გუთნისდედა

მკაცრი კაცი იყო გუთნისდედა, მაგრამ გულუხვი და კეთილი, მართალი და უბრალო. ყველაფერი კარგი და აუცილებელი ასეთია.

მიწა...

წყალი...

ჰაერი...

მარილი...

მარცვალი...

მარცვალმა გაახსენა!

იდო ფარაონის სარკოფაგში რამდენიმე ათასი წელი. საარაკო იყო სარკოფაგის სიმდიდრე. უფრო საარაკო გამძლეობა ნაზი ლოტოსის თესლისა.

იმდენი ხნის ტყვეობის შემდეგ დაუბრუნეს იმას, ვისაც ეკუთვნოდა.

დედა — დედამიწამ არ გააცუდა.

ამოვიდა ლოტოსი. გაიშალა ოთხი ათასი წლის შემდეგ და ადამიანებს ყვავილის ენით უთხრა:

„აი, რა შემიძლია მე, პატარა, ციცქნა თესლს... ჩემშია სიცოცხლის უშრეტელობა და ყველა საკვირველების დასაბამი...“

მიწა გახარებული თესლის ენით ლაპარაკობს. თავად კი უტყვია, თუმცა მის გარეშე ყველაფერი ფუჭია.

კორდი სად გაჩნდებოდა.

ჯეჯილი სად იხასხასებდა.

ყვავილი სად მოიღერებდა ყელს.

წყალი სად იდენდა.

მარილი სად იდებოდა.

რა ფასი ექნებოდა ცას...

„ზონდ—3“ დედამიწაზე გამოგზავნა მთვარის უხილავი ნაწილის გამოსახულება, „მარინერმა“ — მარსისა, „ვენერა — 4“ — ვენერასი.

გამოსახულებებზე არის ლაქები, არის ხაზები და კრატერები. მეცნიერი, როდესაც შეფრავს მათ საიდუმლოს, მღელვარედ აცქერდება ბუნდოვან ლაქებს და ფიქრობს: არის თუ არა ეს მიწა?

ასეთია ბუნება ადამიანისა. ჯერ მან ფეხქვეშ მიწა უნდა მოსინჯოს... კოსმოსშიც...

იქ, სხვა პლანეტებზე...

მაინც ვარაუდია ყველაფერი ეს...

ჩვენ კი ვართ ადამიანები, დავაბიჯებთ დედამიწაზე და ვბრძანებლობთ მასზე.

ამ ჭეშმარიტებას გუთნისდედა სულ უბრალოდ უხსნიდა ბიჭს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გადგი ფეხი, ნუ გეშინია!.. მიწას არაფერი აცდება.

და ბიჭიც მიუძღოდა ხარებს რძიანრძიათი მოფენილ ველზე და მის უკან ტკაცუნით სკდებოდა სახნისით გალეძებული მიწა.

პირველად გავლებულ კვალს უკან რომ გაყვებოდა, აბრუებდა ბელტების მძაფრი სურნელება. ბელტებში ფუთფუთებდნენ ხოჭოები, ჭიაღუები და ბიჭი ხვდებოდა, რომ მიწას არასოდეს არ სძინავს...

კვალი კვალს მისდევდა, ბელტი ბელტს ეფინებოდა.

მუხლებს ეკვროდა ცვრით გალუმპული ტოტები შარვლისა, მაგრამ მუხლი უმაგრდებოდა მიწის ცივ ემბაზში.

ოფლი ტანს წვავდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა. ჯანით როგორ ივსებოდა...

ელანდებოდა ველი, მაგრამ შიისა რცხვენოდა და მიდიოდა თამამად.

ასე თამამი იმიტომ იყო, რომ ესმოდა გუთნისდედის შემოძახება... როდესაც შუადღის თაკარა დაეჭერდა ხარებსაც ქანცი აღარ ჰქონდათ, თვალს აპარებდა მდინარის ფონისაკენ.

ისინი კი არ ჩანდნენ, მხრებზე კალანჩხაშემოდგმული ქალები.

კვალი კვალს მისდევდა, ბელტი ბელტს ეფინებოდა.

დაღლილი იყო, მაგრამ არ ამხელდა.

ამხელდა გაღუნული კვალი და მაშინ ესმოდა:

— საით, შე უტკივნოვ!.. მარცხნივ დაიჭირე!

ისიც კვალს ასწორებდა და მიდიოდა წინ...

შემდეგ მოდიოდნენ მისი მხსნელები და ხის ჩრდილში იშლებოდა სუფრა...

ხვავრიელი კალანჩხა, სველი ღვინის დოქი... მუჭისტოლა ქოთანი ამოლესილი ლობიოთი... ლეღვის ფოთოლში გახვეული და სულგუნის რძით სავსე ღომი... ღადარში გამომცხვარი კვერი... შამფურზე შემწვარი წიწილი და ახალი ტყემლის წვენი... პრასი, ოხრახუში...

ბიჭი ჩრდილის სიგრილეში წამოგორებას რომ დააპირებს, გუთნისდედა ბრძანებს:

—ხარები გამოუშვი და წყაროზე ჩარეკე!

ბიჭი ძლივს ითრევს წელს და წყაროსაკენ მიერეკება კვარაცხელიების დაფანტულ-გადაშენებული ჯოგის უკანასკნელ ნაშიერებს — წითელ „ღვინესა“ და თეთრ „ლომას“.

ჩვენი ჭალის წყაროვ!

სარკესავით კრიალავ, ყინულივით ცივო, პაწაწინა ნიყარებით მოოჭვილო, კოპიტების ჩრდილში განაბულო, მასვი, კვლავ მასვი!..

ბიჭი ჩამოჯდება ცოტა ხნით სიგრილეში, მაგრამ აქაც სწვდება გუთნისდედის ხმა:

— სად დაიკარგე?!

რომ ჰგონია ყველაფერს მოვრჩიო, მწარე ხაპის დოქს აწვდიან:

— შენით ვერ უნდა მიხვდე?

— კარგი, ალე, მოეშვი მაგ ბავშვს, — ესარჩლება დეიდა.

გუთნისდედა არც ცოლს ეპუება:

— შენი საქმე არ არის!.. რამდენი კოთხო სიმინდი ჩამოარიგე დღეს? რამდენი ქათამი და კვერცხი, ა?

— კარგი, ალე, შენი ჭირიმე?

— დაჭცევ, ელისაბედ, შენ ჩემს ოჯახს...

სადილობენ უხმოდ და სიჩუმეში ბიჭი გრძნობს, როგორ თანდათან ივსება მისდამი თანაგრძნობით გუთნისდედის გული.

— ჭამე, კარგად ჭამე! — უთათუნებს გაქვავებულ ხელს მხარზე და ქათმის ბარკალს აწვდის.

ბიჭი თავჩარგული ზის, რადგან გუთნისდედას თუ შეხედა, ამ ძუნწი ალერსიდან ნასახიც არ დარჩება. იგი ერიდება ალერსის გამომჟღავნებას. იგი, გუთნისდედა, მკაცრია, მეტად მკაცრი.

სხვაა, როცა საქმეს მორჩებიან და როცა ღამის სიბნელე ფარავს ბევრ რამეს.

ილია რუჩუა
მწვანე კორდი

— წყვილი თუ კენტი?
— კენტი!
— ხვიშტი შენ!

ბიჭის ჯიბეები ცარიელდება და როცა უკანასკნელ მუჭა თხილსაც სინანულით ეთხოვება, თავზე აცვია ყველა ერთად — მისიც და გუთნისდედისაც.

თუ კარგ გუნებაზეა, ზღაპარსაც მოუყვება.

„წიქარა“ პირველად მისგან მოისმინა.

ღამეული მგზავრობა

შენვე იყავ, მკაცრო გუთნისდედავ, მეგზური მისი პირველი ღამეული მგზავრობისა.

კურთხეულ იყოს პირველი ფეხის გადადგმა ადამიანისა ცხოვრების უკიდეგანო სივრცეებში!

თუ მაინცდამაინც მოსცილდები დამბადებელ კერას, სიყვარულისთვის სიყვარულით მიგების ზრახვა ჩაიდე გულში და ისე ეწიე შენს გზას.

წადი, რომ ოდესმე მაინც მობრუნდე...

დიდი ხანია მიდის გზაზე, ფარდაგიანი ურმით პირველი ღამეული მგზავრობის შემდეგ, მაგრამ არ ავიწყდება ბუხართან გასათბობად მიყუჟული ნახევარწიწილა, რომელთანაც მაშინ, იმ ღამით, დარჩა მისი ნახევარი სული, არ ავიწყდება ნაღვლიანი თვალები თავისი ბუსკა მოზვერის „ალიონისა“.

ალიონზე იყივლეს მამლებმა და დაძინებულ გზაზე აჭრიალდა ფარდაგიანი ურემი.

კოფოზე იჯდა გუთნისდედა...

მას შემდეგ სულ გზაშია, რომ კვლავ შენს დიდ და შეუვალ მადლს, შენს ჩაუმჭრალ ნათებას მიეახლოს, მშობლიურო კერავ.

არ იცის, სანამდის გაგრძელდება ეს გზა.

მაგრამ იგი მიყვება მოფუსფუსე შინაგანი ხმის კარნახს. ალბათ კეთილია ეს ხმა, რადგან გონებასა და სულში აქამდე აღვიძებს ბევრ კარგსა და ნათელს.

ახალი ნაკერი

ბიჭის მამა სოფელში გზავნიდა ყველაფერს კარგს:

ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს,
ნამცხვარსა და კამფეტს,
თეთრ პურსა და შაქარს.

სოფელში ამბობდნენ:

— მაგათ რა უჭირთ, ჩაის სვამენ და თეთრ პურს ღეღავენ.

ახლა ბიჭი იყო იქ, საიდანაც მოდიოდა ყველაფერი ეს.

პატარა ნესტიან ოთახში არ ჩანდა ფერადი, რბილი საგნები. იდგა უბრალო რკინის საწოლი და ტახტი. იყო რამდენიმე სკამი და ერთი მაგიდა. მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე იდო ცემენტივით მაგარი და მომქავო პური, სოფლიდან გამოგზავნილი ყველი, უბრალო ჩაიდანი და ლექსების ტომი.

პოეტის სურათი პირველად ამ წიგნში ნახა.

ძალიან მოეწონა პირველი ლექსის სათაური — „ლურჯა ცხენები“. დამარცვლით ჩაიკითხა:

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ
მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო
მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე
ვერაფერი.
ცივ და მიუსაფარი მდუმარეების
გარეშე...“

მეტი არ წაუკითხავს, რადგან წაკით-

ხულიც ვერ გაიგო. მაგრამ სულს რაღაც შემოაწვა ამ ბუნდოვანი სიტყვებიდან და წიგნზე თავდადებულს ჩაეძინა.

სიზმარში ნახა მშობლიური ჭალა და გადარეული კვიცი, რომელსაც ძია ვალო ხედნიდა...

ბიჭი გამოაღვიძა მამის ალერსიანმა ხელმა და მძაფრმა სუნმა, მის ტანსაცმელს რომ ასდიოდა.

მამამ ჯიბიდან ამოალაგა დაკეცილი ქაღალდი და დალეული ფანქარი, საშვი, რომელზედაც ქარხანა იყო გამოსახული და კიდევ ვერცხლის აბაზიანი, შავი, ნახშირივით შავი. გაზინული ხალათი მამამ კუთხეში ლურსმანზე ჩამოკიდა, მაგრამ ხალათი ჩამოვარდა და ბიჭმა პირველად გაიგონა ყოვლად უცნაური წყევლა:

— მოგიკვდა პატრონი!

მათი ბინა იყო ნესტიანი და ბნელი. ადრე ჰქონდათ უკეთესი, რომელიც ყველაფრიანად გაუყიდა ნათესავმა, ახალგაზრდა კაცმა. იგი შვილივით იზრდებოდა მათს ოჯახში, მაგრამ ამაგი ასე დაიფასა.

მამამ არც იკადრა გამოდევნებოდა ულირსს.

ბევრი გაკვირვებული იყო ამ საქციელით. აღფრთოვანებული იყო ერთი — ფრანგი მეფუნთუშე ჟორჟ კამპანიონი. მან თავის სახლში უბინაოდ დარჩენილთ უსასყიდლოდ დაუთმო ეს ერთი ოთახი. მას შემდეგ სოფელში მიდიოდა წერილები, რომელთა კონვერტებზე სხვა სიტყვებთან ერთად ეწერა: „სახლ კამპანიონისა...“

როცა ბიჭი ქალაქს ჩამოიყვანეს, ფრანგი მეფუნთუშე თავის მარსელს დაბრუნებოდა. მაგრამ დაბალ ფანჯარ-გრძელ სახლს ეხურა მარსელის კრამიტი და წვიმა ვერაფერს აკლებდა.

ნესტსა და უსინათლობას კი ვერაფერი მოუხერხეს. ამიტომ ბიჭს სახიდან მალე გადაუვიდა სოფლის საღი ფერი და რევმატიზმმაც არ დააყოვნა.

დალვედნენ ჩაის და ბიჭი მიწვებოდა მამის ფეხებთან. თუმცა მამა დაღლილი იყო, აიღებდა ლექსების ტომს და კითხულობდა გვიანობამდე.

არ იცის, იმ ღამით რამდენ ხანს ეძინა. გამოაღვიძა ცის გრუხუნმა და კოკისპირული წვიმის ხმამ... არა, რაღაც უცნაურმა ღმუილმა სიბნელეში...

ყური მიუგდო და ძალუნებურად მკლავებზე წამოიწია.

— დაწექი შვილო!—უთხრა მამამ,— ეს შუქურაა. ზღვაზე ნისლია და გემებს უხმობს.

ბიჭს კი ეგონა, ღმუოდა მისი „ალიონი“.

გაიტვრინა საბანში და ყურს უგდებდა უცნაურ და გულსაკლავ ღმუილს. მაინც ფიქრობდა, რომ ეს იყო მისი „ალიონი“. ალბათ უკან თუ გამომედევნა და ზღვაში ვერ გამოტოპაო... თითქოს ხედავდა კიდეც წითელ ხარს, კისრამდე წყალში ჩამდგარს და მის ნაღვლიან თვალებს, რაღაცას რომ სთხოვდნენ.

დილით, როდესაც მამა ქარხანაში წავიდა, საწოლის პირდაპირ, კედელზე ფანქრით დახატა თავისი „ალიონი“. არ ჰგავდა, მაგრამ თვალები ჰქონდა დიდი და კარგი. აი, ისეთი, ფიროსმანის შვილს ნუკრებს რომ აქვთ.

ᲙᲔᲚᲘ ᲔᲖᲝ

შუშაბანდში შემოდიოდა, კედელში მოჟონავდა ათასნაირი ხმა. ყურს უგდებდა მათ და შორიდანვე ცდილობდა იმ ადამიანთა და საგანთა შეცნობას, რომლებიც ამ ხმებს გამოსცემდნენ.

ყველაზე ადრე ბიჭის სულს ჩასწვდა სიმღერა, რომელიც ისმოდა მეზობლ.ს ბინაში. არც იყო სიმღერა. უფრო ხმამაღალ ფიქრსა ჰგავდა.

მალე გაიგო, რომ დეიდა ნატას ჰქონდა ბევრი საფიქრალი. ეს პატარა, კაფანდარა და ციბრუტივით მოუღლელი ქალი ზრდიდა ერთადერთ შვილს, გუგულივით ბიჭს. ზრდიდა მარტოკა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ჰყავდა ქმარი ღვინის მოყვარული ფრიად და აგასთერიგით მოხეტიალე.

ნატას ოთახში, მოოქროვილ ჩარჩოში, ეკიდა მოზრდილი სურათი: ტაძრის ნანგრევებში ზის ფეხშიშველა ლამაზი ქალი, ძოვრდისფრო მოსასხამში და დაღვრემილი გაჰყურებს სივრცეს... თავზე ადგას რაღაც სასწაულით გადარჩენილი მარმარილოს ჩუქურთმიანი სვეტი და ღრუბლებში გაჩხერილი ნამგალა მთვარე.

— არის ერთი ქვეყანა, — აუხსნა დედა ნატას, — რა უბედურება არ დატრიალებული მის თავზე... ხოცვა-ჟლეტა, ხანძარი და ნგრევა, მიწისძვრა... იყო დრო, როცა ამ მიწაზე მარტო ეს ერთი ქალი დარჩა.. მაგრამ მან დაინარჩუნა ქვეყანა და გაამრავლა ხალხი. ეს ქალი არის სომხეთის დედა... ეს სურათი დიკრანუიმ მაჩუქა.

დიკრანუი კიბის გვერდზე ცხოვრობდა, ოდესღაც საკუჭნაოში, უფრო გაფართოებულ-გალამაზებულში. იქიდან ყოველთვის ისმოდა ჭიანურის ხმა. ჭიანურს უკრავდა დიკრანუის ქმარი ტიგრანა, მოხდენილი და ფაქიზი კაცი. ტიგრანას ჭაბუკის ტანი ჰქონდა, ოდესღაც პეტერბურგში შეკერილ კოვერკოტის კოსტუმს იცვამდა. დაბრმავებულა ცნობილი ხოცვა-ჟლეტის დროს, როცა მის სახლს ცეცხლი წაუკიდეს. მრავალ გაუპედურებულ, ულუკმაპუროდ და უსახლკაროდ დარჩენილ თანამემამულესთან ერთად გადმოხვეწილა საქართველოში.

ტიგრანას აქვს ტანწერწეტა, სადაფით მოოჭვილი ჭიანური და საწოლის თავზე უკიდია კომიტასის სურათი... ტიგრანა უკრავს დუქანში და ამით არჩენს თავის დიკრანუის. დიკრანუის ძალიან უყვარს ქმარი, ბავშვივით უვლის.

როცა ტიგრანა დუქნიდან დაბრუნდება, დაღლილი და გაწამებული ჩანს. გაოგნებული ზის სკამზე, ბრმა თვალებით შესცქერის კომიტასს და ჩურჩულებს:

— ასტვაც, ასტვაც!

დაძინებამდე კიდევ ერთხელ აიღებს ჭიანურსა და დიდხანს აკვნესებს. ყველანი უგდებენ ყურს და უნებლიეთ ... სიბიან სევდით.

უსმენს ის ქალიც, მარტოკა რომ ზის დიდებულ ნანგრევებში...

პატარა ეზოში ყოველ ოჯახს რაღაც უჭირდა.

ძველ რევოლუციონერს — კალენიკეს ჰქონდა პერსონალური პენსია და მრავალნაირი შეღავათი, მაგრამ ცალფეხა იყო...

ცნობილ ბუღალტერსა და მხიარულ კაცს კოლიას აწუხებდა გულის მანკი...

ყორანივით შავ შარამას დანა არ უღებდა პირს, რადგან მიუკეტეს კერძო საყავე...

ოქრომჭედელი მურადიც დაღვრემილი იყო: ოჯახის მარჩენალი, მართლაც ოქრო მარჯვენა არტაშაში ჰქონდა... ოდესღაც იგი დაღესტნის მთებიდან გამოექცა ველურ და უაზრო ადათს, მაგრამ დაგვიანებულმა შურისძიებამ აქამდე ჩამოსდია, — მოსისხლემ რამდენიმე ტყვია დაახალა. სასწაულით გადარჩა...

ბიცოლა ნუცას შავეში ეცვა, რადგან მოულოდნელად გამოეცალა ხელიდან შაქარივით ტკბილი ქმარი; ტვინწაი სისხლი ჩაექცა. სრულიად მარტო დარჩენილი ქალი მთელი ეზოს ბავშვებს განურჩევლად ეძახდა „ნენას“...

საღამოს ყველანი ჭასთან იკრიბებოდნენ. ჭა ძველი და გაუქმებული იყო, მაგრამ მისი ამოვსება არავის უნდოდა. ჭის უზარმაზარი, ხავსმოდებული ცემენტის გვიმი გრილი და სამი იყო, თანაც მაგიდად გამოსაყენებელი. ზედ დაწყობილ ფიცრებზე ქალები გაშლიდნენ ხოლმე ლოტოს ქაღალდებს და იყო ერთი ამბავი.

განმარტოებით მხოლოდ ბუღალტერი და სოფლიდან ახლადჩამოყვანილი ბიჭის მამა ისხდნენ. ბუღალტერს სათვალე ცხვირის წვერზე ჰქონდა ჩამოცურებული, ხელში ეჭირა „ჯაყოს ხიზნები“ და ცხარედ კამათობდა რაღაცაზე...

შემდეგ შარამას ცოლი ფარისი პატარა ფინჯნებით ჩამოარიგებდა სურნელოვან ყავას, ლეკის ქალი ფატმა — თაფლში მოხალულ ნუშს, ნუცა გამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანდა თხილსა და ჩურჩხელას, ნატა — ჭყინტ სამინდს... კალენიკე ერთს გაიხედავდა თავისი შუშაბანდისაკენ და მოდიოდა ბოთლი „ადესა“...

იყო ჭუკჭუკი გვიან ღამემდე.

ქალები მარჩიელობდნენ.

მამაკაცები მასლაათობდნენ პოლიტიკაზე და ნეპის შედეგებზე...

ბავშვები ხარობდნენ.

ბიჭის სიმორცხვე თანდათან ქრებოდა. ოდესღაც ეს ადამიანებიც უცხონი იყვნენ ერთმანეთისათვის, მაგრამ ახლა იყვნენ ერთად და ამ ერთობით გულმიცემულნი.

მათი შვილებიც, მათებრ ადვილად პოულობდნენ ენას, თამაშობდნენ ჭინჭის ბურთს, რიკტაფელას და აყრუებდნენ ეზოს...

ტკბილო, ძველო ეზოვ!

შენი დავიწყება როგორ იქნება. ძველი ბინადარი უფრო ხშირადაც მოგინახულებდა, რომ გულს არ ტკენდეს შენი ფერისცვალება.

აღარ არიან ისინი, რომელთა სახელები მწვანე ტოტივით ჩარჩა სიყმაწვილის გაუხუნარ წიგნში.

ირგვლივ სულ სხვა სახეებია, სულ სხვა ხმები ისმის...

უკანასკნელი იყო გრანტი — დაბრმავებული მეზღვაური. გრანტს ეძახდნენ მას შემდეგ, რაც ბიჭებმა პირველად ნახეს „კაპიტან გრანტის შვილები“. მან ფეხის ხმაზე იცნო სტუმრად მოსული და როცა ხმა გაიგონა, იბღავლა. როგორ ბღაოდა ამოდენა ვაჟკაცი, რომელსაც გერმანელებმა საკონცეტრაციო ბანაკში კაკალი ცრემლი ვერ გადმოაგდებინეს თვალიდან.

ისიც აღარ არის, მაგრამ ძველი ეზო ისევ ცოცხლობს და ინახავს ძმური გრძნობების სითბოს.

ხმა — მეგზური

ხმები, რომელთაც ჩვენ ვისმენთ, არც ისე ქაოტურია, როგორც გვეჩვენება... ჰარმონიის კანონებს ისინიც ემორჩილებიან. უფროს-უმცროსობა, წესი და რიგი, მათს ჯერელ სიმფონიაშიც იგრძნობა.

ყველა სიმღერას იწყებს ერთი რომელიმე ხმა, ჩვეულებრივ — მთავარი. სხვები მისი მაყრები, მისი პაჟები და პრინცესები არიან. მაღალი და ლურჯი ცარგვალის სივრცეებიდან ადამიანის არსებაში რომ შემოდიან, ამ ხმებს ტოვებს უზრუნველი სიანცე. ისინი მეტი შინაარსითა და ღირსების გრძნობით ივსებიან.

მათში არის ერთი — გამორჩეული, ხმათა სადარბაზო კარის დიდი გამგეელი.

გესმის?!

— ძინ, ძინ!..

— დაგ, დუგ!..

— ძინ, ძინ!..

— დაგ, დუგ!..

თქვენ უკვე იცანით ჩაქუჩისა და გრდემლის ხმა. ეს ხმა მოდის ძია დიანოზის სამეჯდლოდან. იგი არის ყველაზე კარგი ღმერთის, შრომის ღმერთის ქურუმი.

დიანოზს ჰყავს ორი შეგირდი, ორი ვაჟიშვილი.

— ძინ! — ურტყამს ჩაქუჩს უმცროსი ძმა გავარვარებულ რკინას.

— დაგ! — უროს უნაცვლებს უფროსი.

დეევიით უბერავს სულს გაჩაღებულ ნახშირს საბერველი, ადი-ჩამოდის მკლავი. და მთელი დღე ასეა:

— ძინ, ძინ!..

— დაგ, დუგ!..

ძნელი მოსასმენი იქნებოდა, მარტო ამ ხმით რომ ავსებოდეს სივრცე.

ქუჩის მეორე მხარეს მზესავით ელვარებენ მურღულის წიაღიდან ამოღებული სპილენძის დისკოები. ღონიერი

ილია რუხრუა
მწვანე კორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაწაფული ხელები მათ ღვედივით იმორჩილებენ. ისინი ამ ხელების ნებით იქცევიან დაფორიჯებულ ლამაზ ქვაბებად და ქვაბუნებად, ტუჩმწყურვალ თუნგებად და ყელყარყარა სურებად.

ქშუტტუნებენ საბერვლები.

კალიებივით ხტიან ჩაქუჩები...

— კაკ, კაკ!..

— ტუკ, ტუკ!..

ცეცხლის ენა ლოკავს ვერცხლის ქამრის ბრტყელ ბალთას. ლითონი შავდება, მაგრამ ყუთაჩელი ლეკი შეუიარაღებელი თვალითაც ხედავს უსახურ სიშავეში როგორ იქარგება ვერცხლის ზედაპირი და გალხობილი ოქროს ცვარი როგორ ციმციმებს...

— დაგ, დუგ!.. — უბაგუნებს ლეკანი თითბრის მძიმე კვერს დამბალ ლანჩას და ვიტრინაში მთვრალი აზნაურივით წამოწოლილ წერწეტა „აზიაცკს“ იღებს, რომ ძირი მიაკეროს და მორჩეს საქმეს...

იქვე, ტროტუარზე, მუხის მრგვალ კუნძს მისჯდომია მეჯოდე მოსო...

— ღრიჭ, ღრიჭ! — აღებს ნიანგივით პირს აბესალომის ვეება მაკრატელი და მუშტარს შიშით სული ელევა. აბესალო ნარმასავით ჭრის სადღაც კონტრაბანდისტებში ნაშოვნ კოვერკოტს. მაგრამ ქარგალმა იცის თავისი საქმე.

ცისარტყელას ფერები გადასდით რბილ და ხასხასა კრაველის ტყავებს და ახალი ბოხოხით თავდამშვენებული ქურთი და ხემშილი მწყემსები არჩილას დუქნიდან ყეენებივით გამოდიან...

— ბიჭო, წყალი მომართვი! — იძახის გახრეგილ ტახტზე წამომჯდარი ნესტორა მეუნაგირე და შეგირდიც დაფეთებული გარბის სადღაც.

— მიართვით ბატონს... წყალი მიართვით, ჩქარა! — ხარხარებენ ირგვლივ.

ნესტორა არაფრად აგდებს ამ დაცინვას. მთელ მის ბლეზეურ გვარს დიდი ჯავრი სჭირს ბატონებისა, ახლა დაუდგა დრო და გული არ იჯეროს?!

მეუნაგირე ხარბად სვამს წყალს თუნგით და სასადილოსაკენ მიემართება. ხელოსნები კვლავ სიცილით მიაცილებენ, რადგან ნესტორა ახლა მიუჯდება მაგიდას და ხმამაღლა დაიძახებს:

— ბორში და ღომი მომართვით!

ამ ადამიანთა შრომა მძიმე და დამქანცველია, მაგრამ მათ უყვართ თავიანთი საქმე და რაღაც გროშებისათვის ნავთის ლამპებზე იღამებენ თვალებს. ამ გროშებს ისინი შემდეგ ცოლ-შვილს უგზავნიან სოფელში. თვითონ კი ჯერ დებიან ღარიბ ლუკმას, იძინებენ ცემენტის იატაკიან დარბაზებში...

უხვად აქვთ ერთი რამ — მხიარულება. პატარა რამ ჰყოფნით საამისოდ. აი, ახლაც სადღაც ცხვირი დააცემინა ვარლამამ და ყველა ერთად ყვირის:

— ხეი, ვარლამ, ხეი!..

ვარლამს ყურს აკლია. თანაც ამ ბრგე კაცს აქვს ბავშვის მიმნდობი გული და მჭუხარე ხმა:

— მადლობთ, ბიჭებო... მაა... აფცხი!.. არის გაუთავებელი სიცილ-ხარხარი და ხორხოცი.

ეს ხმებიც ერთვის იმ ხმას, მთავარს...

ამ ხმებით იქარგება დუმილი და არქიმედის დარდები.

არქიმედი ძველი ვაჭარია. ვერ იხეირა სტამბოლში, სადაც ჰქონდა ბევრი დუქანი. ვერც აქ მიუდის საქმე კარგად. მისი დარაბა კვირაში ერთხელ მაინც ილუქება და მთელი უბანი ჩურჩულებს:

— იცით, წუხელის არქიმედი გაუხარეკიათ... ბევრი ოქროც წაუღიათ.

ამდენი ოქრო სად უნდა ჰქონოდა, მადნის მთაზე ხომ არ იყო დასახლებული.

მისმა სეხნიამ, დიდმა არქიმედმა, ოდესღაც ამომაჩინა კანონი, რომლის შემდეგ ძალიან ცუდად წაუვიდათ საქმე ოქროს მპარავთ.

არავინ უწყოდა, იცოდა თუ არა ყველაფერი ეს არქიმედის სეხნიამ, მაგრამ ყველა ხედავდა, როგორ იყო ჩაცუცქული იგი თავისი დარაბის წინ და როგორ დანადვლიანებული ჩასცქეროდა მიწას.

როგორც გადმოცემიდან ვიცით, ამ პოზაში იჯდა ის, დიდი არქიმედი, მტრის ჯარისკაცმა მახვილი რომ ჩასცა...

ხმები და დუმილი...

დუმილი და ხმები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭი მიდის სკოლაში.

უნდა გაიაროს ქუჩათა ლაბირინთები. სოფლელი ბიჭისათვის ქალაქის ლაბირინთი ძნელი გასავლელია. მაგრამ მას ჰყავს მეგზური — პიანინო!

ბიჭი მიყვება მის ხმას.

ქალაქში ბევრგან უკრავენ პიანინოს კოტა, ნაწილებიანი გოგონები.

მყუდრო ქალაქში, ისიც მზიან დღეს, პიანინოს ხმა ყოველთვის სევდის მომგვრელია.

ბიჭი ჩერდება: იქ, ზემოთ, უკრავენ პიანინოს და მას ახსენდება დედა, ნახევარწიწილა და „ალიონი“...

შემდეგ განაგრძობს გზას...

ქერა

ღვივის ქერა.

ყველაფერი ისეა, როგორც მაშინ, ოთოქმის ისე.

ეზოში დასრიალებენ მერცხლები და ბუდიდან კისერგადმოგდებულმა ბარტყებმა უშველებელი ყვითელი პირით ლამის ოდა გადაყლაპონ.

სოფლის ბიჭები ცდილობენ გააგებინონ უნას, თუ რატომ ვერ მოასწრებენ ეს ბარტყები შორეულ ქვეყანაში გაფრენას...

ბებიას კალთით მოჰყავს ახლადგამოჩეკილი წიწილები და უცებ კალთას ხელს უშვებს. უნას ფეხებთან დაცვენილი პატარა ყვითელი არსებები ყურის წამღებად წივწივებენ, კისრისტეხითა და კოტრიალით ეშვებიან ქვევით, კიბის თავთან მოქოთქოთე კრუხისაკენ. პატარა წიწილებში არის ერთი კისერტიტველა. ზუსტად ისეთი ნახევარწიწილა, სულ რომ აცხაკვებდა და ბუხრის პირას რომ ითბობდა უბუმბულო თაკვისერს...

ხბო ფართოდ გახელილი თვალებით შესცქერის უცნობ ბიჭს.

ხბოს თვალები ნაცნობია.

ასეთი თვალები ჰქონდა წითელ მოზვერს, „ალიონს“...

საღამოვდება. გზაზე მობღავის ნახირი.

ნაკაზე ჰკიდია უზარმაზარი ქვაბი. ქვაბში იხარშება ხაპი და ჭყინტი სიმინდი.

ქერიას უსხედან შინაურები და სულთან შეზრდილი ახლობელ-მეზობლები.

ისმის ამბები ამ მთის, იმ ბარის...

საოცარია ძალა ცეცხლისა.

ადამიანმა იგი ათასნაირად დაიმორჩილა. სახეც ათასნაირი მისცა, თვალისათვის უხილავიც კი.

მაინც სხვა ძალა და მიმზიდველობა აქვს მის პირვანდელ სახეს.

ამიტომ თუ მომრავლდა თანამედროვე ბინებში ბუხარი. იგი ბინას როდი ათბობს. ათბობს გულებს. გვაზიარებს პირველ და განუმეორებელ განცდას.

ჩანს მარად ცოცხლობს, ღვივის ჩვენს არსებაში რაღაც ნაწილი იმ წმინდა გაოცება-სიხარულისა, როცა ადამიანის ხელში პირველად აკიაფდა ცეცხლი.

... ოლიმპოს უძველეს მთაზე აინთო ოლიმპიური თამაშების ცეცხლი. მზის სხივებით ანთებული ჩირაღდანი ტუნიკებში გამოწყობილი თექვსმეტი ასულის თანხლებით მიიტანეს სტადიონ „ოლიმპოზე“... სამას ორმოცმა რჩეულმა მორბენალმა ცეცხლი წაიღო ათენისაკენ... იქ, აეროდრომზე, ჩირაღდანს ელოდება საგანგებო თვითმფრინავი და მთელი რაზმი ცეცხლის მცველებისა...

აბა გაიხსენეთ, როგორ მოგზაურობდა ელადის ასულის ხელით ანთებული ჩირაღდანი ამმავალი მზის ქვეყნის მიწაზე:

ოლიმპიური ჩირაღდნის დანახვაზე აქვითინდა მოხუცებული ქალი, რომელიღაც ოლიმპიადის მონაწილე...

უსინათლო ბიჭმა ითხოვა სულ რამდენიმე მეტრის გარბენა ჩირაღდნიანად:

ილია რურუა

მწვანე კორდი

„ო, როგორ მინდა საკუთარი თვალით ვხედავდე ოლიმპიურ ცეცხლს!“..

ნავსადგურში, როცა იქ ჩირაღდანი ჩაიტანეს, იდგა სპბერძნეთის გემი. მისმა ახალგაზრდა მეზღვაურმა ითხოვა შეეყვანათ მორბენალთა გუნდში, როშელსაც ჩირაღდანი უნდა წაეღო: „ეს ცეცხლი ხომ ჩემი სამშობლოდან არის!“ და მეზღვაურმაც ხალხის ყიჟინში წაიღო ჩირაღდანი...

ომ დღეს, როდესაც ერთი ყრუ სოფლის გზაზე ჩაიქროლა ჩირაღდანმა, დაიბადა გოგონა. მას დაარქვეს სახელი, რომელიც ნიშნავს წმიდა ცეცხლს...

ბევრგან ითხოვდნენ ოლიმპიური ჩირაღდნის ცეცხლს საკუთარი ეკერაგნის გასაჩაღებლად...

ოლიმპიურ სარბიელზე წმიდა ჩირაღდანი აანთო ჭაბუკმა, რომელიც დაიბადა ხიროსიმას ჯოჯოხეთური ცეცხლის ალში...

არის ამ ამბებში დადასტურება იმისა, რომ ის წმიდა ცეცხლი მარად ღვივის ჩვენს არსებაში.

ადამიანებმა ეს ცეცხლი ოდესღაც გამოსტაცეს ღმერთებს.

მათ შორის იყო კავკასიონის ამაყი შვილი.

... გინდა ხედავდე უზარმაზარ თასში მოლაპლაპე იმ შუქს და მოგუგუნე სტადიონს თბილისისას.

რას პირდებიან გულს?

ბავშვებს არ უყვართ დაკეტილი უჯრები.

ძველებური საწერი მაგიდის ყველა უჯრა ღიაა, გარდა ერთისა.

ეს უჯრა მუდამ დაკეტილი ახსოვს. თუმცა ცნობისმოყვარეობა წვავდა, გაღება ვერასოდეს შებედა მამის უჯრას.

დაკეტილია ახლაც, როცა მამა აღარ არის.

— გამიღე! — არ ეშვება უჩა.

რომ არაფერი გაუვიდა, მის ცნობისმოყვარეობას საკუთარიც წაუმატა:

— დედა, შეიძლება გავაღო?

დედა ოდნავ შეკრთა, ჩაფიქრდა და ბოლოს გასაღები გამოუწოდა:

—ბავშვმა არაფერი აურიოს შიგ.

გასაღები გადააბრუნა და უჯრა გამოსწია.

ბარათები...

ბარათები...

ბარათები, დაწერილი მამის ფაქიზი ხელით.

არ კითხულობს, მაგრამ ყველაფერს ხვდება.

ეცნო ქერა კულულიც, სულ ხასხასა და აბრეშუმივით რბილი, ცისფერი კონვერტიდან რომ ჩანდა.

დაკეტა უჯრა, უცებ დაკეტა და გაახსენდა, ნაცნობი, ძალიან ნაცნობი სიტყვები, რომლებიც ახლა თითქოს უჯრაში შრიალებდნენ:

როცა დიდი ხნით დახურული
გავხსენი ყუთი —
ძველ ბარათებში აღარ იყო სიახლე
ძველი.
მხოლოდ ზაფხულის სურნელება
ვიგრძენ სათუთი
და შემოდგომის სიახლოვე
ბურუსდამხვევი...

ყველა თაობას აქვს სიყვარულის საკუთარი უჯრა და საკუთარი გასაღები.

თაობის სრულფასოვნება უპირველესად სიყვარულის უნარში მჟღავნდება, იმაში, თუ რას სტოვებს სულიერი ხარკის სალაროდ დაწესებულ ამ უჯრაში.

ეს არის უკვდავი და წმიდა ხარკი.

თქვენ რას პირდებით გულს?

ახლა ალბათ სხვანაირად, უფრო განსხვავებულად უყვართ.

ახლა სიყვარული კოსმოსის სივრცეებშიც იბადება უკვე.

მაგრამ სადაც და როგორც არ უნდა იყოს, სიყვარული დაიბადება მხოლოდ გულში და იგი ჩვენთან მოვა კვლავინდებურად იდუმალი გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ სჯობს?..

სოფელს მდინარე ჩაუდის, სუფთა და კამკამა.

მისი ქვებიც ქათქათაა და ლამაზი: უფრო ლამაზი, როცა ზედ ზვირთი გადადის. ალბათ ბროლის კოშკს დაემსგავსება ასეთი ქვებიდან აგებული სახლი.

ყოველ შემოხვევაში, ასე ეგონა ესტატეს.

იგი მთელი ცხოვრება ეზიდებოდა ჭალიდან ამ ქვებს ტომრითა და კალათით.

როცა მარტოხელა ესტატე გარდაიცვალა, ეზოში მოტირალთათვის ადგილი აღარ დარჩა.

ხალნი შეესია ქვების ქათქათა მთას და აკლდამასავით ამოაშენეს მთელი ეზო...

ესტატეს ძალიან უყვარდა ზღაპრები.

ზღაპრული სახლის აშენებასაც ეპირებოდა, რომლის უხილავი არქიტექტორი იყო ოცნება.

ადამიანებს სწყურიათ ბედნიერება და მთელი სიცოცხლის მანძილზე გულით დაატარებენ ფერად ოცნებებს.

არც გაემტყუნებათ. ადამიანი ხომ ბედნიერებისათვის იბადება...

ჩვენი წილხვდომილი ბედნიერება უფრო უხვად გვეძლევა ბავშვობაში.

უფრო ძნელად სიჭაბუკეში.

იმიტომ, რომ მას სხვისი ხელიდან ვიღებთ, თითქმის მზამზარეულს.

დადგება დღე, როცა ყოველი მისხალი ბედნიერებისა შენ თვითონ უნდა მოიპოვო.

აქ არის საქმე!

ცუდია თუ მზამზარეულს არ გადაეჩვევი.

... ომის წლებში ყველა მიწას ჩიჩქნიდა. ერთხელ და სამუდამოდ დადგინდა, რომ არისტოკრატობა გვიანდელი გამოგონებაა და ფრიად ხელოვნურიც, ადამიანის ძარღვებში უპირველესად ჩქეფს ელეჩაცური სისხლი.

ვითომ ყველამ ყანა გაიჩინა, ვითომ ბოსტანი...

ოთხ მეგობარს ყოველ კვირა დილით ქალაქიდან სოფლის ჭალებისაკენ მიაქროლებდა მატარებელი. ჭქონდათ უხვი მოსავლის იმედი და „ესპეს“ ტალონით აღებული მცირე ულუფა — მარგარინში გაძრული, ქვასავით მაგარი ამერიკული ლობიო და ოთხასი გრამი შავი პური.

ღამეს ათევდნენ მცველთან, კარავში.

ერთხელ იქ დახვდათ ხნიერი, დაბალი და თავგადაპარსული ცალთვალა კაცი. სახეზე ღრმა ნაჭრილობევი აჩნდა.

ოთხივე მთელი დღე თოხნიდა.

მას მთელი დღე ეძინა.

როცა გამოიღვიძა, დაუპატიჟებლად შემოუერთდა საერთო ღარიბულ სუფრას. შემდეგ ადგა, ლეიბს ქვემოდან დააძრო მატადორის დაშნასავით გრძელი და ბასრი ორი დანა, ტარით თითებში მოიქცია და ცალად დარჩენილი თვალის წინ დაატრიალა ჟონგლიორივით. პირიც გაუსინჯა დანებს, თუმცა რა მოსინჯვა უნდოდა. ბეწვს სულის შებერვით შეაჭრიდი ზედ. ბოლოს ქურდულად მიმოიხედა და წაიდა.

— ვინ არის?

—ჯანდაბას მაგისი თავი და ტანი! — ჩაიბუზღუნა მცველმა. — საიდან ჩამოეთესა აქ ეს ბანდიტი... როდის წაეთრევა... დაიძინეთ, ბიძიებო... მატარებელი დილის 6 საათზე მოაკივლებს სადგურს.

იმ ღამით თითქმის არ სძინებიათ.

გაიგეს, რომ ცალთვალა არის ბრაკონიერი, შინაური ცხოველებზე მონადირე. იცოდნენ, რომ ახლა იჯდა სადღაც ხეზე, დაბურული ბილიკის თავზე და ელოდებოდა თავის მსხვერპლს: ომში წასულის ოჯახის მარჩენალ ძროხას თუ კამეჩს, რომ მოულოდნელად თავზე დაცხრომოდა, ყელი გამოედარა.

ასეთი ავკაცობისათვის ციხეშიც მრავალჯერ მჯდარა.

ცალთვალაც იმიტომ არის.

ილია რუხუა
მწვანე კორდი

ამდენი ჭრილობაც იმიტომ აზის სახეზე.

ტანზე კიდევ, ვინ იცის, რამდენი...

მაინც არ იშლის, რადგან ამ კაცის არსებაში ჩასახლდა ობობა...

იქვე, იმავე ჭალაში ჭაბუკები შეხვდნენ მეურმეს, რომელიც დააღონა მათმა მცირე კალომ.

თვალი როდი აარიდა ჭაბუკებს, დაბნეულნი რომ დადგომოდნენ თავზე ცხრა უქმად დაკეცილ და ერთ, მხოლოდ სანახევროდ სავსე ტომარას.

მან დააყენა ურემი, დარჩეული ტაროებით თავამდე აავსო ის ერთი ტომარა და წავიდა.

არც სახელი დაუგდია თავისი, არც გვარი. კარგად იყავით, ბიძიებო, ეს იყო და ეს. თითქოს ერცხვინებოდა კიდეც, რომ მეტი ვეღარ უწილადა სხვას.

კაცთაგან კარგიც შეგვხდება და ავიც.

კარგს რა დახვედრა უნდა. ვაჟკაცობა ისაა, ავს დახვდე მაგრად.

... მაშინ პირველად გაიგონა ეს სიტყვა „სიძე“.

სიძე კაციც პირველად ნახა.

ლხინში შეზარხოშებული მეზობლები მხარზე უბარტყუნებდნენ ხელს და თან დაყოლებდნენ:

— სიძე, შე ძველო!

სიძე კმაყოფილი იღიმებოდა და თვალებს აკვესებდა.

მეორედ რომ ჩამოვიდა სოფელში, ძღვენით აავსო მეზობლობა, არ დარჩენია არავინ, წუღა მაინც არ რგებოდეს.

წავიდა და წავიდა ლოცვა სიძის თავზე.

სულ მალე კი სოფელმა გაიგო, რომ სიძე ბატონს ქალაქში გაუქურდავს მაღაზია და ნაქურდალი აქეთკენ გამოუქანებია.

მეზობლებმა უმალ წაიყარეს წუღები ფეხებიდან და ალაგეს იქით გადაირბენლეს.

მთელი სოფელი იმ ოჯახს დიდხანს გვერდს უვლიდა, თითქოს იქ კეთრს დაებუდებინოს.

თავადაც არიდებდნენ თვალს. თუმცა რა შუაში, რა კიდეში იყვნენ. ისე კი ხშირად ოხრავდნენ — რა გოგო დავკარგეთ, ვის ჩავუგდეთ ხელშიო...

ბავშვობაში ბაცაცობისაკენ ვის არ წაცდენია ხელი.

რამდენჯერ გადაპარულხარ მეზობლის ვენახსა და ბაღჩაში: ხან უმწიფარი ყურძენი გაგიოხრებია, ხან ნესვი დაგითრევია, ხანაც ვაშლით აგიავსია უბე...

ისიც ყოფილა, მარილის საფანტით აგწვია კანჭები და საბანქვეშ ჩუმად შემძვრალს მთელი ღამე სლუკუნით გაგითენებია.

ყველაფერი იმით მთავრდება, რომ ან თვითონ მოეშვება უმგვანო საქმეს, ან სხვა ვინმე აგიწევს ყურს მაგრად.

ბაბუა იულონი იყო დიდებული კაცი. ყოველთვის ქილებითა და ვერცხლის ქამარ-ხანჯლით დამშვენებული ეღალი ჩოხით დადიოდა.

მის სახლში გრძელ ტაბაკზე რომ დაადებდნენ ღომს და ამ ტაბაკს თითქმის მთელი სამეზობლო შემოუსხდებოდა, ბაბუა იულონი ვინმე ქალს გამოართმევდა ძუძუთა ბავშვს, თოთო ფეხებს თმილ ღომზე დაბიჯებინებდა და შემდეგ ჭამდა. ირწმუნებოდა — ასე გაცილებით გემრიელიაო.

ასეთმა კეთილმა ბაბუამ ერთხელ თავისი მჭექარე ხმით ადგილზე გაქვავა ბიჭი, ბაღიდან ნაქურდალი ვაშლი რომ მოჰქონდა უბით და კინაღამ დააღლიტა ყურები.

რაზე ღელავენ ჩონგური

— ეს რა არი?

— ჩონგურია, შვილო.

—ჩონგური?!

ცირუ კედლიდან იღებს ძველებურ საკრავს და უჩას უწვდის:

— ჩამოკარ, ბები, ხელი.

ჩონგურმა დაიყვირიალა.

პირტახიას ქალი ტახტზე ჯდება და აწყობს ლარებს.

დიდი ხანია, არ გაუგონია ცირუს სიმღერა.

როცა აპრილი თეთრი ყვავილებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კვირტებით აივსებოდა, ამ ოდაში ჩონგურიც აღუღუნდებოდა:

— მოსაკითხად მე გიგზავნი
ჩემს დაკრეფილ ალუჩასო...

ახლაც ღუღუნებს ჩონგური და პირტახის ქალი მღერის ძველ, ძალიან ძველ სიმღერას:

— სი სოულ, ბატა?

— სად მიხვალ, ბატა?..

ჩვენი ჭალები ნოტიოა, ჩვენი ტყეები კოლხური სუროს იდუმალებით სავსე. ეს სიმღერა დაიბადა ისლის ქოხში. მიტომ თუ არის სევდიანი.

იქნებ მაშინაც, როცა აბრეშუმივით ქათქათა ბაოლის ხიდან პირველად გამოთალეს ჩონგური, წვიმიანი დღე იყო და ნისლი ებურა კოლხიდის სერებს, ნავსადგურში კი იდგა მონა ქალებით დატვირთული ხომალდი...

იმღერე, ცირუ!

რა უშავს, რომ ძველია, მაინც ჩვენებურია და მშობლიური.

ამ სიმღერებში შემონახულია ხალხის გულის ჭრილობები. ივიწყებენ, აღარ მღერიან? რას იზამთ, დეიდა ცირუ. დროება იცვლება. მოდის ახალი, სხვა სიმღერა.

შენს დღეშია ჩვენი მოხუცი ლოტბარიც. მარტო ვერ ავუვლიდით ძველი სიმღერების მოვლას. იგი ალბათ ახლაც დადის უზარმაზარ ფონოტეკაში, იქ, თბილისში, და დაეძებს ჰანგს დავიწყებულს, ან ისეთს, რომელსაც ივიწყებენ.

ჭირს მიგნება.

წინათ მის სიჭაბუკეში, ამ სიმღერებს გამოსცემდა ყველაფერი — ჭალა და სერი, ტყე და ყანა, ოდა და ქოხი...

ახლა ხშირად ყველაფერი ეს თვლემს ვიწრო, დახვეულ მაგნეტოფირებზე, ბეთჰოვენისა და ჩაიკოვსკის, მოცარტისა და ფალიაშვილის, შოსტაკოვიჩისა და ჰინდემიტის ქმნილებების გვერდით.

რაღაცით შემაშფოთებელია ეს გარეგნული ერთსახოვნება.

ძველი ლოტბარის თვალები მაშინ ინთება, როცა ძმაკაცების ხმას გაიგონებს. სანღროს „ურმულის“ გაგონება ერუანტელსა ჰგვრის...

კირილესა და რემას ხმები მოგონებებით ავსებს...

ავქსენტის ჩონგური სიყმაწვილის დღეებს ახსენებს...

შენც გმადლობთ, ცირუ, ძველი სიმღერებისათვის!..

ჩვენ ყოველდღე ვუსმენთ თბილისსა და პარიზს, მოსკოვსა და ნიუ-იორკს...

ვისმენთ ძალიან ბევრ სიმღერას, უცხოსა და ახალს.

ცირუს ჩონგურიც ღუღუნებს.

სულ ნუ დამადუმებთო...

მშობლიური ეზოებს ნუ დააყრუებთო.

ნვიმიანი ღღე

გაშლილ შავ ქოლგებს აცვივა ჭადრის ფოთლები, ფართო, — ყვითელი ფოთლები; აცვივა და ზედვე რჩება, ულონობით აცახცახებული, წვიმით დამბალი, ბედს დამორჩილებული.

ფერდობზე, ღობის გასწვრივ მოჩხრიალებს ნიაღვრად ქცეული რუ. მღერიე ნაკადი გაშმაგებით ეხეთქება ცომივით აფუებულ მიწაში ჩაგრეხილ ფესვებს.

ფესვებს შორის ოქროს ზოდებივით ყრია ყვითელი კომშები.

ტირის ცა.

ორღობეებში ტირილია.

უკრავს ორკესტრი.

ეს მუსიკა აქ საშინელი სევდის მომგვრელია. არა იმიტომ, რომ სევდიანია, — უღმერთოდ ცუდად უკრავენ და იმიტომ. მას დაუკარგავს პირვანდელი აზრი, როგორც ტირილის მთელ ამ წარმართულ მისტერიას.

უმწეობად ჩანს ზარი და მოთქმა, რო-

ილია რურუა
ნვიმიანი კოლდი

ეროვნული

ცა ასე იცრემლება ზეცა; როცა ქარი არიგებს ყვითელ სადარბაზო ბარათებს; როცა ასე მარტო დგას ნისლში შეცურებული მარტვილის თეთრი ტაძარი.

მარად ახსოვხარ, ტაძარო!

განა შენს საკუთხეველთან არ წაუკითხავს „საყურე“, ხმამაღლა, დედოფლის ძვალთა შესაჯრეოლებლად... შენ შეგფარებია მისი ბავშვობის ჩვენებანი.

კვლავ მოუვლინე იგი!

და ამ გადარეულ ამინდში ის წავიდა ამ ჩვენებათა სახილველად თავის კარგ და მყუდრო დედულეთში, ოდესღაც მოვლილ სანახებში.

აი, ისიც, ნასახლარი!

აღარა დგას ტოტებგაშლილი ჭადარი, ჯარგვალს სასახლედ რომ ჰენდა.

მიწაზე ყრია გვიმის ნამსხვრევები, მივიწყებული ტვიფრით. ჭის თავზე აწყვია ხმელი ფიჩხი.

თავთავებს ხრის ღომის ყანა.

საიდან?!

ბათმანში თუ ჩარჩა ბებიას ხვავრიელი მარცვალი და ვიღაცის მადლიანმა ხელმა მოაპნია მიწაზე, რომ სულ არ გადაგვარებულიყო კოლხური მიწის მშვენება.

ქვევით, ფერდობში, ცხენმა დაიჭიხვინა.

სადა ხარ, რემას ჩამორჩენილო ბედაურო?! შუბლი აჩვენე.

არა, შენ არა ხარ იმ რემისა. იმ რემის ცხენს თეთრი ნიშანი უნდა ჰქონდეს შუბლზე, ასხის მთის თეთრი ნიშანი.

ვერც ასეთი მორჩილი და თავჩაქინდრული იქნება, ფეხით პალოზე მიბმული.

მის ბიძებს ჰყავდათ ამაყი და ურა ცხენები.

სად წასულხართ, სად გაგიტაცნიათ თქვენი მხედრები?!

რად არ მიხედავენ ბაკურიას კერას, გული ვით უთმენთ?!

გადაშენებულა ნამყენი და კეთილი ხილი. ხურმის ხესღა შერჩენია ძველი პეწი. ისიც იმიტომ, რომ კაბაშია გამოწყობილი. კაცი უდიმის წითლად აფრაშვებულ ხეს, როგორც იმედს, ეხვევა, მკერდში იხუტებს.

ხე კი ოხრავს: „მე დავრჩი მარტო. მე და ის პანტა. და კიდევ ფესვდღეგრძელი ბროწეული... მაპატიე, ვერაფრით გიმასპინძლდებით... მაინც მიდით ბროწეულთან“.

ბროწეულიც უწვდის დალეულ-დამზრალ ნაყოფს, მორცხვად და მორიდებით...

სოფელში ტირილია.

ორკესტრი აწვალებს შოპენს.

ის კი დადის დიდი ხნის უნახავ მონატრულ ბიძაშვილებში, მამიდაშვილებში, დეიდაშვილებში... და არიგებს ნასახლარის ბროწეულებს, როგორც თილისმას.

მთები, მთები, მთები....

მთები ყოველთვის იტაცებენ მზერას.

მეუდამ გვაწვალებს სურვილი — გავყვეთ მის ბილიკებს, ვეწვიოთ მწვერვალებს.

მთები, მთები, მთები...

მთებში მიგვყავს ბავშვები. იქ არის გრილი და ჯანსაღი ჰაერი.

რაღაც სხვა ანდამატიც გვიზიდავს. დევების ხილულ მოლანდებაში ჩასძინებია პატარებს. შენ გამოდიხარ გარეთ და წამოწოლილი შესცქერი მთებს, მათს ფოსფორულ ნათებას ღამის წყვდიადში.

სრული მყუდროებაა...

მხოლოდ ჭრიჭინების ხმა, როგორც ყველგან...

ახლა, მას შემდეგ, რაც შენი ყური შეეჩვია დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა საცნობარებს, სხვანაირად აღიქვამ ამ პირველყოფილ ხმას.

თითქოს თვალნათლივ ხედავ, როგორ მიქრის ჩვენი პლანეტა ციური სამყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს უსასრულობაში, როგორ მიიკვლევს გზას ამ ხმით უთვალავ ვარსკვლავთა შორის...

ეს ახლა ჩვენი პლანეტის საცნობარია თითქოს...

მთები, მთები მთები...

კოსმოსის თაღებამდეც მათ აიყოლეს ადამიანის მზერა...

შესცქერი შენს პირდაპირ აღმართულ მდუმარე გოლიათს. ეს მთა დღის სინათლეზე კარგად გაჭეს შესწავლილი და ახლაც თითქოს ყველაფერს ხედავ მის მკერდზე.

თუმცა რა უნდა დაინახო.

ქვალია ცარიელი.

არც ხე, არც ბუჩქი...

არც კაცი, არც ცხვარი... არავითარი სულდგმული მის კალთაზე მოჭაჭანე... არწივებსაც დაუტოვებიათ, ნაკადულებსაც და წყაროებსაც.

ბაცი, არაამქვეყნიური სიმწვანის შუქი გადაჰფენია, როგორც აგონიით დანისლულ თვალებს.

ამ მთას მოუჭამია თავისი მილიარდწლიანი წუთისოფელი.

ახლა გარინდული რადაც დიდისა და გარდუვალის მოლოდინში.

ასე მგონია, ახლაც, ამ წუთებში ვარსკვლავებს ესაუბრება:

მე მოვრჩი... ისღა დამრჩენია, დაველოდო...

შორეულო ვარსკვლავო, ჩემკენ რომ მოჰქრი, დაახანე, დაახანე... კიდევ მილიარდი საუკუნეებით გადასწიე შენი სისხლიანი ორბიტის მოახლოება...

იქ, ქვევით, ჩემი კალთებიდან ჩახვეტილი მიწის ნამუსრევზე მოკალთებული პატარა სოფელი. იქედან მესმის აკვნების ჭრიალი და დედის ნანა, ბატკნის ბღავილი და ნაკადულის ჩხრიალი...

დაახანე, დაახანე, ვარსკვლავო!

განა მეშინია!

მთა ვარ უშიშარი და მზადა ვარ ჩემი ხვედრისათვის...

ის გახსოვდეს, ჩემი კალთებიდან ჩახვეტილ მიწაზე დასახლებულ-გახარებული პატარა სოფელი!..“

ასე ესაუბრება მთა ვარსკვლავებს.

იქნებ ჩვენ ვესაუბრებით...

მთები, მთები, მთები...

ბავშვობის პირველი სიმღერაც თქვენ გეკუთვნით, მთები!

ჭაღარა კაცის გულისთქმაც.

მთის შვილები ტანმაღლები და სულით ახოვანნი არიან.

ამას ყველაზე მეტად სვანები გვაგრძნობინებენ.

ქველად, გარხობილ თოვლთან ერთად ისინიც ბარისაკენ დაიძვრებოდნენ. მათი ოხეები გაყდენთილი იყო მაჩუბის სუნით. მათს დასვენებულ, შინაურთა ალერსით გამაძღარ მკლავებს ენატრებოდა საქმე.

ისინიც მუშაობდნენ დაუღლელად...

იძინებდნენ დეკემბერივით...

ჰამდნენ ხარებივით...

ურმებით წავიდნენ ნოსირში, რომ ოდისათვის მოეტანათ კრამიტი. ურმებზე ეწყო ხურჯინები, ხორაგით, ბევრი ხორაგით გატენილი, რადგან ურემს მიყვებოდა სამი სვანი.

შუა გზაზე რაღაც უთხრეს ერთმანეთს. შემდეგ მოირთხეს ფეხი და გამობერტყეს ხურჯინები. რაღა ხარებს წავაღებინოთო.

მათ აქვთ ბავშვის გული. ამაყიცა და ადვილად მოსანადირებელიც. ისინი რაინდები არიან, რადგან პატივს სცემენ ქალს.

მთის მეუფეს დალის...

ქვეყნის დედას — თამარ დედოფალს...

უკანასკნელი დადია — დედოფალი ეკატერინე რომ გარდაიცვალა, მარტვილის ტაძრისაკენ მიმავალ გზის ორივე მხარეს სვანები ყოფილან ჩამწკრივებული.

როცა დედოფლის კუბო გამოჩნდა, ამ ბრგე ვაჟკაცებმა, თურმე, მუხლები მოიყარეს და მთებივით დაიგუგუნეს.

მთები, მთები, მთები...

იქ, მთებში ცხოვრობენ სვანები...

იქ ფრენენ არწივები...

მთები ბავშვობის უკვდავ ჩვენებათა სავანეა.

ილია რურუა
მწვანე კორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო დილა, რომლის ნახვა ასე სწყუროდა.

ცვარით აფუებული მიწა...

მდინარის სარკეს ასხლეტილი, ჭალის სურნელებით გაჟღენთილი სიო...

ტყის ხუჭუჭა ტევრის სიღრმიდან დაძრული ხმები...

ყველაფერი ეს იყო ცხადად ახდომა რაღაც საოცრად ნაცნობისა და მივიწყებულის, შორეულისა და მონატრებულის...

აი, ის დილა!

სალამი, სიჭაბუკევ!

გაჭაღარავებულ თავზე გადაისვა ხელი და ხარბად შეისუნთქა შშობლიური ეზოს გამაბრუებელი სურნელება. მკერდში რაღაც მიინგრა-მოინგრა თითქოს და მთელი სხეული აიტაცა სანეტარო სიმსუბუქემ. ამ სიმსუბუქის ნაკადი თანდათან ყელს მიეჯინა.

— მღერის!

— უსმინეთ! — აივანზე გამოცვივდნენ სუფრას შემორჩენილი სტუმრები.

ღვინო სულაც არ სწყუროდა, მაგრამ დაიძახა:

— ჭანტუ, მაგიდა!..

ცაცხვის ძირში გაიშალა პატარა მაგიდა, სიამტკბილობისა, სიყვარულისა.

მოხდა მოსახდენი. ყველანი ერთად არიან, როგორც იქნა თავი მოიყარეს რამდენი წლის შემდეგ.

„არც ისე მოტეხილია სილოვანი, როგორც მეგონა, — ფიქრობს თავისთვის. — ტრიფონსაც არა უშავს... ჯონდი ხომ ყოველთვის ვარდივით იყო... ჭანტუ!... ჩვენი ერთადერთი და... ისევ ძველებურად მოუსვენარი...“

— ერთი სიმღერა წამომიწყე, თუ გიყვარდე! — მიმართავს დას.

ძმების მხრებზე თავისთავად იკვრება ჭკლავების ღობური. მათთან თანშეზრდილი ეგნატეს ანდრიც იქ არის, ბანის ღმერთი... ბაძუც!..

— აბა, ჭანტუ!

— ჰო, დაიწყე! — აგულიანებენ ძმები. დამორცხვებული ქალი დამჭკნარ ტუჩებზე ხელებს აფარებს:

— სუ, წიე, რა დროს ჩემი სიმღერაა!

— აბა, ჰე!.. ხუტოლი, ხუტოლი!

ჭანტუმ უცებ წელზე შემოკრული ფავშალი მოიხსნა, ძმებისაკენ გადმოიხარა, თვალები მიწკურა და დაიწყო:

— თვალი წერტილს რომ მიგიგავს,
წარბი კიდევ ძმიმესაო...

ჰო, ბიჭო, რა მოხდა, რომ იცოდეთ!

ცაცხვიც კი ჩაერია სიმღერაში. ტოტები დაარწია, ფოთლები ააშრიალა და ცვარი თავზე დააყარა მეინახეთ.

სიმღერის ჰანგი სიომ ალიტაცა, ჯერ ტყისაკენ ქნა პირი, მაგრამ გაახსენდა, კაცთაგან სულდგმული იქ ჯერ არავინ იქნებოდა. ისევ ჭალისაკენ, ყანებისაკენ გაექანა ეს კარგი, საყვარელი „ხუტოლი, ხუტოლი...“

კარგი სიმღერაა. მაგრამ თავად მომღერლებს, ცოტა უგემური ეჩვენათ შესრულება.

აა!.. იონას ანდროს ტენორი აკლიათ და იმიტომ!

ახსენეს ანდრო და დალიეს მისი შესანდობარი.

მეორედ უკეთესი გამოუვიდათ. მაგრამ ეჰ, როგორ დაამშვენებდათ ელიზბარის ხმა.

ახსენეს ელიზბარიც და ღვინის ჭიქებში ჩააწეს პური.

სიმღერის ეშხში შევიდნენ.

ეგნატეს ანდრის ბანი გოდრით იდგა პირდაპირ. ყოველი მხრიდან ახვევდნენ პირველს, მეორეს... არა და არა, ძვრა ვერ უყვეს, ვერ დაჯაბნეს.

— მოიტათ ჭრაქი! — ყველასათვის მოულოდნელად დაიძახა.

ეწყინა მზეს, ასეთი რამ რომ აკადრეს. თითქოს შეფრთხიალდა ცის კამარაზე და სხივები დააყარა და დააყარა ჭადრის ძირში მსხდომთ. მზემ როდი იცოდა, რაში იყო საქმე.

მოარბენინეს ჭრაქი. სადღაც ბნელში ნაგდები, მივიწყებული. ანთეს და ეგნატეს ანდრის დაუდგეს წინ:

— ახლა ვნახავ შენს ვაჟკაცობას!

ტენორი ისევ მიიწევს ტოროლას სილაღით მაღლა, სულ მაღლა. გვერდით მიჰყვება სხვა ხმათა მარაქა. ბანიც იბერება, იბერება, მაგრამ როდი იგუდება... ანდრის მკერდიც საბერველივით ადი-ჩადის. მის სუნთქვას თვალმონუსხული, განცვიფრებული შეჰყურებს ძველებური ჭრაქი...

რად იზნიქება წელში ცეცხლოვანი სვეტი, რად კანკალებს?..

ბრაზობს გულღვარძლიანი ჭრაქი. აფუტდა, ჭვარტლის კორიანტელი დაეყენა... ახალი ძალით დაეძგერა ანდრის მკერდიდან დაძრული ხმა-სუნთქვას. ჭრაქის ბოროტი ენება დაცხრა თიფრ-მიძინებულ-მისუსტებულმა კიდევ ერთხელ ჩაუპაჰუნა თვალი მზეს და... ჩაქრა.

— ყოჩაღ, ანდრი!

— ჰაი დედასა, სად გყავდა დროზე კაცი-პატრონი!

კიდევ ერთხელ იმღერეს „ხუტოლი“, „ხუტოლი“ სულ უნაკლოდ, სულ უზადოდ.

გაიხარა ცაცხვმა.

გაიხარა მშობლიურმა ეზომ.

გაიხარა ცვარდაყრილმა მარად მწვანე კორდმა.

ეპილოგი

ეს სიმღერები მესმის სექტემბერში.

შემოდგომის ხვავი ყოველი მხრიდან აწვება თბილისს.

ბარაქითა და დამათრობელი სურნელით სავსე ქუჩებში გვიან ღამემდე დეხეტებიან დარტიანებული, სოფლის ძეძუს ახლადმოცილებული ტალიკ-ტალიკა ბიჭები.

მათ დარდი უფრო ამღერებთ შეჩვეულთან განშორებისა, შეუჩვეველთან ჯერ კიდევ სათუო შეჩვევის იდუმალი შიში, და სულის შეუცნობელი შფოთვა რომ გააყუჩონ, ხელი-ხელგადახვეულნი მოდიან შუა პროსპექტზე და ფილტვების დაფხრეწამდე მღერიან გაშლილი სიერცეების სიმღერებს.

ისინი კვლავ თქვენ გამღერიან, მშობლიურო ქალებო და მთებო, მდელოებო და კორდებო!

არ ესმით ღამის ყარაულის სასტვენის ხმა.

არც ძილშეშფოთებულთა ბუზღუნი და ყვედრება.

— დაგვაცა! — იმუქრებიან სართულები...

ისინი კი არას დაგიდევენ. მოდიან, მოიმღერიან.

ეს ახალი, გაუჯანდრავი ხმები ემატება ჭაღარა დედაქალაქს და მის ძარღვებში აჩქარებს სისხლს.

აი თბილისის მარადიული სიახალგაზრდავის საიდუმლო. აი ჩვენი სინედლის ფესვი...

მიხარია ეს.

მინდა მარად დაუშრეტელად მოედინებოდეს ეს ხმები.

თქვენეულია, თქვენგან ბოძებულია, მშობლიურო ქალებო და მთებო, მარად მწვანე კორდებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი გვეღეესიანი

გ ე ლ ა თ ი

თითქოს უეცრად დამწიფდა სული
და დაიხარა, როგორც თავთავი —
საგალობელი მზემდე ასული
ხმათა სიმრავლით და სისადავით!
რა მოკრძალებით ბრწყინავს გელათი,
ქვათა სიმძიმით დამშვიდებული,
დავითის ლოდი, დავითის ლოდი,
ასე უბრალო და დიდებული!

შ ე ნ

შენ ისე მიკრეფ დღეებს,
როგორც გაბნეულ მძივებს,
შენ ისე მიწვდი ტყეებს
და სულს ღრმასა და მძიმეს,
რომ მე მგონია მზე ვარ
და ჩემი ცეცხლით თბები,
რიჟრაჟი — ჩემი მზერა,
სხივები — ჩემი თმები...

თამარ ერისთავი

შუადღე თეძამგე

თეძმის რიყეზე მზის სხივები ისე ეყარა,
როგორც კალოზე გასალეწი პურის თაველი,
რიყის გადაღმა — ლხინი ჰქონდათ ჭრიჭინობელებს,
გაბმით ისმოდა ხეობაში მათი ჭრიჭინი.

ციხე-კოშკების სქელ კედლებში შეხიზნულიყვნენ
ისტორიის და ლეგენდების გრძელი ჩრდილები,

გამომწყვდეული მზის სხივების ასკეც ალყაში.
ჩრდილის კალთები ხეობამაც აიკაპიწა
და ერთიანად გააშიშვლა ტანი თეძამის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგა შუადღის მცხუნვარება პურის ყანაში
ძველ ეგვიპტიდან ჩამოსული ოზირისივით;
იდგა შუადღის მცხუნვარება პურის ყანაში
და ტანშიშველი მიდიოდა მზეზე თეძამი.

ნუნუ კერესელიძე

□

შრომა, სიზმრები,
ფიქრი, ცრემლი,
ნატვრა, ოცნება
დაუსაბამო,
ადამიანო, მოდი ჩემთან, ზღვებში, მინდვრებში
მე დაგიკოცნი ლამაზ სხეულს,
შუბლს გაგიგრილებ,
შენ მილალავე, ვით ყრმას უსუსურს;
რომ დიდხანს, დიდხანს მაოცებდნენ ხელები შენი.

□

ივნისი როგორ მომბეზრდებოდა,
რომ წავიდა და ფერი ეცვალა,
ივნისი როგორ მომბეზრდებოდა,
ხელიდან რატომ გამომეცალა.

მას დავიწყების მტვერს არ ვაკარებ,
მჯეროდეს მისი, ჩემი მცნებაა,
იგი წავიდა, კი არ გამქრალა,
ის მაინც ჩემი ფუფუნებაა.

□

ვზივარ და ვისმენ ჩემი ბანიდან
იასამნის და ჩიტის სიმღერას,
აფრინდა, ჩიტი იასამნიდან,
და ნაღვლიანად ტოტი ირხევა,

გული თუ დასწყდა წმინდა ყვავილებს,
რტო ხელებს უქნევს ფრინველს
გაფრენილს,
დილაა ჩუმი და ცის არილზე
მიდი-მოდიან თეთრი აფრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან მკერვალიშვილი

□

შენ წახვედი და ჩემთან დასტოვე
ლხენაც, წუხილიც, სითბოც, სიცივეც...
და ჩემთან დღეთა დიდი დასტური,
ამ ცხელ გულიდან ვერ მოგიცილე.

შენ დარჩი ჩემში შუადღის სიცხედ,
შენ ჩემში დილის სიგრილედ დარჩი,
წყნარიც და შმაგიც, დინჯიც და ფიცხიც...
ცეცხლივით მანთებ ავდარშიც, დარშიც.

შენმა ლოდინმა როგორ დამღალოს,
დგახარ და გრგვინავ მთების ხარხარად,
ჩემში გაშლილხარ უკვდავ სამყაროდ,
ტრიალ მინდვრად და წარმტაც ბაღნარად.

იზა ორჯონიკიძე

დაბადება

დამიმახსოვრე,
ხვალ ასეთი აღარ შეგხვდები.
ხვალ თამამ სხივებს
ჩემს თითებზე მოვდრეკ ბეჭდებად,
ხვალ უსათუოდ, უსათუოდ
მეტყვიან დები:
„ბედნიერი ხარ!“
და არავინ არ შეეჭვდება.
რომ ჩემს თხელ თითზე
მზემ იპოვა ფერი თავისი
და როგორც ფოთოლს,
მეც მომთხოვა ჩრდილი და წყალი
და როგორც ფოთოლს
ერთადერთი ერგო მაისი;
მე ისევ ვიყავ შენი ხვედრი
და შენი ცალი...
დამიმახსოვრე,
წაქცეული ირმის თვალებით
მოგაჩერდები, არგარდასულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადისს, ვიდრე
შენა ხარ ფერი შესატყვისი,
ფერი წვალების,
შენა ხარ ბგერა გათიშული
და მუხლებს გიდრეკ.
და ვიმახსოვრებ:
დათვლილ წამებს გააქვთ ჩხრიალი,
კაკლის გულივით თეთრია და სუფთა საფენი,
ბალახს რძე უვლის,
და უკრეფი ბაღი წრიალებს...
და წვდომისათვის კარდახსნილი
ჩანს ყველაფერი...

უკანასკნელად მეცვა წითელი,
ღია წითელი, თეთრი კოპლებით
და ჩიტებისგან ამოკენკილი
ბალი და თუთა,
მახსოვდა იყო ძალიან ტკბილი,
ეზოში ქარი არხევდა თუთებს,
და მეზობელი, გამხდარი გოგო
თავის ჭრელ კაბას, მოკლე კაბას
თოკზე კიდებდა,
იდგა ქალაქის მუქი კედელი,
იდგა ჩემს თვალწინ აუმღვრეველი,
ისეთი ცხადი, ვით შეგრძნება
მოკვეთილ ტერფის
შენ გაოცებდნენ ჩემი თვალები,
ვით შორეული ვარსკვლავთაცვენა
და არ შეგეძლო, არ დაგენახა,
უკანასკნელად მეცვა წითელი,
როცა კალათში ჩამიყარე
მწიფე მტევნები,
და მზის ლაქებით მომიჩითე
მთელი სხეული...

და მე მომქონდა ჩემი სხეული,
ჩემი ლამაზი, სავსე სხეული,
როგორც ციბრუტით დაღლილი ბავშვი.
და მიწაც იყო შიშიც და დახსნაც,
როგორც აღთქმული ვიწრო საწოლი,
რომელსაც ჩემი ნებით დამაკრეს...
და მეც, მის ტანზე გადამხობილი,
ბალახს ვფხოჭნიდი,
გწყევლიდი — მწამდი,
მხოლოდ იმისთვის, რაც არ ყოფილა
იმ კვიცისთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწიდან — ცამდე,
რომელსაც სახელს მერე ვუძებნით,
რომელსაც სახე ეშნება მერე,
და იმ წუთიდან, თეთრი ტუნების,
ჩემი უკვდავი სხეულის... მჯერა.

ბელა შალვაშვილი

ამ გზებით

ბევრს გაუვლია ამ გზებით,
ახლაც დადიან მრავალნი,
ზოგი მარტო და აღგზნებით,
ზოგი კი — ავანჩავანით.
ბევრისთვის გზაა ეს დიდი,
ბევრისთვის ვიწრო სავალი...
ვინ როგორ მიდის, სად მიდის,
აი, ეს არის მთავარი.

მთვარის სონატა

ეს... ვინ დაარქვა სონატა მთვარის,
მსურს გახსენება და ვერ ვიხსენებ...
დაწერა თვითონ და დაისვენა
მე კი ვისმენ და ვეღარ ვისვენებ.
ვისმენ და... მერე დიდხანს ვისვენებ,
ვეღარ ვისვენებ — ვისმენ ისევე...
რატომ დაარქვეს სონატა მთვარის,
მსურს გახსენება და ვერ ვიხსენებ.

ლალი ჯაფარაშვილი

თივით დავხურავ
პატარა ქვიტკირს
და ღრანტეებში
დავიდებ ბინას,
როგორც ბუდისთვის
ჩიორა ჩიტი —
მიწას და ბუმბულს
მოვზიდავ ფრთხილად,
ჩემს სათქმელს მაინც
ვერავინ იტყვის,
ყველას თავისი
სათქმელი სტკივა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამაზ სიხარულს დავუდექ მეხრედ,
ვცადე დიდებულ ფერთა გარჩევა, —
ცა რომ აგზავნის ათასში ერთხელ
მიწაზე — კაცის გადასარჩენად.

დღეს სიხარული თვით მიდგას ჭიგოდ
და რა ნათელიც ნახეს თვალებმა,
ახლა მე უნდა ჩამოვარიგო
ბღუჯა-ბღუჯა და დაუნანებლად!

ზიხარ, ყურს უგდებ
ძველისძველ ამბავს
და მორიალე
ვერცხლისფერ წვიმებს,
არაფერს ამბობ,
გადუმებს. გტანჯავს
ჯავარიანი
სიტყვის სიმცირე.

მაგრამ ყველაფერს
თავისი დრო აქვს
და სიზმარეთში
ხანდახან ხედავ, —
განათებული
ბზის ტოტი მოაქვს,
ბუმბულდაწმენდილ
ღუღუნა ქედანს.

ხ ვ ა ლ...

ხვალ, ვიცი, ფაფუკ
ფიფქით დაათოვს,
მიწას და ოდებს,
ცადაწვდილ თხმელებს, —
შენ არ ამიხსნი
რისთვის და რატომ,
უბრალოდ მოხვალ
და დამიჩემებ.

თვალში იების
ღიმილს აინთებ,
მაღალ სარკმელთან
დადგები ფრთხილად
და მიუმატებ
ღაბუა ჩიტებს
ჩემი ოთახის
შეორთქლილ მინას!

ბავშვთა საავადმყოფო

ფრთხილად! —
აქ სძინავს ნასიცხ ენძელებს,
ფერგამკრთალ იებს...
თეთრი ღრუბლები კი ისე მშვიდად დაფარფატებენ
ენძელებს შორის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრთხილად, —
მათ აკრთობთ ნიავის სუნთქვაც,
ქუთუთოებზე აწევთ სიმძიმე!
თეთრი ღრუბლები კი ისე მშვიდად დაფარფატებენ
ენძელებს შორის...
თეთრ ღრუბლებს მოჰყავთ კეთილი წვიმა
და ენძელები ნელა-ნელა ახელენ თვალებს...
დიდი მადლობა, კეთილო წვიმავ,
დიდი მადლობა, თეთრო ღრუბლებო,
ფრთხილად, ო, ფრთხილად,
ენძელები ახელენ თვალებს!

ელიზო ბურღინოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვალ ჩეი დასაბამის ღრეა

მოთხრობა

სტადიონს რომ ამოვცდით და აღმართი ამოვთავეთ, ქალაქს გავხედე. შორიდან იმაზე დიდი მომეჩვენა, ვიდრე სინამდვილეში იყო. თვალით მოვძებნე ინსტიტუტის თეთრი შენობა და მის წინ გაწოლილი ენგელსის ფართო, სწორი ქუჩა. წელიწადში ორი თვე — გაზაფხულსა და შემოდგომაზე — სესიები რომ დაგვეწყებოდა, ამ ქალაქში მიხდებოდა ცხოვრება.

სტადიონი თვალს რომ მიეფარა, მაშინღა მოვაბრუნე თავი და გზას გავხედე.

— მოგეწყინა? — მკითხა გოგიმ.

— პირიქით, ისეთ გუნებაზე ვარ, გული უნდა გაგიწყალო.

— დაიწყე.

უცბად მომასკდა სიხარული. ისე უცბად, რომ გავიფიქრე, ნეტა რა მიხარია-მეთქი? და მაშინვე გზის ორივე მხარეს მწკრივად ჩაყოლებული ალვის ხეები დავინახე. ერთიანად გადაყვითლებულები იდგნენ და შემოდგომის ჩვეულებრივი მკვდარი ფერი კი არ ედოთ: თითქოს სუნთქავდნენ, იცინოდნენ; ლაპარაკობდნენ და ხელებს იქნევდნენ. მერე ის ყვითელი ფერი გზასაც გადაედო, ტყის პირსაც და ცემენტის იმ თეთრ ბოძებსაც. გზის პირას რომ იდგნენ და წესრიგის დამცველებივით იჯგიმებოდნენ.

ოქტომბრის ბოლო იყო და მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა. მთელი ოქტომბრის თვეც ასეთივე თბილი და მზიანი იყო, ერთხელაც არ გაწვიმებულა. სულ გადაიტრუსა და გადაყვითლდა ყველაფერი. მხოლოდ კომშის ხეები იდგნენ მწვანენ. რომელ სოფელშიაც არ უნდა შესულიყავი, გზის პირებზე სულ კომშის ტოტები გეჩხირებოდა თვალში, ყვითელი, ბუსუსიანი ნაყოფით იყვნენ დახუნ-

---

ჟურნალ „ცისკრის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მოთხრობამ მიიღო მესამე პრემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლულები. რომელიღაც სოფელში — მგონი ტყვიავი იყო — შარავალჩაჩაჩულმა ბიჭმა ეზოს წინ ხიდან ჩამოვარდნილ კომშს ხელი დაავლო და ჩვენს მანქანას გამეტებით ესროლა. მერე გაბარუნდა და ეზოში კისრისტეხით შევარდა. ერთ სოფელში კიდევ — გორამდე ხომ ყოველ კილომეტრზეა სოფელი, ლამის ერთმანეთს არიან გამობმულები და სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე, ვერ გაგიგია — ეზოსთან ჩითისხალათიან ბიჭს ყურძნის აკიდო ეჭირა. გოგომ სვლა შორიდანვე შეანელა, ბიჭი მანამდე მოსწყდა ადგილს, სანამ მანქანა გაჩერდებოდა და აკიდო მომირბენინა. ფრთხილად შევეხე ყავისფერ ტოტს, მაგრამ მაინც გასცვივდა მტევანს მარცვლები. დანით საგულდაგულოდ დასერილს ჰგავდა ტოტი. ზედ შემომჭკნარი და უკვე გამხმარი ფოთლებიც ჰქონდა. ორი დიდი, სავსე მტევანი ერთიანად იყო ჩაყვითლებული და მარცვლებდატენილი. ხელი შევახე თუ არა, მაშინვე ვიგრძენი ტკბილი გემო პირში, ისეთი ტკბილი, ყელს რომ დაგწვავს.

— რა ღირს? — ჰკითხა ბიჭს გოგომ.

— მანეთი, —ბიჭმა მანქანას წინიდან შემოურბინა და ახლა გოგის გვერდით გაჩერდა.

— მანეთი კილო ყურძენიც არ ღირს.

— კილოზე მეტია.

— ორმოცდაათ კაპიკს მოგცემ.

ბიჭი ჯიბეში ხელებჩაყოფილი იდგა. ჭრელი ხალათის სახელოები მაჯებამდეც ვერ სწვდებოდა.

ბიჭმა თავი გაიქნია და ჯიუტად დაიცქერდა გზას. მანქანები აუვლიდნენ და ჩაუვლიდნენ, ის კი იდგა და გზას გასცქეროდა.

— არც მანეთ-ნახევარი გინდა?

— არ მინდა! — გოგისათვის არ შეუხედავს, ისე უთხრა ბიჭმა.

გოგომ მანეთიანი მისცა და ბიჭი მაშინვე გაიქცა.

— შენც ჭამე, — ვუთხარი გოგის, მანქანა რომ დაძრა. ცალი ხელი შუაჩაწეულ კარზე ედო, იდაყვი გარეთ ჰქონდა გადაყოფილი.

— ჯერ არ მინდა.

— სცადე, იქნებ მოგინდეს, ისეთი ტკბილია, სულ შემომეჭმევა.

— არა, არ მინდა!

— უმადობა როდისა გეჭირს ხოლმე, გოგი?

— როცა ბევრს ლაპარაკობ.

— როცა ანგინა გაქვს, მაშინ არა?

— ჰო, მაშინაც.

— საწყალი გოგი!

●

— საწყალი ქსანი — ვთქვი მე. ქსანი ხმაურით მიქშუოდა და მდგრეე ტალღებს მიაქანებდა, — სულ მიდის და მიდის.

— რამ გაასაწყლა? — გაიცინა თემომ.

— საწყალი მაშინ იქნება, ერთ ადგილზე რომ იდგეს.

— მაშინ არ ვიცი, იქნება თუ არა.

— ეტყობა, ზემოთ უწვიმია, — თქვა თემომ, — კარგი სათევზაოა ახლა.

ხიდზე ვიდექით და ქსნის დატტვილ კალაპოტს გადავცქეროდით. წყალს სულ ჩამოეხრამა ნაპირები. ხმელი ტოტები და ნაფოტები მოჰქონდა.

ხიდი რომ გადავიარეთ და პატარა ბორცვზე ავედით, მთელი ხეობა ხელისგულივით გადაგვეშალა. ნაპირებს ვაშლისა და კაკლის მწვანე ბაღები ჩასდევდა; იმ ბაღებში რიგზე ჩაყოლებული სახლები იდგა, ბაღებს უკან დაბალი, ეკლიანი ბუჩქებით დაფარული მთები აზიდულიყო. ის მთები სამების ლურჯ კლდეს სიმაღლით დაეჩაგრა. ბილიკი ტყეს რომ შეჰყვა, ერთბაშად გვეცა სიგრილე. ფეხი შავ მიწაში გვეფლებოდა. პატარა ღელე თავისთვის წყნარად მიბუტბუტებდა და ქვემოთ, ბორცვთან იკარგებოდა. იმ ღელისპირს ავყევით. რაც უფრო მაღლა ავდიოდით, შარშანდელი და ალბათ შარშანწინდელი ჩამონაცვენი ფოთლები უფრო სქელად იდო და მიწა აღარც ჩანდა. მზის სხივები აქამდე ვერ აღწევდა. ფოთლებზე ფეხი გვიცურდებოდა.

მთაზე აღარ ავსულვართ. ერთი პატარა, გაშლილი ადგილი ვნახეთ და იქ, უზარმაზარი მუხის ძირას დავსხედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლა ტოტებად დაღარული ქსანი მიდიოდა და თეთრ ზოლებს აჩენდა. ჩვენამდე აღწევდა მდინარის შხუილი. გაღმა, მთის ძირში გადიოდა გზა, თვალი გავაყოლე და კარგა შორს გავწვდი. ძნელად შესამჩნევი იყო, ბუჩქები ფარავდა. არ ვიცოდი, სად მიდიოდა ის გზა და თემოს ვკითხე.

— მთებში, — მითხრა თემომ. — ზეკით არ ყოფილხარ, მაიკო? უნდა წაგიყვანო ლარგვისში. ბებია მყავს იქა, ალერსიანი, კეთილი ქალია, ტყეში უდგას სახლი.

თემომ ბალახზე გაშალა გაზეთი და ნეიღონის ბადიდან ძეხვი და ხაჭაპურები ამოალაგა.

— ესენი დეიდა ვერამ გამომატანა... ნისიად.

ღვინის ბოთლს თავზე წითელი ქაღალდი შემოხსნა და საცობი დანის პირით ამოიღო. მე სქელ ჭიქაში დამისხა ღვინო, თვითონ კი მადღეგრძელა და ბოთლი მოიყუდა.

მზეს ვერ ვხედავდით, მაგრამ ვგრძნობდით, რომ სადღაც ჩვენს თავზე იდგა. ზოგჯერ ნიავი წამოუბერავდა და მუხის ტოტებს აშრიალებდა. ტყე რაღაცნაირად გარინდულიყო. ხანდახან ჩიტი ჩიტს თუ გადასძახებდა. ასე მეგონა, თვალს გვადევნებდნენ და როცა დარწმუნდებოდნენ, არაფერს ვუშავებდით, ერთმანეთს ამხნევებდნენ, ნუ გეშინიათო.

— ლექსი აღარ დაგიწერია, მაიკო?

— ახლა რომანებსა ვწერ. ლექსებს ბავშვობაში ვწერდი.

თემომ გაიცინა. თავი ჩემს კალთაში ედო და ქვემოდან ამომყურებდა.

— შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, მაიკო.

— რამდენი ხანია, ვიცი.

— არ გეხუმრები, სრულებით არ მბეზრდება შენთან ყოფნა.

— არც მე.

— აუცილებლად წავიდეთ ლარგვისში. მთაშიც წავიდეთ. ხომ წამოხვალ?

— წამოვალ.

— გიყვარვარ, მაიკო?

— ძალიან.

— მაკოცე.

დავიხარე და შუბლზე ვაკოცე.

— ხელი ლოყაზე დავადე და ვიგრძენი, ცივი თითები მქონდა. თემო წამოდგა, ჩემს წინ მუხლებზე ჩაიჩოქა და ხელები მხრებზე დამადო.

მერე მოლზე გულაღმა გადაწვა, ხელი გაიწვდინა და ისევ გადასწვდა ბოთლს.

— ყველა პატიოსან გოგოს გაუმარჯოს ქვეყანაზე!

— განა ყველა პატიოსანი არ არის?

— ყველა არა, — სიგარეტს მოუკიდა, — სანამ სულ არ მოსწევდა, ტუჩებით ეჭირა ხოლმე. ბოლს თვალები რომ არ აეწვა, ხშირ-ხშირად ჭუტავდა, — იცი, მაიკო, როგორღაც იოლად უყურებენ ახლა სიყვარულს.

ხეს მიყრდნობილი ვიჯექი და ცას გავყურებდი. ღრუბლები უძრავად გაწოლილყვნენ და დასაჩეჩი მატყლის გროვას ჰგავდნენ. მზე ჩადიოდა.

— ხელი როდის მოვაწეროთ, მაიკო?

— რა ვიცი, თუ გინდა, სულ ნუ მოვაწერთ.

— ოჯახიც ხომ გვინდა.

— რაღაც მეტისმეტად სავსეა ეგ სიტყვა, მეტისმეტად დიდი და სავსე.

— არ გეშინია?

— არა. ვიცი რომ კარგი ცოლი ვიქნები და არ მეშინია. კარგი ცოლი და დედა. მე თვითონ მთელი სიცოცხლე იმას ვნატრობდი, დედა მყოლოდა.

— პირველი ბიჭი გვეყოლება თუ გოგო?

— გოგო.

— თეთრი და ქერაკულულებიანი, ხომ?

— მაიკოს დავარქმევთ.

— მაიკოს კი არა, ქეთევანს, ან ხათუნას. მაიკო ახლოლოდ შენ იქნები.

მზე მთების იქით რომ გადავიდა, ბილიკზე დავეშვით. ზვარეზე ვენახს ბუღი ასდიოდა. საურმე გზამდე ფეხით ვიარეთ. ქათმების ფერმასთან თვითმცლელი წამოგვეწია და გაჩერდა. სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო მძღოლი, ისეთი ახალ-

---

ელიკო გურდიფოვა

ხვალ ჩემი დაბადების დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდა, გამოკვირდა კიდეც, ამას როგორ ანდეს მანქანა-მეთქი. კაბინის კარი გამოაღო და გვითხრა:

— წადიყვანთ.

კაბინაში ჩავსხედით, თემო ბიჭის გვერდით, მე — ფანჯარასთან.

— აბანომდე ჩაგიყვანთ, — გვითხრა ბიჭმა. — კირი მიმაქვს.

ძანქანა დაღმართზე დაეშვა, რიყეზე გავიდა და ფიცრული ხიდი ნელა გაიარა.

— მეთივ გზობაა დღეს, — თქვა ბიჭმა, — აბანოს რემონტი დაიწყეს.

ბიჭს მარტოობით გული ჰქონდა გაწვრილებული და ლაპარაკი უნდოდა.

— საუცხოოდ გავატარე დრო, — ეუთხარი თემოს, მანქანიდან რომ ჩამოვედით, — კიდევ წავიდეთ.

— მთა უფრო მოგეწონება.

— როდის წავალთ მთაში?

— როგორც კი შვებულებას მომცემენ.

— როდის მოგცემენ მერე?

— მალე. მთელ ორ კვირას და უფრო მეტსაც ვივლით მთებში თუ რამემ არ შემიშალა ხელი. მოსკოვში მიპირებენ ექვსი თვით გაგზავნას.

თბილი საღამო იყო. ხალხი სეანსის დაწყებამდე ალვის ხეივანში დასეირნობდა. ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებზე ხმამაღლა იცინოდნენ. გოგოები ჩქარი ნაბიჯით ჩაივლიდნენ ხოლმე, თითქოს სასეირნოდ არც იყვნენ გამოსულები. ხის ძირას კაცი იდგა, ცალი ხელით ოთხთვალა ეტლს არწევდა, მეორეში გაზეთი ეჭირა და ელექტრონის შუქზე კითხულობდა.

— რა მახარია, ზაფხული რომ მოვიდა, — ვთქვი მე.

ჯარისკაცმა ჩაგვიარა. ჩექმების ჭრაჭაჭრუჭით მიდიოდა, ალბათ შვებულებიდან ჩამოვიდა-მეთქი, გავიფიქრე.

— შენ ხომ არ წახვალ ჯარში, თემო?

— შენ თუ არ გამიშვებ, არ წავალ.

კინოსურათი რომ დამთავრდა, ლიამ და შოთამ გაგვისწრეს. შოთა თავისებურად შარვლის ჯიბეებში ხელებაწყობილი, მხრებაწურული მიდიოდა. რომ ჩაგვიარეს, ჩვენს გასაგონად წაიმღერა:

ბედი, რომელიც მე არ მეღირსა,
ქარს მიჰყვებოდა, როგორც [illegible]
რი...

თემომ შოთას გააყოლა თვალი.

— ჩვენი სკოლელია, შორიდან ვიცნობ, — ეუთხარი თემოს, — ორი კლასით ჩემზე წინ იყო; ჩანთას მტაცებდა ხოლმე, ერთხელ კლასის ხელმძღვანელს შევჩივლე და სულ მემუქრებოდა მერე.

— ჩემი ეჭვიანი გოგო, — მომეფერა თემო, — ღამე მშვიდობისა.

ორივე ხელი კისერზე მოვხვიე და ლოყაზე ვაკოცე.

— ჩემო პატარა! — ჩურჩულით მითხრა თემომ.

ვიდრე მოსკოვში წავიდოდა, ყოველდღე ვხვდებოდით. გვიანობამდე ვისხდით ერთ ამოჩემებულ სკამზე სკვერში, სამაგვარ სახლის ახლოს რომ იყო. იქიდან საზაფხულო კინოთეატრში ახალი ფილმის საყურებლად მივდიოდით, ან სულაც ქუჩებში დავეხეტებოდით და ათასგვარ რამეზე ვსაუბრობდით.

ივლისის ბოლოს წავიდა. ცხელი საღამო იყო, ნიავიც არ იძვროდა.

— შენ იცი, მაიკო, რა ჭკვიანად იქნები, უჩემოდ არ მოიწყინო. საცაა ავტობუსი გავა და ჯერ არ გაგიცინია, სულ ასე დაღვრემილი მეხსომები.

თვითონაც დაღვრემილი იყო. დაძრული ავტობუსს შეახტა, ავტობუსი რომ წავიდა, თემო კიბეზე იდგა და მიყურებდა. გაიცინა, ხელი დამიქნია, მეც დავუქნიე ხელი. ავტობუსმა სულ ჩაათავა გრძელი ქუჩა და რომ მიუხვია, მაშინღა გამოვბრუნდი. გზას სკვერისაკენ მივყვებოდი და მიკვირდა, ადამიანები რომ მხვდებოდნენ და ქალაქი სულ მოლად არ დაცარიელდა.

ხის ძირას სკამზე ვიჯექი. მზე ჩადიოდა, რკინის მესერს მიღმა ბავშვების ყრიამული ისმოდა. მერე ბაღში შემოცვივდნენ და ერთი სიცილ-კისკისით ჩაიარეს. სახეზე ჯერ კიდევ ვგრძნობდი თემოს ტუჩების სითბოს, აკაციის ტოტზე უდარდელად ჩამოსკუპებულ ბეღურას შეეყურებდი და ვფიქრობდი, სულაც არ მეტირება-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოთხრობის დაწერა კიდევ არ გიცდია, მაიკო? — მკითხა გოგომ. მანქანა ძველ, კედლებჩამონგრეულ ციხეს გამოსცდა და მე გავიფიქრე, იგოეთს უკვე გამოვცდით-მეთქი.

— უნივერსიტეტში რომ მოვეწყობი, მაშინ ვცდი.

— მანამდე უნდა სცადო. წინასწარ ვარ დარწმუნებული, კარგ მოთხრობას დაწერ.

გოგომ პირში სიგარეტი ჩაიდო და ასანთი იმ ხელში დაიჭირა, რომლითაც საჭეს მართავდა. მერე თავისუფალი ხელით ერთი ღერი ამოიღო და გაჰკრა.

— აუცილებლად უნდა სცადო, მაიკო. კარგ რამეს დაწერ, ამის თავდები მე ვარ.

იმ ხანებში ქალაქის გაზეთში მოზრდილი ნარკვევი დამიბეჭდეს და გოგი ძალიან ამაყობდა იმ ნარკვევით.

— ადრე მეც მეგონა, კარგ რამეს დავწერდი, — ვთქვი და გავიღიმე. ამ წუთში თვალწინ დამიდგა ჩემი თავი. ვიღიმებოდი და თვალებში ცრემლი მქონდა. გოგი ვერ იტანდა ამ ღიმილს.

— ტირი, თუ იღიმები? — მკითხა ერთხელ. სპავშვო სახლის ახლოს სკვერში ვისხედით და მე სკამის საზურგეზე მედო ხელი. ვიღიმებოდი და გოგის ვუყურებდი თვალებში. მერე ლოყაზე ცრემლი ჩამომგორდა, ნიკაპთან მოწყდა და სკამის საზურგეს დაეცა. „ნუ, მაიკო,“ — მითხრა გოგომ და თავზე ხელი დამადო.

გოგომ სიჩქარეს მოუმატა. მანქანა რბილად და კოხტად მისრიალებდა სწორ გზაზე, უკან მოიტოვა გზის მანიშნებელი, რომელზედაც ეწერა „85“; თეთრმოჯირითანი ხიდი, რომლის ბოლოში პატარა, მწვანე ხვიარათი დაფარული ფანჩატური იდგა.

●

საცხოვრებლად ნანასთან გადავედი. ნანა ქალაქის ბოლოს, ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდა. თხუთმეტ მანეთს იხდიდა თვეში. მშვენიერი ოთახი კი იყო, დიდი, ფართოფანჯრებიანი. აივანიც ჰქონდა. ნანა დილით, რვა საათზე დიოდა შინიდან, რომ ცხრამდე იკოთში ასვლა მოესწრო. იქ, საშუალო სკოლაში პიონერხელმძღვანელად მუშაობდა და თან მუსიკალურ ტექნიკუმში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა.

სპავშვო სახლში გასაცილებელი საღამო მომიწყეს. ნანასაც მოუწყეს გაცილება და ყველასაც უწყობდნენ ხოლმე, ვინც სპავშვო სახლს ტოვებდა და ცხოვრების დიდ გზაზე გამოდიოდა, მაგრამ ჩვენი კავშირი სპავშვო სახლთან ამგვარი გაცილებით არ წყდებოდა. დირექტორი ბედის ანაბარად არ მიგატოვებდა არასგზით. ივლიდა რაიკომში, აღმასკომში, საბჭოში, და, ვინ იცის, კიდევ ვის აღარ შეაწუხებდა, ვიდრე გულს არ დაიარხეინებდა, რომ სპავშვო სახლში გაზრდილი სწორ გზაზე დააყენა. სანამ თვითონვე არ დაიანგარიშებდა, ეყოფოდა თუ არა თავისი ხელფასი ჩვიდმეტი წლის გოგოს ბინის ქირის გადასახდელად, საკმლისა და ტანსაცმლის შესაძენად. მერე სხვა გამოჩნდებოდა დასაბინავებელი და სპავშვო სახლიდან გასაცილებელი, მერე კიდევ სხვა და ასე დაუსრულებლად.

ჰო, სპავშვო სახლში გასაცილებელი საღამო მომიწყეს. დეიდა მართამ თავისი ხელით გამოაცხო უშველებელი ტორტი და თეთრი და წითელი ვარდებით მორთო. ტორტი შუა სუფრაზე დავდეთ. საღამოზე მხოლოდ მეათე და მეთერთმეტეკლასელები მოიწვიეს. პატარები ბოლოს შემოვიდნენ და ლექსები თქვეს. ლამარა მასწავლებელმა თეთრი, გაქათქათებული ჩანთა მაჩუქა, დეიდა მართამ ცისფერი ავტოკალამი, ბავშვებმა ალბომი მომართვეს — ფიროსმანის რეპროდუქციები. სუფრასთან ვიჯექი და ჩემს წინ დახვავებულ საჩუქრებს დავყურებდი. კარგად მახსოვს მომსხო ბურთები ჩითის საკაბეს რომ ეხატა. ის ბურთები, დაფრინავდნენ მერე ჩემს გარშემო. ხან მაღლა ავარდებოდნენ, ხან კედელს გაეკვრებოდნენ,

ელენე გუჯაბიძეთა

ხვალ ჩემი დაბადების დღეა

იცინოდნენ და თვალს მიაჯუნებდნენ.

დირექტორმა საზეიმო სიტყვა იმით დაასრულა, რომ პირველ აგვისტოდან სტამბაში სამსახურის დაწყება მომილოცა.

იმ ღამეს მე და ნანა ერთმანეთის გვერდით საწოლებში ვიწექით და რაზე არ ვლაპარაკობდით. ქველებური კარადა, რომელშიაც ჩემი ორიოდე კაბა შეკიდეთ და რომელსაც ცალფეზზე მდგარი ყანჩა ეხატა, სწორედ ჩემი საწოლის წინ იდგა და საითაც არ უნდა გამეხედა, მაინც ის ყანჩა მხვდებოდა თვალში. რომ ჩამეძინა, სიზმარშიც სულ იმ ყანჩას ვხედავდი.

— მეყოფა ჩემი ხელფასი, ნანიკო? თუ კარგად ვიმუშავებ, მერე შეიძლება მომიმატონ. ჯერ სამოცდაოთხი მანეთი მექნება.

— როგორ არ გეყოფა. — ღიმილით მითხრა ნანამ, — მომჭირნეობით ხარჯვას უნდა შეეჩვიო და მშვენივრად გეყოფა. უნდა იცოდე, კვირიდან კვირამდე რამდენი დახარჯო. რამდენი მანეთისა უნდა იყიდო პური, რამდენის ხორცი და კარაქი. საუცხოო სადილებს ვაკეთებ ხოლმე. ნამცხვარსაც გამოვაცხობთ კვირაობით.

ვიდრე ის დღე დაილია, პირველად სამსახურში რომ მივედი, ლამის სულ მთლად მომეწურა გული. ნაწყენი და დაღონებული ვიდექი ჭუჭყისაგან ფერშეცვლილ სალაროსთან, რომელსაც გამურული ნათითურები აჩნდა და ნავთით გაპობილ შრიფტს ანბანის მიხედვით ვყრიდი უჯრებში. ხელები იდაყვებამდე მქონდა დასვრილი, შავი სატინის ხალათი მეცვა და სული მეხუთებოდა. სალარო ფანჯარასთან იდგა. გარედან ფეხის ხმა და სიცილი ისმოდა. ასე მეგონა, ვეღარ გავაღწევდი გარეთ და იმ ქუჩაზე ვეღარ გავივლიდი. ყველაფერი გულზე დამაწვა — შავი პეტიტის სალაროები, თეთრი პეტიტის სალაროები, მთავრული გორდეზიანი დახრილი, შავი მთავრული, მაღალი, შავხალათიანი ასოთამწყობები, თავისთვის რომ იდგნენ და წერილებს აწყობდნენ; სტამბის დირექტორის ღიმილისაგან დანაოჭებული სახე: „აბა, როგორ არის საქმე, მალე შეეჩვევი, არ შეშინდე“. „სულაც არ არის ძნელი“. „მერე და მერე გაგიადვილდება, პირველად დამქანცველი და მოსაწყენია“. „სულ არ არის მოსაწყენი“. ყველაფერი გულზე დამაწვა, — შოთას ამღერეული თვალები, სპეკტ სამქროდან რომ გამოიხედავდა ხოლმე და თან მანქანის დგარადგურს გამოიყოლიებდა. ის ხმაური მანქანის ყოველ გაწევ-გამოწევაზე, თითქოს მე მირტყამდა გულში. პირველი საათი რომ შესრულდა, ასე მეგონა, მაშინ დავიბადე. გაშავებული ხელები პირდაპირ ნავთით სავსე ვედროში ვტუცე და მერე სამჯერ თუ ოთხჯერ საპნით დავიბანე. ნუშის რძე გადავივლე თუ არა, კანი მაშინვე დარბილდა და ერთბაშად დაუბრუნდა სინაზე. ახლოდან ეგ იყო, ფრჩხილებიდან სიშავე მთლიანად ვერ ამოვიდა. ბუფეტში ყველი და პური შევჭამე და ჭიქა მაწონი დავაყოლე. შესვენების შემდეგ სალაროსთან რომ მივედი, გავიფიქრე, მაინც რას ავითვალწუნე ეს საწყალი შრიფტები-მეთქი. ხუთამდე ისე ვიმუშავე, თავი არ ამიღია.

ის დღე იყო და, ყველანი უკან მოვიტოვე. ყველაზე მოწრნავე ასოთამწყობი ლეონა დონაძე იყო და ერთ თვეში უკვე იმასაც ვეჯიბრებოდი. ჩემს დღეში არ მყვარებია სანახევროდ საქმის გაკეთება და ეგ მშველოდა. სკოლაშიც ეგ მშველოდა და აქაც ამან მიშველა.

ქუჩიდან მანქანების საყვირის ხმა, სიცილი და მაღალქუსლიანი ტუფლების ბაკაბუკი შემოდიოდა. შოთა რომ კარს გამოაღებდა და ქერა თავს გამოჰყოფდა, სპეკტდი მანქანის რიტმული დაგადუგი ავსებდა ოთახს.

ლეონა ვერ იქნა და ვერ გადაეჩვია, ასწევდა გამურულ ხელს და შუბლზე ჩამოშლილ თმას უკან გადაიწევდა. მერე საღამომდე ეტყობოდა ხოლმე შუბლზე შავი ზოლები. „მაია, წავიდეთ დღეს კინოში?“ ამას აუცილებლად ნაზი იტყოდა. კინოსთვის გიჟდებოდა პირდაპირ. სულ ზეპირად იცოდა კინომსახიობების გვარები.

ორი სექტემბერი იყო, პირველი ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი რომ ავიღე ლეილამ მითხრა, ხელფასი არ აგიღია ჯერაო? გული გადამიქანდა. ჩემ დღეში არ მქონია საკუთარი ფული. ხელები დავიბანე და ბუღალტერთან შევედი. სანამ მის მაგიდასთან ვიდექი და ხელფასის უწყისს ველოდებოდი, სულ ხმაურით მიცემდა გული. „ჩიტიშვილი მაიო“,—ეწერა სხვა გვარების ქვეშ. და მერე მოშორებით პატარა უჯრაში: — 64 მანეთი და 65 კაპიკი. ჩანთაში პრიალა, ნეილონგამოკრული ჯიბეში ხელფასი მედო — ექვსი თუმნიანი და ოთხი მანეთიანი, სულ ტკიცინა ფული.

●

აგვისტო რომ მიილია, წვიმებიც დაიწყო. ჯერ ისევ გვარიანი სიცხეები იდგა, მაგრამ ხშირად კი წვიმდა. დილით, სამსახურში რომ მივდიოდი, გზაზე უკვე ეყარა ყვითელი ფოთლები. გზა ცოტაზე მიგრძელდებოდა და ხანდახან სირბილითაც მივდიოდი, რომ არ დამგვიანებოდა, მაგრამ ყოველ დილას სკვერზე გადავივლიდი ხოლმე და აკაციის ძირას მწვანედ შეღებილ სკამზე ერთი წამით ჩამოვჯდებოდი.

„გამარჯობა, ჩემო ძვირფასო, — ვეუბნებოდი თემოს“, „სამსახურში არ დაიგვიანო, მაიკო“. „ამ წუთშივე გავიქცევი“. „ეხლა აცივდება და აღარ მოხვიდე“. „ერთი წუთით მოვირბენ ხოლმე, ეს ხომ ჩვენი სკამია, ყოველდღე რომ არ მოვიდე, არ შემიძლია“, „მაიკო... მაიკო!“

საღამოს ამ გზით ვბრუნდებოდი შინ. ხან შებინდებამდეც ვიჯექი იქ. წვიმები რომ დაიწყო, ხალხი აღარ ეტანებოდა სკვერს.

— მე ხომ არ მელოდები, მაიო? — მკითხა შოთამ.

— შენ არა.

— მაშ ვის ელოდები?

შოთას მტკრიან ფეხსაცმელს დავყურებდი. შოთა იდგა და ირწეოდა. ხან ერთ ფეხს ატანდა სიმძიმის ძალას, ხან მეორეს. ვერც ერთი ვერ უძლებდა დიდხანს, იდგა და ირწეოდა, — მაშ ვის ელოდები?

— არავის.

— აქედან ფეხს არ გავდგამ, იცრ-დე, — შოთა დაჯდა და ღვინის სუნიც მეცა, — ვის ელოდები?

— არ არის შენი საქმე.

— მე რომ გითხარი, იმაზე რა პასუხს მაძლევ? — სიგარეტი ამოიღო და სანამ მოუკიდებდა, ბარე სამჯერ ჩაუქრა. ასანთი რამდენჯერაც გაკრა, იმდენჯერ დავინახე, როგორ უკანკალებდა ხელები. წერილი არ წაიკითხე?

— რა წერილი?

— შენი სამუშაო ხალათის ჯიბეში ჩავდე.

— არ მინახავს.

შოთამ გააბოლა და კვამლი ბოლქვებად გამოუშვა პირიდან.

— შენ შეგიძლია ჩემი შველა, — მითხრა შოთამ.

— საშველი რა გჭირს?

— ვსვამ. — გაიცინა.

ნეტა რა აცინებს-მეთქი, გავიფიქრე.

— არც მინახიხარ ფხიზელი.

— აუცილებლად მიშველე, თუ გინდა. თუ არა და...

— ნეტა რას მემუქრები.

— მარტო შენ შეგიძლია ჩემი შველა, — ისევ გაიცინა. ვერ მივხვდი, რა აღიზიანებდა, მთვრალი რომ იყო, თუ სხვა რამე.

— არა ხედავ, როგორ მივეძალე ამ ბოლო დროს?

— რათა მერე?

— იმიტომ რომ მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, — ეს ისე თქვა, თითქოს დამცინისო.

— ლია როგორ არის, შოთა? დიდი ხანია, აღარ მინახავს.

— როგორც უნდა, ისე იყოს.

— უსინდისო ხარ.

— მომბეზრდა. იმასაც მოვბეზრდი და მეც მომბეზრდა, — ადგა, სიგარეტი მიწაზე დაადგომ და ფეხით გასრისა. ხელები შარვლის ჯიბეებში ეწყო და ისე მიდიოდა, თითქოს ვერ გაუბედავს, მიწას მტკიცედ დაადგას ფეხიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგომ გამომიარა სამსახურში და სამი ბილეთი მომიტანა. სანამ ხელებს ვიბანდი, გოგი ეზოში იდგა და მიცდიდა. ნანას გავუარეთ და კინოში წავედით.

ცრიდა. შემოდგომის ხშირი, გაბმული წვიმები დაიწყო და აცივდა კიდეც. ფოიეში თბილოდა და იქაურობა სულ გაკაშკაშებული იყო. კართან კაცი ლატარიის ბილეთებს ყიდდა. გოგომ იმ კაცს მანეთიანი გაუწოდა.

— სამი ბილეთი მოგვეცი, ძია.

— მშვიდობაში, — გვითხრა კაცმა, — მანდ ერთი „ვოლგაა“.

— შენს პირს შაქარი, — უთხრა გოგომ, — მაგრამ რაღაც არა მჯერა, რამდენ ბილეთს გაპყიდი, იმდენ „ვოლგას“ არიგებ. ჯიბიდან კალმისტარი ამოიღო, ერთს ჩემი სახელი დააწერა, ერთს ნანასი და ერთსაც თავისი.

კინოთეატრიდან რომ გამოვედით, ისევ წვიმდა. ხალხი ჯიბის თავზე იდგა და წვიმის გადაღებას ელოდებოდა. ჩვენ შინისკენ გავწიეთ.

— ღამე მშვიდობისა, — გვითხრა გოგომ, — გვიანი რომ არ იყოს, ამოვიდოდი და ჩაის დავლევდი.

— ამოდი, გოგი, — უთხრა ნანამ. — არც ისე გვიანაა, ამოდი!

— ღამე მშვიდობისა.

ეზოს კარი რომ გაიხურა, ისევ მობრუნდა:

— ხვალ თუმოს არ დაელაპარაკები, მაიკო? ჩემგან დიდი მოკითხვა გადაეცი.

— აუცილებლად გადავცემ, ყოველ შაბათს ველაპარაკები ხოლმე.

სულ ათი წუთის წასული არ იქნებოდა გოგი, ვიღაც აივანზე რომ ამოვიდა და კარს მოაწვა.

— შოთაა, — ვთქვი მე და გული შემიქანდა, — შოთა იქნება, წეღან დავინახე, ჩვენს სახლთან იდგა.

— ვინა ხარ? — კართან მივიდა და გასძახა ნანამ.

— გააღეთ, — გაისმა ჩახლეჩილი ხმა კარს უკან. შოთა იყო.

— შოთა ხარ? — ჰკითხა ნანამ.

— კარი არ შემომამტვრევინოთ!

ნანამ კარი გააღო და შოთამ ოთახში შემოალაჯა. მთელ სახლში ჩვენს გარდა არავინ არის-მეთქი, გავიფიქრე. სახლის პატრონი ჯერ ისევ ძველ ბინაში ცხოვრობდა და ხანდახან იძინებდა ხოლმე ქვედა, გაუმართავ სართულზე.

— რა სტუმრობის დროა ახლა? — ჰკითხა ნანამ.

— სტუმარი ღვთისაა, — თქვა შოთამ. წავიდა და ტახტზე დაჯდა.

— სად დადიხარ მთელი დღე? — მე მომიბრუნდა შოთა, — რას გადაეკიდე იმ დორბლიან ექიმებს, რატომ თავს არ დაანებებ?

„დორბლიანიც შენა ხარ და დეგენერატიც“.

ოთახში ღვინის სუნი დადგა. შოთა ტახტზე იჯდა. მხრით ბალიშს ეყრდნობოდა, ფეხი ფეხზე ჰქონდა შემოდებული და მძიმედ სუნთქავდა. იჯდა და არც ფიქრობდა წასვლას.

— რომელი საათია, თუ იცი? — ჰკითხა ნანამ.

— რაო, მაგდებ? — წამოიწია შოთა და გაჭირვებით წამოდგა. შენც მაგდებ, მაია? — მოვიდა და ხელი მომკიდა.

— გამიშვი, — დავუყვირე მე და ისევ გავიფიქრე, სახლში ჩვენს მეტი არავინ არის-მეთქი.

— თუ რამე სათქმელი გაქვს, თქვი და წადი, — უთხრა ნანამ და ოთახიდან გავიდა. გავიგონე, როგორ ჩარბოდა კიბეზე ნანა და გულმა ცემას მოუხშირა.

შოთამ ხელი გამიშვა და ისევ ტახტზე დაჯდა.

— მოდი ჩემთან, მაია, — მითხრა შოთამ, — კარგი ერთი, ქვეყანა არ გააგიჟო შენი ერთგულებით.

— წადი, შოთა, — როგორც იყო ვუთხარი, ტუჩები მიკანკალებდა. წადი!

— ნეტა არ იპრანჭებოდე! შენზე ლამაზებს არ გამოუდგია ეგრე თავი.

— ღორო! — დავუყვირე და სინანულით გავიფიქრე, თავის შეკავება აღარ შემიძლია-მეთქი, — ღორო!

ნანამ წამოდგებოდა, ჯერ სიგარეტი გადაადგა. სიგარეტი იატაკზე გაგორდა და სკამის ფეხთან შეჩერდა. ისევ ასდიოდა ბოლი. შოთას მაგრად ეჭირა ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი ხელები და სველი ტუჩებით მკოცნიდა ყელზე.

„რა მლაშეა სისხლი... თბილი და მლაშე...“

— მიკო! მიკო!

მკვდრისფერი ედო ნანას. სულ ერთიანად კანკალებდა. თვალი გავახილე თუ არა, გავუღიმე. აივანზე ბრახვანი გაისმა და ნანამ დაიკივლა:

— მოკვდა! ვაიმე, მოკვდა!

ჩემთვის ხელი არ გაუშვია. წამოიწია და აივანზე გადაიხედა. მეც გადავიხედე. ჩვენი საბავშვო სახლის დირექტორს შოთა წამოეყენებინა და კიბისკენ მიათრევდა.

— სცემა, — თქვა ნანამ.

იატაკზე ვიჯექი და ნანაც იქვე იყო ჩაჩოქილი, ჩემს გვერდით და მეხვეოდა. ორივენი ვტიროდით, ისე როგორც არასოდეს, სულ პატარაობისასაც კი არ მიტირნია. მინდოდა კარი გაღებულიყო და შემოსულიყო დედა, დედაჩემი, რანტიანი ჩუსტები და ჭრელი ჩითის კაბა სცმოდა, მინდოდა ქვეყანა გადატრიალებულიყო და დედა მყოლოდა. განა მომფერებოდა, მარტო ჩვეულებრივად ეთქვა: „მოგიკვდეს, შვილო, დედა!

რომ გათენდა, თითქოს წუხანდელი ღამე არც ყოფილიყოს, ღიმ სინათლე და რწმენა მომიტანა. მხოლოდ გულში დარჩა ტკივილი. როგორ არ ვცადე, გულიდან ამომეგდო, მაგრამ ვერა. დარჩა გულში და დიდი ხნითაც მოკალათდა. რომ გავიცინებდი, დავილაპარაკებდი, ის ტკივილი სულ იქ იყო და მაშინვე შემახსენებდა თავს.

— შენა ხარ, მაიკო?

— მე ვარ...

— როგორა ხარ, მაიკო? — პაწაწინა ჯიხურში ვიდექი და აკანკალებული ხელებით მეჭირა ყურმილი. როგორ მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი, ხმაც ვერ ამოვიღე. — რატომ ხმას არ იღებ, მაიკო? არ გესმის? რატომ არ იღებ ხმას?

ყურმილი რომ დავდე, კარის მინაში დავინახე, რომ ვტიროდი. კვირას დილადანვე ჩამობნელდა. ქარმა უხილავი ცოცხით ქუჩები დასუფთავა. მერე ჩუმად გაილალა და ხეზე ფოთლებმა თითქოს ქოს ჩათვლიმეს. ნელა, მშვიდად წამოვიდა წვიმა, ისეთი პირი უჩანდა, აღარ გადაიღებდა მთელ დღეს.

ფანჯარასთან ვიჯექი და ქუჩაში ვიყურებოდი. მხრებზე დეიდა მართას მოქსოვილი შალი მეხვია. ქუჩაში გუბეები იდგა და იმ გუბეებში რომ ჩადიოდა წვიმის წვეთები, ათასნაირი წრეები ჩნდებოდა. ნახევრად გამხმარი ვაშლის ხის ძირას სიწითლეში გადასული ჩაყვითლებული ფოთლები ეყარა. ქარი ოდნავ წამოუბერავდა და წყდებოდა და წყდებოდა ყვითელი ფოთლები, ჰაერში გაიფარფატებდა და მერე გუბეში ცვიოდა.

შორს, მოსახვევში გამოჩნდა თუ არა, მაშინვე ვიცანი თემი და გული გადამიქანდა. ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა წვიმაში, ქუდი არ ეხურა და სველი თმა უბრწყინავდა. ვხედავდი, ეზოს კარი რომ შემოაღო და ორი ნახტომით აივანზე გაჩნდა. ადგილიდან ვერ ვიძრეოდი, თითქოს გავქვავდი. კარი რომ შემოაღო და გაიცინა, ტირილი დავიწყე. არც მერე ამომიღია ხმა, ორივე ხელი მისთვის ყელზე მქონდა შემოხვეული და სველ საწვიმარზე ვეკვროდი. საწვიმარზე სრიალით ჩამოდიოდა წვიმის წვეთები და იატაკზე ცვიოდა.

— ჩემი კარგი გოგო... ჩემი კარგი, პატარა გოგო... აბა, მითხარი, რა დაგემართა...

მერე დილით მოვაწერეთ ხელი. ნანაც იქ იყო, დეიდა მართაც და ჩვენი დირექტორიც. თემო ჩემკენ გადმოიხრებოდა ხოლმე და ყურში ჩამჩურჩულებდა: „ჩემი პატარა ცოლი...“ მე ჩვენი დირექტორისა მრცხვენოდა და თავს დაბლა ვხრიდი. თემო კიდევ: „ჩემო პატარა გოგო“...

— ხომ არ მოიწყენ, მაიკო? ორი თვეც აღარ დარჩა.

ავტოსადგურის მოსაცდელში ვიდექით მე და თემო, სულ რამდენიმე წუთიღა აკლდა ავტობუსის გასვლას. გა-

---

ელიკო გუჯდინოვა

ხვალ ჩემი დაბადების დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ წვიმდა და ავტოსადგურის მოსაცდელი ხალხით იყო გაჭედილი.

— სულ შენზე ვიფიქრებ და მოსაწყენად დრო აღარ დამრჩება.

— ჩემო ჭკუის კოლოფო!

— თბილისი! თბილისი! — დაიყვირა კაცმა. მძღოლი იყო. გავიდა და დიზელის კარი გამოაღო. წვიმდა და უცბად დაუსველდა ზურგი. კიბეზე ფეხი რომ ადგა, მრგვალი სარკე ხელის ზურგით გადაწმინდა და შიგ თავის ქოჩორს გახედა. თემო მომეხვია.

— შენ იცი, მაიკო. მალე ჩამოვალ...

თოვლი გვიან მოვიდა, მაგრამ ადრევე დაიჭირა ყინვები. ღილით ფანჯარაზე ფარდას რომ გადავწევდი, მინები ათასნაირად იყო მოხატული. ღუმელს დავანთებდი თუ არა, მინები შიგნიდან ხელადვე აორთქლდებოდა და გამდნარი წვეთები ზლაზნით ეშვებოდა დაბლა.

ყოველ ხუთშაბათს სტამბაში მორიგე ვიყავი. ხანდახან გვერდების გასწორება გვინდებოდა და გვიან ღამემდე ვრჩებოდი. გოგი აუცილებლად გამომივლიდა ხოლმე და ძია ალექსანდრეს კაბინეტში მიცდიდა.. დომინოს ეთამაშებოდა ძია ალექსანდრეს. გოგი რომ მოვიდოდა, შოთას მოსვენება ეკარგებოდა. ერთხელაც ვეღარ მოითმინა და მითხრა:

— უთხარი, ნუ მოდის, თუ მხოლოდ ჩემი გულისათვის იწუხებს თავს, მე არაფერს დაგიშავებ.

ამხანაგური სასამართლოს შემდეგ სულ ერთიანად გამოიცვალა შოთა. ერთხელაც ადარ გვინახავს მთვრალი. ჩუმი და მორიდებული გახდა და უფრო მუყაითადაც მუშაობდა.

მე და ლეილას ხელფასი მოგვიმატეს. ახლა მეხუთე თანრიგი გვქონდა. ადრევე ვიყიდე ლამაზი, გერმანული პალტო. დეიდა მართამ კვერნის ბეწვი მომცა. მისი ბიჭი ნადირობდა ხოლმე გეხავის ტყეში. მგელიც დაეჭირა რამდენჯერმე. ხაფანგებს აგებდა. ჯერ ისევ გასაშრობი იყო ტყავი, შინ რომ მოვიტანე, ნაცარი ეყარა. ღუმელთან, სკამზე დავდე, მალე რომ გამშრალიყო, მაგრამ უსიამოვნო სუნი დააყენა ოთახში და ნანა დამემუქრა, აივანზე გაიტანე, ქუჩაში არ გადამაძახებინოო. მერე ორი კვირა ... აივანზე და რომ გაშრა, კი არ გახსნა და გაიშოტა, სასიამოვნოდ რბილი და ფაფუკი დარჩა. ლოყას რომ გავუსვამდი, კანზე ბურძგლებს ამიშლიდა ხოლმე. საყელო მე თვითონ შეკეცრე, ქვეშ სქელი ფანელის ნაჭერი ამოვუდე და მშვენივრად დადგა. კვერნის კუდი სამართებლით შუაზე გავჭერი და ისიც სახელოებს შემოვაკერე. ჩავიცვამდი ხოლმე ამ პალტოს, კისერს კვერნის ბეწვში ჩავმალავდი და მისი სითბო მთელ სხეულში მივლიდა.

საბაღურად, პირველი თოვლი რომ მოვიდა, მე და ნანა სახეტიალოდ წავედით ქალაქგარეთ. აქედან იწყებოდა იკოთის გზა და ქსნის პირამდე გადაჭიმული კოლმეურნეობის ვენახები. გზა მანქანებისაგან იყო გაკვალული და გადათეთრებულ მიდამოს ორ შავ, გრძელ ლაქად აჩნდა. ხელთათმნები ნანამ ჩემ-თვისაც და თავისთვისაც თვითონ მოქსოვა. ჩემები მწვანე იყო, ნანასი — წითლები. ის ცალთითა ხელთათმანები გვეცვა და ერთმანეთს თოვლის გუნდებს ვესროდით.

თოვდა და თოვდა. რომ დაიწყო, აღარც გადაუღია მერე. სულ ფაფარა ქსანს გაღმა მთები. ჩვენს სალაროსთან რომ ვიდექი, ფანჯრიდან ვხედავდი ხოლმე მძიმე, სქელ ფანტელებს. ფანჯრის წინ ალუბლის ხეს ტოტები დაუმძიმდა. შესვენებაზე რომ გავიარე, შეავარხიე და დგაფუნით ჩამოვყარე თოვლი. „გოგოებო, არ ვიციგაოთ ამაღამ?“ „შენ რომელი ციგა გაგიძლებს?“ ეს ლეილამ უთხრა ნაზის. ნაზი მსუქანი იყო და ვერაფრით ვერ აპატია ლეილამ, დიეტას რომ არ იცავდა. „ცეკვა მინდა. არაგის დაბადების დღე არ მოახლოვდა?“ „სულ თოვს და თოვს“. „შენ რა გაღონებს მერე?“

— გოგოებო, ლატარიის ბილეთი ვისა გაქვთ? — გვკითხა ნაზიმ. მომეცით გავსინჯო. — ნაზის ხელში „კომუნისტი“ ეჭირა. მეოთხე გვერდზე ცხრილი იყო დაბეჭდილი.

— არიქა, გოგოებო, ვის გინდათ „ვოლგა“!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ერთ შოკოლადსაც დავჯერდებოდი.

— ჩემს ჩანთაშია ერთი ბილეთი, — ვუთხარი ნაზის. ნაზის ხელების დაბანვა მოესწრო. სამი ცალი ბილეთი ეჭირა.

ბედი არ გვწინია, მაიკო. ერთი ციფრი დააკლდა, თორემ „ვოლგას“ მოიგებდი.

— რას ამბობ, მართლა?

— მხოლოდ ერთი ციფრი დააკლდა!

— არ გამაგიჟო! — ნაზის ხელიდან გამოვტაცე გაზეთი. მხოლოდ ერთი ციფრი! ნომერიც უდგება!

ძია ალექსანდრეს კაბინტისაკენ გავქანდი და ტელეფონს ვეცი.

— გოგი მინდა. გოგის სთხოვეთ, თუ შეიძლება!

სანამ გოგი მოვიდოდა, მღელვარებისაგან ტუჩებს ვიკვნეტდი. გოგის ბილეთი თუ არა, ნანასი მოიგებს „ვოლგას.“ გოგის ბილეთი თუ არა, მაშინ ნანასი აუცილებლად. მხოლოდ ერთი ციფრი აკლია. ერთი ციფრი. გადირევა გოგი სიხარულით. ღმერთო! მართლა ერთი ციფრი აკლდეს რა! ჩვენი ბილეთები ხომ მიყოლებით იყო. ღმერთო, ღმერთო, რა! გოგის ბილეთი თუ არა, მაშინ...

— გისმენთ.

— გოგი, გოგი, შენი ლატარიის ბილეთი გასინჯე ახლავე.

— მაია ხარ?

— ჩქარა გასინჯე შენი ლატარიის ბილეთი. ცხრილი ექნება ვინმეს. და გასინჯე.

— რა მოგვიდა, მაიკო?

— ჩქარა, გოგი!

ერთი წუთი გავიდა, ორი, სამი, ხუთი, ძია ალექსანდრე მიყურებდა და მელოდა. ნაზიც შემოვიდა, ლელაც, ზაურიც, შოთაც. ხმას არავინ იღებდა. ერთმანეთის სუნთქვაც კი გვესმოდა.

— მაიკო, მელი?

— ჩქარა, გოგი!

— ახლავე ვნახავ, ამ წუთშივე, — ყურმილში გაზეთის ზრიალიც გავიგონე და სულ წამერთვა ფეხები. ძია ალექსანდრე სკამიდან წამოდგა და ისე მომჩერებოდა სახეში.

— „ვოლგა“, მაიკო, „ვოლგა“!

რა ამბავი ატყდა! ვინ ვის ულოცავდა, რას ულოცავდა და რად ულოცავდა, კაცმა აღარ იცოდა. „გოგიმ „ვოლგა“ მოიგო“! „რა ვიცი, მე ერთი ელექტროსაპარსი ვერ მომიგია, და“. „უყურე ბაგას, რა ბედი ჰქონია!“ „გოგოებო, გოგი „ვოლგას“ რომ გამოიყვანს, პირველად ჩვენ გაგვასეირნებს“. „შენ მაგის იმედიც გეყოფა, „ვოლგა“ რად გინდა!“

●

ყოველთვის მიყვარდა, როცა საკეტს გასაღებს ვარგებდი. რაღაცნაირად დამოუკიდებლობის შეგრძნება მქონდა. ის ჩხარუნიც მიყვარდა, სანამ გასაღები თავის ადგილზე ჩაჯდებოდა და მერე უცბად გადატრიალდებოდა ხოლმე. ისიც, შინ მისვლისას ცივი ოთახი, ჩამქრალი ღუმელი რომ მხვდებოდა და ისიც, აივანზე შეშა რომ მქონდა ამოსაზიდი. ისეთი სიფიცხითა და მონდომებით ვიწყებდი საქმეს, თითქოს აკვანში ბავშვი მიტიროდა.

კარი ხმაურით იღებოდა და პირველი, რასაც კარის გაღებისას ოთახში ვხედავდი, რკინის ღუმელი იყო, თვალგამოთხრილივით რომ მომჩერებოდა. მაგიდაზე დავდებდი პურს, ცეცხლს დავანთებდი და ვაბშმის თაღარიგს შევუდგებოდი.

საქმეს რომ მოვრჩებოდი, მერე იყო კარგი. ღუმელთან მუდამ იდგა პატარა სკამი, იმ პატარა სკამზე ვიჯექი და მუხლზე გადაშლილი წიგნი მედო. მორეცხილი იატაკი ნელ-ნელა შრებოდა და ემალის ქვაბში ლობიოს ფუშფუში გაუდიოდა.

ნანა რომ მოვიდოდა, ვახშამი უკვე მზად იყო. თეთრ ფაიფურის ჯამში ჩირის კომპოტი ცივდებოდა. ორივეს ძალიან გვიყვარდა ცივი კომპოტის წრუპვა ჩაის ჭიქებიდან და რადგან მაცივარი არა გვქონდა, თბილ კომპოტს ფაიფურის ჯამით გარეთ გავდგამდით ხოლმე გასაცივებლად, მერე ჩაის ჭიქებით ვსვამდით.

ნანა ტახტზე იჯდა, ხალათი ეცვა და შიშველი ფეხები ქოშებში ჰქონდა წა-

---

ელიკო ბუაძიშვილი

ხვალ ჩემი დაბადების დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილი. იჯდა და მთელი საათი წრუპავდა ცივ კომპოტს.

ჩვენი ოთახის ერთადერთი სიმდიდრე შავი კაკლის ხის პიანინო იყო. ნანას მუსიკალურ სკოლაში მეცადინეობა უჭირდა. მეცადინეობით კი ბევრს მეცადინეობდა. ბევრჯერ დაიანგარიშა თავისი შემოსავალ-გასავალი და მერე გადაწყვიტა, წელიწადში სამ-ოთხ კაბას შელოდა, და ის იყო, ერთ მშვენიერ დღეს, გაქირავების ბიუროდან პიანინო მოგვაყვანეს. სულ ციმციმ ამოგვიტანეს ოთახში და ფანჯრის ახლოს დაგვიდგეს, შუქიანი ადგილი უყვარსო. ნანამ ხელად იშოვა ხის საგნების საწმენდი სითხე და კაპრონის ნაჭრით იმდენი აპრიალა პიანინოს დალაქული ადგილები, სულ სარკესავით გახადა. იდგა ახლა ეს პიანინო ორ რკინის საწოლსა და წიგნის თაროებს შუა და ნანას ხელფასის ლამის ნახევარს ნთქავდა. ნანა მთელი საღამოები იჯდა და უკრავდა. მეცადინეობას აუცილებლად ბახით იწყებდა და გულს გაწვრილებამდე უკრავდა.

●

მარტის ბოლომდე ქუჩებში ისევ იდო თოვლი. მერე ერთბაშად გამოიდარა და აპრილის მზემ თოვლი ერთ დღეში გაქრო. მეოთხე მეოთხედში არც ერთი გაკვეთილი არ გაგვიცდენია, თუმცა გაზაფხული ყაჩაღივით გვეჭრებოდა საკლასო ოთახებში. აპრილში საღამოები, თბილი და უქარო იყო, ჩვენი ეზო ერთბაშად დაიფარა მწვანე მოლით. ბალახი ალბათ თოვლქვეშ ამოვიდა და ახლა გაზაფხულის მზის სხივებქვეშ მწვანედ ხასხასებდა. მთებმაც ჩაიცვეს მწვანე სამოსი.

დილიდანვე ვაღებდით ფანჯრებს, მზის სითბო უხვად იღვრებოდა ოთახებში. ყვითელი სხივები ირიბად წვებოდა საკლასო ოთახში და შავ დაფას ალაპლაპებდა.

სკოლის შენობის ირგვლივ ალვის ხეები იდგა. გაზაფხულის დადგომისთანავე იბურცებოდნენ პაწაწინა კვირტები. მერე ის კვირტები ივსებოდნენ, სკდებოდნენ და ფოთლებად იქცეოდნენ. ერთი ბეწო ნიავი ჰყოფნიდათ, რომ ფოთლები კედლებსა და მინებს გაჰკვროდნენ და ფანჯრის რაფაზე დაედოთ თავები. აპრილი იდგა და კრიალა, თბილი ჰაერი რაღაც მოლოდინითა და მოუსვენრობის გრძნობით გვივსებდა გულს. ერთმანეთის სახეებზე ვკითხულობდით, რომ ყველანი რაღაცას ველოდით; ვერ ვისვენებდით. ერთი სული გვქონდა, როდის დამთავრებოდა მეექვსე გაკვეთილი, ჩვენს სმენას არ გამოეპარებოდა, როგორ მიდიოდა მორიგე დერეფანში, რომ ზარის ღილაკისათვის თითი დაეჭირა და საკლასო ოთახები და დერეფანი ხმაურით ავსილიყო.

კიბეზე ჩავრბოდი, მოკლე ფორმის კაბა მეცვა. პაწაწინა, გაპრეხილი ნაწნავები სასაცილოდ ხტოდა. მელნით დალაქავებული ჩანთა მეჭირა და ისე ვიქნევდი, ლამის ხელიდან გამეგდო. გარეთ მზე და სითბო იყო. ალვის ჩრდილები უზარმაზარი, მოძრავი ლაქებივით აჩნდა პირწმინდად მოსუფთავებულ ქუჩას.

— გუშინ რეზოს მეგობარს წვეულება ჰქონდა, — საიდუმლოდ გვიყვებოდა ლია შესვენებაზე, გოგოები გარს ვეხვეოდით, აღტაცებული სახეები გვქონდა, — რა საზოგადოება იყო! მოქსოვილი შალის კაბა მეცვა. მთელი ღამე ვცივკავდით. ნეტა გენახათ, გოგოებო, რასა ჰგავდა რეზო! ლუნჩივით იყო. არც ცეკვა უნდოდა და არც არაფერი, იჯდა და მიყურებდა.

— ალბათ ძალიან უყვარხარ, — ამოიოხრა ნანულომ.

ლიამ გაიცინა და სიცილმა როგორღაც უცბოდ გადაუარა მერხებს.

ზარი დაირეკებოდა და ჩვენს მერხებს ვუსხდებოდით. ერთმანეთს სახეზე ვამჩნევდით, რომ ჩვენი გონება სხვაგან ჰქროდა.

— დღეს საღამოს ჩვენსა მოდი, ვიცეკვოთ, — მითხრა ლიამ გაკვეთილზე. რეზოსაც გაგაცნობ და, საერთოდ, ნახავ, რა კარგ დროს გაატარებ.

— თუ გვიან არ დავვიმთავრდა კომიტეტის სხდომა, მოვალ.

სკოლის კომკავშირის კომიტეტის წევრი ვიყავი და შაბათობით გვიანობამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისხედით ხოლმე კომიტეტის ოთახში. ათას საკითხს ვიხილავდით.

— კარგი ერთი, რომ არ მოხვიდე. ხმას აღარ გაგცემ, იცოდე.

უკვე ბინდი იყო, სკოლიდან რომ გამოვედით, თბილოდა. ტყემლები ყვაოდნენ. საბავშვო სახლისაკენ მიმავალ ქუჩას გავყევი.

ცისფერი კაპრონის კაბა დეიდა მართამ შემოკერა და გამოცდების დამთავრების შემდეგ გამოსაშვებ საღამოზე უნდა ჩამეცვა. ახალი ფეხსაცმელი არა მქონდა, მაგრამ არც ძველები იყო დასაწუნი. ქუსლიან ფეხსაცმელს ჩვენებიდან ჯერ არავინ იცვამდა.

— სადმე მიდიხარ? — მკითხა დეიდა მართამ. ცისფერი კაბა მეცვა და სარკეში ვიყურებოდი.

— ლიასთან მივდივარ, დირექტორს დავეთხოვე.

— არ დაიგვიანო, შვილო, — გამაფრთხილა დეიდა მართამ.

ახალ კაბაში უხერხულად ვიგრძენი თავი. სარკეში რომ ჩავიხედე, ძალიან მიხდება-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ვერ იქნა, ვერ შევაჩვიე თვალი. შემრცხვა და გავიხადე. პირველად მეცვა საგარეო კაბა.

დიდი, ფართოფანჯრებიანი ოთახი თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ გრძელი მაგიდა და დაბალი, აღმოსავლური ტახტი იდგა. რომ დაჯდებოდი იმ ტახტზე, ფეხები არ მოგასვენებდა, სანამ არ აიკეცავდი.

ჭერე ფეხმორთხმით უნდა მჯდარიყავი. მაგიდას თეთრი, გახამებული სუფრა ეფარა. მაგიდასთან სკამები არ იდგა. ვისაც როგორ უნდოდა, ისე ერთობოდა. მიეიდოდნენ, აიღებდნენ ჭიქა შამპანურს, ოთახის მეორე კუთხეში განაპირდებოდნენ, იდგნენ და სვამდნენ.

— მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ჩემი ბრწყინვალება, მალხაზ ციხისელი გახლავართ, უცოლშვილო, მაქვს „ვოლგა“, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვსწავლობ მცენარეთა დაცვის განხრით, — მაღალი, აწოწილი ბიჭი მედგა წინ.

— სასიამოვნოა.

წავედი და ტახტზე დავჯექი. დაბალ მაგიდაზე პოლონური ჟურნალები ეწყო. ავიღე და ფურცლა დავუწყე.

— ვიცეკვოთ, — ისევ მოვიდა მალხაზი.

— არ ვცეკვავ.

ვერ იქნა, თავისუფლად ვერ ვიგრძენი თავი. ნამდვილი ბატი ვარ-მეთქი, გავიფიქრე და ლიას მივაჩერდი. ლია რეზოსთან ცეკვავდა, მერე რეზოს თავი მიანება, სამზარეულოდან ფინჯანით ყავა გამომიტანა და ერთი წამით გვერდით მომიჯდა.

— ხომ კარგია აქ? — მკითხა, — სად არის შენი ცისფერი კაბა, სკოლაში ხომ არ მიდიოდი, ფორმის კაბა რომ ჩაგიცვამს? — ადგა და ახლა მალხაზთან მივიდა. რეზოს გადახედა, გაუცინა და მალხაზთან დაიწყო ცეკვა.

უკვე წასვლას ვაპირებდი, ზარი რომ დარეკეს. ლია კარის გასაღებად გაიქცა. ოთახში ორნი შემოვიდნენ. ერთი შუა ტანისა იყო. ქერა თმა ჰქონდა. მეორე — მაღალი, იღიმებოდა. საფეთქლებთან ჭაღარა ეტყობოდა. ლიამ ხელი ასწია და თქვა:

— ბავშვებო, გაიცანით ჩემი ახალი მეგობრები; ექიმები არიან.

გაიქცა და იმათ კონიაკი მიურბენინა, თან ნამცხვარს აძალებდა, მე თვითონ გამოვაცხეო.

ტახტზე მარტო ვიჯექი და მოცეკვავეებს შევყურებდი. დავინახე, როგორ წამოვიდა თემო, მოცეკვავე წყვილებს გვერდი აუარა და ჩემს წინ შედგა. წამოვდექი. ჩემ დღეში არ მეცეკვა, მაგრამ მხარზე ჩვეულებრივად და მშვიდად დავადე ხელი, თან გავიფიქრე, ფორმის კაბა მაცვია-მეთქი და გავწოთლდი.

— კარგად არ ვცეკვავ.

— არაფერია.

მაღალი იყო. მხრებამდე ვერ ეწვდებოდი. თვალებში ჩამყურებდა და მე სულ აცაბაცა ვიყურებოდი.

— რა გქვია?

—მაია.

ელიკო ბურდილოვა

ხვალ ჩემი დაბადების დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელზე ლიას სურათი ეკიდა. ლია იცინოდა და მეც გავუღიმე. გულში წყნარი და თბილი გრძნობა მედგა.

— რამდენი წლისა ხარ, მაია?

— მალე ჩვიდმეტისა გავხდები.

თემოს მტკიცედ ვეჭირე, თავი მის მკერდზე მედო და თვალები დახუჭული მქონდა. თვალი რომ გავახილე და მივიხედე-მოვიხედე, უცბად გამოფიზლდი. ჩათავებული ფირფიტა ტრიალებდა და ნემსის ხრიალიღა ისმოდა. აღარავინ ცეკვავდა. ჩვენს გარშემო იდგნენ და იცინოდნენ. ერთი კი შევხედე თემოს და კარს მივვარდი.

— გადაცილებთ, მაიკო. —კიბეზე დამეწია თემო და ხელი მომკიდა.

— შენც დედა არ გაგიჯავრდეს, — კიბის თავზე იდგა ლია, — რას გარბიხარ?

— მარტო წავალ, არ მეშინია, — ვუთხარი თემოს და გავიქეცი.

საბავშვო სახლის ვარდისფერი შენობა და ეზოდან ამოწვდილი აკაციის ტოტები რომ დავინახე, ერთბაშად დავშვიდდი. გავჩერდი და სული მოვითქვი. ცრემლი ხელისგულებით მოვიწმენდე და მერე შევადე ეზოს კარი. ფანჯარაში დეიდა მართას თეთრხალაბანდიანი თავი გამოჩნდა.

ღილით, სკოლაში წასვლამდე, კედლის დიდ სარკესთან ვიდექი და ზანტად ვიკარცხნიდი თმას, დირექტორთან რომ დამიძახეს.

„ეს აღარ უნდა განმეორდეს,“ — გადაჭრით თქვა დირექტორმა, კაბინეტში რომ შევედი და იქვე, კართან გავჩერდი.

„დიახ, ბატონო!“

იატაკზე დაფენილ ხალიჩას დავყურებდი და ვფიქრობდი, ნეტა როგორ მოქსოვეს ასეთი ლამაზი ვარდები-მეთქი.

„ორი თვის მერე ჩვენგან წახვალ, — მითხრა დირექტორმა, — ეს ორი თვე ძველებურად იცხოვრებ. ახლა წადი“.

„კი ბატონო“.

„წადი ახლა.—გაიმეორა დირექტორმა, რაკი ადგილიდან არ დავიძარი, — სკოლაში არ დაიგვიანო“.

ჩვენი საბავშვო სახლის დირექტორი ერთი უცოლშვილო, მარტოხელა კაცი იყო. დღე და ღამე საბავშვო სახლში ტრიალებდა. ბავშვები ამბობდნენ ხოლმე დირექტორზე, — ეგეც უდედმამოა და ჩვენთან ერთად ცხოვრობსო. ვამჩნევდით, ხანდახან როგორი გულისტკივილით მოგვჩერებოდა ხოლმე. ერთხელ პიონერხელმძღვანელმა გვითხრა, ფრონტზეა ნამყოფი და თავისი თვალითა აქვს ნანახი, როგორ ხოცავდნენ ფაშისტები ბავშვებს, დირექტორს თქვენ, ყველანი, ძალიან უყვარხართო. ვერ იტანდა ხალათამოჩაჩული, ან წინდაგამოხეული რომ დაენახა რომელიმე ჩვენგანი. იმასაც კი შეამჩნევდა, გახუნებული, პეწდაკარგული ბაფთა თუ ეკეთა ვინმეს თმაზე. სხვას კი არ დაავალებდა იმის გამოცვლას, თვითონ წავიღოდა საწყობში, აარჩევდა, იქვე გამობალთავდა და მერე გოგონას მიუტანდა. „აბა, ერთი გაიკეთე“. „გოგონაც დიდის ამბით გაიკრავდა ახალი ბაფთით თმას და დირექტორს გამოეცხადებოდა. „კარგია, წადი და ახლა ითამაშე“.

ნელა მივდიოდი სკოლისაკენ. გამომწვევი ღიმილით ვუყურებდი გადაბარულ გაზონებს. შავი, ფხვიერი მიწა მზის სუსტ სინათლეზე ხან აქ გაბრწყინდებოდა, ხან იქ. პატარები საქმიანი ნაბიჯით მისწრებდნენ და ერთი ქალქანით ჩამივლდნენ გვერდს. თან მძიმე ჩანთებს მხარდაწეულები მიარბენინებდნენ.

არც შინ და არც გზაზე, როცა სკოლისაკენ მივდიოდი, გაკვეთილების გაცდენაზე არ მიფიქრია. ახლა, სკოლის ეზოში რომ შევედი და ზარიც დაირეკა, მეორე სართულისაკენ კი არ ავუყევი კიბეს, სადაც ჩვენი საკლასო ოთახი იყო, დაბლა, პირველ სართულზე ვიწრო ტალანს გავყევი და სამკითხველო დარბაზში შევედი. სამკითხველო ის იყო გაეღოთ.

— დაიგვიანე? — მკითხა დამლაგებელმა დეიდა მარომ.

— დავიგვიანე, — ჩემი პასუხი გამომწვევი იყო და დეიდა მარომ გაოცებით შემომხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელ მერხზე ვიჯექი და ფანჯრიდან უაზროდ ვიყურებოდი. ხანდახან დეიდა მარო ცერად გადმომხედავდა და რამდენჯერაც გადმომხედავდა, იმდენჯერ ვარიდებდი თვალს. თქმით კი არაფერს მეუბნებოდა. მერე ავდექი და სულაც წამოვედი სკოლიდან.

ალვებს რომ გამოვცდი, მაშინღა გავიფიქრე, სად მივდივარ-მეთქი. მაინც არ მივბრუნებულვარ. სკოლას შემოვუარე, გზა სპორტის მოედანზე გადავეჭრი და ბილიკს დავადექი, ქსნის პირას გავედი. იქ, მიყრუებულ ადგილას ხის ჩრდილი მოვძებნე და დავჯექი. თავი ხეზე მედო, ზურგითაც ხეს ვეყრდნობოდი, ხელები გულზე მქონდა დაკრეფილი და ცაზე ღრუბლებს გავყურებდი. თავი მტკიოდა და შუბლზე ხელი მოვისვი, ცხელი ხომ არა მაქვს-მეთქი. ყინულივით ცივი მქონდა შუბლი.

პირველი შემთხვევა იყო, გაკვეთილებს რომ ვაცდენდი, მაგრამ სულაც არ მედარდებოდა.

ლია საღამოს მოვიდა საბავშვო სახლში.

— რატომ არ იყავი სკოლაში? — ჩუმად მკითხა, რომ არც აღმზრდელებს გაეგოთ და არც ბავშვებს, იქვე რომ თამაშობდნენ კლასობანას, — თემო გიცდიდა.

— სად მიცდიდა? — გული გადამიქანდა და ლია თავისი სკამიანად უკან გაქანდა.

— სკოლასთან, ხის ძირას იდგა.

— მე რად დამიცდიდა?

— კარგი ერთი! — თქვა ლიამ. — მე რას გამომპარავს! გაკვეთილები რაღად გააცდინე, გოგო?

— რა ვიცი... ისე...

— საწყალი. — შეეცოდე ლიას, — მთელი დღე ალბათ ზიხარ და ოცნებობ.

მერე გაიცინა, მისი სიცილი მიწაზე ცარცით დახაზულ უჯრებს გადაეკვლო, აკაციის ხეებს გასცდა და ეზოს ბოლოში წყლით სავსე აუზში მოადინა ტყაპანი. — ნიკი არ იყო! შენნაირი იმას ათასი ეყოლება, — მერე ერთბაშად გაბრაზდა: — ისე, რომ იკითხო, მაია მიამიტიაო. მაია ბიუსა და გოგოს ერთმანეთისაგან ვერ არჩევსო, მაია ევროპაშიც ცეკვებს არ ეტანებაო და ესეც მაია, ერთ ღამეში გადარია ბიჭი. — ისევ გაიცინა, — მაინც რა მოგეჩვენა წუხელ, გოგო?

— ნეტა არ ილანძღებოდე!

— მედალოსნობის კანდიდატი! ერთხელ ბიჭმა წელზე ხელი მოხვია და ალგებრის საკონტროლო წერა ადრიც მოგონებია. რომ გაკოცოს, მაშინ სულ მთლად დაკარგავ თავგზას.

სკოლიდან ჯგუფად გამოვედით, ასე ვიცოდით ხოლმე. ერთმანეთს დაუცდიდით და ეზოში ერთი ყაყანით გამოვშვებოდით. გამოვედი თუ არა, თემო დავინახე, ალვის ძირში იდგა. რომ მივედი, ვერც კი მივესალმე, ვიდექი და სპორტულ მოედანზე მოთამაშე ბიჭებს გავყურებდი.

— გამარჯობა, მაიკო, — მითხრა თემომ. მიყურებდა და იღიმებოდა.

მეც გავიღიმე. ისე გავიღიმე, თითქოს გული გამეპო და იქიდან სიხარული ამოსკდა.

— ხომ არ გაგიჯავრდნენ, რომ დაიგვიანე?

„ყველაფერი ჩაუშიკეიკებია ლიას“.

— ვინ უნდა გამჯავრებოდა? არავინ არა მყავს, სრულებით არავინ, უდედმამო ბავშვთა სახლში გავიზარდე. ვინ უნდა გამჯავრებოდა? — დაბლა ვიყურებოდი და ფეხით ბალახს ვსრესდი.

— ვიცი, — მშვიდად თქვა თემომ. თითქოს ჩემი აღელვება არც შეუმჩნევია. — ვიცი, რომ არავინ გყავს, მაგრამ დეიდა მართა, ლამარა მასწავლებელი და დირექტორი ხომ გაგიწყრებოდნენ?

— დირექტორი გამიწყრა ცოტა, — ვთქვი და, უცბად დავშვიდდი.

— იცოდე, სკოლა ხუთებზე უნდა დამთავრო. სხვანაირად გაგიძნელდება ინსტიტუტში მოწყობა.

უცბად ამიჩვინდა გული. რამ ამიჩვინა არ ვიცი, მაგრამ სულ უცბად ამიჩვინდა გული. ალბათ მზრუნველობამ, თემომ ასე უბრალოდ რომ მაგრ-

ძნობინა. სულ იმაზე ვიბუტებოდი, რატომ მარტო მე არ მეფერებოდნენ ყველა ბავშვებზე მეტად, რატომ მარტო მე არ ვყავდი აღმზრდელებსა და მასწავლებლებს ბავშვებში გამორჩეული.

— რუსულ წერაში რომ არ მეშინოდეს, აუცილებლად გავიდოდი ოქროს მედალზე.

— მე გამეცადინებ რუსულში. სხვა საგნებში გეშინია?

— სხვა საგნებში არ მეშინია.

— მაშ, აუცილებლად გახვალ ხუთებზე. — და უცბად: — გუშინ სად იყავი, მაიკო?

— ქსნის პირას, ხის ძირას ვიჯექი.

თემომ თავისი დიდი, მძიმე ხელი გადამისვა თავზე.

— იქ რას აკეთებდი?

— ლექსებს ვთხზავდი.

გაიცინა და სულ არ მწყენია.

ალვები დაგვშრიალებდნენ თავზე. მიწაზე გაწოლილი მზის ირიბი ზოლები წარამარა ირხეოდნენ და ალვის ხის ტოტებიდან თავის დაღწევას ლამობდნენ.

— მე ისევ საავადმყოფოში წავალ, — თქვა თემომ. გზას ნელი ნაბიჯით გავყევით, — მძიმე ავადმყოფი მყავს. დათვს დაუტორავს მთაში, ფილას ჩამოიყვანეს.

— რა კარგია, ექიმი რომ ხარ.

— მოგწონს?

— ადამიანებს შველი.

— ადამიანების შველა ყველას შეუძლია, მაიკო. ექიმებსაც და სხვასაც.

— ძალიან კარგია, ექიმი რომ ხარ.

თემო მეორე დღესაც, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, იმავე ადგილას იდგა და მერეც ყოველდღე მოდიოდა. მეტყოდა თითო-ოროლა სიტყვას და მაშინვე მემშვიდობებოდა. მხოლოდ კვირა დღეს მივდიოდით ფილაადრიან ქსნის პირას და იქ, ხის ჩრდილში მამეცადინებდა რუსულ ენაში. საღამოს კინოში შევივლიდით ხოლმე.

მაისი ილეოდა და სულ აღარ გვქონდა დრო. გამოცდებს ვაბარებდით. მეოთხედი რომ მიიწურა, საგამოცდო ბილეთებიც მოგვივიდა და გამოცდების ცხრილიც გამოაკრეს. პირველი ქართული წერა გვქონდა. თავისუფალ [illegible] ავირჩიე, მშვიდობაზე. კარგად დავწერე. კიბეზე ლამის მოვფრინდავდი. სკოლის ეზო ბავშვებით იყო სავსე. რომ გამოვედი, ყველა ერთად შემომეხვია.

— რა დაწერე?

— თამაზი თუ წერს?

— კიდევ რა თემებია?

თვალით თემო მოვძებნე და მისკენ გავიქეცი. გული სიხარულით მქონდა სავსე. პირველ გამოცდას სხვა გამოცდებზე მეტად განვიდიდით ხოლმე. თემო მერხზე იჯდა და ღიმილით მიყურებდა. სასკოლო ფორმაც მეცვა, ყავისფერი, ნაკეცებიანი კაბა და შავი წინსაფარი.

— ჩემო ჭკვიანო, — მითხრა თემომ, — ხელი დაიბანე და წავიდეთ. ნიშანს მაინც ვერ გაიგებ დღეს.

იქვე პაწაწინა შადრევანი ამოჩუხჩუხებდა და იმ შადრევანზე დავიბანე ხელები. მელნით მქონდა მოთხვრილი. არ მინდოდა ჭუჭიანი წყალი შადრევანში ჩასულიყო და სულ დავასველე ჩემს გარშემო მიწა.

ცხელოდა. ჯერ პირველი გამოცდის მღელვარებას არ გაევლო და ისევ ალმური ამდიოდა სახეზე.

ქალაქგარეთ, კაფეში რომ შევედით, სულ მთლად არაქათგამოცლილი ვიყავი. ის კაფე ახალი აგებული იყო. თავზე უზარმაზარი კაკლის ხე დაჰყურებდა და ტოტები ისე გაეშალა, თითქოს სადაცაა წითელი აგურით ნაგებ ამ პაწაწინა შენობას უნდა შემოხვიოსო. კაფეში ნამყოფი არ ვიყავი და შიგ რომ შევდიოდი, თემოს მხარს ამოვეფარე. გულში ვინატრე, ნეტა ნაცნობი არავინ იყოს-მეთქი.

შესულები არ ვიყავით, მსუქანი, ღიპიანი კაცი რომ წამოდგა და კარზე ჩამოფარებული ფარდის იქით გასძახა:

— ვერა, ხალს გამოხედე! — ენაბლუ იყო. მისკენ აღარც მიმიხედავს.

— ახლავე, — მოისმა და ქალიც გამოვიდა. თეთრი არშიებით მორთული, გახამებული წინსაფარი ეკეთა. გულლიად იღიმებოდა.

— დაბრძანდით, — გვითხრა ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა, — ფანჯარასთან არ გირჩევნიათ? ნიავი უბერავს.

ჩვენ ფანჯარასთან დავსხედით.

— კარგ დროს მოხვედით, ახალი სოკო გვაქვს, კარაქში მოხრაკული.

— შამპანურიც მოგვიტანეთ, — უთხრა ქალს თემომ.

ქალმა პაწაწინა ბლოკნოტში ფანქრით რაღაც ჩაინიშნა და თან დამარცვლით, ხმამაღლა გაიმეორა: „შამპანურიც". მსუქანი ქალი იყო, საოცრად ნაზი თითები ჰქონდა. მერე წავიდა და ჩვენ მარტონი დავრჩით.

საუცხოოდ შემზადებული სოკო იყო. არც მეუბამ მანამდე სოკო და ძალიან მომეწონა. ახალი, წვრილად დაკეპილი პიტნა ჰქონდა მოყრილი. მაღალფეხებიან ჭიქებში შამპანური შიშინებდა და პაწაწინა ბურთულებს ისროდა. არც შამპანური დამელია მანამდე. თითო ყლუპს ვსვამდი და მაინცდამაინც არც მომწონებია. ჭიქა ბოლომდე დავცალე, ვიგრძენი, ღვინო მომეკიდა. ტუჩები ცხელი მქონდა და ჭიქას რომ შევახებდი, მსიამოვნებდა. თემო მიყურებდა და იცინოდა.

ქალმა მინდვრის ყვავილები შემოიტანა. კუთხეში, მაგიდაზე დააწყო და გადარჩეას შეუდა. გვირილებიც ერია. მერე თიხის მუცელგამობერილი ქოთანი გამოიტანა, ყვავილები შიგ ჩააწყო და ჩვენს მაგიდასთან ფანჯარაზე დადგა.

— გმადლობთ, — ვუთხარი ქალს და გავუცინე.

— ოსური ხაჭაპურებიც გვაქვს. ხომ არ მომეტანა?

— აუცილებლად, — უთხრა თემომ, — ოღონდ თუ ამ სოკოსავით გემრიელი იქნება.

რომ მოვდიოდით, ქალმა კარამდე მოგვაცილა.

ივნისი ისე გავიდა, რომ იტყვიან, თავი მაღლა არ ამიღია. ბაღში ჩავდიოდი, აკაციების ჩრდილში შალს ვაფენდი და იქ ვჯდებოდი. დაწყებითი კლასების მოსწავლეები სკოლიდან უკვე დაითხოვეს და ახლა ერთ ამბავში იყვნენ. აუზში ჭყუმპალაობდნენ, მზეზე ირუჯებოდნენ. საღამოს დარეტიანებული ვხურავდი წიგნებს და ცოტა ხნით სასეირნოდ მივდიოდი.

სპპავშვო სახლის ახლოს პატარა სკვერი იყო. ადრიან გაზაფხულზევე მოაყარეს ბილიკებს დაფშვნილი ავური. გაზონებში მატიტელა და გვირილა დარგეს. ხეების ძირში სკამები დადგეს და სხვადასხვაფრად შეღებეს.

თემო იმ სკვერში ერთ ამოჩემებულ ადგილას იჯდა და სანამ მივიდოდი, „ლელოსა" და „ნედლეიას" კითხულობდა. ჯიბეში უთუოდ ედო შოკოლადის პაწაწინა ფილა, ზედ რომ ორი გოჭი ეხატა. ვიჯექი მის გვერდით ცისფრად შეღებილ ხის სკამზე, თემოს მონაყოლ ანეგდოტებზე ვიცინოდი, თან ნელ-ნელა ვჭამდი შოკოლადს და ვგრძნობდი, როგორ მეწმინდებოდა თვალები, სახე მიმშვიდდებოდა.

ივლისის ბოლოს ყველა გამოცდა ჩაბარებული მქონდა. რუსულ წერაში მიღებული ხუთიანი თემოს ჩემზე მეტად უხაროდა. ბოლო გამოცდა რომ ჩავაბარე, თემო, ჩვეულებრივად, სკოლის ეზოში მერხზე იჯდა და მიცდიდა. მივედი და ბოლო ხუთიანიც ვახარე.

— გაღმა გავიდეთ, — მითხრა თემომ, — შენი საბოლოო გამარჯვების დღეა.

— ჩითის კაბას გადავიცვამ.

— აქ მოგიცდი.

უკან რომ მოვბრუნდი, თემოს გვერდით ლია იჯდა.

სამედიცინო ინსტიტუტში მინდა ჩავაბარო, — ამბობდა ლია, — ფიზიკისა მეშინია. ფიზიკაში მუდამ სამიანი მქონდა.

თემო წამოდგა. ნეიერნის ბადე მხარზე ჰქონდა გადაკიდებული.

— გაღმა მივდივართ, — თქვა.

— წამოდი თუ გინდა, — ვუთხარი ლიას.

ლიამ სიცილით აიწურა მხრები და ყურში ჩამჩურჩულა: ხელს შეგიშლითო, — მიტრიალდა და წავიდა.

ელიზო ბურჯანაძე

ხვალ ჩემი დაბადების დღეა

ჯერ ჭალაში ჩამდგარი სახლები გამოჩნდა. იმ სახლებში მტს-ის შუშები და ინკინრები ცხოვრობდნენ; მერე პატარა, ხელოვნური ტბა, შემოდგომის მზეზე ლურჯად რომ ლივლივებდა.

გზა მაღლობზე გადიოდა და სახლები ქვემოთ დარჩა. ეს პატარა სოფელი მოსაბარუნი იყო, მერე ფიქვნარი და ძველი, მწვანედ შეღებილი კლუბის შენობაც გამოჩნდა. ჯერ სახურავი ამოიწია და მზეზე ამოლაპლაპდა, მერე კედლებმაც ამოიწიეს და კლუბის გვერდზე ცემენტისსახურაკიანი ავტოსადგურიც დაინახეთ. ძველებური, პატარა, ავტობუსი იდგა. ეს ერთი ძველი ავტობუსიღა დადიოდა ქალაქში და ისიც კასპისა იყო.

კუთხის სახლთან ქუჩაზე ჩავუხვიეთ.

— ნუ გეშინია, ტალახი არ იქნება, — ვუთხარი გოგის. ჩვენი გარეუბნის ტალახი საშინლად ალიზიანებდა.

— მაინც უნდა გავრეცხო, პროფილაქტიკაში შევივლი.

შორიდანვე შევაჩჩინე, ჩემს აქ არყოფნაში სახლის პატრონს აივნის ფანჯრებში შუშები ჩაესვა. შუშები ალბათ ამ დღეებში ჩასვეს, ჯერ გაწმენდილიც არ იყო და მზეზე მტვერი და ნათითურები აჩნდა.

— ექვსზე დეიდა ვერასთან, არ დაგვიწყდეს.

— მაღლობელი ვარ, რომ ჩამომიყვანე, გოგი, — ვუთხარი, მანქანიდან რომ გადმოვედი და კარი მივხურე.

გოგომ გაიცინა, ჩემს ჩემოდანს ხელი დაავლო და კიბეზე აიტანა.

— ჯერ ხუთიც არ არის, — მითხრა, — პროფილაქტიკაში შევიარ. მანქანა უნდა გავარეცხინო.

— შენ თვითონ ვერ გარეცხავ? ვერცა გრძნობ, როგორ ზარმაცდები.

გოგომ ამოიხვნეშა.

— სულ მოვდგა გაზარმაცდი. ცხინვალში რომ ჩამოხვედი, ისიც მიკვირს.

— აუცილებლად უნდა გამიწყალო გული, — გოგომ მანქანის კარი მიხურა და გასაღები გადაატრიალა. ისევ გამოჰყო ფანჯარაში თავი, — ექვსზე, არ დაიგვიანო.

— ისე ილუშები, ლამის გული გამიგლიჯეს, — ისევ ეზოს კართან გაჩერა, უნდა შემოებრუნებინა და ისევ გამოჰყო ფანჯრიდან თავი.

— ორ ქილა კონსერვს ვერ მომიტან? — თემოს დავუურეკე სამსახურში და სანამ ტელეფონით ველაპარაკებოდი, სულ ვიცინოდი. საოცრად სასიამოვნო ხმა ჰქონდა თემოს.

— აბა, არა? „პროტი“ არ გინდა, მაიკო?

— შენი ცოლი ზეთს ვერ იტანს, გენაცვალე. ისევ ტომატიანი იყოს რამე.

— მაპატიე, სულ არ გადამავიწყდა!

— იქნებ გაპატიო როგორმე, მალე თუ მოხვალ.

— მოვრბივარ. რა კარგი გოგო ხარ, კონსერვები რომ მოიგონე; ძალიან მოპინდა ამ გახსენებაზე.

— გშია, ჩემო საწყალო?

— მაიკო, — მითხრა თემომ და დავინახე, როგორ იღიმებოდა. სახელს რომ მეძახდა, სულ იღიმებოდა ხოლმე. — ხომ არ გავდარიბდით, მაიკო? თვის ბოლომდე ბარე ერთი კვირა დარჩა.

რომ მოვიდა და, პერგამენტის ქაღალდში გახვეული კონსერვები არც დაუდვია, ხელშივე ეჭირა, ისე მომეხვია.

— იცი რა უნდა გახარო მაიკო?

— ტელევიზორს ვყიდულობთ?

— შვებულება მომცეს და ლარგვისში მივდივართ.

— არ გადამრეო! მართლა მეუბნები?

— არ გინდა, დღესვე წავიდეთ, მაიკო? ამ საღამოს კიდევ გადის ერთი ავტობუსი.

— ავტოსადგურში დარეკე და ბილეთი შეუკვეთე.

— შენ როდის გითავდება შვებულება?

— ჯერ სად არის!

მაღაზიაში შევიარეთ და ბებიას თავშალი ვუყიდეთ. თეთრწინწკლებიანი შავი თავშალი იყო. ავტოსადგურისკენ რომ მივდიოდით, დეიდა ვერა შეგვხვდა.

— სადმე მიდიხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლარგვისში, — უთხრა თემმ, — ორი კვირით მივდივართ ლარგვისში. ბებია მყავს იქა.

— კეთილი მგზავრობა, — გაგვიცინა დეიდა ვერამ, და ორი ოქროს კბილი გამოუჩნდა. — მალე დაბრუნდით.

ავტობუსი ნელა მიღოღავდა ოღროჩოღრო გზაზე. აქა-იქ ლოდები აეფეთქებინათ და გზა კი არ გაეწმინდათ, ეგრევე იყო მიტოვებული.

— დღეს არ მეშაობენ, — თქვა მძღოლმა. გული გადაღეღილი ჰქონდა. წარამარა ოფლს იწმენდდა სახეზე, — ლამის დაიშალოს მანქანა ამ კლდეებში.

პატარა ავტობუსი იყო. მგზავრები ფეხზეც იდგნენ. ფანჯრებიდან მზე აჭყეტდა. ვერ იქნა და, ავტობუსმა სიჩქარეს ვერ მოუმატა. მერეც, კორნთოს რომ გავცდით, მთელ გზაზე ეყარა კლდის ნამსხვრევები და ქვები. ალაგ-ალაგ ქვიშაც იყო დახვავებული.

ბებია ლარგვისიდან მომორგებით ცხოვრობდა. ქსანზე მოაჯირიანი ხიდი რომ გადავიარეთ და წმინდა თევდორეს ეკლესიას გორა აეფარა, ცხრამძოლაც გამოჩნდა. ავყევით მდინარეს. კარგა ხანს ტყის პირას მივაბიჯებდით, მერე, ტყეში რომ შევედით, უფრო აგრილდა.

— აგერ ბებიას სახლი. — დამანახა თემმ. სახლი მაღლობზე იდგა. ორსართულიანი ქვის სახლი იყო, კაკლის ხეებში ჩაჰჯდარი. ბილიკს რომ შევუდექით და გვერდით ხშირ ტყეს გავხედე, წაქცეულ ხეებზე თეთრად გადაპენტილი სოკო დავინახე.

— რამდენი სოკოა!...

— ხვალ ჩამოვიდეთ და დავკრიფოთ.

ბილიკი არც კი ჩანდა კოწახურისა და ასკილის გაბარღულ ტოტებში. ეზოში ჭილოფი ეფინა და ზედ გასაშრობად ხორბალი იყო გაშლილი. ბებიაც იქვე ჭილოფზე იჯდა და ხორბალს ცხრილავდა. კარი რომ შეაღო თემმ, მსწავლი ხეზე ჯაჭვით გამობმულმა ძაღლმა ავად დაიღრინა და წამოვარდა. თემო ბებიასთან მივიდა და გამხდარ მხრებზე ხელი მოჰხვია. მაშინოა მოიხედა ბებიამ, თემო პირველად ვერც იცნო.

— გამარჯობა ბებია! — უთხრა თემმ და ფეხზე მსუბუქად წამოაყენა ბებიაშვილი. ბებიამ სათვალე გაისწორა და უცაბედ გაეცადრა სახე. ძაღლი, გამხდარი ქალი იყო, მხრებში მოხრილი.

— ჩემი ბიჭი... — ამბობდა ბებია და თემოს ეხვეოდა. ხელებს უთათუნებდა მხრებზე, — გაიხსენე ბებია, ხომ? — მერე თვალი შემასწრო, სათვალე მოიხსნა და ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა. — ყველაფერი უჩემოდ მოსდა, ხომ, — ჩიფჩიფებდა და თავსაფრის ბოლოებით ცრემლებს იწმენდდა, — უჩემოდ, ხომ? — ხელი მომხვია და მაკოცა, — ბედნიერად დამიბერდით, შვილებო, — ტუჩებს აცმაცუნებდა და იღიმებოდა მიეხვდი, მოვეწონე და მეც გავუღიმე.

ზემოთ ავვიყვანა. ხავერდის ბალიშებით მორთულ ტახტზე დაგვსხა.

— ამ წუთში სუფრას გაგიშლით. — დადიოდა და სულ ჩიფჩიფებდა ბებია. — უჩემოდ გადაიხადეთ ქორწილი, ხომ... არ გაგახსენდათ ბებერი!

— ნუ ტირი, ბებია, — ეუბნება თემო, — ქორწილს უშენოდ როგორ გადავიხდიდით, სიმდი ხომ უნდა გეცეკვა...

ბებია აივანზე შლიდა სუფრას.

რძის ფლავი გამოგვიტანა, გვერდით დანაყილი დარიჩინი მოგვიდგა ლამბალქით, ბრინჯს უხდებაო. თეფშებზე თავისი ხელით მოგვიყარა. პიტნაზე დაყენებული არაყი და შვინდის მურაბაც მოგვართვა.

— დილით თიკანი დავკლათ. თიკნის ჩახოხბილს გაგიკეთებთ, ახალი ტყემლით, — გვეუბნებოდა და ნაოჭებით ერთიანად დაღარული სახე უცინოდა,

საღამოს მე და თემმ ხორბალი მარანში შევზიდეთ და ბეღელში ჩავყარეთ. ეზოს გადაღმა არხი იყო გაჭრილი. ამ არხში ბევრჯერ მიბანავიაო, მეუბნებოდა თემო. კოლმეურნეობის მინდვრებისათვის. გაჭრეს, ამ დამრეც მთებზე წინათ არაფერი მოდიოდა, ახლა კარგად ირწყვება და პური და კარტოფილი მოჰყავთო. ხომ მოხუცია ბებია. კოლმე-

ურნეობაში მაინც მუშაობს, სახლს არასოდეს არ კეტავს, ყარაულად ყურებდაჭრილი თოლია ჰყავს, ბლის ქურდებს უფრთხობსო.

უკვე ბინდი იყო, შინ რომ ამოვედით. ქვევით, ცხრამძუძულას ნაპირზე თემო ანკესით თევზს იჭერდა. მეც მჭონდა ანკესი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოედო თევზი, ვიდექი და თემოს გაყუჩულ კაკლს ვჭამდი.

ვახშმად ბებიამ ახალი კარტოფილი მოგვიტანა და თემოს დაჭერილი წვრილი თევზიც მოხარშა. ორი პატარა თეფში გაივსო.

— ზევით უფრო დიდი თევზი იცის, — თქვა თემომ, — კალმახსაც ვიჭერდით. ახლაც თევზაობენ, ბებია?

— ახლა ვინღა დადგება მთელი დღე ანკესით, — გაიცინა ბებიამ, — ჩაჰყრიან წამალს და სულ მკვდარ თევზებს ჩამოატარებს ხოლმე წყალი.

— არ უშლიან მერე?

— თუ გაუგეს, უშლიან.

ბებია თავიისი ხელით გვისხამდა ღვინოს. შინ დაწურული ღვინო ჰქონდა. მეავე იყო, მაგრამ თემოს ძალიან მოსწონდა.

— ნახეთ ერთი, რა გემოსია, — გვაძალებდა ღვინოს ბებია, — თქვენს ღვინოებს კი არა ჰგავს, მეავე წყალსა და შაქარს რომ სვამთ. თვალები მტკივა, რამდენი ხანია ღვინო არ დამილევია, ახლა თქვენი სადღეგრძელო უნდა დავლიო. თქვენ გაიხარეთ, შვილებო, ბებიას გახარებისათვის, ერთ-ორ კვირას ხომ დარჩებით ჩემთან, ბებია გენაცვალოთ?

●

წინა საღამოსვე მოვემზადეთ. ჯერ გათენებულიც არ იყო, გოგი რომ ამოვიდა „ვოლგით“. ლომისის ხატობაზე მივდიოდით მთაში. გოგომ მანქანის საყვირი რომ ჩართო, ხელი აღარ გაუშვია მერე, სანამ აივანზე არ გამოეცვივდით.

— რამე შეეშალეთ, ისე არ გაგიშვებთ, — გვითხრა ბებიამ, — იმასაც დაუთახეთ, მთაში მალე შევდება კაცს. — მივიდა და თვითონ გადასძახა გოგის.

სუფრაზე სოფლური თონის პური და ცხვრის ყველი იდო. ბებიამ ცხელი ლუდი გამოგვიტანა.

— ფრთხილად იყავით, — გვარიგებდა ბებია, — არსად გადაიჩეხოთ, ზევით ისეთი კლდეებია, ფეხს ვერ მოიქცევთ.

ციოდა. ერთი შხუილითა და გულისხთქვებით მოდიოდა ჭერთული. გაშლილი რიყე იყო. აქა-იქ დარებივით აჩნდა პატარა ნაკადულები. ერთი მხრიდან ცამდე აწვდილი მთები გადმოგვყურებდა, მეორე მხარეს ხშირი, ყრუ ტყე გარინდულიყო. თითქოს მთა და ტყე იმიტომ გახლეჩილიყო შუაზე, რომ შიგ ჭერთულს ხეობა ჩაწოლილიყო და მგელივით დაეღო ხახა.

— მარტო რომ ვიყო, შემეშინდებოდა.

— აქაური ქალები ფეხით გადადიან ხოლმე სოფლიდან სოფელში. ზევით სამანქანო გზა არც არის.

თემომ გზის პირას კუნელს ტოტები შეატეხა, შავად იყო დახუნძლული. წვრილი, სრიალა კურკები ჰქონდა.

— ნახე, ხატი! — ზევით აგვახედა გოგომ.

— ნიშია, — განმარტა თემომ, — ქვემოთაც დავინახე მაგისთანა ნიში.

— მოდი, ავიდეთ.

რიყიდან გადავუხვიეთ და ბილიკს შევყევით. წინ გოგი მიდიოდა, მერე მე, თემო უკან მოგვყვებოდა და ხელს მაშველებდა ხოლმე. რბილი და ფხვიერი იყო მიწა. ბუჩქებს ვეჭიდებოდით. დავადექით თუ არა ბილიკს, ფეხები მიწით აგვევსო. ნიში შებოლილი და გვერდგანგრეული იდგა. ქვებს ოდესღაც დანთებული სანთლის წვეთები აჩნდა. დიდ ლოდზე ძველი, გაკანგული ჯვარი იყო მიყუდებული.

ჩამოცხა. ზემოდან დიდი, გავარვარებული მზე დაგვყურებდა. ტყე გარინდულიყო და ნიავიც არ იძვროდა. ხანდახან ცხვირწინ წამოგვიფრინდებოდა შაშვი, ეგ იყო და ეგ. ბილიკი სულ ზემოთ და ზემოთ მიცოცავდა, ხან ალმა ასდევდა მთებს, ხან ფრიალო კლდეებს უელდა გარშემო. საცალფეხო ბილიკი იყო, ცხენიანი კაცი გაჭირვებით გაივლიდა.

ბილიკის თავში კაცი გამოჩნდა. ცხვრებსა და თხას მოერეკებოდა. თხა ბებერი იყო, დაგრეხილი რქები ჰქონდა. დინჯად მოდიოდა. კაცს კომბლის ერთი წვერი იღლიაში ამოეჩარა, მეორე ბეჭებზე გაედო.

ახლოს რომ მოვიდა, შეჩერდა, ქუდი მოიხადა და მოგვესალმა. ჩვენც მივესალმეთ.

— ალბათ ბაზრობაზე მიდის, — კაცს გახედა და გვითხრა თემომ.

ბილიკმა შემოუხვია და მაღლა, მთის წვერზე ჩიტის ბუდეებივით წამომჯდარი სახლები გამოჩნდა.

●

— გძინავს მაიკო? — მითხრა თემომ დილით. მზე ამოსულიყო უკვე. ფარდებში სხივებსა სცრიდა.

— გავიღვიძე.

— ფეხები არა გტკივა?

— ოდნავ.

— დაიღლებოდი.

— სულაც არ დავღლილვარ. სიამოვნებით წავიდოდი კიდევ.

— გაისად ზღვაზე წავიდეთ. მაცივარი რომ არ გვეყიდა, წელსაც წავიდოდით.

თემო ადგა და ფეხშიშველი გავიდა აივანზე. რომ შემოვიდა, ხელში გულიანი ქადის ნაჭერი და დოქით ლუდი ეჭირა.

— ქადა არ გინდა, მაიკო?

— ძალიან მინდა, სულ მშია და მშია.

— ლუდიც დალიე ცოტა. ჯერ შენ დალიე და მერე მე მოვიყუდებ.

დოქი მოვიყუდე და ორი ყლუპის მეტი ვერ გადავყლაპე. არც მიყვარდა მაინცდამაინც ლუდი.

— ბებია სად არის?

— პურს აცხობს. სულ ბდღვიალი გაუდის თონეს.

— მაშ, ჭახრაკინებსაც გამოგვიცხობს.

— აბა, რა! მაიკოს უყვარსო. მე სულ გადამივიწყა. ძალიან კი შეაყვარე თავი.

— მეც ძალიან შემიყვარდა. ბებიას გაუმარჯოს! — კიდევ მოვიყუდე დოქი და კიდევ ორი ყლუპის მეტი ვერ გადავყლაპე.

— გული ხომ არ დაგწყდა, ზღვაზე რომ ვერ წავედით, მაიკო?

— რას ამბობ. საოცარი იყო მთაში. ჩემს დღეში არ დამავიწყდება. გაისად ხომ წავალთ ზღვაზე?

— გაისად აუცილებლად. საღმე, მეთევზის ქოხში ვიცხოვროთ, ნავსადგურის ახლოს, რომ გემებს ვუყუროთ, როგორ შემოვლენ ნავსადგურში და მერე როგორ გავლენ ზღვაში...

— მაიკოო! — ყვიროდა ლია. ოთახშივე გავიგე ხმა და აივანზე რომ გამოვედი და გადავიხედე, ყველანი ერთად დავინახე: ლია, ნანა, გოგი და ზაზა. გოგის „ეოლგით“ ამოვიდნენ, თევზობას აპირებდნენ.

— გამარჯობა, მაიკო! — დამიძახა ლიამ ეზოდან რომ გავედი და ბილიკზე დავეშვი. ლიას შარვალი ეცვა და ქუსლიან ქოშებს რიყეზე მოაბაკუნებდა. ასე მეგონა, ქაჯეთის ციხეში ხარ გამომწყვდეული და შენს დასახსნელად ამოვედი.

— მშვენივრად ვართ აქა — იცოცხლე, კარგი დამცველები კი გვყავს! — ლიამ თავზე წამომდგარ მთებს ახედა.

ნანა უზარმაზარ ქვაზე იდგა, კოპლებიანი ჩითის კაბა ეცვა, ხელში ჩალის ქუდი ეჭირა. გოგომ უცბად დაქოქა მანქანა და ყველანი შიგ შევცვივდით, თითქმის მუხლზე ვასხედით ერთმანეთს. ორი კაცის ადგილი ეკავა მოწნულ კალათას, რომელსაც გოგი წარამარა მოხედავდა ხოლმე. მანქანა მძიმედ მიდიოდა.

ქარჩოხს ზემოთ ერთი გაშლილი ადგილი ვნახეთ. შუა რიყეზე ობოლივით იდგა ტოტებგადმოჩაჩხული კაკლის ხე. მანქანა იმ კაკლის ძირში გავაჩერეთ, ბიუბიც იქვე დარჩნენ. ჩვენ მდინარეს აკაკვივით და შინდის ბუჩქებთან ტანსაცმელი გავიხადეთ. კარგახანს ვიდექით, სანამ წყალში შევიდოდით. ძნელი იყო ერთბაშად შესვლა. აგვისტოს გაგანია სიცხე იდგა და წყალი მაინც ცივი იყო.

კოჭებამდე წყალში ვიდექი, მზე მაცხუნებდა და მაინც დამაყარა კანზე

ბურძგლები. მუხლამდე რომ შევედი, უცბად გადავეშვი და ვიგრძენი, ტალღამ როგორ გადამიარა. ერთი წამით თითქოს გამეყინა სხეული, მერე უცბადვე დამითბა და წყალიც აღარ მომჩენებია ცივი.

ნანა ნაპირზე დარჩა, მუხლამდე რომ შემოვიდოდა, ისევ უკან გარბოდა, ერთბაშად ჩასვლას ვერ ბედავდა.

— რატომ არ ჩამოხვედი? — ჰკითხა ლიამ. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა ტანზე. ხელით გაიწურა თმა და ნანას გვერდით დაჯდა.

— ვერ ვიტანს ცივ წყალს, — უთხრა ნანამ.

— ზაზას იტან, ნანიკო? ხელი როდის უნდა მოაწეროთ?

— შვიდ ნოემბერს.

ლიამ ამოიოხრა და სიბრალულით შეხედა ნანას.

— გახდები ცოლი, მერე დედა.

— აბა შენსავით კი არ ვიტანტალებ კაფე-კაფე.

— კიდევ რას არ იზამ ჩემსავით,, ნანიკო?

— ყველას არ ჩამოვეკონწიალები კისერზე.

— მიდი, მიდი... კიდევ?

ლია ქვიშაზე გაწვა და მზეს შეხედა. თმა შეღებილი ჰქონდა და მზეზე წითლად უბრწყინავდა.

— არც შენსავით უსაქმურად ვიხეტიალებდი.

— მეც ასოფამწყობად ხომ არ ვიმუშაო სტამბაში, ნანიკო? რომ არაფერი მიჭირს სამაგისო.

— მარტო გაჭირვებაში როდია საქმე.

— მაშ, რაშია?

— ყველა რაღაცას უნდა აკეთებდეს ქვეყანაზე.

— უთენია უნდა კვალავდეს იკოთის გზაზე ბილიკს, ან სატინის ხალათი ეცვას და ხელები აუცილებლად შავად ჰქონდეს მოთხვრილი, არა?

— შენზე უკეთესი გოგოები მეშაობენ სტამბაში, — ვუთხარი ლიას, — შენზე ბევრად უკეთესი გოგოები.

— ნუ ბრაზობ, მაიკო. მე არავის დავცინი, ოღონდ ტვინი ნუ წაიღებ. თქვენი ლექციებით. კომკავშირის კომბაზზე მგონია თავი, — ლია ქვიშაზე გადაწვა და სველი თმა კეფაზე აიწია, — თვალები დავხუჭე და მაინც ვხედავ მზეს. სისხლივით წითელია, და სულ ცახცახებს.

●

— თემო. — ბნელოდა და თემოს ვერ ვხედავდი. სიბნელეში ხელი მოვაფათურე. — თემო, თემო!..

— რა იყო, მაიკო?

— სინათლე აანთე.

— რა მოგივიდა, მაიკო? — გავიგონე, როგორ გადაატრიალა ამომრთველი თემომ.

— არაფერი, არაფერიც არ მომსვლია.

—რატომ კანკალებ?

— ჩემთან მოდი.

ადგა და საწოლზე ჩამომიჯდა. ცალი ხელი თავქვეშ შემიცურა და მაღლა ამიწია თავი.

— რა მოგივიდა, ჩემო პაწაწინა?

— რა მომივიდა?

— ცუდი სიზმარი ნახე, მაიკო?

— თემო... ბიჭი... — თვალები დავხუჭე და ლოყაზე ცრემლი ჩამომიგორდა.

— მაიკო!..

— რა მატირებს ნეტავი? — მუცელში აღარ ვგრძნობდი ფეთქვას და უცბად დავშვიდდი.

— ჩემო პატარა... ჩემო პაწაწინა!...

— ისეთი უცხო გრძნობა იყო, ისეთი დიდი. ვერ გავძელი მარტო.

საღამოობით წმინდა თევდორეს ეკლესიის ეზოში გადავიდოდით ხოლმე. ცოტაზე ჩავყვებოდით მდინარის ნაპირს, მერე მოვუხვევდით და ქსანზე ხის მოაჯირიან ხიდს გადავცილდით. ეკლესიაც იქვე იდგა, გორაზე. მორღვეული გალავანი ჰქონდა, ნანგრევებზე გადავიცლიდით და გორას მაღლა შევყვებოდით. იქ კაკლის ძირში ვსხდებოდით და მთებს გავცქერიოდით. ეკლესიის გუმბათი მერცხლის ბუდეებით იყო გაჭედილი და თეთრად გადასვრილი. ეკლესიის უკან, სასაფლაოზე დაკრძალუ-

ლი იყო თემოს პაპა. საფლავის ლოდი ცერად იდო, ირგვლივ ბალახი ამოზრდოდა.

— ხვალ უნდა წახვიდე, თემო? მე შაბათამდე დავრჩები.

— როგორც გინდა, შაბათს ამოვალ და წაგიყვან.

— მინდა ერთი ორი დღეც ვიყო აქ. შაბათს თუ ამოხვალ, კვირა საღამოს წავიდეთ.

თემო სამშაბათს უთენია წავიდა. მარტო რომ დავრჩი, ვინანე, რატომ მეც არ წავყევი-მეთქი. ბებიასთან ერთად დავდიოდი ეზოში, ჭუკებს სიმინდს ვუყრიდი, თხებს ვწველიდი, ყურებდაჭრილ თოლიას გვერდჩაჭყლეტილი ჯამით წყალს ვუდგამდი და მაინც სულ იმას ვფიქრობდი; რატომ მეც არ წავყევი თემოს-მეთქი.

საღამო იყო. მე და ბებია ეზოში ვისხედით. დავინახე, როგორ გამოჩნდა წყალგაღმა ავტობუსი, მთების ძირში გაწოლილ გზაზე მოდიოდა, წარამარა ბუჩქებს ეფარებოდა და ისევ გამოჩნდებოდა. მერე იქ, სადაც ახალ კინოთეატრს აშენებენ, გაჩერდა და ხალხი ჩამოვიდა.

— წავალ, ბებია! — ვთქვი უცებ და გამიკვირდა. არც მიფიქრია, ისე ვთქვი, — წავალ და მე და თემო ერთად ამოვალთ შაბათს.

— რადა, ბებია გენაცვალოს? — ჩემკენ შემობრუნდა ბებია, — რად უნდა წახვიდე?

— ისე, უნდა წავიდე, — ავდექი და ბებიას ვაკოცე, — შაბათს ისევ ამოვალთ მე და თემო. სანამ ბებია რამეს ეტყოდა, დაბლა დავეშვი და სირბილით გადავიარე ხიდი.

ერთი საათის სავალიც არ იყო ქალაქამდე. ავტობუსში უკან ვიჯექი და ფანჯრიდან ვიყურებოდი. ჩემს წინ ორი ქალი იჯდა, ხელებს იქნევდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

„ნეტა თემო შინ დამხვდეს“.

ჩვენი სახლი ქალაქის განაპირას იდგა. აქეთ სულ ახალი სახლები შენდებოდა. ოროთახიანი ბინა გვქონდა, ფანჯრები დასავლეთისაკენ რიყეს გადასცქეროდა. ეზო გვქონდა კარგი. თუთისა და აკაციის ნერგებს ვრგავდით, აგურს ვნაყავდით ბილიკებზე მოსაყრელად. ძია შიმი დომინოს სათამაშო მაგიდაც გამართა.

ჩვენი სახლი რომ გამოჩნდა, თვალით მეორე სართულის პირველი ფანჯარა მოვძებნე და გავუღიმე.

კარს შიგნიდან გასაღები ეკეთა. ზარი დავრეკე.

კარი გაიღო.

— მაიკო!... — თემო გაოგნებული შემომყურებდა.

❶

კაფეში სიწყნარე იყო. უკვე ადგომას ვაპირებდი, რომ გოგიც გამოჩნდა.

— მაპატიე, მაიკო, დამაგვიანდა, — ნეილონის თეთრი ხალათი ეცვა გოგის. დაჯდა და ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— უშენოდ ვაპირებდი ვახშმობას უკვე.

— რა მოვატანინო?

— მგონი გოჭის ხორცი უნდა ჰქონდეთ, მწიფე პამიდორის მწნილითა და ბარდით; ვაშლის ნამცხვარიც მინდა, ამ წუთში შემოიტანეს დიდი სინით, ჯერ ისევ ცხელი იქნება.

— მაშ, ყავაც დავაყოლოთ ბარემ.

— უგემური ყავა კი აქვთ. ფერზეევ ეტყობა,

— კარგად კი გცოდნია ამათი მენიუ.

— მეტი რა საქმე მქონდა? ვიჯექი და ვუყურებდი, ვინ რა საჭმელს ირჩევდა.

— დიდხანს იტანჯებოდნენ ხოლმე? — გაიცინა გოგიმ.

— იცოცხლე! ერთი-ორს კინაღამ მივეშველე.

დეიდა ვერა მოვიდა. ჩვენს მაგიდასთან ისე დადგა, ხმა არ მოუღია. იდგა და ჭერს მისჩერებოდა. ხელში პატარა ბლოკნოტი ეჭირა და დაკვეთის მოლოდინში მაგიდაზე ფანქარს უკაკუნებდა.

— გოჭის ხორცი მწიფე-მწიფე პამიდორის მწნილითა და ბარდით, — თქვა

ილიკო გურდიგოვა

ხვალ ჩემი დაბადების დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა
2025

გოგიმ. დეიდა ვერამ სწრაფად ჩაიწურა. — ბატკნის მწვადი და შემწვარი სულგუნი არაჟანით, ტკბილი რა შევუკვეთოთ, მაიკო?

— ნესვი მინდა.

— რა დავლიოთ? — მკითხა გოგიმ.

— მე ლიმონათს დავლევ.

— ერთი ჭიქა „გურჯაანი“ დალიე, მაიკო, გოჭის ხორცს უხდება.

ერთიანად ჩამობნელდა. დეიდა ვერა მოვიდა და ფანჯარაზე ფარდა გადასწია. სუფრიდან ჭურჭელი აალაგა და ნესვი მოგვიტანა. გოგიმ კიდევ დაისხა ღვინო.

— დათვრები, — ვუთხარი მე, — ამდენს რატომ სვამ, გოგი?

— ნუ გეშინია.

— სადაცაა თემო მოვა, — უცებ თქვა გოგიმ, უბრალოდ თქვა და ერთბაშად მომეშვა და მომიდუნდა მკერდში გული. მომეშვა, მომიდუნდა და მერე მოსწყდა, ძმიმედ დაეშვა ქვევით და მეც თან ჩამიყოლა. იქ, სადაც გული უნდა ყოფილიყო, სიცარიელე გაჩნდა და იმ სიცარიელემ ტკივილი მაგრძნობინა. — თემოს გაუმარჯოს! წარბებს ნუ ჭმუხნი, მაიკო. ძალიან კარგი ბიჭია თემო! თემოს გაუმარჯოს! შენ ხომ იცი, ძალიან კარგი ბიჭია თემო!

პირი სულ მთლად გამიშრა და მომწარო გემო ვიგრძენი. რაღაცას ვყლაპავდი და ვერც ვყლაპავდი. რატომღაც თვალით დეიდა ვერა მოვძებნე და გავუღიმე. იმან თვალები დაახამხამა და განზე გაიხედა.

— ხომ არ მიწყრები, მაიკო? — მკითხა გოგიმ.

დეიდა ვერა მოვიდა, „გურჯაანი“ მოიტანა. ცარიელი ბოთლი აიღო და გაბრუნდა.

— მანდარინი არა გაქვთ? — დაადევნა გოგიმ.

— არ მიგვიღია. ნუში გვაქვს, მოგართმევთ.

დეიდა ვერა წავიდა. ჩვენთვის არც შემოუხედავს, ისე წავიდა.

— სიგარეტი მომეცი, — ვუთხარი გოგის. უნდა მოვწიო.

გოგიმ ჯიბიდან „თბილისი“ ამოიღო, კოლოფს მშვიდად შემოაცალა ნეილონის ქაღალდი და ისე მომაწოდა. მერე ასანთიც გამიკრა და მოვუკიდე. როცა ვუკიდებდი, დავინახე, როგორ მითრთოდა თითები და გავიფიქრე, რა ყვითელი ფერი მადევს თითებზე-მეთქი.

— არ ვიცოდი, თუ ეწეოდი, — მითხრა გოგიმ. გაიღიმა და მივხედი, ვერ დავაჯერე. არ მინდოდა გოგის შეეჩინა, რომ ვერ ვეწეოდი. ერთბაშად მოვქაჩე და ხველა ამატყდა. საძაგელი გემო ჰქონდა. ნეტა რა სიამოვნებას გრძნობენ ამაში-მეთქი — გავიფიქრე. გოგი ღიმილით მიყურებდა. სულ არ გავუბრაზებივარ იმ ღიმილს.

დეიდა ვერა მოვიდა და თეთრი წნული ლანგარით ნუში მოგვიტანა. სატეხიც გვერდზე შემოუდო.

— დეიდა ვერა, — ვუთხარი მე, რატომ მიბრაზდებით, დეიდა ვერა?

— გიბრაზდები? — გაიოცა დეიდა ვერამ, — ღმერთმა დამიფაროს, რატომ უნდა გაგიბრაზდე?

— მეც გამიკვირდა, რაზე უნდა მიბრაზდებოდეს-მეთქი.

— არც მიფიქრია, — თქვა დეიდა ვერამ და მხრები აიჩეჩა.

— არ მინდა ასე გაღიზიანებულს გხედავდე, მაიკო, — მითხრა გოგიმ, დეიდა ვერა რომ წავიდა.

— სიგარეტი ჩამიქრა, — ვთქვი მე.

— მოეშვი, მაიკო, ვერც მოსწევ.

— რაც გაგიცანი, სულ ჭკუას მარიგებ.

— ეგ იმიტომ, რომ თმის ღერიდან დაწყებული თითის ფრჩხილებამდე სულ ჭკუითა ვარ გატენილი. სულაც არ მშირდება ამდენი და ვინმეს ხომ უნდა გავუნაწილო.

— მაღლობელი ვარ, რომ მე ამირჩიე.

— ისევ მიწყალებ გულს.

— როგორ მიხარია.

— შენ გაგიმარჯოს, მაიკო. პატიოსანი გოგო რომ ხარ, მარტო იმიტომ გაგიმარჯოს. გულში დიდ სიყვარულსა და ტკივილს რომ ატარებ, და დიდი და ლამაზი გული რომ გაქვს, იმიტომაც გაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯოს. ერთი გაბედოს და ვინმემ ცეარად შემოგხედოს, მხოლოდ შემოგხედოს ერთი!

დალია და მაშინვე გაიცსო ჭიქა.

— დიდებული სადღეგრძელო იყო, როგორ მოიგონე, გოგი?

— გადასარევი გოგო ხარ, მაიკო, ასეთი დიდი გული გაქვს და როგორ არ შეგიძლია ანტიო თემოს?

— სულაც არ უნდა დამთვრალიყავი, გოგი.

❀

კარისაკენ ერთხელაც არ მიმიხედავს, გოგის ვუყურებდი სულ და ვიღიმებოდი. ერთხელაც არ მიმიხედავს კარისაკენ და იმ წუთშივე ვიგრძენი, თემო რომ შემოვიდა. სანამ თემო ჩვენს მაგიდასთან მოვიდოდა, მანამდე სულ გოგის ვუყურებდი, მაგრამ გოგის ვეღარ ვხედავდი უკვე.

— გამარჯობა, მაიკო, — წყნარად მითხრა თემომ.

❀

— მაიკო!... — გაიმეორა თემომ.

— არ მელოდი და მაინც მოვედი! — ფეხის წვერებზე ავიწიე და თემოს შუბლზე ვაკოცე. ასე ვიცოდი, ფეხის წვერებზე ავიწევდი ხოლმე და ტუჩებით ისე ვწვდებოდი შუბლზე. თემო ორივე ხელს წამავლებდა წელზე და მაღლა ამიტაცებდა.

თემო იდგა და გაშტერებული შემომცქეროდა. უცებ ლია დავინახე. საწოლი ოთახის კარი ღია იყო, საწოლში იჯდა ლია და მიყურებდა. ოთახი თეთრმა ნისლმა წაიღო და რაღაცას მიახეთქა. მერე იქვე გაჩერდა ოთახი და ახლა რწევა დაიწყო.

„გემი... ალბათ ასე ირწევა გემი!..“

— წადი! — დაუყვირა ლიას თემომ. ოთახში შევიდა და კართან დადგა.

გავიფიქრე, რამეს უნდა მოვჭიდო ხელი-მეთქი და თვალები დავხუჭე.

„როგორ ვოცნებობდი ხოლმე, ზღვაზე—საღამოა. ცხელ ქვიშაზე ვწევარ და ვთვლემ. უცბად გემის საყვირის ხმა მესმის და ვხედავ, გემი შემოდის ნავსადგურში. დიდი თეთრი გემი“.

— წადი! — გაიმეორა თემომ.

ლიამ ფეხებიდან საბანი გადაიძრო. ბუმბულის საბანი იყო, ცისფერი ატლასის. თემოს დედამ მოგვართვა, ბინა რომ მივიღეთ. საწოლი ოთახის კედლებიც ცისფერი იყო, ღამის ლამპაც, ჩემი საწოლის გვერდით რომ იდგა.

ლიამ საბანი გადაიძრო, ადგა, მშვიდად ასწია ხელები, კაბა გადაიცვა და სარკესთან მივიდა. თმა რომ გადაივარცხნა, ხელჩანთა აიღო და წავიდა. მაგრად გაიჯახუნა კარი. გვერდით ისე ჩამიარა, არ შემოუხედავს.

„იოდი უნდა დავლიო... არა, იოდი არ მომკლავს. რა უნდა დავლიო, რომ მოვკვდე?“

პარკეტს მტვრიანი ნაფეხურები აჩნდა. კედელთან ვიდექი და ხელი მუცელზე მედო. რა სისულელეა, არაფრით არ უნდა დავეცე-მეთქი, ვფიქრობდი. მესმოდა, როგორ ჩადიოდა ლია კიბეზე და საფეხურებს ვითვლიდი.

„ერთი... ორი... რატომ ვითვლი? სამი... რატომ, ვითვლი? ოთხი... ხუთი...“

„მაიკო!

„იცი, მაიკო, როგორღაც იოლი გაგება აქვს ახლა სიყვარულს“.

დერეფანში რომ გამოვედი, ვიგრძენი, ხელი ისევ მუცელზე მედო და გავიღიმე.

„ჩემი ბიჭი...“

მერე, კიბეზე რომ ჩავდიოდი, არ მინდოდა ჩემი ფეხის ხმა გამეგონა და ფრთხილად ვადგამდი ნაბიჯს... ქვის ფილაქაზზე, კიბის მოსახვევთან, ვიდექი... თემო ხელებით მხრებში ჩამაფრინდა.

— მაიკო! მაიკო!

ისე შემანჯღრია, კინაღამ კიბის სახელურს წავარტყი ხელი. სახეზე შევხედე და მომეჩვენა, ძალიან დიდხანს შევყურებ-მეთქი. მერე თემომ თვალები დახარა. გავიღიმე, მივბრუნდი და იქვე ჩავიკეცე.

პალატაში მარტო ვიწექი. კედლებთან კიდევ ორი საწოლი იდგა, მაგრამ ლეიბები აკეცილი იყო და პალატაში მარტო

ელიკო ბურჩიკოვა

ხვალ ჩემი დაბადების დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწექი. ოთახს ორი კარი ჰქონდა, ერთი საავადმყოფოს დერეფანში გადიოდა, მეორე პატარა აივანზე, ეზოს რომ გადასცქეროდა. ფანჯრიდან ტელეფონის მავთულები, აკაციის ხეების კენწეროები და შემოდგომის ძალადაკარგული მზე ჩანდა. იმ კარიდან, დერეფანში რომ გადიოდა, ჩურჩული ისმოდა, ყური რომ მივუგდე, ნანას ხმა ვიცანი. მინდოდა ნანასათვის დამეძახა, მაგრამ გადავიფიქრე, თავი არ მჭონდა. საღამოს სტამბიდან გოგოებიც მოვიდნენ და პატარა კალთით მანდარინები შემომგზავნეს. მერე, დეიდა მართა რომ შემოვიდა, უკვე კარგად ვგრძნობდი თავს. როგორ არ ცდილობდა თავის შეკავებას, მაგრამ მაინც ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.

— მე მოგიკვდე, შვილო, და შენ ამ დღეში არა გხედავდე. მე მოგიკვდე...

დეიდა მართა რომ დავინახე, ტირილი დავიწყე. ხელში ჩემი ხელი ეჭირა.

საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, ორი დღე და ღამე გვერდიდან არ მომცილებია თემო. დიდი სიცხე მქონდა და თვალს ვერ ვახელდი. ფეხის წვერებზე დადიოდა, მაგრამ მაინც ვარჩევდი მის ნაბიჯებს. მოვიდოდა და ხელს ფრთხილად დამადებდა ხოლმე შუბლზე. ვგრძნობდი, როგორ უთრთოდა თითები. სიწოლზე რომ დაიხრებოდა, მის სუნთქვას ვგრძნობდი სახეზე და მისი ჩურჩული მესმოდა:

— ჩემო პაწაწინა!..

ერთი ბეწვითიც არ გამნელებია ტკივილი, ამას რომ მეუბნებოდა, ისევ ისე მოწურული მქონდა გული.

— ხომ კარგადა ხარ ახლა, მაიკო? — მზე გადასულიყო და აკაციის კენწეროები შავად მოჩანდა. ცა ლურჯი იყო, ისეთი ლურჯი, თითქოს საღებავი წაუსვეს, — დილამდე ხომ არაფერი გინდა?

კარგად ვარ, არაფერი არ მინდა. სრულებით არაფერი. და ნურც ღამეებს მითევ. შენა გგონია, არ მესმის, დერეფანში რომ დაადიჯებ მთელი ღამე? შენს ნაბიჯს ისი კაცის ფეხის ხმაში ვარჩევ. რატომ მითევ ღამეებს? გგონია, შენი სიყვარული მომკლავს? ყველაფერი ზღაპარი იყო, ლამაზი ზღაპარი. ცისფერყდიან წიგნში წავიკითხე. შენ რომ მიყიდე, იმ წიგნში. თუ გინდა მოგიყვები, მაგრამ კარგად რომ აღარ მახსოვს?

ნუ ვტირი? მართლა ხომ არ ვტირი, თემო? საოცარია პირდაპირ, ჩემს დღეში არ მტირია და ახლა რა მატირებს? აღელვება მაწყენს? დავშვიდდები. ხმასაც აღარ ამოვიღებ.

პალატიდან რომ გადიოდა, თვალი გაეყოლე და გული შემეკუმშა, გამხდარი მეჩვენა. თეთრ ხალათში უფრო მაღალი ჩანდა. კარს რომ მიეფარა, გავიფიქრე, რატომ თან არ გადავყევი იმ მკვდარ ბავშვს-მეთქი“.

❦

— ჯერ ხომ არ მიდიხარ, გოგი? — ვიღიმებოდი, ისე ვკითხე. თან სულ მახსოვდა, რომ გოგი ამ ღიმილს ვერ იტანდა.

— სულაც არ მინდოდა შენი წყენინება, მაიკო, — გოგი ადგა და მაგიდიდან „თბილისი“ ამოიღო. — კაცმა რომ თქვას, სულ ტყუილ-უბრალოდ კი გეწყინება ხოლმე.

— წეღანაც ხომ გითხარი, ჭკუას ნუ მარიგებ-მეთქი.

გოგი წავიდა და მე თემოს შევეხედე.

— მაიკო... — ჩუმად თქვა თემომ.

დეიდა ვერა მოვიდა და თემომ უთხრა:

— სიგარეტი მომიტანეთ, დეიდა ვერა.

— დეიდა ვერამ თავი დაუქნია და გიტრიალდა. გვერდით რომ ჩამოარა, გამიღიმა.

„დეიდა ვერა როგორ მოიქცეოდა ნეტა ჩემს ადგილზე? ან აი ის გოგო, კუთხეში რომ ზის. ღმერთო, რა ლამაზი თვალები აქვს იმ გოგოს—მოგრძო და ნაცრისფერი. ან სხვები როგორღა მოიქცეოდნენ?“

— ხვალ ჩემი დაბადების დღეა, — ვთქვი მე.

რაღაც ხომ უნდა მეთქვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაუნიკი

ბაღათერ არაბული

ღამეული მინიატურებიდან

საღამოს ჩრდილზე თრთოდა ბოროლა,
ნისლს შორს მიჰქონდა ფერი იელთა
და ვარსკვლავები ნელი ბორილით
სხდებოდნენ მთების დასალიერთან...

და მაღალ მთებზე ცეკვავდა ქარი,
მთებს ღლიდა ქარის ფრთების სავსავი;
არაგვში ეგდო დაღლილი მთვარე
და ფართხალებდა პეპელასავით.

ა ვ დ ა რ ი

ნისლი ეფინება ბოროლას და ქალდეს,[1]
იცინის, ხითხითებს ავდარი;
მთა კივის; დამსხსნელი თუ მოდის, აქამდე
სად არის? სად არის? სად არის?...
ამღვრეულ ღრუბლებში ბინდებად დაქანდნენ
შატილი, არხოტი, ალოტი[2]...
მთა ტირის: დამსხსნელი გვიხსნიდა აქამდე,
არ მოდის! არ მოდის! არ მოდის!..

ნისლი ეფინება ბოროლას და ქალდეს,
იცინის, ხითხითებს ავდარი.

---

1 მთების სახელები ხევსურეთში.
2 სოფლების სახელები ხევსურეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ო ე ტ ი

შენ ლექსს და კალამს მიანდე ბედი,
არ გიძებნია ცხოვრება მშვიდი;
თუ რამეს შლიდი,
თუ რამეს წერდი,
მამულისათვის წერდი და შლიდი...
გამოიარე ვარდების ტევრი;
გზები მზისა და მაისის ფერი;
თუ რამეს მღერი,
თუ რამეს სტირი,
მამულისათვის სტირი და მღერი...
შენ პოეზიას აუგე ძეგლი
და მის დანთებულ ღადარში იწვი;
თუ რამეს იღწვი,
თუ რამეს ეძებ,
მამულისათვის ეძებ და იღწვი.

■

მთაწმინდაზე ყვავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია;
— მოგწონსა, ქალავ, ქალაქის ქუჩები?
— ძალიან, ძალიან კაია. ..
. . . . . .
— აქაურ ვაჟებს შენ ვერ გადურჩები...
— ნუ ამბობ, თუ მიხოლ, გაია...
მთაწმინდაზე ყვავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია.

■

ღამემ ჭიუხნი დაბინდა,
ნისლი დაეცა გუგუროს,[1]
— აქ, ხევსურეთში, რა გინდა,
ოქვი, ქალაქელო გუგულო...
— მე შენი ნახვა მინდოდა,
რაისთვის შემხვდი უგულოდ?

[1] გუგურო — პატარა მთა ხევსურეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა, ბატონო!

ამდენ ველ-მინდვრებს,
ამდენ ქედებს,
ამდენ ჭიუხებს,
ამდენ მშვენებას,
ამდენ სიტკბოს,
ამდენ სიუხვეს.
ამდენ ჭალაკებს,
ამდენ შარებს,
ამდენ ქარაფებს,
ამდენ ეზოებს,
ამდენ სოფლებს,
ამდენ ქალაქებს.

ამდენ ბაღ-ბოსტნებს,
ამდენ ყანებს,
ამდენ ვენახებს,
რაიც თვალებმა დაინახეს
ანდა ვერ ნახეს.
ამდენ მიწა-წყალს,
საბულბულოს,
საიადონოს,
მტერს დავუთმობდით?
მტერს მივცემდით?
— ვერა ბატონო!

ვანო ჩხიკვაძე

ხეზე ჰკიდებდა შოშიის ბუდეს
მზეზე დამწვარი პატარა ბავშვი
და მაყვლის წვენით გათხუპნულ უბეს
აფრიალებდა ფეხადგმულ ქარში.
სადღაც უსტვენდნენ ღამეს ბიჭები
და ღამე იყო შოშიის მსგავსი
და დიდი კაცის მხნე ნაბიჯებით
მიაბიჯებდა პატარა ბავშვი.

დაიბარდნება უფოთლო ცაცხვი,
აკრიახდება ჭალაში დილა:
მოულოდნელად გაზრდილი ბავშვი —
ფიქრი გარინდულ კედელთან მივა.
და ცივ დუმილში წააწერს სახელს,
თითით აურევს გაცრეცილ ფერებს
და უჩვეულო ხმაურის მერე
გადაათეთრებს დაღვრემილ სახლებს.
და მერე ისევ წამოვა თოვა,
კურდღლის ნაბიჯით გაირბენს ბილიკს
და მოსწყინდება ბუხართან წოლა
ირმის თბილ ტყავში გახვეულ ტკივილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

■

თვალებს უსაზღვრო სივრცე შველოდა —
ჩვენ ებრუნდებოდით შორი გზის მოვლით.
ამოვკვალავდით სავსე ხეობებს
და კვირტებივით სკდებოდა თოვლი.
და ნაფეხურებს ითვლიდა მზერა,
მზერა, რომელმაც ბევრი იქურდა
და ჩერდებოდა ბილიკი ყველა
მოხუც მეისრის მწვანე ჯიხურთან.
შემოდიოდა სოფელში დილა
ნაძვის მაღალი ხეების თრთოლვით.
ჩვენ ვეხებოდით ერთმანეთს ფრთხილად
და უფრო ფრთხილად გვათოვდა თოვლი.
ყალყზე დგებოდა იანვრის ყინვა
და უზანგებზე ეკიდა თოვლი.
და ჩვენ ვიცოდით —
ვიღაცა მოვა
გულთან და მაინც იქნება შორი.
იყინებოდა მდინარე ხიდქვეშ,
დილას მოჰქონდა თოვლი იღლიით
და მიდიოდა უმზეო ცისკენ
ათიათასი მამლის ყივილი.

■

შუაღამეში მიირწევა საძნე ურემი,
სწორედ ისეთი, რომ უყვარდა ჩხიკვაანთ ვანეს.
(და პაპაჩემზე საუბრობენ ჩვენებურები
და თივის სუნით ივსება ღამე).
— ვაჟკაცი იყო. მთელ კირბალში იმის კამეჩებს
ტოლი არ ჰყავდათ,
არც მელექსე იყო ურიგო.
სარკმელი ხელში მოხრილ მთვარეს შემომაჩეჩებს,
რომ ავავსო და ბერიკაცებს ჩამოვურიგო.

■

ურემზე ირწევა ძნა,
ბინდივით იბნევა ბზე.
მტრედივით დამფრთხალი გზა,
ყანებში ჩამჯდარი მზე.
ურემზე ირწევა ძნა,
ბინდივით იბნევა ბზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

■

ჩემო პატარა და უხმო ჩრდილო,
ბევრმა დამთმო და
შენ კი არ დამთმე.
მეც ბევრის მსგავსად
გაგექცე ვცდილობ
და შენ კი ისევ
დამდევ და დამდევ.
მე ვიცი, სადმე შევხვდებით ერთ დროს
და მაშინ უკვე
ვერავინ გაგვყრის,
როცა გათხრიან
გადამწვარ ფერდობს
და ატირდება უფოთლო არყი.

■

წყალს მისდგომია ნაპირთან
შეყვარებული შველი.
ალბათ სიყვარულს დაკპირდა
მოუსვენარი მთვარე.
ჩემს მხარზე ღამეს გაათევს.
პეპელა — შენი ხელი,
მერე ცისკარი აანთებს
ზეცის ულურჯეს თვალებს.
მოიქცევიან წვიმები,
მოიქცევიან წყლები
და მცირე თავდავიწყება —
გადარეული წლების.
ჯერ კი მზე მღერის ალვიდან,
მზე მზე არის და მზეობს,
აპრილით სავსე ბაღიდან
საით წახვედი, თეო!

გ ი ო რ გ ი ფ ა ნ ა ს ი ა ნ ი

მ ი ლ ი ო ნ ე რ ი მ ე ფ ო ლ ა დ ე

პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის არქივში ერთ შესანიშნავ დოკუმენტს წავაწყდი. ეს იყო გიორგი ნიკოლაძის პასუხები სპეციალურ ანკეტაზე, რომელსაც ამბიციურიენტები ავსებდნენ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წინ.

ამ ანკეტიდან მრავალ კითხვათა შორის ჩემი ყურადღება მიიქცია მომავალი დიდი მეცნიერის პასუხმა შემდეგ ორ კითხვაზე:

1. რა არია თქვენი მოწოდება?

2. რატომ აირჩიეთ ის ფაკულტეტი, რომელზეც თქვენ შედიხართ?

პირველ კითხვაზე გიორგი ნიკოლაძემ ასეთი პასუხი გასცა — ჩემი მოწოდებაა მათემატიკოსობა.

მეორე კითხვაზე კი ასე უპასუხა: მეტალურგიის ფაკულტეტი კი იმიტომ ავირჩიე, რომ ჩემს სამშობლოს ინჟინრები ესაჭიროება.

რამდენი რამის წაკითხვა და გაგება შეიძლება ამ ორ, მართლაც მთემატიკური სიზუსტით დაწერილ პასუხში. დიდი მეცნიერის მთელი სიცოცხლე ხომ გამართლება და დადასტურება იყო ამ ორი ფორმულისა, რომელიც ნამდვილი მეცნიერის და მამულიშვილის პიროვნების განსაზღვრავს. და განა მარტო მეტალურგია? მეცნიერების რამდენ დარგსა თუ პრაქტიკულ საქმიანობაში მოუძღვის ღვაწლი გიორგი ნიკოლაძეს. განა იმავე უმაღლეს მთემატიკაში არ დაიცვა თავისი სადოქტორო დისერტაცია სორბონის სახელგანთქმულ უნივერსიტეტში?

ნიკოლაძემ საქართველოში მეტალურგიის განვითარებას შეალია თავისი უზარმაზარი ენერგია და შეეწირა კიდეც ამ საქმეს.

საქართველო ხომ სამშობლო იყო ბუღატი ფოლადისა. ძველმა ქართველებმა იცოდნენ საიდუმლო „ნაბადიეთ მთთელილი“ ფოლადისა, რომლითაც გაუდგილ ხმალს, ძველებურად რომ ვთქვათ, კაცი მკლავზე თოკივით დიხვევდა. ხოლო მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, მისი სტრუქტურული წყობა ისეთი იყო, რომ თანაბრად უძლებდა ყოველი სახის დეფორმაციას (ღუნვას, ჭიმვას და სხვ.).

რამდენ რამეს მიაღწია კაცობრიობამ, რა მეცნიერულ სიღრმეებს არ ჩასწვდა და სამყაროს რამდენ საიდუმლოებას არ ახადა ფარდა. ბუღატი ფოლადის საიდუმლო გასაღებს კი ვერ იქნა და ვერ მიაკვლია მსოფლიოს ვერც ერთმა მეტალურგიულმა მეცნიერებამ.

და აი, ქვეყანაში, სადაც ერთ დროს ასეთი ლეთონის დნობის საიდუმლოება ვიცოდით, თითო-ოროლა ინჟინერიც კი არ მოგვეპოვებოდა.

საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის განვითარება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე. მანამდე საქართველო ტექნიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მეტალურგიული ქარხნები თითქმის არ არსებობდა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჩათახის თუჯისა და თბილისის სპილენძსაგლინავ ქარხნებს თავისი პრიმიტიული და უბადრუკი ტექნიკური მოწყობილობით.

აწყმად საქართველო მდიდარი ინდუსტრიული რესპუბლიკაა, რომელსაც აქვს მძლავრი მეტალურგიული ცენტრები. ქართული ფოლადის ნაწარმი გადის საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, შორეულ არგენტინაში, ბერმანიასა და ჩინეთში. მთელს საბჭოთა კავშირთა განთქმული ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხანა თავისი მაღალხარისხოვანი პროდუქციითა და ბრწყინვალე მეცნიერული ტრადიციებით.

წარმატებით მუშაობენ ქართველი მეცნიერი მეტალურგები, რომლებიც ნერგავენ წარმოებაში ახალ სინტეტესო მეთოდებს, ატარებენ მნიშვნელოვან გამოკვლევებს. წარმატებითაა გადაწყვეტილი რესპუბლიკის მეტალურგიული ცენტრების ადგილობრივი კადრებით უზრუნველყოფის საკითხიც. მრავალი ახალგაზრდა ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი მეტალურგი მუშაობს საბჭოთა კავშირის სხვა მეტალურგიულ ქარხნებში.

ოღონ როდი იყო ის გზა, რომლის გაელაც მოუხდათ პირველ ქართველ მეტალურგებს, მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული მეტალურგიის განვითარების საქმეში, საქართველოში მეტალურგიული ცენტრების შენებლობის მიზანშეწონილობის დასაბუთების, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების შესწავლა-დაანგარიშებისა და კადრების გამოწრთობის საქმეში.

ქართული მეტალურგიული მეცნიერების აღორძინება ფაქტიურად იწყება 1922 წლიდან, როცა თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. სხვა ტექნიკურ დარგებს შორის იყო მეტალურგიის განხრაც, რაც დიდი ქართველი მეცნიერის, ჩვენში მეტალურგიის პიონერის გ. ნიკოლაძის უდიდესი დამსახურებაა. გ. ნიკოლაძე თავისი მრავალმხრივი ნაყოფიერი მუშაობის უდიდეს ნაწილს უთმობდა მეტალურგიას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სახელგანთქმულ მეცნიერებთან — კურაკოსა და ბარდინთან ერთად მუშაობდა დონბასის მეტალურგიულ ქარხნებში. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გ. ნიკოლაძე მთელი ენერგიით შრომობდა საქართველოში მეტალურგიის აღორძინებისათვის, სწავლობდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს, სათავეში უდგებოდა ყოველგვარ ახალ წამოწყებას და, ამავრად, სძირკველს უყრიდა მეტალურგიის კადრების მომზადების საქმეს.

1928 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცალკე გამოიყო, ინსტიტუტის მუშაობაშიც საკმაო გარდატეხა მოხდა აკად. ნ. მუსხელიშვილის და პროფ. ვ. ფულეკიის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში გ. ნიკოლაე იმყოფებოდა საზღვარგარეთ. საქართველოში მოიწვიეს ცნობილი მეცნიერი აკად. პისარჟევსკი და მისი მეუღლე პროფ. როზენბერგი. მალე დაბრუნდა გ. ნიკოლაძეც, რომლის თაოსნობითაც გათვალისწინებულ იქნა, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან დაწესებულიყო ლითონების კვლევითი ინსტიტუტი სასწავლო ლაბორატორიებით, ხელმძღვანელად მოიწვიეს აკად. ჩიტაია. 1930 წლის შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის მრავალმხრივი რეორგანიზაციის გამო მეტალურგთა კადრების მომზადების საქმემ დიდი ცვლილება განიცადა. 1935 წელს ქიმიის ინსტიტუტთან გაიხსნა მეტალურგიული განყოფილება, რომელიც შემდეგ ლაბორატორიად გადაკეთდა. ლაბორატორიის მეცნიერულ ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა აკად. ბაიკოვი, რომელიც საქართველოში პირველად 1937 წელს ჩამოვიდა.

გ. ნიკოლაძე დაინტერესებული იყო არა მარტო კადრების მომზადების საკითხით, არამედ დიდი კვლევითი საქმეობით. სახელოვანი მეცნიერი გატაცებული იყო ფეროშენადნობათა მიღების რთული და შეუსწავლელი პრობლემებით, რომელიც მანამდე უცნობი იყო როგორც საბჭოთა, ისევე საზღვარგარეთელი მეცნიერებისათვის. მისი ინიციატივით 1923 წელს შენდება დიდების ფეროშენადნობთა საცდელი ქარხანა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ახალი საბჭოთა ელექტრომეტალურგიის წამოწყებისა და განვითარების საქმეში. ქარხანა დაარაოერქტა გ. ნიკოლაძის მოწაფემ ი. ლორთქიფანიძემ, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა იუზოვკაში (ახლანდელ დონეცკში). სწორედ ამ ქარხანაში მიიღო პირველი წრთობა ახალგაზრდა ქართველ მეტალურგთა პირველმა წყებამ, რომლებმაც შემდეგში წარმატებით გააგრძელეს საყვარელი მასწავლებლის დიდი წამოწყებები. საცდელი ქარხანა ამოქმედა 1930 წლის ზაფხულში და ცდების პირველი სერია გრძელდებოდა სამი თვე.

შედეგებით ძალზე დაინტერესდნენ ლენინგრადის ლითონების ინსტიტუტის და დნეპროკომბინატის მშენებლები. მათი თხოვნითა და დაკვეთით 1931 წლის 20 იანვარს დაიწყეს ცდათა მეორე სერია. მუშაობა საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი საამაყო მეცნიერისათვის. ღამე, ქარხნისკენ მიმავალი გ. ნიკოლაძე მოჰყვა ქარბუქში და გაეცივა. მეორე დღეს ამისა, მან მთელი ღამე იმუშავა. მეორე დღეს გ. ნიკოლაძე ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

გ. ნიკოლაძის მოწაფეებმა წარმატებით გააგრძელეს მასწავლებლის გამოკვლევები და ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს. გ. ნიკოლაძის ცდების შედეგებს სწავლობდნენ გამოჩენილი მოსკოველი და ლენინგრადელი სპეციალისტები: პროფ. ვ. მაქსიმენკო, ა. კრაშაროვი, პ. შიპულინი, ს. სახარუკოვი. დიდების ცდების შედეგებმა მოხსენებამ 1932 წელს ქ. ჩელიაბინსკში ფეროშენადნობთა I საკავშირო კონფერენციაზე საერთო აღიარება და მოწონება ჰპოვა.

მიუხედავად ასეთი ცალკეული მეცნიერული წარმატებებისა, საქართველო ჯერ კიდევ მაინც არ იყო „მეტალურგიული რესპუბლიკა". ჩვენი მეცნიერ-მეტალურგები მაშინ უარმოო გენერლებს ჰგავდნენ.

საქართველოში დიდ მეტალურგიას საძირკველი 1944 წელს ჩაეყარა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მთელი საბჭოთა ხალხი დიდ სამამულო ომში იყო ჩაბმული. სწორედ იმ გმირულ დღეებში გიგრა მომავალი მეტალურგიული გიგანტის ბალავერი რუსთავში. სულ რამდენიმე წელიწადში აშენდა კოშენა, ინდუსტრიული ქალაქი, ხოლო 1950 წლის 27 აპრილს, 16 საათსა და 30 წუთზე რუსთავის მარტენში გამოადნეს პირველი ფოლადი.

გურამ ფანეზიკიძე
მილიონერი მეფოლადე

ქართველმა მკითხველებმა სწორედ მაშინ გიგიას ამირან ფანცულაიას სახელი. მაშინ იგი მეფოლადის პირველი ხელშემწყობი იყო. ცნობილ ქართველ მეფოლადე შალვა კუხალეიშვილთან და სხვებთან ერთად მან ერთ-ერთმა პირველმა იგვემა გამარჯვების სიხარული. მას შემდეგ ამირან ფანცულაიას გვარი და სახელი ადარ მოშორებია ჩვენი ეროვნულ-გაზეთების ფურცლებს.

სულ რამდენიმე თვის შემდეგ ამირანი მეფოლადედ დანიშნეს მარტენის საამქროს № 1 ღუმელზე და დღემდე არ უდალატნია ამ ღუმელისათვის. სწორედ ამ ღუმელთანაა დაკავშირებული მისი ბიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები თუ ეპიზოდები. სწორედ ამ ღუმელში ამობოქრებული ფოლადთან ჯიდლმა გახადა იგი მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილი მოქალაქე. სწორედ ამ ღუმელში სარეკორდო დროში გამოდნობილ ფოლადზე მოუთხრობდა ამერიკელ, ინგლისელ თუ ფრანგ მეტალურგებს ეროვნული „სოვეტსკი სოიუზი" 1954 წელს. სწორედ ამ ღუმელიდან გამვებული ჩქაროსნული დნობისათვის მიენიჭა მედალი „შრომითი მამაცობისათვის", 1958 წ. მან ლენინის ორდენით დაიშვენა მკერდი, 1962 წელს კი შესანშნავ ქართველ მეფოლადეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ჩვიდმეტი წელიწადია ამირანი ამ ღუმელს დასტრიალებს თავს. ჩვიდმეტი წელიწადია ამ ღუმელის სუნთქვა ესმის და მისი ტკივილი სტკივა. ვისაც მარტენის ღუმელთან უმუშავნია, ვისაც ფოლადი თვითონ გამოუდნია, მხოლოდ მან იცის, როგორ დამამიანეთ სუნთქავს ღუმელი, როგორი მგრძნობიარე და ხანდახან ჭირვეული იგი.

მუჭის ენა დედამ იცისო. ამირან ფანცულაია გვიორგობული კედლების ფერსა და ცეცხლის გუგუნის ხმაზე ატყობს, რას ითხოვს ღუმელი.

1700 გრადუსზე მდუღარე ფოლადთან ჩვიდმეტ წლის მანძილზე ვაკავშირმა ორთა-ბრძოლამ შეაყვარა ეს ღუმელი ამირანს.

მეტალურგები ამბობენ, ყოველი დნობა საჭადრაკო პარტიასა ჰგავსო. როგორც ჭადრაკში არ შეგხვდებათ აბსოლუტურად მსგავსი ორი პარტია, ისე მარტენის ღუმელში არ შეგხვდებათო ორი აბსოლუტურად ერთნაირი დნობის პროცესი. ჩვენ ამ საჭადრაკო პარტიებს კიდევ დავუბრუნდებით, აქ მხოლოდ ერთი მინდა ვთქვა, რომ ამ ჩვიდმეტ წლის მანძილზე გამართულ „საჭადრაკო ტურნირში", სადაც ერთ მხარეს ამირან ფანცულაია იდგა, მეორე მხარეს კი ცეცხლის ამობოქრებული ოკეანე და ვულკანივით მობუყბუყე ლითონი, გამარჯვებული ყოველთვის ამირანი გამდგიოდა.

ამიტომაც გახდა ეს ღუმელი მისი სულისა და გონების, მისი არსებობისა და ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილი.

1959 წელს ამირან ფანცულაიას ბრიგადას მიენიჭა კომუნისტური ბრიგადის სახელწოდება.

1961 წელს აირჩიეს დელეგატად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე.

1962 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1966 წელს კი იგი კვლავ დელეგატი, ამჯერად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა.

ამირან ფანცულაია მაშინ ხომ ვერ წარმოიდგენდა ამ წარმატებებს, როცა პირველად გადადგა ფეხი მეფოლადის სპეციალობისაკენ, როცა პირველად გადაწყვიტა ლითონს შესჭიდებოდა.

ოჯახში მაინცდამაინც არ გახარებიათ ამირანის აირჩევანი და გამოტეხილად რომ ვთქვათ, თვითონ ამირანიც კი ყოყმანობდა...

2.

ეს იყო 1944 წელს.

მთელს საქართველოს მოედო რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ამბავი.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ამ ჰეროიდში ქართველი მეცნიერ-მეტალურგები საკმაოდ მძლავრ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ ქარხანას ეს ვერაფერს უშველიდა. გიგანტს სჭირდებოდა უამრავი სპეციალისტი, მეფოლადე, მებრძმედელ, მგლინავი, ოპერატორი.

მაშინ მთავრობამ 1926 წელს დაბადებული ბიჭები გაიწვია რუსეთის მეტალურგიულ ქარხნებში სხვადასხვა სპეციალობის დასაუფლებლად. ყველაფერი ისე იყო განგაღირშებული, რომ ქარხნის მშენებლობის დამთავრებისთანავე რუსთავს საკუთარი სპეციალისტები ჰყოლოდა. მაშინ ამირან ფანცულაია მე-9 კლასის მოსწავლე იყო. იგი ტაგანროგში გაგზავნეს.

ქალაქს ვერ მოეშუშებინა ომის ჭრილობები. ხალხს ძალიან უჭირდა. სანახევროდ შიმშილობდნენ კიდეც.

ამირანს ძალიან პირქუში და მკაცრი მეფოლადე შეხვედა. იგი მონდომებით მეშუბადა, თავს არ ზოგავდა, საქმეებშიც გამჭრიახობას იჩენდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოიგო თავისი მეფოლადის გული. იგი მაინც ბუზღუნებდა, ამირანს შუბლს არ უხსნიდა.

ფიცხმა და თავმოყვარე ქართველმა ჯაბუკმა კარგა ხანს გაუძლო მეფოლადის საშინელ ხასიათს, ერთ მშვენიერ დღეს კი ნერვებმა უმტყუნა, ბარგი გამოკრა და შინისაკენ მოუსვა.

სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში იჩინა თავი ამირან ფანცულაიას სიმტკიცემ და ნებისყოფამ, თავმოყვარეობამ და პასუხისმგებლობის გრძნობამ. იგი მიხვდა, რომ გამოქცევა სისუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეს ნიშნავდა, სუსტი კაცი კი ვერასდროს ვერ გახდება მეტალურგი.

ამირანი ზეზიდან უკან დაბრუნდა. იგი პირდაპირ ქარხანაში მივიდა და საამქროს უფროსს მტკიცედ მოსთხოვა, სხვა მეფოლადესთან გადამიყვანეო.

ამირანს არ დაუსახელებია სხვა მეფოლადესთან გადასვლის მიზეზი. არც საამქროს უფროსმა ჰკითხა რამე. მან კარგად იცოდა, რომ მეტალურგები უსაფუძვლოდ არაფერს მოითხოვენ.

ამირან ფანცულაია გრიგოლ კრიკუნთან გადაიყვანეს.

იმ დღიდან მოყოლებული ამირანმა გულით შეიყვარა მეფოლადის ურთულესი და ეკაკაცური საეცილაობა. ამირანი გრიგოლ კრიკუნს თავის მასწავლებლად თვლის და ამკამად პენსიონერ მეფოლადეს ხშირად უგზავნის წერილებს, არ სწყვეტს მეგობრულ ურთიერთობას.

ჯაბუკ ამირანს თავიდან სწყინდა კიდეც, როცა მხოლოდ ნიჩაბზე ამუშავებდნენ, მაგრამ როცა იგი თავის მასწავლებელს აკვირდებოდა, მიხვდა, რომ მეფოლადე ნიჩაბს ისე მარჯვედ უნდა ხმარობდეს, როგორც კოვზს ჭამის ჟამს.

გრიგოლ კრიკუნი დიდად აფასებდა ამირანს ალღოსა და ნიჭს. მონდომებასა და საქმის ერთგულებაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. იგი ახალგაზრდას თავიდანვე უწინასწარმეტყველებდა დიდ მომავალს.

განსაკუთრებით ძნელი იყო ზამთარში მუშაობა. არ იყო ტანსაცმელი, არ იყო თბილი ბინები. გაჭირვება და შიმშილიც არ ყოფილა უცხო ხალი ამირანისათვის. ხშირად, როცა ცელაში გამოვიდოდნენ, უპატრონოდ მიტოვებულ, ეუღიბელ კარტოფილის ყანებს მიაშურებდნენ ხოლმე. გაყინულ, დათოვლილ მიწაში კარტოფილებს ძლივს მოაგნებდნენ და საამქროში მიჰქონდათ. როცა ძალიან მოშიდებოდათ, ღუმელიდან ნიჩბით გახურებულ დოლომიტს გამოიღებდნენ და ზედ კარტოფილებს შემოაწყობდნენ.

ერთხელ ეს ამბავი ისე გემრიელად უამბო ამირანმა საამქროში ბიჭებს, რომ ყველას ნერწყვი მოადგა და მეორე დღეს კარტოფილით ჯიბეებდატვინილები მოვიდნენ ცელაში.

დოლომიტზე შემწვარი კარტოფილი მართლაც ძალზე გემრიელი აღმოჩნდა. მას შემდეგ მარტენის საამქროში აშეიათად როდი ნახავთ ნიჩაბზე ლამაზად შემოწყობილ კარტოფილებს.

ისე რომ, ეს „რაციონალური“ წინადადება ამირან ფანცულაიას ეკუთვნის.

1947 წელს ამირანი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ ვინაიდან მარტენის საამქროში მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, ისე თავის შობლიურ გეგეკქორის რაიონს მიაშურა.

ამასობაში კი რუსთავის მეტალურგიული გიგანტი ნელ-ნელა იმართებოდა მხრებში.

1949 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში ამირანი მაკეევკაში მიავლინეს. 1950 წლის ბერგვალში კი ერთი თვით ისევ ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხანაში გაგზავნეს.

1950 წლის 10 მარტს უკვე მუშაობა დაიწყო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. იმავე წლის 27 აპრილს კი, როგორც ზემოთ უკვე ვთქვეთ, გამოადგეს პირველი ფოლადი...

ჩვენ აქ სულ რამდენიმე სტრიქონში ჩამოვთვალეთ ეს თარიღები. მაგრამ ვინ იცის რამდენი მღელვარე წელი გაატარა ამირანმა მარტენის საამქროებში, რომ ასეთი წარმატებებისათვის მიეღწია.

1967 წლის 11 ოქტომბრის „კომუნისტში“ მეტად საინტერესო ცნობა გამოქვეყნდა: საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირმა, მეფოლადე ამირან ფანცულაიამ დღეისათვის უკვე გამოადნო მილიონი ტონა ფოლადი.

მილიონი ტონა ფოლადი!

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ მილიონებს, მაგრამ მილიონი მაინც უზარმაზარი ციფრია.

აბა სცადეთ და გონებაში სწრაფად შეასრულეთ ყველაზე უმარტივესი მათემატიკური ოპერაცია: მილიონს გამოაკელით ერთი! ერთბაშად გაგიჭირდება სწორი პასუხის გაცემა.

ამირან ფანცულაიას კი აღარ უკვირს თავისი მილიონი. ამ რამდენიმე ხნის წინ შეეხვედი სახელოვან მეფოლადეს. როცა მილიონი ტონა ფოლადის ამბავი გავახსენე, გაიცინა — ეგ უკვე აღარც მახსოვს როდის იყო, ახლა მეორე მილიონზე მიმაქეს იერიშიო.

ღმერთმა გაძლება მისცეს!

ᲔᲜ.

მეტალურგია მძიმე, მამაკაცური დაოცა.

მეტალურგიულ ქარხანაში მარტო ცოდნა ვერაფერს გიშველის, თუ მტკიცე ნებისყოფიანი, ენერგიული და ფიზიკურად ძლიერი ადამიანი არა ხარ.

მაგრამ კმარა მარტო ეს? გიშველის ან ცოდნა, ან ნებისყოფა, ან ფიზიკური სიძლიერე, თუ სულით და ხორცით არ გიყვარს ეს საინტერესო და ეკაკაცური დარგი მძიმე მრეწველობისა? თუ ყოველ დნობაში არ ხედავ შემოქმედებას, არ ხედავ იმ საინტერესო, ურთულესი ტექნოლოგიური პროცესების რომანტიკას, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტი მეტალურგები ხედავენ!

მაშინ ხომ ამ გამაყრუებელ ხმაურში, ამ ჯოჯოხეთურ სიცხესა და მტვერში, ორთქლისელებისა და ხიდური ამწეების გუგუნში, ღუმელში მომწყვდეული ცეცხლის გრიალსა და ჰაერგამაჯერებლებისა თუ მფრქვევანების გრგვინვაში — განა დიდხანს გასძლებს ადამიანი.

მე ბევრჯერ მინახავს ექსკურსანტები მარტე-

ᲑᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ
ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔ

ნის საამქროში. ისინი აღტაცებულნი შესჩერებიან ადამიანის ძლევამოსილი გენიითა და მარჯვენით შექმნილ წარმმართან დანადგარებს, თან პირსა და ყურებზე ხელს იფარებენ, თავს გალიაში გამომწყვდეულებივით გრძნობენ და ერთი სული აქვთ, როდის გააღწევენ ქარხნიდან. მუშაობაზე ხომ ნუთას უკაცრავად არიან.

მეტალურგად მართლაც რომ უნდა დაიბადო.

ჩვენი პრესის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით გამოთქმას — რუსთავის მეტალურგიული გიგანტი. ბევრი ექსკურსიითაც კი სტუმრებია ამ გიგანტს და თვალს ერთი გადავლებითაც კი გაოცებულხარ მისი გრანდიოზულობით. მიუხედავად ამისა, ყველას როდი აქვს თუნდაც ოდნავ ხელშესახები წარმოდგენა, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს ეს ქარხანა, რა რთული მეტალურგიული პროცესები მიმდინარეობს მის მრავალიცხოვან საამქროებში.

მოგეხსენებათ, რკინა თავისუფალი სახით არასდროს არ მოიპოვება ბუნებაში. თუმცა სუფთა რკინას არც ტექნიკაში იყენებენ, როგორ მას არ გაანრია კარგი ტექნოლოგიური თვისებები და გამძლეობა.

ტექნიკაში იყენებენ ფოლადებს. ფოლადების შემადგენლობა დაახლოებით ასეთია: ფოლადი შეიცავს თითქმის 98, ხანდახან მეტ პროცენტ რკინას. შემდეგ მიდის ნახშირბადი, მანგანუმი, აგრეთვე მაღვაგირებელი ელემენტები თუ ფოლადი ლეგირებულია, ისე ძირითადად, ფოლადს განსაზღვრავს ნახშირბადის რაოდენობა.

რუსთავში ძირითადად აღნობენ სამი ტიპის ფოლადს. ესენია ხარისხოვანი ნახშირბადოვანი ფოლადები, ჩვეულებრივი და მაღალი ხარისხის ნახშირბადოვანი ფოლადები და სპეციალური ფოლადები.

შემდეგ კი ამ ფოლადებისგან ამზადებენ ძირითადად მილებს, აგრეთვე ფურცლებს და წვრილსორტულ ნაწარმს.

მაგრამ წარმოვბის, რა რთული ციკლი უნდა გავიაროთ, რომ მიგიღოთ საბოლოო პროდუქცია.

ჩვენ შევეცდებით, მკითხველს ძალზე სქემატურად წარმოვუდგინოთ ამ სრული მეტალურგიული ციკლის სტრუქტურა, ისე სქემატურად, რომ მეტალურგებმა შეიძლება ერთი ირონიული ღიმილიც კი არ შეგვაწყინონ.

რუსთავში რკინის მადანი მოდის აზერბაიჯანიდან, დაშქესანიდან. ქვანახშირი კი ტყიბულიდან და ტყვარჩელიდან, ასევე მთელი ამიერკავკასიიდან მოდის ჯართი.

ქვანახშირი პირველ დამუშავებას გადის უზარმაზარი ქოსქემიური ქარხნის ბატარეებში. აქ ხდება ქვანახშირის გამდიდრება, ეგრეთწოდებული დაკოქსვა.

შემდეგ კოქსის ნაწილი მიემართება ბრძმედებისკენ, ნაწილი კი აგლომაბრიკისაკენ. აგლოფაბრიკაში ხდება რკინის მადნისა და კოქსის შეცხობა. მიღებულ პროდუქციას ეწოდება აგლომერატი. აგლომერატი კი, კელინარული ენით რომ ვთქვათ, წარმოადგენს ნახევარფაბრიკატს, რომელსაც ელოდება ახალი, 1700 გრადუსამდე გაზურებული ღუმელი. ეს ღუმელები კი გახლავთ ბრძმედები.

რუსთავში სულ ორი ბრძმედია — ბრძმედი № 1 და ბრძმედი № 2. ჩვენში საბჭოთა კავშირში, ბრძმედებს, როგორც წესი, ნომრავენ ხოლმე. ამერიკაში კი ქალის სახელებს არქმევენ. ვისაც ბრძმედზე უმუშავნია და მის ჭირკეთილობაში დარწმუნებულა, დამთანხმდება, რომ ამერიკელთა ასოციაციები არ არის საფუძველმოკლებული.

ბრძმედი უზარმაზარი დანადგარია. მისი მუცელი ერთი შეხედვით მიწის ზემოთ დადგმულ ქვევრს მოგაგონებთ. მასში იყრება აგლომერატი, კოქსი, ბოქსიტი, კირქვა და კიდევ ბევრი რამ, ეს ყველაფერი კი დნება 1600 — 1700 გრადუს ტემპერატურაზე. ბრძმედში მიმდინარეობს ძალიან რთული პროცესები. ხუსტად მეცნიერებსაც კი უჭირთ დადგენინონ იმ რეაქციებისა თუ პროცესების თანმიმდევრობა, რაც ბრძმედში მიმდინარეობს.

ისე, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, იქ მიდის რკინის მადნიდან რკინის აღდგენა. როგორც ზემოთ ვთქვით, რკინა ბუნებაში არ არის თავისუფალი სახით. იგი არის ან რკინის ჟანგის, ქვეძანგის ან რკინის ორჟანგის რთული ნაერთის სახით. მადანს გარდა რკინის ჟანგისა ან რკინის ორჟანგისა აქვს ძალზე ბევრი მინარევი, მათ შორის ისეთი მავნე მინარევებიც, როგორიც არის გოგირდი და ფოსფორი.

ბრძმედში პროცესის დამთავრების შემდეგ გამოდის საბოლოო პროდუქციი — თუჯი.

ჩვენ ცხოვრებაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გეხვდება თუჯის ნაწარმი (ღუმელები, ქვაბები, ზესადგარები და სხვა), მაგრამ თვითონ თუჯი არ წარმოადგენს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროდუქციის საბოლოო სახეს.

როგორც უკვე ვთქვით, ბრძმედში და მარტენის ღუმელებში დნობა მიდის 1600-1700 გრადუს ტემპერატურაზე. გავიხსენოთ, რომ მზის ზედაპირის ტემპერატურა 6000 გრადუსია.

ბუნებრივია, ისმება კითხვა, განა რა მასალისგან არის დამზადებული ბრძმედის კედლები, რომ უძლეს ასეთ მაღალ ტემპერატურას?

როგორც ბრძმედი, ასევე მარტენის ღუმელები თუ ბლუმინგის გამაზურებელი ჭები ამოგებული ცეცხლგამძლე აგურებით. ცეცხლგამძლე აგურები ძალიან მაღალ ტემპერატურას უძლებენ. მაგალითად, დინასის აგური უძლებს 1710 გრადუს ტემპერატურას. ეს ცოტათი მეტია ფოლადის დნობის ტემპერატურაზე, მაგრამ დინასის კარგი თვისება ისაა, რომ თვით ასეთ კრიტიკულ ტემპერატურაზეც კი ინარჩუნებს თავის მექანიკურ თვისებებს და ქიმიურ მდგრადობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლგამძლე მასალებია დინასი, შამოტი, მაგნეზიტი, ქრომიტი და ქრომომაგნეზიტი. თვითეულ ამათგანს საკმაოდ რთული ფორმულა აქვს, რომლის მოყვანასაც ჩვენ აქ არ შეეცდებით, მაგრამ ეროს ეიტყვით, რომ ცეცხლგამძლე მასალების შერჩევა ხდება პროცესების მიხედვით, რაც ღუმელებში მიმდინარეობს.

მაგალითი რომ უფრო ნათელი იყოს, განვიხილოთ ერთი შემთხვევა: ქრომომაგნეზიტის აგურების უარყოფითი თვისება ის არის, რომ მაღალ ტემპერატურაზე მოსალოდნელია ქრომის გადასვლა აგურიდან ლითონში, რაც ყოველდ შეუწყნარებელია ნახშირბადიანი ფოლადების გამოდნობის დროს.

როდესაც ბრძმედი აშენდება, მერე ნელ-ნელა ხდება მისი გახურება და სამუშაო რეჟიმის შექმნა. ამას რამდენიმე კვირა სჭირდება. რაკი ბრძმედი ამუშავდება, მისი გაჩერება აღარ შეიძლება. ბრძმედში ტემპერატურის დაცემას მოჰყვება ცეცხლგამძლე აგურის მსხვრევა.

ამიტომაა, რომ მეტალურგებმა არ იციან ახალი წელი და პირველი მაისი, კვირა დღე და დღესასწაულები, ღამე, საღამო, შუადამე...

ახლა ჩვენ გავაკეთეთ იმ თუჯს, რომელიც ორთქმავალთა ვაგონებებზე შედგმული ცილინდრით წაიღო მარტენის საამქროში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიური და ტექნიკური თვალსაზრისით გამართლებულია და გამოდნობილი ფოლადის 90 პროცენტი დნება მარტენის ღუმელებში. ამ თუჯის შემადგენლობა (რუსთაველ პირობებში) დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: სილიციუმი 1 პროცენტამდე, მანგანუმი 2,5 პროცენტამდე, ფოსფორი 0,15 პროცენტამდე, გოგირდი 0,045 პროცენტამდე. დანარჩენ ნაწილს კი, როგორც უკვე იცით, რკინა შეადგენს.

მარტენის ღუმელებში პირდაპირ როდი ასხამენ თუჯს. მარტენის საამქროს აქვს სამიქსერე განყოფილება. მიქსერი უზარმაზარი ცილინდია, რომელშიც 550 ტონა თუჯი ეტევა. ბრძმედიდან მოტანილ თუჯს სწორედ ამ ცილინდრში ასხამენ და მერე საჭიროებისამებრ ნაწილებენ მარტენის ღუმელებში. თვითონ მარტენის საამქროა თავისთავად ერთი უზარმაზარი ქარხნის ოდენაა. რუსთაველ მარტენის საამქროში რვა ღუმელია, თვითეული ერთ დნობაზე 185 ტონა ფოლადს აფრქვევს. ასსებობს უფრო დიდი ღუმელებიც, მაგალითად, ქ. ჟდანოვის უზარმაზარი მეტალურგიული ქარხნის „აზოვსტალის“ მარტენის თვითეული ღუმელი 500 ტონიანია, ხოლო საამქროს სიგრძე კილომეტრზე გაცილებით მეტია.

მარტენის საამქროში რამდენიმე პარალელურ ხაზზე დადიან ორთქლმავლები, რომლებსაც შემოაქვთ ჯართი და თუჯი. თვითონ მარტენის საამქროს აქვს უზარმაზარი საკაზმე ეზო, სადაც მზადდება კაზმი. კაზმი არის ყველა ის ნივთიერება თუ მასალა, რომელიც მარტენის ღუმელში იყრება. ესენია ჯართი, კირქვა და სხვადასხვა განმაგნეტელები (ფეროსილიციუმი, ფერომანგან

ტორები და, ვინ იცის, კიდევ რამდენი პროფესიის ადამიანები.

რასაკვირველია, ჩვენი მეტად პატარა ექსკურსია მხოლოდ ირითმეტიკული, ყოველდა მარტივი აღწერაა იმ უთვალესი პროცესებისა, რომელიც მეტალურგიული ქარხნის მრავალრიცხოვან საამქროებში ხდება. მაგრამ მე ვფიქრობ, ესეც კი საკმარისია, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მეტალურგების რთული, სანიტერესო და ეფექტური ცხოვრება, პატიცემითა და მოკრძალებით განვიმსჭვალოთ ამ ადამიანების მიმართ, ქედი მოვიხაროთ მათი რაინდული ბუნებისა და შემართების წინაშე.

4

მეფოლადეებს არ უყვართ კოპწია ადამიანები. ძველი მეტალურგები იმასაც კი ვერ იტანენ, როცა მეფოლადეებს საამქროში ხელნაკეთი უყვიათაო. მახსოვს, როცა მე თვითონ ვმუშაობდი ქარხანაში, ერთი საამქროს უფროსი გვყავდა, გვარად ბესპალოვი. საამქროში ვინმეს ხომ სუფთად დაინახავდა, ტანში აკრიალებდა. მისი გამოჩენისას ხშირად ცელის უფროსებიც კი მურს ისვამდნენ სახეზე.

მეტალურგია ძმიმე მრეწველობის ურთულესი დარგია. ხუთი წელი, რომლის განმავლობაში სტუდენტი ამ სპეციალობას ეუფლება, საკმარისი როდია. მეტალურგია არ არსებობს პრაქტიკის გარეშე. ხშირად ძალზე მომზადებული ახალგაზრდა ინჟინერიც კი იბნევა, როცა პირველად ანდობენ ღუმელს, სადაც 500 ტონამდე ფოლადი დუღს. ამიტომაა, რომ ახალბედა ინჟინერს მეფოლადის ხელშეწყობის თანამდებობიდან აწუხებინებენ ხოლმე მუშაობას.

მეტალურგებს იუმორის გრძნობაც საკმაოდ გააჩნიათ და ცდილობენ გამოუცდელ ახალგაზრდებს თავიდანვე მოუსინჯონ კბილი. მით უმეტეს, როცა მეფოლადეებმა იციან, რომ ეს ახალგამოჩეკილი ინჟინერი, დღეს მათი ხელშეშფყობი, ხვალ უკვე მათი უფროსი იქნება.

ვაი მისი ბრალი, ვინც გამოცდას ვერ დაიჭერს, ვაი მისი ბრალი, ვისაც ეფექტობაში შეეშლება. იგი იმ გოგირდს ემსგავსება, რომელსაც ფოლადიან უკეთილდ ამოსწვავენ ხოლმე. მე თვითონ შევსწრებივარ, რამდენი უდღეური და უკოდნარი ახალგაზრდა ინჟინერი გაუმასხრებიათ მეფოლადეებს.

ერთი შემთხვევა მინდა მოგიყვეთ.

სულ მეორე დღე იყო, როცა ერთი ახალბედა ინჟინერი ცელში გავიდა. მეფოლადეს თვალში არ მოუვიდა მისი საქციელი. გრძნობდა, ბრიგადის ახალი წევრი საქმეს გულს ვერ უდებდა და ვერც მაინცდამაინც თეორიულ ცოდნას ამეღავნებდა. ღუმელთან ახლოს მისულს გაურბოდა, ცეცხლის ალს სახეს არიდებდა.

ასეთ საქციელს კი ვინ გაპატიებს მარტენის საამქროში. მეფოლადეებს საქმე ადუღებული ფოლადისა და ცეცხლის ოკეანეთან აქვთ. ეს ადამიანის ეაკეაცურ თვისებებს დიდ ჯაჭვებს სცემენ. მარტენის საამქროში თავისებურ ღირსებად ითვლება, როცა სიგარეტს სინჯისათვის ალებულ გამდნარ ლითონზე ეკიდება ხოლმე.

მეტალურგებმაც გადაწყვიტეს მისთვის კარგი ოთხრმა ეჭმიათ. ერთხელ, როცა სინჯისათვის ღუმელთან ფოლადი აიღეს, მეფოლადემ ნაწილი ექსპრესლაბორატორიაში გაგზავნა ქიმიური ანალიზისათვის. ნაწილი კი წყალში გაალეგა, გატეხა და კარგად დაკვირდა. როცა ახალბედა ინჟინრის ყურადღება მიიქცია, გაეიეულ ნატეხს დაყნოსა, მერე ენა გაუსვა და მისი ქიმიური შემადგენლობა თქვა. ახალბედა ინჟინერმა ცოტა ეჭვიანად შეხედა მეფოლადეს. მას ჯერ არ გაეგონა, რომ კაცს გემოთი და სუნით განესაზღვრა ფოლადის ქიმიური შემადგენლობა. მალე ქიმიკოსმა გოგონამ ფოლადის ანალიზი მოიტანა. ახალბედა ინჟინერმა პირი დაალო: მეფოლადის ნთქვამი ციფრები თითქმის აბსოლუტურად ემთხვევოდა ექსპრესლაბორატორიიდან მოტანილ ანალიზს.

გამოცდილ მეტალურგებს დნობის პერიოდის, დუღილისა თუ ალის, გამდნარი ლითონის ზედაპირიდან გამოყოფილი ბუშტუკების, რეაქციის ინტენსიურობის თუ წიდის მიხედვით კარგად შეუძლიათ ხოლმე განსაზღვრონ ფოლადის ქიმიური შემადგენლობა. ეს კი გამოუცდელი მეტალურგისათვის მთელი სეხსაცია იყო. მინსინჯის ნაპერი შეიგულა, და როცა ეგონა, ყურადღებას აღარ მაქცევენო, ჩუმად დაყნოსა და ენაც კი აუსვა. როდესაც დიდი იყო მისი გაოცება, რომ სინჯს არც სუნი და არც გემო არა ჰქონდა.

ბრიგადის წევრები შორიდან უთვალთვალებდნენ და სიცილით იგუდებოდნენ.

ვინ იცის, რამდენი ახალბედა ინჟინერი გაუგზავნიათ ცელის უფროსთან, ფოლადის გასაყნაგვად ერთი ეიდრო სუფთის მარილი გეპპირდებათ.

ამირან ფანტულაია ერთი ამათთაგანია, რომელიც რაღაც საოცარი ინსტინქტითა და უზარმაზარი გამოცდილებით სწვდება ფოლადის დნობის რთული პროცესის ყველა ნიუანსს.

საერთოდ, რუსთაველის 185 ტონანი ღუმელების პირობებში ლითონის ერთი დნობისათვის გათვალისწინებულია 8 საათი და 15 წუთი. ამირან ფანტულაია ჩქარისწყლი დნობის ოსტატია, მაგრამ ჩქარისწყლი მდნობელები თვითონ რუსთაველის მარტენის საამქროშიც ბევრნი არიან, საბჭოთა კავშირის სხვა მეტალურგიულ ქარხნებს რომ თავი დავანებოთ.

საქმე ისაა, რომ ამირან ფანტულაია ჩქარისწყლი მდნობელია ჩქარისანთა შორის.

მისი საუკეთესო შედეგი 4 საათი და 15 წუთი საკავშირო რეკორდია ამ ზომისა და ამ პირობების ღუმელებისათვის.

ამირან ფანტულაია ძალზე მონდომებული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომისმოყვარეა. მისმა მუხლმა და მკლავებმა არ იცის, რა არის დაღლა. მას ვერ წარმოუდგენია ერთი წუთით მაინც ჩაფარცხოს საქმე, ერთი წუთით ძაინც მოადუნოს ყურადღება, ერთი წუთით მაინც მოშიშროს ღუმელის გავარვარებულ ფანჯრებს, როცა ამას საქმე მოითხოვს.

ბევრი მეტალურგი ვერ უძლებს ჯოჯოხეთურ სიცხეს და ხშირად, თავისუფალ დროს რომ იპოვის, გახურებული უზარმაზარ ვენტილატორებს მიაშურებს ხოლმე. ამიტომაა ფილტვების ანთება მეფოლადეების პროფესიული ავადმყოფობა.

მთელი ღღე ცხელ ღუმელთან ტრიალი წყალს საშინლად აწყურებს ადამიანს. გამოუცდელი მეტალურგები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიეჩვიათ საწარმოო წრთობა, ცვლაში 20 ლიტრამდე მარილიან წყალს სვამენ ხოლმე. მარილი საჭიროა ოფლის მიერ გამოყოფილი მარილების აღსადგენად. აი ასეთი დატვირთვა აქვს მეტალურგის ორგანიზმს.

ამირან ფანცულაიამ კი ღუმელთან ჭიდილის დროს არ იცის, რა არის შესვენება.

იგი ცვლაშიც ადრე მოდის. დედამისის შვილია და წინა ცვლის მეფოლადემ **უწესრიგო** ღუმელი ჩაამაროს, ან სარამომსხმო მალის ოსტატმა საწადე ციცხი დაუგვიანოს.

ამირანი, საერთოდ, ბუნებით წყნარი კაცი, ღუმელთან ლომივით ბრდღვინავს. მისი ბრიგადის წევრებმა შოთა მიქელაშვილმა, უშანგი ივანშვილმა და ნოდარ ჯიქიძემ იციან მეფოლადის ხასიათი. გამოცდილი მეტალურგის ყოველი განკარგულება უსიტყვოდ სრულდება, ღუმელში ჯართის ჩატვირთვა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტია დროის თვალსაზრისით. ცუდად ჩატვირთულ ჯართის მოსდევს დნობის პერიოდის გახანგრძლივება, რეაქციათა უსისტემობა და ხშირად ღუმელის ზღურბლის გადმოხეთქვა ფოლადის მიერ.

ვერც ერთი ჩამტვირთავი მემანქანე ვერ გაბედავს რაიმე ოპერაცია წაახალტუროს ამირან ფანცულაიას ღუმელში ჩატვირთვის დროს, მაგრამ დაუდგენარ მეფოლადეს გული არ უთმენს, იგი მემანქანის გვერდით დგება, გავარვარებულ ღუმელს ჩასჩერებია და მაინც თვითონ ხელმძღვანელობს კაზმის ჩატვირთვას.

რა თვისებებზეც აქ ვილაპარაკეთ, ეს შეიძლება ბეგრსა ჰქონდეს. მაგრამ მარტო მონდომება, ფიზიკური ძალა, ენერგია და საქმის სიყვარული ვერ გიშველის გახდე მოწონაივ მოწინავეთა შორის. ამირან ფანცულაიას ყველაფერს გარდა აქვს ერთი უმთავრესი, ღვთით მომადლებული თვისება, რომელსაც ალღო, ინტუიცია ეწოდება.

ღუმელში კაზმის ჩატვირთვის წინ ხდება ღუმელის გაწყობა, ანუ შეკეთება. ყოველი დნობის შემდეგ საკალდებულოა შეკეთდეს ღუმელის ცეცხლგამძლე აგური ნაგები კედლები და ფერდობები, რომელსაც ჭამს თხევადი ფოლადი, გახურებული ლითონი ათხელებს კედელს და ჰქმნის ღრმელებს.

ღუმელის ჩქარი და ხარისხოვანი გაწყობა საშუალებას იძლევა შეკამეცოროთ დნობის ხანგრძლივობა და გავაუმჯობესოთ ღუმელის მდგრადობა. მეშა აირის მაღალ ტემპერატურაზე ღუმელის შეკეთება ხელს უწყობს ცეცხლგამძლე მასალების კარგ შედეგებას და ამცირებს მის ხარჯს.

თუ მეფოლადეები ღუმელის გაწყობას 20-25 წუთს უნდებიან, ამირან ფანცულაია ამ ოპერაციას 10-15 წუთს ანდომებს. თავისთავად 10 წუთის მოგებაც დიდი დრო, მაგრამ კ მთავარია სწრაფი გაწყობის შედეგად ღუმელში დიდი ტემპერატურის შენარჩუნება, რაც შემდგომ პერიოდში ამოკლებს დნობის ხანგრძლივობას და დამატებით დროის ეკონომიას იძლევა.

ყველა როდი ბედავს ღუმელი 10-15 წუთში გაიწყოს, როგორც ამას ამირან ფანცულაია და სხვა ჩქაროსანი მდნობელები აკეთებენ. მეფოლადეებს ეშინათ, რომ ვერ შენაშრნენ გავარვარებული კედლების ღრმეულების სიდიდეს, რაც იოლი შესამჩნევი როდია. ამას კი შეიძლება ძალიან სერიოზული ავარია მოჰყვეს. ამიტომ ისინი ამჯობინებენ მეტი დრო მოანდომონ ღუმელის გაწყობას, უფრო მეტი დოლომიტის ფხვნილი დააყარონ კედლებს, ვიდრე საჭიროა, რათა თავიდან აიცილონ ავარიის საშიშროება. როცა ამირანი 10-15 წუთში ამთავრებს ღუმელის გაწყობას და თანაც ცეცხლგამძლე დოლომიტის ფხვნილს უმცირესი რაოდენობით ხარჯავს, ამით რისეს როდი ეწევა. სწორედ აქ ჩნდს თავს ის დიდი ინტუიცია, ის დიდი ზომიერების გრძნობა, რომელიც დიდ გამოცდილებასთან ერთად მას საშუალებას აძლევს ძალზე მშვიდად, ყოველგვარი მღელვარების გარეშე გაგრძელოს ღუმელის რეჟიმის შემდგომი პროცესი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამირანისათვის ინტუიციას ეღალატოს. იგი საოცარი დარწმუნებითა და დამშვიდებით აკეთებს ყველაფერ ამას. ძალიან ძნელია ამ საკითხში კაცს გამოცდილება გაუზიარო, თუ თვითონ არ აქვს რაღაც ქვეშეცნიერი გრძნობა, რაც შნაგანად ჰკარნახობს და ხელმძღვანელობს კიდეც.

ღუმელში თუჯის ჩასხმადან ნახევარი საათის შემდეგ ამირანი ლითონს წიდასა ხდის. მერე კი იგი, რომ მოკლათ, ღუმელს არ მოშორდება. ყოველ ათ წუთში ფანჯარაში იმზირება (ჩვენ, მგონი, უკვე ვთქვით, თუ რა ძნელია არამც თუ გავარვარებულ ფანჯარაში ჩახედვა, სადაც ცეცხლი ბობოქრობს, არამედ თვით ღუმელთან მიახლოებაც კი).

საერთოდ, მეფოლადეები ელოდებიან ხოლმე ლითონის მთლიან გადნობას. აქაც ძნელია

გურამ ფანჯიკიძე
ბილიონერი მეფოლადე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისაზე წასვლა, შეიძლება ზოგიერთ ადგილას კი იყოს ლითონი მთლიანად გამდნარი, მაგრამ ზოგთან მხოლოდ ახლა იწყებდეს რეაქციებს. ამ დროს წიდის დაყენებაზე ზრუნვას ძალიან ცოტა თუ გაბედავს.

აი კიდევ სად იჩენს ხოლმე თავს ამირან ფანცულიანის ტალანური ინტუიცია. იგი არ ელოდება ლითონის მთლიანად დადნობას და რაღაც საოცარი ალღოთი გამდნარი ლითონის ფერზე, აბაზანის ზედაპირზე გამოყოფილი ბუშტუკების ინტენსიობაზე, ცეცხლის ალზე, თვით ღუმელის გუგეზზე და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ფაქტორზე გამოცდილი მეფოლადე უკვე გრძნობს იმ მომენტებს, როდის შეიძლება აბაზანაში კირის ჩატვირთვა წიდის დასაყენებლად. იგი ამატებს კირს და ზუსტად იმ მომენტში, როცა აბაზანაში ლითონი მთლიანად დადნება, მას უკვე მზადა აქვს წიდა. სხვები კი ამ დროს იწყებენ ხოლმე ლითონის რაფინირებას.

ამ ოპერაციით ამირან ფანცულიანი იგებს ერთ საათს.

თვითონ ამირანსაც რომ ჰკითხოთ, როგორ გრძნობს ამ მომენტს, ხეირიანად ვერც კი აგიხსნით, უფრო სწორად ამის ახსნა და სწავლა არ შეიძლება, ეს კრიტიკული მომენტი უნდა იგრძნო. თუკი არ შეგიძლიათ მისი გრძნობა, მაშინ, ჩვეულებისამებრ, ფოლადის დნობის ინსტრუქციით გათვალისწინებული მუხლის თანახმად, უნდა დაელოდო აბაზანაში ლითონის მთლიანად გადნობას.

ერთხელ მარტენის საამქროში ბრძმედიდან ძალიან უხარისხო თუჯი მოვიდა, რომლის შემადგენლობაში დიდი პროცენტი იყო მავნე მინარევები — გოგირდი და ფოსფორი, ხოლო ძალზე მცირე — სილიციუმი და მანგანუმი. საამქროს დღიური გეგმა ვერ შეასრულა. თვითეულ დნობას ინსტრუქციით გათვალისწინებული 8 საათის ნაცვლად 9-10 საათს მოუნდენ დროის გადამეტებას კიდევ ვინ დაეძებდა, თუ მოცემული ფოლადის მარკას მაინც მიიღებდი.

ცვლაში ამირან ფანცულიანი იყო ერთადერთი მეფოლადე, რომელიც დროშიც ჩაეტია და მიეცემული მარკის ფოლადიც მიიღო.

აქ მარტო ინტუიციაც არ უშველიდა ამირანს, დიდი გამოცდილება და გამჭრახობა რომ არ ჰქონოდა. ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ გოგირდისა და ფოსფორის მოცილება ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესებთანაა დაკავშირებული. ამირანმა გადაწყვიტა დაბალ ტემპერატურაზე ჯერ ფოსფორი მოეცილებინა მთლიანად. მან დაბალ ტემპერატურაზე მთლიანად მოხადა პირველი წიდა, რომელსაც საკმაო რაოდენობის ფოსფორი გააყოლა. ახლა სასწრაფოდ საჭირო იყო მეორე წიდის შექმნა. აბაზანაში სასწრაფოდ ჩატვირთა რამდენიმე როფი კირი და ერთი როფი ბოქსიტი. შემდეგ ამირანი სასწრაფოდ ჩაეიდა საჩამოსხმო მალაში და კატეგორიულად მოითხოვა მიეცათ მეფოლადე ერთ საწოდე ციცხი. როგორც იქნა, საწოდე ციცხი ღუმელის ქვეშ შეათრიეს. ამირანი ისევ ღუმელთან მიიჭრა და მემანქანეს განკარგულება მისცა ღუმელში ჩაეტვირთა ერთი როფი რკინის მადანი, რადგან რკინის მადნის მაღალი კონცენტრაცია წიდაში ჰქმნის მაღალ დამეკნაგველ ატმოსფეროს. იმის გამო, რომ ფოსფორის დაკანგვის რეაქცია ძალზე ეგზოთერმულია, ღუმელში დაბალი ტემპერატურაა საჭირო. შეცვიებული ფოსფორით გაყიენილი წიდა ამირან ფანცულიანმა კვლავ მოხადა. რაც ჩვენ დაბალ ტემპერატურაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტენში 1550 გრადუსიც კი დაბალ ტემპერატურად ითვლება. ამის შემდეგ, რაკი ფოსფორი თავიდან მოიცილა, უკვე გოგირდს შეუტია. მოცილებულ წიდას გოგირდის პატარა ნაწილი გაპყვა, დანარჩენი კი კირს აყრიდა. ლითონის ღუმელში წიდა მაღალფუძიანი იყო, და ტემპერატურის მომატებასთან ერთად გოგირდი სწრაფად მოსცილდა ლითონს...

ამ ოპერაციას, გარდა ძალიან გამჭრიახი და ენერგიული მოქმედებისა, პირველ რიგში ესჭირეობოდა დიდი გამოცდილება, რათა დეფოსფორაციის (ფოსფორის მოშორების) და დესულფურაციის (განგოგირდების) მრავალ ეარიანტს შორის კაზმის ქიმიური შემადგენლობის, ღუმელის სპეციფიკის, თბური რეჟიმისა და მრავალი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით აერჩია ყველაზე კარგი ვარიანტი. არჩევნისათვის კი ამირანს დრო ბევრი რიდი ჰქონდა. ყოყმანში ან არჩევანში გატარებული ყოველი წუთი 10-15 წუთის დაკარგვას უდრიდა. თუ შეიძლება ითქვას ამ დროს ამირანის გამოცდილება და ინტუიცია საოცად იყო შეჩწყმული მოქმედებასთან.

ამირან ფანცულიანი მშვიდი, ყურადღებიანი და თავაზიანი კაცია, კარგი სამეგობრო და კარგი აღმზრდელი. მისი ყურადღება და სითბო არასდროს არ დაავიწყდებათ ალიოშა რევაზიშვილს, ილშა თითბერიძეს, ბიწლო ჩემიას, ვლადიმერ მეტრეველს, შოთა მიქელაშვილს. ამირან ფანცულიანს არ დაუშურებია ნიჭი და ენერგია, რომ თავისი მოწაფეებისათვის ჩაენერგა ლითონის სიყვარული, ესწავლებინა ადუღებულ ფოლადთან ჭიდილის სიდიდმლოება.

ამირან ფანცულიანის მეგობრები ძირითადად მეფოლადეები არიან. ვაჟა გოგიბერია, ივანე მეტრეველი, გიორგი სიგუა, გრიგოლ ბერეკაშვილი, ზაქრო ყაველაშვილი, ეკვენი ციორნაკოვი, თემურ ტაბიძე, მიშა სპანდარაშვილი, ნოე სვანიძე — აი ის მეტალურგები, რომლებიც საამქროში ყოველთვის ერთმანეთს ეჯიბრებიან და თუ საჭიროა, ეხმარებიან კიდეც ერთმანეთს. მათთან ხომ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოშვიათია კაცი, რომელსაც ამირანთან ემუშაოს და ის პერიოდი სასიამოვნოდ მოსაგონარად არ ჰქონდეს ცხოვრებაში.

მარტენის საამქროს ყოფილმა ცვლის უფროსმა ჯანეკო ლეკავამ მიამბო:

— ახალგაზრა ინჟინერმა სამი თვე ვიმუშავე ამირანთან მეფოლადის ხელმძღვანელად. როგორ დამავიწყდება ის გულისხმიერება, რასაც ჩემს მიმართ იჩენდა. როცა პირველად ღუმელთან მივედი, რატომღაც მეგონა, რომ ინსტიტუტში მიღებული ცოდნა საღდაც გამიფრინდა. შემდეგ მიეხედი, რომ ეს შიში იყო, შიში უზარმაზარი პასუხისმგებლობისა, რომელსაც მაშინ იგრძნობ, 185 ტონა ადუღებული ფოლადის წინ რომ დადგები. ამირან ფანცულაიას სიმშვიდე და ღიმილი თანდათან გადამედო. მე თანდათან შევეჩვიე უმაღლესში მიღებული ცოდნის დამორჩილებას, იარაღად გამოყენებას.

გავიდა დრო. მე უკვე ცვლის უფროსი კიყავი. ამირან ფანცულაია მომდევნო ცვლაში მუშაობდა. საამქროს ძალზე უჭირდა ვეგმის შესრულება გაუთვალისწინებელი ავარიების გამო. ეს იყო 1965 წლის ნოემბერში. მთელი ორი დღის განმავლობაში საამქროს ვერ აწევდნენ ტექნიკურ წყალს. ამ დღეს კი ბედი მართლაც არ გვწყალობდა, ლანდგიც დაზიანდა და შეფერხება ჯართის შემოზიდვა. წინა ცვლამ რვა დნობის ნაცვლად მხოლოდ ხუთი დნობა გაუშვა.

ცვლა 16 საათზე ჩავიბარე. საკმაოდ დაგვიანებით, დაახლოებით 18 საათზე გავუშვით ორი დნობა მეექვსე და მეშვიდე ღუმელებიდან. სწრაფად ჩაეტვირთეთ რკინის მადანი და ჯართი. რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ორთავე ღუმელში დნობა უნდა გამოგვეშვა დარჩენილ 6 საათში, ნაცვლად ტექნოლოგიური ინსტრუქციით გათვალისწინებული 8 საათისა. წინაადმდეგ შემთხვევაში დღიური გეგმა ისე ჩაგვიკარგებოდა, რომ მომდევნო ორ დღეშიც ვერ გადაეფარავდით.

დაახლოებით 19 საათზე ცვლის ოპერატორმა მომძღვნა და მითხრა, ჩქარა წამოდი, სადისპეტჩეროში დირექტორი გელოდებაო. დირექტორი მომესალმა და ვეგმის ჩაგდების გამო უკმაყოფილება გამოთქვა. როცა გიგო, რომ დარჩენილ დროში მეექვსე და მეშვიდე ღუმელში დნობას მოვასწრებდი, ხასიათი გამოუსწორდა.

— პირველი ღუმელი რა მდგომარეობაშია? — მკითხა მან.

— 19 საათსა და 30 წუთზე გავუშვებთ.

— როგორ გგონია, მაგ ღუმელში ახალ ცვლამდე ვერ მოვასწრებთ კიდეკ ერთი დნობის გამოშვებას? — მკითხა დირექტორმა და თვალებში ჩამხედა.

— ოთხსაათნახევარში?! — ეღარ დავმალე გოიტა.

— დიახ, ოთხსაათნახევარში, ჩვენც ყოველ მხრივ შეგიწყობთ ხელს.

— რას ამბობთ, წარმოუდგენელი ამბავია! — არ ვტყუებოდი მე.

— წარმოუდგენელი არაფერია, ზუსტად მაგ ღუმელზე ამირან ფანცულაიამ 4 საათსა და 20 წუთში გამოადნო 125 ტონა ფოლადი.

— რა ვქნა, ვეცდები. თუ გამოვიდა, ხომ კარგი, — ჩავალაპარაკე და საამქროსაკენ გავეშურე.

ახლა ყოველი წამის დაკარგვა დანაშაული იყო. ამირან ფანცულაიას სარეკორდო დროში გამოდნობილი ფოლადის ამბავი კი გამჭვარნა, მაგრამ მაშინ ღუმელი 125-ტონიანი იყო, ახლა კი 185 ტონა ფოლადის 4 საათსა და 30 წუთში გამოდნობა ფანტასტიკური ამბად მეჩვენებოდა.

ჩემს ცვლაში პირველ ღუმელზე მეფოლადედ ილარიონ ტაბატაძე მუშაობდა, წყნარი, გამოცდილი და ენერგიული მეფოლადე. როცა დირექტორის დავალება გავაცანი, გაოცებისგან პირი დააღო.

— მერე შენ დაპირდი?

— დავპირდი.

— ხომ არ გაგიჟდი! — იყვირა მან.

— გაგიჟდი თუ არა, წამის დაკარგვა აღარ შეიძლება. აბა, სჯმეს შევუდგეთ.

— სათბობის საქმე როგორ იქნება?

— ნუ გეშინია, ყველაფერი იქნება.

— მაშინ „სპუტნიკი" მოიყვანე.

„სპუტნიკი" ახალი ტიპის ბუნკერია ღუმელებში მადნისა და კირქვის ჩასატვირთი. იგი საამქროში პირველად იმ დღეს გამოიყენეს, როცა იური გაგარინი კოსმოსში გაფრინდა და ბუნკერს იმ დღის ღისანშნავად საამქროში „სპუტნიკი" დაარქვეს.

ზუსტად 19 საათსა და 30 წუთზე დნობა გავუშვით და იმავე წამში შეეფუღეთ სარეკორდო დნობისათვის მზადებას. აბაზანა დაიწრიტა თუ არა, რკინის მადნის ჩატვირთვა დავიწყეთ, ჩვეულებრივზე ორი როფით მეტი ჯართი სამი მიწოდების ნაცვლად ერთ მიწოდებაზე ჩავტვირთეთ, ოღონდ იმავე რაოდენობისა და წონისა. სიმძიმეს შეექო ვაგონეტები გაეფუჭებინა, მაგრამ ხანდახან რისკიც საჭიროა.

ზუსტად 20 საათსა და 5 წუთზე ჯართის ჩატვირთვა დავამთავრეთ. 21 საათზე კი კარგად გახურებულ ღუმელში თუჯი ჩავასხით. იმ წუთიდან არც მე და არც ილარიონ ტაბატაძე ღუმელს არ მოვშორებივართ. დროდ გაიღიოდა, აბაზანას კი სასაკეთო პირი არ უჩანდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ყოველ შემთხვევისთვის, ილარიონ ტაბატაძემ სინჯი აიღო და ლაბორატორიაში გაგზავნა. გულმა არ მომითა-

---

გურამ ფანჯიკიძე

მილიონერი მეფოლადე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინა და შედეგგების გასაგებად ჩაეჩრბინე. ლითონში ნახშირბადის რაოდენობა ორ პროცენტს აღწევდა, რაც მეტად სათუოს ხდიდა ჩქაროსნული დნობის გამოშვების საკითხს.

ნახშირბადის დიდი რაოდენობამ გუნება გამოფუჭა, მაგრამ არ დაშენეულვარ. ყველა ღუმელს თითო კაცი მოეხსენა და პირველ ღუმელს მივაშველე. ახლა იქ ოთხი კაცის ნაცვლად 12 კაცი მუშაობდა.

რუსეთის ქარხნებში უკვე კარგა ხანი იყო გამდნარ ებაზანაში ქანგბადის უბერავდნენ და ამით ნახშირბადის წვას აჩქარებდნენ. ჩვენს საამქროში ეი შესაფერისი დანადგარი არ გვქონდა. სამაგიეროდ, ქანგბადის ნაცვლად შემოქლო ებაზანაში ორი ატმოსფეროს წნეევით ჰაერი ჩაშებერა... მართალია, ჰაერი ისეთ ეფექტს ვერ მოგვცემდა, როგორც სუფთა ქანგბადი, მაგრამ ნახშირბადის წვას მინმც დაჩქარებდა.

ჩანაფიქრი საკმაოდ კარგი იყო, მაგრამ მისი განხორციელება დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვდა.

ჩავუშვით და ონკანი მთლიანად ფანჯრის სამზერიდან მალი ღუმელში ავწიდეთ. როცა წიდა კარგად შემოეკრო ირგვლივ, აღდუღებულ ფოლადში ჩავუშვით და ონკანი მთლიანად გავხსენით. თავდაპირველად მალი მე და ილარიონს გვეჭირა. იგი საშინლად „ეახცა-ზებდა", ხელიდან გასხლტომას ლამობდა. მის დაჭერას იმოდენა ღონე სჭირდებოდა, რომ ძალა მალე გამოველალა, სხვებმა შეგვეცალეს, შემდეგ ისევ ჩვენ შეეწინაცლეთ და ამ უბედურებაში ვიყავით ნახევარი საათის განმავლობაში. ასე ვებრძოდით ნახშირბადს, რომელიც ლითონის ტემპერატურის მომატებასთან ერთად უფროდაფერ სწრაფად იეანგბოდა.

23 საათისათვის ჰაერის ბერვა შეეწყვიტეთ, ფანჯარა გავდეთ და ორი როფი კირი ჩავეტვირთეთ. შემდეგ რკინის მადანი მივაყოლეთ.

ებაზანა მთელი სიმშაგით დუღდა. საბეგნიეროდ, გოგრიდი და ფოსფორი ლითონში ძალზე მცირე რაოდენობით იყო, რამაც მუშაობა ფრიად გაგვიადვილა. 23 საათსა და 30 წუთზე ფოლადი გავქაწეგეთ, 10 წუთში კი ფოლადი მზად იყო გასაშვებად.

ყვითელი ფოლადის მასა ციცხვში გადაეშვა. იქაურობა დაფარა სილიციუმის ნაპერწკლებმა. მე და ილარიონმა ერთმანეთს არნახული გამარჯვება მივულოცეთ. ხუმრობა ხომ არ იყო, 185 ტონნა ფოლადი მოეხარშეთ რეკორდულ დროში, 4 საათსა და 20 წუთში. მართალია, დრო ამირან ფანცულაიანს გაეიმარჯვა, მაგრამ მან ხომ იგივე დროში დნობა 125-ტონიან ღუმელში ჩაატარა.

დაქანცულები ფეხზე ძლივს ვიდექით, მაგრამ სახე მაინც ბედნიერებით გვიბრწყინავდა.

ამირან ფანცულაია მომდევნო ცვლაში მუშაობდა, ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა, რომ ჩვენი დნობის ამბავი მეთქვა.

ეი, ამირანიკ გამოჩნდა.

— ამირან, დაეცა შენი რეკორდი, — ვეუთხარი ოდნავი ირონიით ჩემს ყოფილ მეფოლადეს, — 185 ტონა ფოლადი 4 საათსა და 20 წუთში, როგორი ამბავია? — მოვუბეტე ეამაკურად თვალი.

— შესანიშნავია, მომილოცავს! — დინჯად თქვა ამირანმა. მერე ღიმილით დაეშტა, — ხვალ რომ მოხვალ, გრაფიკი ჩაათვალიერე, იქნებ რიმე საინტერესო ციფრს მოჰკრა თვალი.

— ადდგომა და ხვალო! — გავიცინე მე.

მეორე დღეს საამქროში მოსულისთანავე გრაფიკს ვეცი. ჩემს მიერ წოთვი მელნით შემოხაზულ 4 საათსა და 20 წუთის გვერდით ლამაზი ხელით ეწერა — 4 საათი და 15 წუთი.

ამირანმა მომდევნო ცვლაშეე მოხსნა ჩვენი რეკორდი. თანაც მოხსნა სრულიად თავისუფლად, ძალდაუტანებლად, იგი მხოლოდ თავისი ბრიგადით გასწევდა ამ სამეშოოს, კაცებშეელი არ დახმარებია სხვა ღუმელებიდან, არც ჰაერი შეუბერია ებაზანაში და არც ეურზარი და კორიანტელი დაეყენებინა საამქროში. როგორ მიაღწია ამას? ვერ გეტყვით. მაგის საიდუმლო მხოლოდ ამირანმა იცის.

6

ერთხელ ამირანს ეკითხე, საერთოდ ქმაყოფილი თუ ხარ იმ სტატეგით, მეტალურგებზე რომ იწერება-მეთქი.

ამირანმა გაიცინა.

— აბა, როგორ შეიძლება რაიმე შენნშენა თქვა იმ კაცის ნაწერზე, სადაც შენზე სიყვარულითაა მოთხრობილი.

ამ სტატეგებზე იგი დაიხარა და ზოგნების თარიდან ერთი ეურნალი გამოიღო. ყდაზე ამირან ფანცულაია იყო ადბეჭდილი.

— შეხედე, ირმეიგით არა მაქვს მოღერებული ყელი? ფოტოეურესპოდენტი მანამ არ მომეშვა, სანამ ამ პოზაში არ დამაყენა გალიმბული. კაცი რომ ამ სურათს ნახავს, ეგონება ამირან ფანცულაია შოყოლას ხარშავსო. ფოლადის დნობა კი ბრძოლაა, სასტიკი ბრძოლა ადღდებულ ლითონთან! — ამირანის სახეზე ღიმილი გაკრა.

— შენს ვაკიშვილებს ურჩევდი მეფოლადეობას? — ეკითხე უცაბედად.

— კაცს შეიძლება ყველაფერი ურჩიო, გარდა მეტალურგობისა, თუ კაცს მეტალურგია არ უყვარს, ქარხანა მისთვის ჯოჯოხეთად იქცევა.

მარტენის საამქროებში გატარებული ორი ათეული წლის მანძილზე ბევრი რამის მოსწრება ამირან ფანცულაია. რამდენი ინეინერი, მეფოლადე და მუშა უნახავს, რომელსაც საქმისათვის ვერ გაეძლია, ამხანაგებისათვის პირი უტეხია და მეტალურგია სამედამოდ მიუტოვებია. ნამდვილ მეტალურგებს, ნამდვილ მეფოლადეებს, რომლებიც უზარმაზარ სილამაზესა და ეფეკაცობას, ადამიანის ძალასა და გონების სიდიადეს ხედავენ 500-ტონიანი ამწეებისა და მარტენის ღუმელების გრგვინვაში, ქარხნის გარეშე ცხოვრებაც კი ვერ წარმოუდგენიათ.

ფოლადთან ჭიდილი მამაცთა ხვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციამ ქართველ მწერლებს მიმართა ოთხი შეკითხვით:

1. თვლით თუ არა დამაკმაყოფილებლად ქართული სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელ დონეს? რა მიგაჩნიათ მის ღირსებად, რა კიდევ ნაკლად?

2. რა აზრისა ხართ სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაწილეობის საკითხზე?

3. პირადად თქვენი შემოქმედებისა თუ რომელიმე ნაწარმოებისადმი მიძღვნილი წერილებიდან და სტატიებიდან რომელი უფრო მოგეწონათ? რომელი არ მოგეწონათ და რატომ?

4. საერთოდ, როგორა გაქვთ წარმოდგენილი კრიტიკის განვითარებისა და შემდგომი წინსვლის გზები? რა არის, თქვენი აზრით, საჭირო იმისათვის, რომ კრიტიკული აზრი მეტ ზემოქმედებას ახდენდეს ლიტერატურულ ცხოვრებაზე?

ქვემოთ ვაქვეყნებთ იმ მწერალთა პასუხებს, ვინც მონაწილეობა მიიღო დიალოგში.

ნოდარ ღუმბაძე

1. ნუ მიწყენენ ჩემი მეგობარი კრიტიკოსები და დღევანდელი სალიტერატურო კრიტიკა ვერ მეგულება მაინცდამაინც მაღალ დონეზე. მართალია, სალიტერატურო კრიტიკის დონე მხატვრული ლიტერატურის დონეზეც არის დამოკიდებული, მაგრამ, თუნდაც აქედან გამომდინარე, ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა ცოტა უფრო მაღალ დონეზე უნდა იდგეს.

ღირსება ბევრი აქვს ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას, ნაკლი კი ერთი. ზოგიერთ კრიტიკოს დღემდე ჰგონია, რომ სალიტერატურო კრიტიკის მისიაა, წერა ასწავლოს მწერლობას.

2. მიმაჩნია, რომ სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაწილეობა დიდებული საქმეა და აუცილებელია. რა ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაწილეობას, ამის დასტურია გერონტი ქიქოძის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და გალაკტიონ ტაბიძის ახლახან გამოქვეყნებული ბრწყინვალე ლიტერატურული წერილები.

3. პირადად მე ცოტა განებივრებული ვარ სალიტერატურო კრიტიკის მიერ და არ მაქვს უფლება ვთქვა, თითქოს არ მომწონდეს ჩემი ნაწარმოების თაობაზე დაწერილი რომელიმე წერილი, ან უკმაყოფილო ვიყო რომელიმე კრიტიკოსით. მაგრამ ამას წინათ უკრაინიდან მიღებული ერთი მკითხველის ბარათმა

მაინც დიდად გამახარა: Спасибо дорогой Нодар Владимирович, после вашей книги „Я, бабушка, Илико и Илларион“ в моей хате стало веселей.

4. არ მახსოვს კერძოდ რომელმა, მაგრამ ერთმა რუსმა მწერალმა იხუმრა ამას წინათ მოსკოვში: „კრიტიკა ისე ეხმარება მწერლობის განვითარებას, როგორც ასტრონომია პლანეტების მოძრაობასო“. ეს, რა თქმა უნდა, სულ ასე არ არის, რადგან ასტრონომია, მართალია, ვერ შეცვლის პლანეტათა მოძრაობას, მაგრამ უნარი აქვს დაადგინოს, რომელი პლანეტა რა მანძილითაა ერის დედამიწისგან დაშორებული, რომელია ცოცხალი და რომელია მკვდარი.

ასევეა ჩვენი სალიტერატურო კრიტიკაც და თუ დაადგენს, რომელი მწერალი რა მანძილითაა ერის დაშორებული დედამიწას, ან რომელია ცოცხალი და რომელი უსიცოცხლო, მეტი დამსახურება და მეტი ზემოქმედება ლიტერატურულ ცხოვრებაზე რაღა იქნება.

სერგო კლდიაშვილი

1. ქართული სალიტერატურო კრიტიკის დონე ბევრად მაღალი იქნებოდა, კრიტიკის დარგში მომუშავე მწერლები რომ უფრო გაბედულად და აქტიურად მუშაობდნენ. ჩვენ გვყავს არა ერთი და ორი განათლებული, მწერლობაში ღრმად ჩახედული კრიტიკოსი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ნაკლებად ტვირთავენ თავის თავს და ისე ძუნწად ეხმაურებიან თანამედროვე მწერლობას, რომ ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, განზრახ სდუმანო და კიდევაც გაურბიანო თავისი აზრი გამოთქვან ამა თუ იმ ნაწარმოებზე. განსაკუთრებით ეს იმ მომენტში, როცა საქმე მიდგება უკვე ცნობილ პოეტზე ან პროზაიკოსზე. უფრო მეტიც: თუ რაიმეს დასწერენ, აუცილებლად პოზიტიური აზრი უნდა გამოთქვან, თუნდაც ნაწარმოები სრულიადაც არ იყოს ქების ღირსი. რა საჭიროა სიფრთხილე და დაზოგვა? რატომ უნდა დავფაროთ ნაკლი ნაწარმოებისა, მით უფრო მაშინ, როცა ის ცნობილ მწერალს ეკუთვნის? მისგან ხომ უფრო მეტს მოელის მკითხველი, ის ხომ გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე. და როცა ვინმე ასეთს ხედავს, რომ უფროსი თაობის მწერალს ადვილად აპატიებენ სუსტ მხარეებს, თვითონაც ნაკლებ მოთხოვნილებას უყენებენ თავის თავს. დიფირამბები კრიტიკა არ არის, ეს არის სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელო, მეტი არაფერი. მერე და როგორ ვართ დანატრებული სწორ შეფასებას და გაბედულ სიტყვას! რა სასარგებლო იქნებოდა ის ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა და წინსვლისათვის! არა, არავითარი ქველმოქმედება ლიტერატურაში! ეს ამბავი მხოლოდ აღარიბებს მწერლის შემოქმედებას და საერთოდ მწერლობას.

ჩვენი კრიტიკა ნაკლებად აქცევს ყურადღებას მწერლის სტილს, მისი წერის მანერას, თითქმის არასოდეს არ ეხება დიალოგის ავკარგიანობას, ხის თავისებურებას. ყოველივე ეს კი მწერლის სახე და ნაწარმოების პასპორტია.

ერთი არასახარბიელო მოვლენა მინდა აღვნიშნო: სერიოზული კრიტიკა თანდათან თავის ადგილს უთმობს საგაზეთო რეცენზიებს. გაზეთებში დაბეჭდილ მოკლე წერილებს კი არც თუ პატარა მნიშვნელობა აქვს. წარმოიდგინეთ, ის სერიოზულ გავლენას ახდენს ცალკეული ნაწარმოების ან წიგნის ბედზე. გაზეთს ფართო მასა კითხულობს და რეცენზენტის აზრი მკითხველთა დიდ უმრავლესობას ოფიციალურ აზრად მიაჩნია. მკითხველის აზრით, შეუძლებელია გაზეთმა შეცდომა დაუშვას და ამიტომ ბრმად ენდობა რეცენზენტის მიერ გამოთქმულ შეხედულებას. და, აი, როცა ასე ენდობა მკითხველი გაზეთს, ადვილად წარმოსადგენია, რა წონას ღებულობს მის შეგნებაში იქ დაბეჭდილი სტა-

ტია. ახლა კიკითხოთ, ყოველთვის მაღალი ხარისხისაა ის რეცენზიები თუ ბიბ-ლიოგრაფიული წერილები? სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად. თითქმის ყოველთვის ისინი იწერებიან ერთი, თითქოს დაკანონებული სტანდარტით: ჯერ ნაამბობია მოკლე შინაარსი და ბოლოს სავალდებულო სტრიქონები: „ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები არ ჩქმალავენ ნაწარმოების ღირსებას, ეს წიგნი ძვირფასი შენაძენია ჩვენი ლიტერატურისა და სასიხარულო საჩუქარს წარმოადგენს ჩვენი მკითხველისათვის“. ალბათ ეს გაგონებთ იმ თეატრალურ რეცენზიებს, რომლებიც აუცილებლად ამგვარადვე თავდებოდა: „ფარდა დაეშვა და ხალხი ნასიამოვნები დაშალა“. არა, კრიტიკა მოხალისეებს არ უნდა უთმობდეს თავის ადგილს, კრიტიკის დარგში მომუშავე ჩვენს მწერლებს დიდი ვალდებულება ეკისრებათ და მათ შესწევთ ძალა და უნარი შეასრულონ ეს ვალდებულება.

2. ლიტერატურის ისტორიიდან ვიცით, რომ კრიტიკის დარგში აქტიურად მონაწილეობდნენ დიდი მწერლები — ილია ჭავჭავაძე, პუშკინი, დოსტოევსკი, თეკერეი, ტურგენევი, სტენდალი, ზოლა, შილერი, ფრანსი და სხვანი. მათ კრიტიკულ წერილებს არა თუ არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, დღესაც სანიმუშოა ყველასათვის. ჩვენი თანამედროვე პოეტები და პროზაიკოსები დროდადრო აქვეყნებდნენ ხოლმე მოკლე კრიტიკულ ნაშრომებს და, უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ისინი მკითხველის დიდ ყურადღებას იქცევდნენ. ასე რომ, მხატვრული სიტყვის ოსტატების მონაწილეობა კრიტიკის დარგში უეჭველად მისასალმებელია.

3. ყველა იმ შეხედულებას, რომელიც გამოთქმულა ჩემს ნაწერებზე, არ შემიძლია ანგარიში არ გავუწიო. რა თქმა უნდა, მსიამოვნებს, როცა მოიწონებენ ჩემს ნაწარმოებს, მაგრამ თუ, ვთქვათ, მისაყვედურებენ რაიმეს, ეს ამბავი ჩემს წყენას არ იწვევს და არავითარ გავლენას არ ახდენს ჩემსა და კრიტიკოსს შორის პირად ურთიერთობაზე.

4. კრიტიკული აზრი მეტ ზემოქმედებას რომ ახდენდეს ლიტერატურულ ცხოვრებაზე? მე, მწერალს, უნდა მწამდეს, რომ კრიტიკოსი შეიარაღებულია დიდი ცოდნით და რომ თვითეული მისი სიტყვა ნაკარნახევია მწერლებისადმი სიყვარულით. ბოლოს კიდევ ის, რაც დასაწყისში ვთქვი: ქართული სალიტერატურო კრიტიკის დონე ბევრად მაღალი იქნებოდა, კრიტიკის დარგში მომუშავე განათლებული, მწერლობაში ღრმად ჩახედული მწერლები რომ უფრო გაბედულები იყვნენ და თანამედროვე მწერლობას იმ შეფასებას აძლევდნენ, რომელსაც ის იმსახურებს.

მურმან ლებანიძე

პირველ ორ კითხვას ერთად მირჩევნია პასუხი გავცე:

არამც და არამც ქართული სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელი დონე დამაკმაყოფილებლად არ შემიძლია მივიჩნიო. ჩვენი კრიტიკის ღირსება-ნაკლოვანებებზე როცა ვლაპარაკობთ, ჩემთვის მთავარია ორი ასპექტი — პირუთვნელობისა და მხატვრულობის. კარგია მხოლოდ პირუთვნელი და, ამასთან ერთად მაღალმხატვრული კრიტიკა. ცუდია ყველა სხვა დანარჩენი კრიტიკა.

ცუდია პირუთვნელი, მაგრამ დაბალმხატვრული კრიტიკა!

ცუდია მაღალმხატვრული, მაგრამ პირმოთნე კრიტიკა!

საზიზღარია კრიტიკა — პირმოთნეც და დაბალმხატვრულიც ერთდროულად!

„განა შესაძლოა მაღალმხატვრული იყოს პირმოთნე კრიტიკა?“ — შეგვეკითხებიან, და შეგვედავებიან სწორედ ისინი, ვისაც ჩვენი საყვედური ყველაზე მეტად ეხება. ამაზე ჩვენ მზად გვაქვს პასუხი და ამ დროისათვის შევინახავთ.

თანამედროვე ქართულ კრიტიკას დაავიწყდა, რომ სალიტერატურო კრიტიკაც სიტყვაკაზმული მწერლობის ერთი დარგია და რომ კრიტიკულ ქმნილებასაც ისევე ეკალება ესთეტიკური სიამოვნება მოჰგვაროს მკითხველს, როგორც მხატვრული მწერლობის რომელიმე სხვა დარგის ნაყოფს — ლექსსა თუ პოემას, მოთხრობასა თუ ნოველას. კრიტიკას დაავიწყდა, რომ იოლი მიმოხილვისა და უსახური რეცენზიის გარდა არსებობს კრიტიკული ეტიუდი, არსებობს პორტრეტი, არსებობს არა უბრალოდ კრიტიკული, არამედ მხატვრული კრიტიკული აზროვნების კატეგორია. „რა აზრისა ხართ სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაწილეობის საკითხზე?“ გვეკითხება „ცისკარი“. „ცისკარმა“ გასთქვა თავისი თავი: კრიტიკოსები არ არიან მხატვრული სიტყვის ოსტატები! ისინი მხატვრული სიტყვის გარეთ და შესაძლოა მაღლაც დგანან. ჩვენ ვართ მოწაფეები, კრიტიკოსები არიან მასწავლებლები. ჩვენ ვართ მათი ხელისშემყურენი. ტონობითი მაკულატურა სალიტერატურო კრიტიკად საღდება. ჩვენ ხელს ვართმევთ ჩვენს რეცენზენტებს, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი თვმოყვარეობა არ შელახულა და თუ გუშინდელ რეცენზიაში წერია, რომ ჩვენ შთაგონებით ვუმღერეთ ამას და ამას.

მეორე ცოდვა-ბრალი ჩვენი სალიტერატურო კრიტიკისა პირმოთნეობა გახლავთ. პირმოთნეობა, რომელსაც რამდენიმე სატკივარი წარმოშობს და წაახალისებს, ყველაზე საშინელი შავი ჭირია ჩვენი მწერლობისათვის. ერთმა მაჰვილგონიერმა, სალიტერატურო წრეებში ფრიად მიღებულმა მანდილოსანმა გულისტკივილით ამიწერა უტაქტობათა და უზერხულობათა მთელი ზღვა ლიტერატურის ფრონტზე ახალდანიშნული ერთ-ერთი ხელმძღვანელის ოჯახურ სუფრაზე. არ მიკვირს! ჩვენ თვითონ ვყოფილვართ ამ უზერხულობათა არათუ მოწმენი, არამედ ხელშემყობნიც — ვინ აქტივობით და ვინ ლაჩრული დუმილით. ახალდანიშნულ თანამდებობის პირს ჩვენს ლიტერატურაში ჯერ ფრთხილად შეაპარებენ ხოტბას, სხვათა შორის, იმასაც ეტყვიან, რაც ნამდვილად ეკუთვნის (აქამდე სად იყვნენ!!!) მერე ერთ ბალს წაუმატებენ. მალე იმ ერთ ბალს სხვა წ>ემატება. იყივლს მამალი, სხვა მამლები გაეპასუხებიან. ატყდება ყივილი და გათენდება. გათენდება და იფეთქებს ეპიდემია. იმ ეპიდემიური ხასიათის წერილებს არავითარი კავშირი არ აქვს ნამდვილი სალიტერატურო კრიტიკასთან, შეშმარიტ მწერლობასთან.

ხოლო ზიანი დიდია! შეძახილმა აკი ხე გაახმო! ჯერ მწერლის ცოლ-შვილი იჯერებს მარჩენალის სიდიდეს, მერე თვითონ მწერალი. ეკითხები რომელი საათია და გაოგნებულია, არაფერი ესმის, ვარსკვლავებს ეთამაშება — პრემიებზე ფიქრობს.

აი, სადამდე მივყავართ პირმოთნე კრიტიკას! საიდან მოდის ეს პირმოთნეობა? ჩავუღრმავდეთ? შორს, ძალზე შორს წაგვიყვანს.

მე ვლაპარკობ აქ უმთავრესად სატკივარზე, ჩვენი კრიტიკის ნაკლოვანებებზე, რადგან სასარგებლოდ ასეთი ლაპარაკი მიმაჩნია. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩემი პრეტენზია არ ეხება ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში უკლებლივ ყველას. სინდისიერი და პრინციპული, ამასთან ერთად ერუდირებული და კვალიფიციური კრიტიკოსები ჩვენ გვყავს, და გვყავს თითქმის ყველა თაობაში. მათი ღვაწლი და სასარგებლო მუშაობა დიდწინშენელოვანია ჩვენი ლიტერატურის განვითარების საქმეში. უფროსებს ჩამოთვლით არ შევაწუხებ და, რაკი ზურაბ კაკაბაძეზე ჯერ არაფერი თქმულა, დიდი პატივისცემით ვიტყვი, რომ ჩემზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მისი ნამუშევრები. ზურაბ კაკაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის სახით ჩვენ შეგვემატა პრინციპული კაცი და შინაგანად მხატვარი. ხოლო, თუ გვაჩარებს ეს ამბავი, იქვე გული გვწყდება იმის გამო, რომ პრინციპულობას ჰკარგავს და თავის თავს ღალატობს ზოგი ჩვენი ძველი ამხანაგი. ქართულ პოეზიაში ნოვატორობის პრობლემაზე ახლახან განსაცვიფრებელი მოსაზრებები გამოთქვა ჩვენმა გამოცდილმა კრიტიკოსმა გიორგი მარგველაშვილმა. არ გასულა ერთი კვირა და, არ ვიცი უყურადღებობით თუ შეგნებულად, ირაკლი აბაშიძის „მიახლოება ნახევარ საუკუნესთან“ იმავე გ. მარგველაშვილმა რუს მკითხველს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნად დაუსურათხატა. ი. აბაშიძის „მიახლოება“ პირადად მე ქართული პოეზიის მშვენებად მიმაჩნია, მაგრამ... ვის რად სჭირდება კრიტიკოსისაგან მსგავსი „დახმარება!“.

3. მესამე კითხვაზე ჩემი პასუხი მოკლე იქნება, პირადად ჩემზე დაწერილი კრიტიკული წერილებიდან განსაკუთრებით სამი წერილი მომეწონა — ნოდარ ჩხეიძის, ფილიპე ბერიძის და გიორგი ხუხაშვილის წერილები. ამ წერილებში სხვა ჩემს ნაწარმოებებთან ერთად სამივეში იყო განხილული ჩემი ლირიკული პოემა „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა“ და სამივე წერილი განსაკუთრებული ყურადღებით ჩემს ამ ნაწარმოებს უტრიალებდა. სწორედ ამან გამახარა. მე ალმოვაჩინე, რომ მშობლის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება, თვისტომის, მოყვარის სიყვარული, რომელიც მახლობელი გრძნობა იყო ჩემთვის ასევე მახლობელი გრძნობა ყოფილა ასაკით ჩემზე უმცროსი ჩემი მეგობრებისათვის; ეს იყო არა ალმოჩენა ჩემთვის, არამედ ჩემი რწმენის დადასტურება. მე არ მჭირდა უნდობლობის საბაბი და ვენდე მათს კეთილმოსურნე აზრს.

4. „რა არის საჭირო იმისათვის, რომ კრიტიკული აზრი მეტ ზემოქმედებას ახდენდეს ლიტერატურულ ცხოვრებაზე?“ ურთიერთნდობის ატმოსფერო მწერალსა და კრიტიკოსს შორის! — ასეთია ჩემი პასუხი. მწერალს არ უნდა მიეცეს უნდობლობის საბაბი. მწერალი დარწმუნებული უნდა იყოს კრიტიკოსის გულწრფელობაში, მხოლოდ მაშინ გაუწევს ანგარიშს კრიტიკოსის აზრს. რა თქმა უნდა, იგულისხმება მაღალინტელექტუალური კრიტიკოსის, მწერლობის საიდუმლოებებში ჩახედული კრიტიკოსის გულწრფელობა.

„როგორ გვესახება ქართული კრიტიკის განვითარებისა და წინსვლის გზები?“ კონკრეტულ პასუხს თაბახები დასჭირდება და ზოგადად ვიტყვი: კრიტიკის განვითარებისა და წინსვლის პირობად ჩვენი მწერლობის შინაცხოვრებისა და შინაურთიერთობათა ნორმალიზაცია მიმაჩნია. როგორც განვითარდება საერთოდ ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობანი — არც მეტი და არც ნაკლები — ისე განვითარდება ჩვენი მწერლობა და, კერძოდ, ჩვენი სალიტერატურო კრიტიკაც.

მუხრან მაჭავარიანი

1. თანამედროვე ქართული ლიტერატურა და კრიტიკა, ერთი მეორის გამო, თანაბარ დონეზე დგას.

ეს დონე მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია კრიტიკის კრიტიკის უქონლობით.

კრიტიკის კრიტიკას, რაც ჩვენში დღესდღეობით უგულვებელყოფილია რატომღაც, ძალუძს ამ დონის საგრძნობლად აწევა.

2. კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა აქტიურად ჩაბმა გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია. სხვანაირად წარმოუდგენელია, საერთოდ, ლიტერატურის აღმავლობა.

3. აქ არ დგას მხოლოდ ე. წ. მოწონებისა თუ არმოწონების საკითხი; ჩემ-ზე ძალიან ბევრი დაწერილა. დადებითიც და უარყოფითიც. ორივეს (დადებითსაც და უარყოფითსაც) დიდი ზეგავლენა მოუხდენია (ზოგჯერ ჩემდა უნებურად) ჩემს შემდგომ შემოქმედებით მუშაობაზე.

თუმცა, დღემდე თითქმის არავის, ვისაც კი ჩემზე რაიმე დაუწერია, არ შეუნიშნავს ჩემი არც ის ნაკლი და არც ის ღირსება, რასაც მე თვითონ ვამჩნევ ჩემს შემოქმედებას.

4. ვინაიდან ქართული კრიტიკის დონის ამაღლება, ჩემი ღრმა რწმენით, ასწავს მხატვრული ლიტერატურის დონესაც, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაჩაღდეს კრიტიკის მძაფრი კრიტიკა.

დროა, ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც გაიმართოს დიალოგები თვით კრიტიკოსებსა და მწერლებსა და კრიტიკოსებს შორის.

უნდა დაიწეროს სპეციალური წერილები საკუთარი და ნასხვისარი განწყობილებების შესახებ.

ყურადღება უნდა მიექცეს მწერლის ინტონაციის, ლექსიკის, თემატიკის ინდივიდუალურობის საკითხს.

უკუგდებულ უნდა იქნას რაოდენობისა და მოცულობის კულტი. ყურადღების ცენტრში უნდა დადგეს ნაწარმოების მხატვრული ღირსება და მასშტაბურობა!

შოთა ნიშნიანიძე

წინასწარ ვაღიარებ, კრიტიკოსობა ისეთი პროფესიაა, რომელსაც მადლიერი ძლიერ ცოტა ჰყავს. კრიტიკოსმა, ერთი ავტორი მაინც რომ იყოლიოს მეუდმივად მადლიერი, მხოლოდ ამ ერთ ავტორზე უნდა სწეროს მთელი თავისი სიცოცხლე და ისიც სულ ქება-დიდების წერილები.

სანამ პოეტი ზრდას დაასრულებდეს, როგორც შემოქმედი, მის ნაწერებში უამრავი აზრობრივ-ემოციური სიყალბე, გულუბრყვილობა და მხატვრული უმწეობა შეინიშნება. ზრდისა და განვითარების პერიოდი კი საკმაოდ ხანგრძლივია. ასევე საჭიროა კრიტიკოსისათვის ზრდის დასრულება. ზრდადასრულებული არავინ არ იბადება, ამიტომ არც ისინი არიან დაზღვეულნი მცდარი შეხედულებებისა და გემოვნებისაგან. რაც შეეხება ამ ზრდა-განვითარების საკითხს, კრიტიკოსი გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვინემ მწერალი. იგი ვალდებულია ორმაგად განვითარდეს: თეორიულად და მხატვრულად. ამას კი ორმაგი დრო სჭირდება. თუმცა მხატვრული განვითარება პიროვნების ნება-სურვილზე სულაც არ არის დამოკიდებული. ეს უკვე ნიჭიერების საქმეა. აქ უკვე მაგიური ფორმულა მოქმედებს — მსგავსმა უნდა მსგავსი შეიცნოს.

ქართველ კრიტიკოსებს მუშაობაში ძალზე უშლის ხელს ერთი სპეციფიური გარემოება: პატარა ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ადამიანისათვის თითქმის შეუძლებელია ავი სიმართლის თქმა, რადგან ყველა ერთმანეთზე რაღაცითაა დამოკიდებული. ამიტომაც გახშირდა კრიტიკულ წერილებში გამოთქმები — ბრწყინვალეა! შენაძენია! უდაოდ დიდი გამარჯვებაა!

შეფასების ობიეტი კრიტიკოსისათვის თავისი ცოდნისა და გემოვნების სასინჯი საბეჭისწერო ქვაა და ზოგიერთი შიშობს, არ შეეცდე, არ გამაქილიკონო, თავის თავს ნაკლებად ენდობა და სხვათა შეხედულებებს იყენებს საორიენტაციოდ. შეიძლება კრიტიკოსები მხედველობიდან უშვებენ ერთ ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც: ადამიანები ერთმანეთის ნებისყოფაზე მოქმედებენ,

ერთმანეთს „ნუსხავენ“ არა მარტო შემოქმედებითი პროდუქტით ან თანამდებობით, არამედ თავისებური მაგნეტური პოტენციალით. კაი-ბიჭობით, ენაძვალ-ხვილობით (ან ენაძწარობით), დუმილის ჰიპნოზით, პოზიორობით, უცნაური ქცევით, მჭევრმეტყველებით ან სხვა ავტორთა გაქილიკებით. ასეთ ფსიქოლოგიურ ანკეტზე ბევრი კრიტიკოსია წამოგებული და ხშირად მთდაუნებურად კრიტიკული მსჯავრის გამოტანის დროს ავტორისეული პიროვნება უფრო თამაშობს გადამწყვეტ როლს, ვინემ მისი შემოქმედებითი ავკარგიანობა.

დიდ პატივს ვცემ კრიტიკოსთა თეორიულ განსწავლულობას, ინტელექტუალურ რაფინირებას, მაგრამ ბევრი მთგანი კაბინეტის და ბიბლიოთეკის ესთეტია (ჩვენგან კი გამუდმებით მოითხოვს ცხოვრების შესწავლას). ასეთებს, მაპატიონ და, ცოტა არ იყოს, უნდობლად ვეყურებ. ასეთებს სულიერი განვითარება მხოლოდ და მხოლოდ ცალმხრივია. ასეთებს უფრო ფორმალურ-ტექნიკური არტისტულობა, მსჯელობისა და ანალიზის უნარი აინტერესებთ პოეზიაში და მათთვის არცერთი ნაწარმოება არ წარმოადგენს მხატვრულ ღირებულებას, თუ მწიგნობრულობის სუნი რა ასდის. გოეთე „ფაუსტში“ წერს: „ვინც სულ აზროვნებს, დაემგვანება უგუნურ ცხოველს, გადაბმარ მინდორს რომ დასტრიალებს და ვეღარ ამჩნევს ირგვლივ მწვანე ველს“. ასეთი ესთეტებისათვის უცხოა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიწის მადლი და პირველყოფილობის სიჯანსაღე, სიტყვის სინედლე და კუნთოვანება, რიტმის ენერგიულობა, მგრძნობიარება, შემოქმედებითი სიხარული, ექსტაზი, ტემპერამენტი. წიგნიერი განვითარება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ბუნებასთან და ადამიანებთან ინტენსიური ურთიერთობის დროს „აღებ-მიცემობის“ პროცესი უფრო დიდი მასშტაბით მიმდინარეობს და ადამიანის სულიერ ზრდას უფრო მრავალპლანიან განზომილებაში წარმოაჩენს.

ზოგჯერ კრიტიკოსები სიახლის მარკით გეთავაზობენ ძველი ავტორების ფორმალურ რებუსებს, სხვადასხვა „ეზმების“ დურდოს; ნოვატორულ აღმოჩენად და ბედნიერ მიგნებებად ასაღებენ უკვე ისტორიადქცეულ და დროის მიერ უარყოფილ პოეტურ ექსპერიმენტებს. სიახლე, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მხოლოდ კარგი სიახლე! ხომ შეიძლება სიახლე ცუდიც იყოს. ასეთი ორიგინალურობის სენი ე. ი. პოზიორობა (პოეზიაში — ემოციების სფეროში!!) ხშირად იმით სჭირთ, რომელთაც სათქმელი ძალიან ცოტა ან არაფერი აქვთ. კრიტიკოსი აქ უნდა მკურნალობდეს თავისი მართალი სიტყვით. არ შეიძლება ორიგინალური არ იყოს ის, რაც ინტელექტუალურად ღრმად გააზრებული და ემოციურად ღრმად განცდილი იქნება. ვინაიდან თვითეული პიროვნება ღრმად თავისებური, სხვა, განუმეორებელი არსებაა. მხატვრული ნაწარმოება, თუ ის წრფელია და არა მანერული, ჩვენი „მეს“ უკეთესენი იქნება, სხვათა მსგავსი, მონათესავე, მაგრამ ძირითადში მაინც სხვა — ერთჯერადი, არასერიული „მე“. თუ ნაწარმოები არ არის ღრმად გააზრებული და განცდილი, შემოქმედის სულიდან ტკივილებთან შობილი, მისი მხატვრული ღირებულება მაშინ ტექნიკური გაწაფულობით იქნება შემოსაზღვრული. ასეთი შემოქმედებითი „ინდივიდუალობა“ უკვე განმეორებადი და სერიულია. ამიტომ ჰგვანან ზოგიერთი პოეტები ერთმანეთს. . წერის კულტურა სწავლით და ვარჯიშით შეიძინება, მაგრამ ტემპერამენტი, მხატვრული ხედვა (პოეზიის ეს ელემენტარული პირველსაწყისები) კი ვერა.

კრიტიკა უნდა არჩევდეს იმიტაციას ბუნებრივისაგან. კრიტიკოსი უნდა იყოს კარგი „სულიერი საქონელთმცოდნე“. არ უნდა მოატყუილებინოს პოეტებს ზოგიერთი ზეთიერი ბეჭედი და პირველ რიგში საკუთარი თავი. კრიტიკა უნდა ეპრძოდეს პოეტურ სპეკულაციას, მიმბაძველობას, პლაგიატობას, დაკვეთას. .

ჩემს შესახებ დაწერილი წერილებიდან განსაკუთრებული ღირსებისად მე მაჩნია „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული კრიტიკული ეტიუდი აწ განსვენებული კრიტიკოსის იპოლიტე ვართაგავაისი. ყურადღებას იქცევდა წერილში წამოჭრილი საკითხებისადმი ფხიზელი, ჯანსაღი მიდგომა და კვლევის სინთეზური ხასიათი. დიდი სიყვარულითა და საქმიანი ინტერესით დაწერილი მხცოვანი კრიტიკოსის ეს სტატია წინაპრის დალოცვად მივიჩნიე.

დიდი სიამოვნებით წავიკითხავდი ისეთ კრიტიკულ წერილს, სადაც მოურიდებლად იქნებოდა აღნუსხული ყველა ჩემი ნაკლოვანება. დიდი სიამოვნებით მივიღებდი ყოველ შენიშვნას, როგორი მკაცრიც არ უნდა ყოფილიყო, ოღონდ ასეთი წერილის ავტორი უნდა აკმაყოფილებდეს ჩემს სამ მოთხოვნას:

1) არ იყოს კაბინეტის ესთეტი,

2) ხელმოცარული პოეტი,

3) კარგი პოეტის მეგობარი...

ᲯᲐᲩᲘᲚ ᲡᲣᲚᲯᲙᲐᲕᲘ

1. ჩემი აზრით, ბოლო 3-4 წლის ლიტერატურული კრიტიკა ქედმაღალი კაცივით გულცივი და ვნებადაცლილია. ეს განცხადება რომ ჰაერში ჩამოკიდებული არ დარჩეს, ანდა კრიტიკის უგულვებელყოფა რომ არ დამწამონ, მევეცდები კონკრეტული მაგალითით გავსწორ ფრჩხილები. ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე დაიბეჭდა გრიგოლ აბაშიძის, ოთარ ჩხეიძის, ნოდარ დუმბაძის, თამაზ ჭილაძის, ედიშერ ყიფიანის, ოტია იოსელიანის, ოთარ ჩიჯავაძის, გურამ ფანჯიკიძის, გურამ გეგეშიძის და სხვათა რომანები. ორი წლის მანძილზე ათზე მეტი რომანი! თუ არა ვცდები, ჩვენი ლიტერატურა არასოდეს არ ყოფილა ასე ნაყოფიერი. რა თქმა უნდა, ამ რომანებს სხვადასხვა მხატვრული დონე და ღირსებანი გააჩნიათ, მაგრამ ლიტერატურული კრიტიკისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. კრიტიკა ვალდებულია თავისი აზრი გამოთქვას ყოველგვარ ნაწარმოებზე, როგორიც არ უნდა იყოს ის. ჩემი აზრით, ჩვენს ჟურნალებში გამოქვეყნებული რომანები სავსებით გამოხატავენ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების დონეს, ამიტომ ისინი საინტერესო მასალას უნდა წარმოადგენდნენ კრიტიკისათვის, მაგრამ კრიტიკის „მრავალმნიშვნელოვანი“ დუმილი მრავლისმეტყველია და იგი სხვა არაფერია, თუ არა მეომრის ბრძოლის ველიდან გაქცევა. ერთადერთი, რისი უფლებაც არა აქვს კრიტიკას, ეს არის დუმილი. ჩვენმა კრიტიკოსებმა როგორმე უნდა მოიშორონ ქედმაღლური, ერთგვარი მასწავლებლურ-დამრიგებლური პოზა თუ ნიღაბი და უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ ლიტერატურულ ცხოვრებასთან. ლიტერატურა კრიტიკისათვის „პური არსობისა“ კი არ უნდა იყოს, არამედ ამ ლიტერატურათი უნდა სულდგმულობდეს, ცხოვრობდეს და არსებობდეს. ისე არ გაიგოთ, თითქოს ზემოთ ნაგულისხმევ ნაწარმოებებზე ჩვენი კრიტიკის მიერ არაფერი თქმულა. ზოგიერთ მათგანზე დაიწერა წერილი, ითქვა რაღაც ნახევარსიტყვისა და ნახევარსიმართლის მაგვარი, რაც ზღვაში წვეთია.

2. მხატვრული სიტყვის ოსტატთა აზრი კოლეგებსა და მათ შემოქმედებაზე ყოველთვის საინტერესო და საყურადღებოა.

3. გურამ გვერდწოვილის, გიორგი მარგველაშვილის, გურამ კანკავის, ნოდარ კაკაბაძის წერილები ჩემს მოთხრობებზე. განსაკუთრებით მაინც ოტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაჭკორიას წერილს გამოვყოფ, ალბათ იმიტომ, რომ ეს იყო პირველი სერიოზული წერილი ჩემს პირველ მოთხრობაზე „ტალღები ნაპირისაკენ“ მიისწრაფიან“.

4. ქართული კრიტიკა პირუთვნელი და შეუპოვარი უნდა იყოს. მან უნდა დაიცვაწყოს „ლიტერატურულ ავტორიტეტებთან“ მაამებლური ჩურჩული, ხოლო „არაავტორიტეტებთან“ ქედაღლური პოზა. ჩვენს კრიტიკოსებს ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ ქართული კრიტიკის დროშა მაღლა აფრიალონ და ზედ დაწერონ: „გაუმარჯოს სიმართლეს“.

ᲔᲚᲘᲖᲔᲠ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ

ჩემი წიგნების ყველაზე დიდ კრიტიკად მე მიმაჩნია ჩემს წიგნებზე უფრო კარგად დაწერილი წიგნები. ამიტომ ყველაზე ნაყოფიერი და ზემოქმედების მომხდენი კრიტიკა ჩემთვის არის მთელი კლასიკა და თანამედროვე მწერლების მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. ასეთი კრიტერიუმი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს არ ვაღიარებდე ლიტერატურულ კრიტიკას, როგორც ჟანრს. პირიქით, საქმე ის არის, რომ თვითონ კრიტიკოსების ერთი ნაწილი არ აღიარებს, ყოველ შემთხვევაში, არ იცავს ამ ჟანრის კანონებს. კანონის პირველი მუხლი კი იძლევა კითხვას: ხარ თუ არა მოწოდებით (თუ დაბადებით არა) კრიტიკოსი, მონიშებული გაქვს თუ არა ბუნებისაგან ღრმა ანალიტიკური აზროვნების უნარი, და თუ მონიშებული გაქვს, განავითარე თუ არა ეს უნარი. მთელი შენი ცხოვრების მანძილზე შრომით, შეძენილი ცოდნით, ცხოვრებაზე დაკვირვებით, რადგანაც ცხოვრებისეულ მასალას, რომლისაგანაც აშენებულია მხატვრული ნაწარმოები, კრიტიკოსი უნდა ეცნობოდეს არა თვით იმ ნაწარმოების წყალობით, რომელსაც აკრიტიკებს, და არა იმ წუთებში, როცა მას კითხულობს.

კრიტიკოსმა უნდა მიიღოს მწერლის სამყარო, შეისწავლოს იგი და მხატვრული ანალიზი გაუკეთოს, როგორც ნატურალისტი აკვირდება და სწავლობს ბუნებას, ანალიზებს ბუნებისავე კანონებზე დაყრნობით, და არ მოითხოვს, მთის ჩრდილოეთ კალთებზეც ისეთივე მაღალი ხეები იზრდებოდეს, როგორიც მთის სამხრეთ კალთებზე, რომ ყველა ტბა იყოს მტკნარი, ყველა მდინარე — წყალუხვი და ყველა ტყე — დაბურული.

ევგენი ევტუშენკოს აქვს ერთი ლექსი შეყვარებულ ქალზე. ყველაფერი, რაც შენ ოდესმე გადაგხდენიაო, — მიმართავს პოეტი ქალს — რაც კი გახსოვს და რაც კი დაგვიწყებია, ყველაფერი ჩემშიაო, ერთ არსებად ვართ ქცეულნიო, და ამიტომ:

«Во мне убивают отца твоего,
Во мне твою мать на допросы таскают».

და ბოლოს:

«И чтобы убить меня, нужны две пули:
Две жизни во мне — и моя и твоя».

მაგრამ უეცრად გამოდის კრიტიკოსი სტ. რასადინი და პოეტს ყურს უწვეს: ცრუობ, ყალბი ხარ! შენ არ განგიცდია ეს, არ განგიცდია ერთ არსებად ქცევა შენი და შეყვარებული ქალისა, თორემ მაშინ არ იტყოდი, ჩემს მოსაკლავად ორი ტყვიაა საჭიროო, ერთი არსების მოსაკლავად ერთ ტყვიას იმყოფინებდიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შენიშვნამ მე მაგრძნობინა, მართლაც და, ერთ არსებად ქცევა კრიტიკოსისა და პოეტისა, ამ შემთხვევაში კრიტიკოსის სურვილითა და წყალობით. მართლაც იმ ტკივილით და სიხარულით უნდა წერდეს კრიტიკოსი, რასაც პოეტი განიცდიდა ლექსის შექმნის დროს, მხოლოდ მაშინ თუ შეიძლება ნამდვილი სიყალბისა და ნამდვილი ღირსებების აღმოჩენა.

ზოგი კრიტიკოსი ხანდახან მწერლის დაუსაბუთებელ განცხადებას უფრო ენდობა და ეყრდნობა ხოლმე, ვიდრე დასაბუთებულ მხატვრულობას. აი, უბრალო მაგალითი. ვთქვათ, მწერალმა რომანის ექსპოზიციაში გმირის შესახებ დაწერა, რომ „იგი ფიცხი ხასიათის იყო". მაგრამ შემდეგ თითქმის არც ერთ ეპიზოდში არ ჩანს მისი სიფიცხე. პირიქით, ყოველთვის თავდაჭერილი და მომთმენია; წერის დროს ასე გამოისახა გმირის სახე. ზოგიერთი კრიტიკოსი კი მაშინვე დაწერს რამდენიმე აბზაცს იმის შესახებ, რომ ავტორი არ ამოქმედებს გმირს მისი ხასიათის შესაფერისად, რომ გმირის ესა და ეს საქციელი სრულიად არ შეეფერება მის ფიცხ ხასიათს, იმის მაგივრად, რომ მიუთითოს ავტორს, რომანის დასაწყისში შემორჩენილი სიტყვა „ფიცხი" წაშალოს.

ზოგიერთი კრიტიკული წერილის კითხვისას მეჩვენება ხოლმე, რომ წერილის ავტორი დროის აბსოლუტურ ცეიტნოტს განიცდიდა. ამიტომ მოაქვს განსახილველი ნაწარმოებიდან გრძელ-გრძელი ციტატები, ამიტომ მიიმბობს ნაწარმოების შინაარსს ხელმეორედ და თავიდან ბოლომდე, ამიტომ მოაქვს ის აზრები, რაც ამ ნაწარმოებზე გამოთქვეს სხვა კრიტიკოსებმა სხვა წერილებში და ედავება ან ეთანხმება მათ ავტორებს. მისი საკუთარი აზრი კი არ ჩანს.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები იძენს ერთგვარ „ამომდგებ ძალას", მასში ის ვერ ჩაყვინთავს, ვინც არ არის დამძიმებული ამ „ამომდგები ძალის" გამაწონასწორებელი ცოდნისა და კრიტიკული ინტუიციის ტვირთით.

ლეონა შენგელია

ჩემზე ლაპარაკი უხერხულად მიმაჩნია, მით უფრო, რომ კრიტიკული ნაწარმოები მხატვრული ნაწარმოებია, და ყოველი კრიტიკოსი მწერლის გარჩევისას ამქღავნებს თავის სულსაც. ამიტომ მე იმდენად არ მაინტერესებს რას ლაპარკობს კრიტიკოსი ჩემზე, რამდენადაც ის, თუ რას შეიცავს იგი, როგორც შემოქმედი. სხვანაირი კრიტიკა მე არ მიყვარს და არც ვკითხულობ მას. რო�c ბელინსკი არჩევს პუშკინს ან ლერმონტოვს ანდა ტურგენევს, ეს მწერლები მისთვის ტრამპლინს წარმოადგენენ მისი სოციალურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა და გემოვნების გამომქღავნებისა და პროპაგანდის თვალსაზრისით. ის კრიტიკოსი, რომელიც ამას არ აკეთებს, არ მიმაჩნია ყურადღების ღირსად. „ევგენი ონეგინს" ან „დემონს" მეც წავიკითხავ. ჩემთვის მთავარია, როგორ გიგო მან, და არა ის, რა გიგო მან. წინაადმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ არა კრიტიკას, არამედ ლიტერატურათმცოდნეობითი შინაარსის ნაშრომს, რაც, რა თქმა უნდა, სასარგებლოა, მაგრამ შემოქმედებისაგან შორს არის. ეს იმას ემგვანებოდა, რომ ჩვენ ბოტანიკა შეგვესწავლა ბუნების მიხედვით. მურაბა ჩინებული რამაა, მაგრამ ის ალუბალი მაინც არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ნულეიშვილი

ქართული კრიტიკული აზროვნების დღევანდელ დონეზე, მის განვითარებასა და პერსპექტივებზე თავში ძალზე „შავბნელი“ აზრები მიტრიალებს. არა მგონია „ცისკრის“ მკითხველებს, მით უფრო ჩვენს კრიტიკოსებს, გამოადგეთ იგი.

ყველა კითხვაზე წყობილი და ამომწურავი პასუხის გაცემა ჩემთვის ერთობ ძნელია, გარდა ამისა, კომპეტენტურად არ ვთვლი თავს, ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე აზრი გამოვთქვა. ვუპასუხებ მხოლოდ ერთ კითხვას.

ჩემს შემოქმედებაზე ბევრი არ დაწერილა, მაგრამ თუ კარგისაგან ავის გამორჩევა აუცილებელია, მაშინ ერთი რამ უსათუოდ უნდა ვთქვა: მე მუდამ მიმაჩნდა, რომ საოცრად ძნელია წერა, მაგრამ ახს. შ. ჩიჩუას ერთმა წერილმა დამარწმუნა, რომ არანაკლებ ძნელი ყოფილა კითხვაც. საერთოდ, „უკანასკნელ ხანს სამწერლო ასპარეზზე გამოსულ მწერალთა“ სიაში ბევრჯერ მოეხვედრილვარ. ამ სიებს კრიტიკოსები ადგენენ. ნება მომეცით, მეც შევადგინო ერთი ასეთი სია კრიტიკოსთათვის.

უფროსი თაობის კრიტიკოსთაგან, ბატონი ბესოს გარდა, არავის გამოუთქვამს აზრი ჩემს შემოქმედებაზე. მეც თავს შევიკავებ და მათ არ ჩამოვთვლი, ვაი თუ თანამიმდევრობა ვერ დავიცვა. სიას შევადგენ ჩემი თაობის კრიტიკოსთათვის, რომელთა შემოქმედებამ კარგა ხანია ჩვენში აღიარება და მოწონება ჰპოვა: გურამ ასათიანი, ნოდარ ჩხეიძე, ოტია პაჭკორია, აკაკი ბაქრაძე, რევაზ თვარაძე, ფილიპე ბერიძე და სხვა...

გარდა ამისა, უნდა შევადგინო კიდევ ერთი სია. ამ სიაში შევლენ ის მეცნიერები, რომლებიც ლიტერატურის ყოველდღიურ ცხოვრებაში არ მონაწილეობენ, მაგრამ ქართული კრიტიკული აზროვნებისათვის ფასეულსა და მნიშვნელოვან ნაწარმოებებს ქმნიან: მიხეილ კვესელავა, აკაკი გაწერელია, ზურაბ კაკაბაძე, ოთარ ჯინორია, ზურაბ კიკნაძე და სხვ...

რეზო ჭეიშვილი

1. დღევანდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკა საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. ჩვენ გვყავს განათლებული კრიტიკოსების მთელი არმია, მაგრამ როდესაც ჟურნალი „ცისკარი“ ქართული კრიტიკის ავკარგიანობით ასე დაინტერესდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ყველაფერი რიგზე ვერაა. თუმცა, არც ისეთი სავალალო მდგომარეობა უნდა გვქონდეს, როგორიც თეატრალურ და კინო კრიტიკაშია. მთელი რიგი შეცდომები მოსდით ლიტერატურის კრიტიკოსებსაც. მაგრამ მათ ბევრი რამ ეპატიებათ, რადგან მათ ნაწერებში იგრძნობა პროფესიონალიზმი, წერის მაღალი კულტურა, სარეცენზიო ნაწარმოების მსოფლიო ლიტერატურის ფონზე გაანალიზების სურვილი, ლიტერატურის ცოდნა და სიყვარული. ეს მიმაჩნია ჩვენი კრიტიკის ღირსებად.

ქართული სალიტერატურო კრიტიკის დიდ ნაკლად, კრიტიკოსების ნაწილის უნიჭობის გარდა, მიმაჩნია გაუბედობა და არაგულწრფელობა. ძალიან მომწონს, როდესაც კრიტიკოსი ავტორიტეტებს აქებს, ადიდებს და საწყალს და გაჭირვებულს წიხლს რომ მიაყოლებს ხოლმე.

2. სალიტერატურო კრიტიკაში, ცხადია, აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ მწერლები, პოეტები. „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო სა-

უბარი", მაგრამ სალიტერატურო კრიტიკაში „მხატვრული სიტყვის ოსტატობა" მონაწილეობას შეიძლება ხელი შეუშალოს იმან, რომ ქართველი მწერლები სხვის, მითუმეტეს ახლობლის დაწერილს იშვიათად კითხულობენ და წაუკითხავ ნაწარმოებზე აზრის გამოთქმა ალბათ ძალიან ძნელია, ამის გაკეთება კრიტიკოსებსაც უჭირთ.

3. ჯერჯერობით იმდენი არაფერი გამომიქვეყნებია, რომ უკვე ჩემს შემოქმედებაზე დაწერილი წერილების სიავკარგეზე ვილაპარაკო. ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი.

ამ ხუთი წლის წინ ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა ნოდარ ჩხეიძის კრიტიკული წერილი ჩემს პირველ წიგნზე. ეს იყო სითბოთი და სიყვარულით სავსე რეცენზია, რომელმაც დიდი სიხარული მოუტანა ახალბედა ავტორს. ამის შემდეგ ჩემ შემოქმედებაზე ალბათ უფრო მეტი დაიწერა, ვიდრე მეკუთვნოდა. ბევრი კარგიც მითხრეს, ბევრი — ავიც. ერთხელ შეურაცხყოფაც კი მომაყენეს. შეიძლებოდა ამ ამბებს ჩემზე უარყოფითად ემოქმედა კიდეც. ეს სიტყვები რომ ლოცვანივით არ მახსოვდეს:

...ნუ უფრთხი წყენას, ნუ მოითხოვ გვირგვინს შენ ჯილდოდ,
ცივად მიიღე შექება და ცილისწამება
და სულელ კაცს არასოდეს არ შეეჭიდო.

4. ქართული კრიტიკის განვითარების და შემდგომი წინსვლის არავითარი კონკრეტული გზა არა მაქვს წარმოდგენილი. ქართული კრიტიკა განვითარდება და ამაღლდება მაშინ, როდესაც განვითარდება და ამაღლდება ქართული კულტურა ზოგადად და ქართული მწერლობა — კერძოდ. ქართულ კრიტიკას თუ სურს, ზემოქმედება მოახდინოს ლიტერატურაზე, პირველ რიგში ერთმანეთისაგან უნდა განასხვავოს კარგი და ცუდი. ამისათვის საჭიროა დიდი გემოვნება და სინდისი.

თამაზ ჭილაძე

1. ქართული სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელი დონე დამაკმაყოფილებლად არ მიმაჩნია.

2. ლიტერატურის ისტორიაში ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

3. მიხეილ სვეტლოვის სტატია ჩემი ლექსების კრებულზე.

4. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენი კრიტიკის განვითარებას კარგი პირი უჩანს.

ოთარ ჭილაძე

ქართული სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელი დონის დამაკმაყოფილებლად მიჩნევა დათვური სამსახური იქნებოდა თვითონ კრიტიკისათვის.

პირადად მე დღევანდელი სალიტერატურო კრიტიკის ღირსებად მიმაჩნია ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩარევის ის დიდი სურვილი და ინტერესი, რაც ყველა ჩვენთაგანისთვის აშკარად შესამჩნევია. მაგრამ, რა თქმა უნდა, მარტო სურვილი და ინტერესი საქმეს არ შველის, რადგან კრიტიკოსი მესანგრესავითაა და მისი „სიცოცხლე" მხოლოდ და მხოლოდ მის დიდ ცოდნაზე, სიფრთხილეზე, უტყუარ ალღოსა და შორსმჭვრეტელობაზეა დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისია კრიტიკოსმა — მესანგრემ — მხოლოდ ერთხელ ვერ შეამჩნიოს, ან შეგნებულად არ შეამჩნიოს ნაღმი (ტალანტი) და მისთვის ყველაფერი დამთავრებულია. ნაღმის (ტალანტის) შეგნებულად არ შემჩნევა, რა თქმა უნდა, გაცილებით დიდი ბოროტებაა.

„აშუალო ნიჭის კაცს ერთხმად აქებენ და ადიდებენ მისივე მსგავსნი, რომელნიც მას გარს ახვევიან და რომელნიც თავის თავს ეთაყვანებიან მასში. მისი დიდება არავის არ აღიზიანებს... მაგრამ ტალანტში არის რაღაც გამომწვევი და თავხედური, რომელსაც ყრუ ზიზღით და ცილისწამებით ემსჭვალვიან კაცნი" — ანატოლ ფრანსის ეს სიტყვები თითქოს საშუალებას გვაძლევს შედგომი გავეწიოთ ზოგიერთ კრიტიკოსს ადამიანურობის პოზიციიდან, რაც ლიტერატურული პოზიციიდან ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა. ლიტერატურა შეღავათებს ვერ იტანს და მხოლოდ ამის გამო ბევრი „კრიტიკოსი" აფეთქებულა ისეთ ნაღმებზე, როგორიცაა პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, სტენდალი და ბევრი სხვა, რომლის წინაშეც დღეს ყველანი მოწიწებით ვხრით თავს.

მე მეტად საჭირო და სასიამოვნო ფაქტად მიმაჩნია ახალგაზრდობის ასეთი შომთავლება სალიტერატურო კრიტიკაში. მარტო მათი სიმრავლეც ამკარა დადასტურებაა ლიტერატურის და მისი ზემოქმედების უნარის გამოცოცხლებისა და გამძაფრებისა. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ამ ახალგაზრდებისგან ყველა იმ თვისების მოთხოვნა, რომელიც მკვეთრად ახასიათებს ნამდვილ კრიტიკოსს, ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება. ისინი მხოლოდ იწყებენ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მათი დაბნეულობა, ტენდენციურობა და შესამჩნევი მოუმზადებლობა შეიცვლება მაღალი, კვალიფიციური კრიტიკული აზროვნებით. ეს კი აუცილებელია ჩვენი ლიტერატურის მომავალი განვითარებისთვის. კრიტიკული აზრი უსათუოდ ახდენს ზემოქმედებას ლიტერატურულ ცხოვრებაზე, მაგრამ ყველაზე მეტად იმ ეშვიან არსებაზე, რომელსაც მკითხველი ჰქვია. კრიტიკოსი ჭაშნაგირივით დგას მკითხველსა და ლიტერატურულ ნაწარმოებს შორის და არ უნდა დაუშვას, რომ ნამდვილი ღვინის ნაცვლად სუფრაზე მაჭრიანი ღვინო ჩამოარიგონ. რაც შეეხება „მხატვრული სიტყვის ოსტატების" (ამ შემთხვევაში ალბათ მწერლების) მონაწილეობას ლიტერატურულ კრიტიკაში, ჩემი აზრით, ეს ბუნებრივი მოვლენაა და როგორც ყველა ბუნებრივი მოვლენა — კანონზომიერიც.

ხოლო რაც შეეხება პირადად ჩემი ნაწარმოებების გამო დაწერილ კრიტიკულ წერილებს — მომწონს თუ არ მომწონს, ვეთანხმები თუ არ ვეთანხმები, მათამამებს თუ მაღიზიანებს — ყველა თავისებურად საჭირო და მნიშვნელოვანია. ამ სტატიებიდან მე მაინც განსაკუთრებით გამოვყოფდი ბესარიონ ყლენტის, გიორგი მარგველაშვილისა და სტანისლავ რასადინის სტატიებს.

რევაზ ჯაფარიძე

პირველ კითხვას კითხვითვე ვუპასუხებდი: არსებობს კი საერთოდ თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკა? შეიძლება ვინმემ, პირველ ყოვლისა თვით პატივცემულმა კრიტიკოსებმა, მისაყვედურონ — როგორ ბეკადრებათ აგრე ხელაღებით და კატეგორიული ტონით ლაპარაკიო.

რას იზამ, თუ ამ კითხვაზე სხვა პასუხის გაცემა ძნელია.

როდესაც ვინმე სიტყვას ქართულ პოეზიაზე ჩამოაგდებს, თქვენს მეხსიერებაში სულის სიღრმიდან უმალ ამოტივტივდება, ვთქვათ, „ქებათა-ქება ნი-

კორწმინდას“ ან „გურიის მთებს“, „ოლე“ ან „არ დაიდარდო, დედაო“, „ბიბილო ღერა დავით გურამიშვილზე“ ან „შემოდგომის დღეები აპარაში“, „დედაო ენავ“ ან „აქ დავსახლდები“, „ზარზმის ზმანება“ ან „მირანგული“, „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“ ან „კაკვასიური ბალადები“...

ქართული პროზის ხსენება ასევე უმალ მოგაგონებთ „ჯაყოს ხიზნებს“ თუ „ტარიელ გოლუას“, „დიდოსტატის მარჯვენას“ თუ „ბათა ქექიას“, „მყუდრო სავანეს“ თუ „კოლხეთის ცისკარს“, „ვარსკვლავთცვენას“ თუ „ბებერ მეზურნეებს“, „ეუს“ თუ „პაჩიოლოს უკანასკნელ დღეს“...

მხატვრული ლიტერატურის სხვა დარგებს ამაყად უსწორებს თვალს ქართული დრამატურგია თავისი „ყვარყვარე თუთაბერით“ თუ „კოლმეურნის ქორწინებით“, „ხარატაანთ კერით“ თუ „წვინდანების ჯოჯოხეთში“.

ყოველივე ეს თითებზე ჩამოვთვალე. რამდენი ღირსშესანიშნავი რამ არ მიხსენებია!

რა ასოციაციას აღძრავს თქვენში „თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის“ ხსენება?

რომელი კრიტიკოსის რომელი ნაწარმოები შეიძლება მოგაგონდეთ?

რომელმა მათგანმა დასტოვა თქვენს სულში განსაკუთრებით ღრმა კვალი?

რა შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ზემოთ მოხსენიებულ ქმნილებებს „კრიტიკული ლიტერატურიდან“?

სამწუხაროდ, არაფერი, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, თითქმის არაფერი.

ასეთია, ჩემი ღრმა რწმენით, დღეს ქართული ლიტერატურული კრიტიკის ფაქტიური მდგომარეობა.

შეიძლება ის ვისმე აკმაყოფილებდეს, ვისაც უყვარს ლიტერატურა და თავისი ცხოვრების აზრად და მიზნად ლიტერატურის სამსახური გაუხდია? რასაკვირველია, არა!

ყოველი მამულიშვილი ლიტერატორი მოვალეა ყველაფერი გააკეთოს ქართული ლიტერატურული კრიტიკის აღორძინებისათვის.

მეორე კითხვის პასუხი ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ. მხატვრული სიტყვის ოსტატთა ცხოველი მონაწილეობა ლიტერატურულ კრიტიკაში ყოველთვის სასურველი და სასარგებლოა. მხატვრული სიტყვის ოსტატები, თავიანთ მხრივ, მოვალენიც არიან იმუშაონ კრიტიკის დარგში, ვინაიდან სწორედ ამ გზით ხორციელდება ცალკეული შემოქმედის დამოკიდებულების გამოვლინება მთელი ლიტერატურის განვითარების ცოცხალი პროცესის მიმართ. ეს პასუხი, შესაძლოა, დამატებას მოითხოვდეს, მაგრამ, ვფიქრობ, აზრი უამისოდაც ნათელია.

დღემდე მახსოვს გიორგი ციციშვილის წერილი, რომელიც არსებითი ხასიათის „ნეგატიურ შენიშვნებს“ შეიცავდა ჩემი პირველი რომანის „ხეკის პატარძლის“ მიმართ. მაშინ „ხეკის პატარძალი“ ძალიან გახმაურებული იყო და ყველა წერილის ავტორი თავს მოვალედ რაცხდა ხელოდებით ექო და ედიდებინა ეს წიგნი.

გიორგი ციციშვილმა პირველმა დაარღვია ტრადიცია და ახალგაზრდა მწერლის რომანი საღი თვალით შეაფასა. მე მადლობის წერილი გავუგზავნე კრიტიკოსს, რომელსაც მაშინ პირადად არ ვიცნობდი, გავუზიარე ჩემი სხვა ეჭვებიც... იმ დღიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

სამწუხაროდ, თხუთმეტ წელზე მეტია, გ. ციციშვილი აღარ წყალობს ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას. მსგავსად თავისი კოლეგების დიდი უმრავლესობისა, ისიც მთლიანად სამეცნიერო მუშაობაზე გადავიდა. პროფესორის ლუკმა, ალბათ, უფრო ტკბილია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წერილებს შორის, რომლებიც არ მომწონს, უპირველეს ყოვლისა უნ. ...
და დავასახელო ვლ. მაჭავარიანის სტატია. იგი შეეხებოდა და კრიტიკულად
განიხილავდა მოთხრობა „ხმა იდუმალს“.

რა არის მიზეზი არმოწონებისა? კრიტიკოსის ახირებული სურვილი, რო-
გორმე დაეწვინა ხსენებული ნაწარმოები პროკრუსტეს სარეცელზე და ამ
გზით გამოეყენებინა ის თავის მიერვე შეთხზული მომგებიანი სქემის საი-
ლუსტრაციოდ.

რაც შეეხება ქართული კრიტიკის განვითარებისა და შემდგომი წინსვლის
გზებს, გზა, ჩემი აზრით, ერთადერთია: ქართულმა კრიტიკამ უნდა იპოვნოს
დაკარგული კრიტერიუმი მხატვრული ქმნილების შეფასებისა და კვლავ იქცეს
საზოგადოებრივი აზრის გამომხატველად.

კრიტერიუმის დაკარგვამ ის გვიყო, რომ მხატვრული ნაწარმოებების შე-
ფასების საკითხში სრულ ქაოსსა და არევ-დარევას მივეცით თავი. საქმეში ჩა-
ჭედული მკითხველი უკვე აღარ უგდებს ყურს, თუ რა შეფასებას აძლევს ესა
თუ ის კრიტიკოსი ამათუიმ ნაწარმოებს. მას უჯობს ნაწარმოებიც თვითონ წა-
იკითხოს და მსჯავრიც კრიტიკოსის დაუხმარებლად გამოიტანოს.

ცალკეულ კერძო შემთხვევებში ეს იქნებ არც იყოს დიდი ტრაგედია,
მაგრამ თუ საკითხს უფრო განზოგადებული მასშტაბით მივუდგებით, ცხადი
გახდება, რა კატასტროფის წინაშეც ვდგავართ.

მკითხველთა ფართო წრეებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, მხატ-
ვრული გემოვნების შემუშავება, დახვეწა და სრულყოფა სჭირდება. როგორ
უნდა მოვახერხოთ ეს, თუ მკითხველს გულმართლად და პროფესიონალურად
არ ვაუწყვეთ, რა არის კარგი და რა არის ცუდი ჩვენს ლიტერატურაში; რა
რატომ არის კარგი, ამაღლებული და ჭეშმარიტი და რა რატომ — ყალბი,
ფსევდომხატვრული და ამით ცუდი.

მკითხველს სავსებით არ აინტერესებს, რომელ მწერალს რა თანამდებო-
ბა უკავია, ვინაიდან ეს — თანამდებობა, თავისთავად დროებითი და წარმავა-
ლი, არც არაფერს აკლებს მწერლის ნაწარმოებს და არც არაფერს სძენს. სა-
მაგიეროდ, ხშირად თვით კრიტიკოსები არ არიან ხოლმე გულგრილი დაკავე-
ბული თანამდებობის მიმართ და დამსახურებულ თუ დაუმსახურებელ აღზე-
ვებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებს კრიტერიუმით კი არ ზომავენ, არამედ
პირიქით — თვით კრიტერიუმი იზომება ზედვთაებრივის რანგში ასაყვანი ნა-
წარმოებით.

სანამ არ მოიშლება ეს არალიტერატურული ატმოსფერო, არ გვექნება
ლიტერატურული კრიტიკა, ხოლო მისი სუროგატი ათობით წერილების სახით,
ვერ გამოხატავს საზოგადოებრივ აზრს, ვერ მოექცევა მკითხველთა ფართო
წრეების ყურადღების ცენტრში და, ისევე როგორც დღესდღეობით, ხელს კი
არ შეუწყობს ცოცხალი ლიტერატურული პროცესის სასურველი მიმართუ-
ლებით წარმართვას, არამედ ისევ და ისევ ხელს შეუშლის მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

«სანავარდო» ანუ უნაყოფობის ტრაგედია

ქართული არისტოკრატიის სოციალური დაცემისა და დაკნინების სურათი ფართოდ აისახა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. თითქოსდა პრობლემა ყოველმხრივ იყო გაშუქებული და უთქმელიც არა დარჩენილიყო რა, მაგრამ მეოცე საუკუნის ოცანი წლების ლიტერატურა ისევ მიუბრუნდა ამ საკითხს და ახლებური თვალსაზრისით განიხილა იგი. ამჯერად მხოლოდ სოციალური მდგომარეობის სურათის ჩვენება უკმარი აღმოჩნდა. უმთავრეს პრობლემად იქცა, საერთოდ, უნაყოფობის საკითხი, ფიზიკური და სულიერი ძალების სრული გამოფიტვის შედეგად აუცილებელი გადაშენების საშიშროება. უნაყოფობისა და გადაშენების მიზეზი მრავალგვარი იყო — სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური, ბიოლოგიური, ფსიქიკური. ყველაფერი ეს გაერთიანდა და შეერთებული ძალით აღუდგა წინ ქართული არისტოკრატიის არსებობას. ამ გაერთიანებულ ძალთა დაძლევა უკვე შეუძლებელი იყო და არსებობისათვის ბრძოლა ყოველთვის ტრაგიკული მარცხით მთავრდებოდა. დამარცხებით დამთავრდა ეს ბრძოლა ბონდო ჭილაძისთვისაც.

დემნა შენგელაიას „სანავარდოში“ აღწერილი დრო ქრონოლოგიურად მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებს მოიცავს. ბონდოს მამა ყარამან ჭილაძე შამილის წინააღმდეგ წარმოებული ომის მონაწილეა. როცა ილია ორბელიანი ტყვედ ჩავარდნილა, იგი ბეწვზე გადარჩენილა, ე. ი. ამბები იწყება მე-19 საუკუნის ორმოციანი წლებიდან (ილია ორბელიანი ტყვედ ჩავარდა 1842 წლის 20 მარტს) და მოდის 1865-71 წლებამდე, როცა ფოთი—თბილისის „რკინიგზა გაჰყავდათ და უნდა დაღუპულიყო მამა-პაპური ხელმეუხებლობა“ (გვ. 51).

ეს დრო ჭილაძეთა დიდი გვარის სრული დაცემის მოწმეა ჭილაძეთა ოჯახის აღარაფერი შერჩა წინაპართაგან დატოვებული.

სოციალურად მას 1861-64 წლები დაემუქრა, როცა ბატონყმობა გაუქმდა და „გლეხები კერიის დაუბრუნდნენ. დარჩა ყარამანის ოჯახი მარტო. მხოლოდ მახინჯი, უპატრონო ლიზიკია არ მოშორებია. აწეწილი ოჯახისა და მამულის საქმეები კიდევ უფრო აიწეწა. მამულებს ღობები შემოალაბა. თხრილები მიწით ამოივსო, ეზოს ჯიჯლაყა მოედო. რიონიდან გადმოსულ წყლებს გასავალი არ ჰქონდა და ჭაობებით აივსო სანავარდოს მიდამოები“ (გვ. 18).

ფუძემორღვეულ ოჯახს ეკონომიერად სუჯუნელი ვაჭარი ურია ცხაკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია მიხალეშვილი ანადგურებდა. მოდიოდა ახალი კლასი და თავის ბატონობას ამტკიცებდა. ცხაკუნიას ოქროების წკრიალში ოხრდებოდა, იყიდებოდა, იფლანგებოდა ჭილაძეთა მამა-პაპეული სიამაყე" (გვ. 30).

ჭილაძე და მიხალეშვილი! დროს ზურგი შეუქცევია ჭილაძეთათვის და ფეიდალზები გაუშლია მიხალეშვილებისათვის. ერთადერთი გზა მოთმინება და შეგუებაა და მორჩილად ითმენს ყველაფერს სანავარდოს, საჭილაოს, მარანის, ორპირის და ქორეისუბნის ყოფილი პატრონიც.

პოლიტიკურადაც არეულა ჭილაძეთა ოჯახში საქმე. ამ გვარის შვილები ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდნენ რუს იმპერატორებს. ახლა კი ყველაფერი შეცვლილა და ჭილაძეთა უკანასკნელი ნაშიერი მეფის მოკვლასაც კი აპირებდა. ერთხელ ბონდოსთან სამი კაცი მოვიდა — გარუფებული ქართველი, ებრაელი და პოლონელი. ყარამანი „მიხვდა, რომ ხალხს რუსხელმწიფის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი" (გვ. 159). ამას თვითონ ბონდოც აღიარებს: „იცი, მამაჩემო, მე მინდოდა ერთხელ ქვეყნის დახსნა. ამისათვის საჭირო იყო რუსხელმწიფის მოკვლა, მაგრამ შემეშინდა" (გვ. 90). ამ დიდი სურვილის შესასრულებლად ბონდო ჭილაძეს არც სულიერი ძალა შესწევდა და არც ფიზიკური. იგი ავადმყოფი იყო: „ავი ზნე ხარხნიდა ტკენს. ეპილეპსიამ დალორწა ხერხემალი" (გვ. 165). ამასთან ერთად ბონდო ჭილაძე საშინელ მამაკაცურ ტრაგედიას განიცდის: იგი ცვდებინა და მის ჯიშს ბიოლოგიური გადაშენება მოელის. მისი ვნება და სქესობრივი ენერგია მხოლოდ სკაპეცის ქალს თუ ეყოფა, თორემ კნიაჟნა ტრუბანოვას ვერ დაათრობს სიყვარულით. ბონდოს უყვარდა ეს ქალი და ღამით სიზმრებში კნიაჟნას ეცხადებოდა, როგორც ქართული ზღაპრების თეთრი თავადი. მაგრამ თეთრი ბატონიშვილი უვნებო აღმოჩნდა და ფრეილინა ტრუბანოვამ ცხელი მზის ნაცვლად სიცივე იგრძნო. პეტერბურგის ყინვით გათოშილი მისი სხეული ვერ გაათბო სანავარდოს ციებით გაყდენთილმა თეთრმა თავადმა და ტრუბანოვამ მიატოვა ბონდო. იგი გაჰყვა გრაფ ვილიე დე გრიფენს. ფრეილინა ტრუბანოვა „ახლა გრაფს აჩუქებს ბახჩისარაის ბეისაგან ძღვნად გამოგზავნილ თურაშაულს" (გვ. 165).

თურაშაული ხომ ვაშლია და ვაშლი კი ნაყოფიერებისა და შვილიერების ალეგორიული სახეა ქართულ ზღაპარში (იხილეთ პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება", ტ. ვ. ზღაპრები: „ხელმწიფის შვილი და მეწისქვილის შვილი", „დევის სანახევრო", „ყარამა-ოღლი და ალექსანდრე", „თავისი მიწა-წყალი მოითხოვს" და სხვანი). ეს დეტალი იმის მიმანიშნებელია, რომ ამაო იყო ბონდოს ოცნება, მისი შთამომავლობა არ გაგრძელდება. ტრუბანოვა ვილიე დე გრიფენს აჩუქებს შვილებს.

ასე ორგანულად და ბუნებრივად შემოდის რომანში ფოლკლორულ-მითოლოგიური პლანი და იხსნება ნაწარმოების ძირითადი თემა — ტრაგედია კაცისა, ვისაც შვილიერება, მოდგმის გაგრძელება, ნაყოფიერება ოცნებად გადაქცევია, ვისთვისაც ეს ოცნება განუზომელ სულიერ ტანჯვად გამხდარა.

ბონდო ჭილაძე არაფრად აგდებს არც სოციალურ დაკნინებას, არც ეკონომიურ გაღატაკებას, არც პოლიტიკურ უუფლებობას. მხოლოდ უნაყოფობაა მისი სულიერი გვემის საგანი, რადგან ერთადერთი ოცნება ჯიშის, მოდგმის გადარჩენაა. „ — რა ვქნა, მამაჩემო, რა ვქნა!" (გვ. 100). — კითხულობს იგი და მამას ნუგეშის სიტყვა არ მოეპოვება. ხსნა არსად არის და ბონდო ჭილაძე ავადმყოფი გონების ზმანებაში აგრძელებს სიცოცხლეს.

ჯერ კიდევ ბავშვი იყო ბონდო, როცა მზეთუნახავზე ოცნებობდა და მზეთუნახავი ენატრებოდა.

„...მზეთუნახავი გადასწევდა ოქსინოს რიდეებს და შავი თვალები შეანათებდა

აკაკი ბაკრაძე

„სანავარდო" ანუ უნაყოფობის ტრაგედია

ბონდოს სულში... სურნელებით დამთვრალი ბონდო წაადრობდა მზეთუნახავს ოქროს პატარა ჭოშს და დაეკონებოდა მის ფეხებს.

დილამდის იცოცხლებდნენ ისინი ნოხში და, როდესაც პირველი მამალი იყივლებდა, მზეთუნახავი დატოვებდა ბონდოს სარეცელს და, ტრფობით დაღლილი, ლუჩი ივბივით მადლიერი თვალებით აკოცებდა გაცრეცილ ტუჩებში და წყნარად გაეიდოდა ზურმუხტის ბრაკვილებიან ივანზე.

გაფრინდებოდა მზეთუნახავი ტახტრევანდიო" (გვ. 21-22).

ნოხზე დახატული მზეთუნახავი ბავშვისათვის რეალობად იქცა. ბონდო ოცნების სამყაროში დასახლდა, ჭირვეულად და ენერგიულად მიელტვოდა ზღაპრულ არსებას. ბავშვის წარმოდგენაში გაერთიანებულიყო ოცნება და სინამდვილე. ამიტომაც ემუდარება დედას — მზეთუნახავთან მინდაო. ცოცხლის არ შეეძლო ოცნება სინამდვილედ ექცია და ბონდოს ენება დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. გამოხდა ხანი და ბონდოს ოცნებაში ნოხზე დახატული მზეთუნახავი და პატარა ხათუნა გაერთიანდა. ხათუნა ბონდოს ოჯახში ვიღაც შავებიანმა ქალმა მოიყვანა. შემდეგ პატარა ხათუნა დედამ წაიყვანა და ბონდომ იტირა. მაგრამ ხათუნა ნოხზე დახატული მზეთუნახავი იყო და იმ ღამეს ბონდოსთან მოვიდა. მერე დავაკაცებულმა ბონდომ ქალაქში გაიგო, რომ პატარა ხათუნა ყვავილით მომკვდარიყო. მაგრამ იგი მაინც წარუშლელად დარჩა ბონდოს წარმოდგენაში, როგორც მზეთუნახავი. ამ ზმანებისაგან ბონდო ვერ გათავისუფლდა.

„... უეცრად ხედავს, რომ კანტის „წმინდა გონების კრიტიკა" რაღაც უცნაურად იფურცლება თავისით და შუა წიგნიდან გადმოხტა უზარმაზარი ლირწი გომბეშო...

— ვინ არის ეს?.. ხათუნა თუ ლიზიკა?... ეკითხება ის თავისთავს და გრძნობს, რომ მის მკერდს ხათუნა მიეყუდა, ეალერსება მის თმებს და ამ ალერსმა რატომღაც დედის ალერსი შეაგონა.

... ბონდომ შეხედა — ხათუნა იყო. ბაყაყის ტყავი შრიალით გადაიკეცა ქალის ზურგზე" (გვ. 175-177).

მზეთუნახავი და ბაყაყის ტყავში გახვეული ქალი ქართული ზღაპრებიდან ნასესხები სახეა (იხილეთ პ. უმიკაშვილი, „ხალხური სიტყვიერება", ტ. 3. ზღაპრები: „ცხრა ძმა და ბაყაყი", „ხელმწიფის შვილი და ბაყაყი", „ყმის ცოლი და ბატონი"). მაგრამ რა არის მზეთუნახავი? ან რატომ არის იგი ბაყაყის ტყავში გახვეული? მზეთუნახავი ნაყოფიერების ქალღმერთია და ბაყაყის ტყავი იმიტომ აცვია, რომ წყალში ცხოვრობს. როგორც თავად დემნა შენგელაია გამოიკვლია, მზეთუნახავი ბაბილონური ქალღმერთის იშთარის ქართული ვარიანტია (იხილეთ დ. შენგელაია „ერილი „ამირანის გარშემო"). იშთარი კი, ნიკო მარის სიტყვით, წყალი, წვიმა და ნაყოფიერებაა (ნახეთ ნ. მარის წერილი „იშთარი" წიგნში Яфетический сборник, ტ. 5, 1927 წ.). ამას ბ. ტურაევის განმარტებასაც თუ დავუმატებთ, რომ იშთარი იყო სიყვარულისა და დედაკაცური ნაყოფიერების ქალღმერთი, დედობის მფარველი, მშობიარეს ქომაგი და ადამიანთა არსებობის შემქმნელი (ნახეთ ბ. ტურაევი, „Классический Восток", გვ. 222), მაშინ სრულიად ნათელი იქნება, რომ მზეთუნახავი—იშთარის სიყვარულში ბონდოს ჩაქსოვილი აქვს ოცნება ნაყოფიერებაზე, სურვილი შთამომავლობის გაგრძელებისა, ხსნა გადაგვარებისაგან.

ეს მოტივები რომაწში მკაფიოდ არის გამოხატული დოდო ბაყაყის ზღაპრით (გვ. 36-40) და თამუზის მაძებარი იშთარის მითით (გვ. 170-174).

იჯდა ჭაობში გომბეშოთა დედოფალი დოდო ბაყაყი და ენატრებოდა სიყვარული, ელოდა საქმროს. მოდიოდნენ მთხოვნელები, მაგრამ არავინ მოსწონდა დოდო ბაყაყს. ავი და ბოროტი იყო იგი, ვერავინ უძლებდა მისი თვალების ენებიან შემოხედვას და ჭაობში იღუპებოდნენ მისი მხილველნი. ერთ დღეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანატრ საქმროზე მეოცნებეს ფეხის ხმა მოესმა და დაინახა თეთრი თავადი. ვნებით ანთებული თვალებით მიაშტერდა დოდო ბაყაყი ბატონიშვილს. სუსტი იყო ბატონიშვილის ვნება და ვერ გაუძლო მან ატეხილ ქინის ძახილს. იგი ცხენიდან გადმოვარდა და ჭაობში დაიხრჩო.

თეთრმა თავადმა ვნებას ვნებით ვერ უპასუხა და დაიღუპა. ვერც ბონდომ უპასუხა ვნებით კნაინა ტრუბანოვას სიყვარულს და გულგატეხილმა ქალმა ალექსის დროს შენიშნა, რომ თავად ჭილაძეს ღილი აკლდა საყელოზე. ბონდოსაც უნდოდა დამხრჩვალიყო, მაგრამ იგი მეწოსქვილემ გადაარჩინა შემთხვევით.

ხალხური ზღაპრის თეთრი თავადი და ბონდო ჭილაძე ერთი და იგივე მხატვრული სახის ორი ჰიპოსტასია.

იშთარს სწყურია თამუზის სიყვარული. მაგრამ ეამ მოწამლა თამუზი და იგი ქვესკნელში გადასახლდა. სიყვარულს მოწყურებული იშთარი დაეძებს საყვარელს და ამ ძებნაში გაიარა მან ქვესკნელის შვიდი კარი. გაძარცვეს იშთარი ქვესკნელის მავნეებმა, უამრავი სენი შეჰყარეს მას, მაგრამ ქალი მაინც დაეძებს ვაჟს. მიბობღავს ქვესკნელში იშთარ და უკან ტოვებს დამპალ ხორცს, სისხლსა და ბალღამს, მაგრამ მაინც ეძახის თამუზს — თამუზ, თამუზ, თამუზ!.. მაშინ პაპუსკალმა მიმართა ეას: ურ-კაშდიმში დაჭანა სიცოცხლე, ცოლს ცალკე სძინავს თავის საწოლში და ქმარს ცალკე. პაპუსკალმა უშველა და იშთარმა იპოვა თამუზი. მაგრამ ვაჟი ტიგროსის ჭაობის უქმურით იყო შეპყრობილი და იშთარი დარჩა უნაყოფოდ და შინაბერად დაჭანა მისი ვნებიანი სხეული.

როგორც იშთარი თამუზს, ისე დაეძებდა თურმე პატარა ხათუნა იმ ქვეყნად ბონდოს, მაგრამ ამაოდ. „მე წაველ ქვესკნელში შენ საძებნელად, გეძებე, გეძებე და ვერ გიპოვნე!.. ბონდო!.. ბონდო!... გეძახდი მე და შენ თურმე რიონის ჭაობებში იყავ!.. (გვ. 176). თამუზი დალორწა და დააჭკონ ტიგროსის ჭაობებმა, ბონდო კი რიონისამ.

„იშთარს სწყურია ვაჟის ცეცხლი. თამუზს მხოლოდ ალაზპოიდები აბადია.

ბონდოც ასეა: დალორწილია მისი სისხლი უქმურითა და ავი ზნით“ (გვ. 174).

თამუზი -- თეთრი თავადი — ბონდო ერთნაირი ტრაგედიის მსხვერპლია სამივე. მაგრამ ბონდო მაინც უფრო ტრაგიკული პიროვნებაა. მოწამლულია არა მარტო მისი ცხოვრება, არამედ მისი ოცნებაც. როგორც კი იგი მზეთუნახავზე დაიწყებს ფიქრს, მისი ვნება გოშვიანი ლიზიკიას წაწყდება. ასე იყო ბავშვობაში, ასევე დარჩა მოწიფულობაში.

„... პატარა ბონდო ლიზიკიას თმებში ჩაფერინდა და საოცარი გამშრალებით, ტკბობით და თითქოს ქინითაც სწეწდა“ (გვ. 14).

„მზეთუნახავი დგას ოცნებასავით თეთრი და ნაზი მოგრძო ნუშის თვალებით...

ბონდომ გაშალა ხელები და უახლოვდება ქალს ფეხაკრეფით.

კედელზე მიკრულ ნოხს მიყრდნობილი მზეთუნახავი ელის ბონდოს მადლიერი თვალებით...

— ღმერთო, შენ მიშველე!. წმინდაო გიორგი, შენ მომეხმარე!—ლოცულობს.

— ჩემო სიცოცხლევ!.. ჩემო სიცოცხლევ!..

მიდის ნოხისაკენ ხელებგაწვდილი.

— რას შობი, ბატონო?! — დაიძახა ლიზიკიამ.

ბონდო გამოერკვა.

მზეთუნახავის მაგიერ ლიზიკია დგას კედელს ატმასნული, უშნო და ბინძური“ (გვ. 89-90).

გასულა დრო. იშთარი ტიგროსიდან რიონის ნაპირებთან მოსულა და მზეთუნახავად გადაქცეულა. კიდევ გასულა დრო და იშთარ-მზეთუნახავს ლიზიკიას სახე მიუღია. და ახლა იშთარსა და მზეთუნახავზე მეოცნებე ბონდო იძულებულია ლიზიკიათი დაკმაყოფილდეს, მაგ-

აპაკი ბაჩრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ვაი, რომ ლიზიკისაც არ უნდა იგი. ბონდო ჭილაძის დაღლილი და დაშრეტილი სისხლი ლიზიკიას ვერ აგრძნობინებს სიყვარულის ნეტარებას და ქალს გადარეული გუჯუ ლაბახუას პირველყოფილი ვნება ურჩევნია.

„ბოსტანში ისეც ისე ბორგავს თაკარა სიცხე და სუნელის მოსაკრეფად ჩასული ლიზიკია ჭკრძნობს, რომ გვალვამ დაჰკრა თავში.

— ვინ ხარ, შენ? — შეეკითხა იგი მთვრალი, მიბნედილი და სიღრმეებიდან მოესმა ჯიხვინი ანთებული და სიახლოვე წმინდა ფალოსისა.

მუხლებში მოსხლტეტილი და მორჩილი მძიმე სუნთქვით წაწვა იქვე.

უსაზღვრო მოლოდინით გაშალა ხელები, გაშალა ფეხები და მან გუჯუ ლაბახუა იგრძნო მკლავებში...

— მოდი, გუჯუ, მოდი, ჩემო სურვილო!... ბუტბუტებს ლიზიკია და წვეს მაფიე კიტრებში სუნთქვაშეკრული"... (გვ. 139).[1]

ბონდო ჭილაძე თუ გუჯუ ლაბახუა? რა არის მათ შორის საერთო? არაფერი, მიუხედავად იმისა, რომ გუჯუ ბონდოს ნახევარძმაა. იგი უკანონოდ შეეძინა ყარამანს მაკრინესაგან (გვ. 98). ბონდოს ეშინია წარსულისაც და მომავლისაც. გუჯუ ლაბახუას არა აქვს წარსული. მომავლისთვის კი აქვს ველური ენერგია და პირველყოფილი ვნება. ბონდოს გაურბიან ქალები, მაგრამ ისინი ნატრობენ გუჯუს ღონიერ მკლავებს. ბონდო ჭილაძის სისხლი დაღლილია საუკუნეთა ტვირთითა და წინაპართა ცოდვებით. „ჩემი სისხლი დალორწილია უემურით" (გვ. 113), — ამბობს იგი ერთ ადგილას და შემდეგ მამასთან საუბარში უმატებს — „ოო, მამაჩემო, მამაჩემო, როგორ მეშინია მე ამ საუკუნეების!.. ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ ულებს ციებასთან ბრძოლას" (გვ. 184). გუჯუ ლაბახუას კი არ ეშინია საუკუნეებისა და დაღლილი სისხლის „მოდის გუჯუ ლაბახუა და სისხლი მაჭარივით დღეს ძარღვებში. მოდის ლაბახუა, რომლის მოდგმა ბახუსთან და ღვინით არის დატვირთული" (გვ. 122).

უნაყოფობის ანუ ბონდო ჭილაძისა და ნაყოფიერების ანუ გუჯუ ლაბახუას ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდება. ეს კარგად აქვს ბონდოს შეგნებული და აღიარებს კიდეც ამას: „გუჯუ ლაბახუა მოიტანს შუმ ვნებას!.. გუჯუ ლაბახუამ უნდა გვიხსნას, თორემ არაა ჩვენი საშველი!... (გვ. 94). ამ შეგნებამ აიძულა იგი ციცინოს დასაფლავების დღეს ფეხქვეშ ჩავარდნოდა გუჯუს და შეეედრებოდა როგორც ღმერთს.

ბონდო „მოსწყდა, გაიქცა და მუხლებში ჩაუვარდა გუჯუს.

— გუჯუ!... გუჯუ!... გუჯუ!... შენ შეგვეწიე, შენ დაგვიფარე! — ბღაოდა იგი ხელაპყრობილი და ფეხებს უკოცნიდა, თაყვან სცემდა გუჯუ ლაბახუას" (გვ. 155)[2].

საერთოდ, გუჯუ ლაბახუას სახე არღვევს რეალისტური სახის საზღვრებს და მითოლოგიურში გადადის. იგი ფალოსის კულტს უკავშირდება. ამას პირდაპირ უთითებს მწერალი ჯერ იქ, სადაც ბონდომ სკოპეცის ქალი აცოუნა [გვ. 118 და 122: „დიდება ლაბახუას, დიდება ფალლუს!.. და მეორედ ლიზიკასა და გუჯუს ურთიერთობის ეპიზოდში [გვ. 139: ლიზიკიამ იგრძნო „სიახლოვე წმინდა ფალოსისა"].

და თუ დრომ იმთარი და მზეთუნახავი ლიზიკიად აქცია, იმავე დრომ თამუზი და თეთრი თავადი გუჯუ ლაბახუად გახადა. ასეთ პირობებში ბონდო ჭილაძეს უნაყოფოდ გადაშენების გარდა სხვა არა დარჩენოდა რა და ისიც თავმოდრეკილი დაადგა აარსებობის გზას. „ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ, მამაჩემო!.. ახლა სხვები მოვლენ ჩვენ ადგილს დაზიდული ძარღვებითა და ახალი სისხ-

[1] 1. ეს ადგილი რომანის ახალი გამოცემიდან ამოშლილია. იხ. დ. შენგელაია „ირმის ნახტომი", 1963 წ.

2 მწერალს ეს ადგილი რომანის ახალ გამოცემაში ამოუღია (ნახეთ დემნა შენგელაია, „ირმის ნახტომი", 1963 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"). ჩემი აზრით, ეს ეპიზოდი ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ბონდოსა და გუჯუს ურთიერთობის დასასრულს.

ლით, უგვარო ხალხი!.. ჩვენ წავიდეთ, მამაჩემო, და ქველი დიდებით შევიქცეთ თავი!“ (გვ. 91).

ჭაობითა და ციებით დამპალ სანავარდოს კი, რომელიც დაბერწდა, საშო და ძუძუ გაუშრა, უშველის ძარღვმაგარი და ცხელსისხლიანი ხალხი. „დგება ახალი რიჟრაჟი. რიჟრაჟი დანთებული ცეცხლითა და ყიჟინით. მოფრინდება ახალი წმინდანიანი ცეცხლის ფრთებით და დასწვავს ღამეს“ (გვ. 52). მაშინ მოვა ალი ფაინა, რომელმაც უარი უთხრა ბონდოს და დაწვება გლეხთან. ოქროს თმებში გახვევს იგი გლეხს. გამდიდრდება გლეხი და აივსება ოქროთი და ვერცხლით (გვ. 92).

ესეც ქართული მითია, მაგრამ ოქროსთმებიანი ალი და წმინდანიანი ვინღაა? ოქროსთმებიანი ალი დალია, დალი წმინდანიანია და წმინდანიანი კი იუთარია[1]. იშთარი კი ნაყოფიერებაა, აღორძინებაა, განახლებაა.

ყველაფერი ეს ბონდოსათვის აუხდენელ ოცნებად გამხდარა. ხოლო განუხორციელებელი ოცნება, თავის მხრივ, განაპირობებს ბონდო ჭილაძის ფსიქოლოგიურ ტრაგედიას. ამ ტრაგედიის სრული სურათის წარდგენისათვის დემნა შენგელაიამ „სანავარდოში“ გაერთიანა და ერთ მხატვრულ ქსოვილად შეკრა რეალური სინამდვილე, ფოლკლორი და მითოლოგია. ფოლკლორისა და მითოლოგიის უხვად გამოყენებამ მწერალს საშუალება მისცა ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი ძირითად თემათაგანი (ქართული არისტოკრატიის დაცემა) ახლებურად დაეხატა და ეჩვენებინა.

---

1. დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, წერილები 1955 წ., გვ. 188, 206—207.

«Яфетический сборник», т. V, 1927 წ., გვ. 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ

ზ. მეგზიეშვილი — „პეტრე უმიკაშვილი — პუბლიცისტი და კრიტიკოსი“. (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1967 წ.)

XIX საუკუნის 60-იანი წლები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინების ფრიად მნიშვნელოვანი ხანაა. 60-იანი წლებიდან სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ქართველი ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი და სხვანი, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს თავის ქვეყანას და უდიდესი საქმე გააკეთეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყოველი დარგის აღორძინებისა და განვითარებისათვის.

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ამ სახელოვან პლეადას გვერდს უმშვენებდნენ შედარებით მეორე რანგის მოღვაწენი, როგორიც იყვნენ: პ. უმიკაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ცხვედაძე, ი. მანსვეტაშვილი და სხვანი მრავალნი. მათ მეტად მორიდებულად შემოადეს ჩვენი ლიტერატურის დიდი კარიბჭე და მთელი თავდადებითა და გატაცებით, უპრეტენზიოდ ემსახურნენ ქართული კულტურის აღორძინებას.

შეიძლება სრულის პასუხისმგებლობით ითქვას, რომ თუ ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა, ი. გოგებაშვილმა და სხვებმა ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი საშობლოსათვის, ამაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი მეორე რანგის მოღვაწეებსაც, რომელნიც მათ უშუალო თანაშემწეებს წარმოადგენდნენ და მნიშვნელოვნად უმსუბუქებდნენ იმ დიდ ტვირთს, რომლის ზიდვაც სახელოვანმა მამულიშვილებმა იკისრეს.

ამ ე. წ. მეორე რანგის მოღვაწეთა ჯგუფს მიეკუთვნება საკმაოდ მრავალმხრივ და უდაოდ კოლორიტული პიროვნება — პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი.

პ. უმიკაშვილი საკმაოდ მკვეთრად ჩანს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. მან თითქმის ნახევარი საუკუნე იმოღვაწა და მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ჩვენს ინტელექტუალურ ცხოვრებას. პ. უმიკაშვილი წლების მანძილზე ეწეოდა მძიმე პედაგოგიურ მუშაობას, ფანატიკური გატაცებით კრებდა და აქვეყნებდა ხალხური შემოქმედების ძვირფას ნიმუშებს, ბეჭდავდა ძველი და ახალი პერიოდის ქართველი მწერლების ნაწარმოებებს, წერდა ორიგინალურ პიესებს, თარგმნიდა აგრეთვე რუსულიდანაც და აწვდიდა მათ ქართულ თეატრს, რომლის რეპერტუარიც საკმაოდ ღარიბი იყო. იგი დიდი გატაცებით მუშაობდა აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ და „ვისრამიანის“ ტექსტების დამდგენ კომისიაში, საკმაო ხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში რედაქტორობდა „სასოფლო გაზეთს“ და ყოველივე ამასთან ერთად შოულობდა დროს, რათა ენერგიულად ეთანამშრომლა თითქმის ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში.

მიუხედავად ასეთი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისა, პ. უმიკაშვილი დღემდის სრულყოფილად არ არის შესწავლილი.

1937 წ. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა გამოსცა პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების პირველი ნაწილი. ეს გამოცემა იმითაც არის საყურადღებო, რომ მას ფ. გოგიჩაიშვილმა დაურთო პ. უმიკაშვილის საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფია და შენიშვნები ტექსტისათვის. ამ გამოცემამ დიდი საქმე გააკეთა როგორც პ. უმიკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ასევე ხალხური შემოქმედების შესწავლის საქმეში. სწორედ ეს გამოცემა გახდა საფუძველი პ. უმიკაშვილის ფოლკლორული მუშაობის უფრო ღრმა შესწავლისა, — 1964 წელს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ პროფ. მიხ. ჩიქვანის რედაქციით ოთხ ტომად გამოსცა პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერება.

1962 წელს „ლიტერატურული ძიებანის“ XIV ტომში დაიბეჭდა ვ. მაცაბერიძის გამოკვლევა პ. უმიკაშვილის ფოლკლორისტული მოღვაწეობის შესახებ.

სპეციალური ნარკვევი უძღვნა პ. უმიკაშვილს მკვლევარმა ალ. კალანდაძემ. ეს ნარკვევი შევიდა მის წიგნში „ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“ (1965 წ.).

სამწუხაროდ, ამით ამოიწურება მთელი ლიტერატურა, რაც სპეციალურად მიეძღვნა პ. უმიკაშვილს. ზემოხსენებულ ავტორთა უდაოდ საინტერესო შრომები, რა თქმა უნდა, არ იძლევიან სრულ წარმოდგენას პ. უმიკაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი პრეტენზია ამ ავტორებს არც ჰქონიათ. ამდენად ხარვეზი მაინც იყო.

ზელიმხან მებზევიშვილის ნაშრომი: „პეტრე უმიკაშვილი — პუბლიცისტი და კრიტიკოსი“, მიზნად ისახავს ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას.

შრომა შეიცავს 267 გვერდს და შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან.

ნაშრომის პირველ თავში აღწერილია პ. უმიკაშვილის ცხოვრების გზა. ამ თავის დასაწერად ავტორს საკმაოდ სრულად გამოუყენებია საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალები, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში დაცული პ. უმიკაშვილის კოლექცია, ქართული პერიოდიკა და წიგნური გამოცემები — იქნება ეს მემუარები თუ ცალკეული გამოკვლევები.

მიუხედავად იმისა, რომ ფ. გოგიჩაიშვილმა პ. უმიკაშვილის საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფია დაგვიტოვა, სარეცენზიო შრომის ეს ნაწილი მაინც საყურადღებოა, რადგან მასში რიგი საკითხებისა უფრო ვრცლად არის განხილული. მაგალითად, ნაშრომში გაშლილად არის წარმოდგენილი პ. უმიკაშვილის მოღვაწეობა „სასოფლო გაზეთში“, მისი თავდადებული შრომა ძველ და ახალ მწერალთა ნაწარმოებების გამოცემისათვის, ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისა და განვითარებისათვის და ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და გამოცემისათვის. ნაშრომის ეს თავი სრულ წარმოდგენას იძლევა პ. უმიკაშვილის მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობაზე.

ნაშრომის მეორე თავი პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური წერილების მიმოხილვას ეთმობა, მაგრამ ვიდრე ავტორი უშუალოდ ამ საკითხს შეეხებოდეს, პირველ რიგში იხილავს პ. უმიკაშვილის მსოფლმხედველობის ძირითად წყაროებს და აგრეთვე საკითხს იმის შესა-

იოსებ გოცვაძე
სასარგებლო წიგნი

ხებ, თუ როგორ ესმის პ. უმიკაშვილს პუბლიცისტიკის როლი და დანიშნულება.

პ. უმიკაშვილი, ისე როგორც თითქმის ყველა ჩვენი სამოციანელი, შეეხო კაპიტალიზმის განვითარების საკითხს საქართველოში და მის დადებით და უარყოფით მხარეებს. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ პ. უმიკაშვილი თუ, ერთი მხრივ, ნათლად გრძნობდა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრება ჩვენში აუცილებელია, მეორე მხრივ, იმასაც კარგად ხედავდა, თუ რა მანკიერება ახასიათებდა ექსპლოატაციისა და მოგების თავისუფლებაზე დამყარებულ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ნაშრომში ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია აგრარულ საკითხზე, რამაც პ. უმიკაშვილის პუბლიცისტიკაში მკვეთრი ასახვა ჰპოვა. ზ. მებზევიშვილი სავსებით სწორად მსჯელობს, როდესაც აღნიშნავს, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების პროგრესისათვის, რადგან, მიუხედავად კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისა 90-იანი წლების მიწურულში საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მაინც სოფლის მეურნეობას მისდევდა.

პ. უმიკაშვილი მკვეთრად მიუთითებს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის მიზეზებზე და ერთ-ერთ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან წვრილი გლეხური მეურნეობის შექმნაში ხედავს.

ზ. მებზევიშვილს სწორად ესმის, რომ მსხვილი ლატიფუნდიების მაგივრად თავისუფალი წვრილი გლეხური მეურნეობის შექმნის უმიკაშვილისეული პროგრამა უტოპიური იყო, რადგან იგი მიზნად ისახავდა აგრარული ურთიერთობის მოწესრიგებას მშვიდობიანი გზით, რაც დამახასიათებელია განმანათლებლური მსოფლმხედველობისათვის.

ზ. მებზევიშვილმა შენიშნა და სწორად გადმოსცა პ. უმიკაშვილის ბრძოლა უცხოური კაპიტალის ექსპანსიის აღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ეროვნული კონსოლიდაციის ინტერესებს. ამ საკითხის ნათელსაყოფად ავტორის მიერ მოტანილი მასალა სავსებით საკმარისი და დამაჯერებელია.

როგორც ცნობილია, გლეხობის ეკონომიური აღორძინებისათვის დასავლეთ ევროპისა და რუსეთის უტოპისტ სოციალისტთა მიბაძვით 60-70-იანი წლების საქართველოშიც გაიშალა მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების, არტელების, ასოციაციების, სასოფლო ბანკების, დეპოების, პურის მაღაზიების და სხვა მსგავს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დაარსებისათვის.

ზემოხსენებულ დაწესებულება-ორგანიზაციათა შორის პ. უმიკაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას სოფლის საამხანაგო ბანკებს აძლევდა, რომელიც გაათავისუფლებდა გლეხობას ვაჭრმევახშეთა მარწუხებისაგან. სარეცხეზიო შრომიდან ნათლად ჩანს, თუ რა თავგამოდებით იბრძვის პ. უმიკაშვილი გლეხობის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუჯობესებისათვის. მასალა, რომელიც ავტორს ამ საკითხის ნათელსაყოფად მოაქვს, უდაოდ საინტერესოა.

როგორც ვთქვით, პ. უმიკაშვილის შეხედულებანი ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით უტოპიური იყო. ავტორიც არა ერთგზის აღნიშნავს ამ გარემოებას და იძლევა უმიკაშვილის მცდარ შეხედულებათა კრიტიკას, თუმცა შეიძლებოდა მეტის თქმაც.

პ. უმიკაშვილის პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ სტატიებს, რომელნიც ეროვნულ საკითხს ეხებიან. ასეთებია: „მცირე ტომთა ენებზე“, „ოსმალოს საქართველო“, „იოსებ მაძინი“, „ბათუმის ამბები“ და სხვ. ამ სტატიებზე ზ. მებზევიშვილი სპეციალურად ჩერდება და იძლევა მათ საფუძვლიან ანალიზს.

პ. უმიკაშვილს აღელვებდა და აფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა არა მხოლოდ სამშობლოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობა, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამოძმეთა ბედიც. ეს შშვენივრად ჩანს მისი წერილებიდან — „გურჯები (ქართველები) ოსმალეთში“ და „ხალხის გადასახლების გამო“, რომელთა ვრცელ მიმოხილვასაც იძლევა ავტორი.

ზ. მებზევიშვილი ნათლად დაგვანახა, რომ პ. უმიკაშვილი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ამავე დროს მკაცრად ილაშქრებდა ნაციონალური კარჩაკეტილობისა და შეზღუდულობის წინააღმდეგ და ქადაგებდა მეგობრულ ურთიერთობას ჩვენ მეზობელ ხალხებთან. ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ პ. უმიკაშვილის წერილები ეროვნულ-განმათავისუფლებელ საკითხებზე გამსჭვალულია პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი სულისკვეთებით, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას და სხვა ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

პ. უმიკაშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წერილებს სახალხო განათლების საკითხებზე. ზ. მებზევიშვილი ამ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას და აჩრჩეს ისეთ წერილებს, როგორიცაა „სკოლა მოხეევებში“, „სწავლა თუ არ სწავლა უმრავლეს ჩვენს სოფლებში“, „ჯამა ქონებაზედ ჰკიდია“, „საოჯახო წიგნთსაცავი“ და სხვ. ზ. მებზევიშვილმა გვიჩვენა, რომ ამ წერილებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და ეროვნულად ეხმაურებიან სკოლისა და ოჯახის ურთიერთობის საკითხებს.

ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელიც 60-70-იანი წლების საზოგადოებრივმა ცხოვრებამ დააყენა ქართველი ინტელიგენციის წინაშე, იმაში მდგომარეობდა, თუ რომელი კლასი უნდა ჩასდგომოდა სათავეში ქართველი ერის განვითარებას. ამ საკითხს მრავალი ქართველი საზოგადო მოღვაწე შეეხო; მათ შორის იყო პ. უმიკაშვილიც, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას.

ზ. მებზევიშვილი სწორად შენიშნავს, რომ პ. უმიკაშვილი ერის მეთაურად განათლებულ ინტელიგენციას მიიჩნევდა, მათზე ამყარებდა ძალიან დიდ იმედებს, მაგრამ ამავე დროს არ ერიდებოდა ინტელიგენციის ზოგიერთ უარყოფით მხარეთა კრიტიკას.

ამრიგად, სარეცენზიო შრომის მეორე თავი, რომელშიც ავტორის მიერ პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობის უმთავრესი მომენტებია გაშუქებული, ნათელ წარმოდგენას იძლევა არა მხოლოდ პ. უმიკაშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაზე, არამედ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებაც.

შრომის მესამე თავში განხილულია, პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. ვიდრე ავტორი უშუალოდ ამ წერილებს შეეხებოდეს, პირველყოვლისა ცდილობს გაარკვიოს პ. უმიკაშვილის შეხედულებანი ლიტერატურის ზოგად საკითხებზე. ავტორი არჩევს პ. უმიკაშვილის შეხედულებებს მხატვრული ლიტერატურის როლისა და დანიშნულების შესახებ, ლიტერატურის ორგანულ კავშირს ცხოვრებასთან, ხალხურობის პრობლემას, ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხებს და ლიტერატურული კრიტიკის როლსა და ამოცანებს.

ზემოხსენებულ საკითხთა განხილვის შედეგად ნათლად ჩანს, რომ პ. უმიკაშვილი ქართველ სამოცანელთა ესთეტიკური პრინციპების მიმდევარია და მისი ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებები რეალიზმის განმტკიცებისა

იოსებ ბოცვაძე
სასარგებლო წიგნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მატერიალისტური ესთეტიკის დამკვიდრების საქმეს ემსახურებიან.

ზოგადთეორიული საკითხების განხილვის შემდეგ **ავტორი უშუალოდ პ.** უმიკაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების განხილვაზე გადადის. ეს წერილებია: „პეტერბურგიდამ“, „არსენა“, „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“, „გასამრჯელო ლიტერატურული შრომისათვის“, „ზნრები ლიტერატურაზე“.

ზ. მებზევიშვილი პ. უმიკაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ცალკე გამოჰყოფს და განიხილავს იმ წერილებს, რომელნიც ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს ეხებიან.

პ. უმიკაშვილის მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი წერილი „ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდამ ჩვენ დრომდე)“. ამ წერილში და აგრეთვე სხვა წერილებშიც გამოთქმული შეხედულებანი დღესაც იქცევენ ყურადღებას. პ. უმიკაშვილის ზოგიერთი დებულება „ვეფხისტყაოსანზე“, დ. გურამიშვილზე, სულხან-საბა ორბელიანზე, ალ. ჭავჭავაძეზე, გრ. ორბელიანზე, ნ. ბარათაშვილზე, ი. ჭავჭავაძეზე და აკ. წერეთელზე დღესაც ძალაში რჩება. ასევე საყურადღებოა პ. უმიკაშვილის მიერ ჟურნალ „ცისკრის“, „საქართველოს მოამბის“ და გაზეთ „დროების“ დახასიათება.

ზ. მებზევიშვილი კარგად ერკვევა რთულ ლიტერატურულ მოვლენებში, იცნობს თითოეული მწერლის შემოქმედების თავისებურებას, სწორი წარმოდგენა აქვს ცალკეული პერიოდული ორგანოების ხასიათსა და მიმართულებაზე, რაც საშუალებას აძლევს მართებულად შეაფასოს პ. უმიკაშვილის შეხედულებანი ზემოხსენებულ საკითხებზე.

ნაშრომიდან ჩანს, რომ პ. უმიკაშვილი როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ, ასევე ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში მოჩანს, როგორც ტიპიური განმანათლებელი, რომელიც ლიტერატურულ პროცესს ერთიანი ერის განმანათლებლური თვალსაზრისით აფასებს.

სარეცენზიო შრომის III თავი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა, თუ რა გააკეთა პ. უმიკაშვილმა რეალიზმის თეორიის ძირითადი საკითხების დასასაბუთებლად და მატერიალისტური ესთეტიკის დასამკვიდრებლად ჩვენს ლიტერატურაში.

მეოთხე თავში განხილულია პ. უმიკაშვილის წერილები ქართულ თეატრსა და მუსიკაზე. ამ თავშიც მშვენივრად ჩანს ის დიდი ამაგი, რაც პ. უმიკაშვილმა დასდო ქართული თეატრის აღდგენისა და საერთოდ თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს. ამ თავში ავტორი უფრო გაბედულია და საკმაოდ კრიტიკულად აფასებს პ. უმიკაშვილის შეხედულებებს, არ იზიარებს მის მცდარ დებულებებს ქართული ორიგინალური დრამატურგიისა და თეატრის საქმიანობის ზოგიერთ ნაკლოვან მხარეთა შესახებ.

რაც შეეხება პ. უმიკაშვილის წერილებს ქართული მუსიკის ცალკეულ საკითხებზე, — ნაშრომში მათი ვრცელი მიმოხილვა არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ სახითაც მკითხველისათვის ნათელი ხდება პ. უმიკაშვილის მიერ გაწეული შრომა ქართული მუსიკალური კულტურის აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ნაშრომს ახლავს მოკლე დასკვნა, რომელშიც განსაზღვრულია პ. უმიკაშვილის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში.

სარეცენზიო წიგნის ირგვლივ გვაქვს ოამდენიმე შენიშვნა:

1. თუმცა პ. უმიკაშვილის შესახებ არსებული ლიტერატურა მეტად მცირეა, მაგრამ ავტორი ვალდებული იყო მოეცა ამ ლიტერატურის მიმოხილვა. მაშინ უფრო მაყფიოდ გამომჟღავნდებოდა ის დიდი წვლილი, რომელიც მან შეიტანა პ. უმიკაშვილის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

2. აუცილებლად საჭირო იყო ავტორს აეხსნა, თუ რით იყო გამოწვეული ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოება, რომ პ. უმიკაშვილმა, რომელიც რეალისტური ხელოვნების და მატერიალისტური ესთეტიკის დამკვიდრებას უწყობდა ხელს, თარმგნა და დაბეჭდა კარამზინის წერილი „მწერალს რა ეშირვება“, რომელშიც, როგორც ზ. მეგზეევშილიც აღნიშნავს, „გადმოცემულია რუსული სენტიმენტალიზმის ყველაზე ტიპიური წარმომადგენლის ლიტერატურული შეხედულებანი“ (გვ. 15).

3. ავტორი გვამცნობს, რომ 1864 წელს გამოვიდა პ. უმიკაშვილის „ქართული ანბანი“, რომელმაც თავის დროზე, ვიდრე 1876 წელს ი. გოგებაშვილის „დედაენა“ შეიქმნებოდა, დიდი სამსახური გაუწია ქართველ ახალგაზრდობას მშობლიური ენის შესწავლის საქმეში (გვ. 19).

ავტორის ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. როგორც ცნობილია, პ. უმიკაშვილის ქართული ანბანის გამოცემა 1866 წელს შეწყდა და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან 1865 წლიდან გამოსვლა იწყო ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილმა „ქართულმა ანბანმა და პირველ საკითხავმა წიგნმა“, რომელიც „დედაენის“ გამოცემამდე თითქმის ყოველწლიურად გამოდიოდა. „დედაენის“ გამოსვლამდე სწორედ ამ წიგნმა გაუწია უდიდესი სამსახური ქართველ ახალგაზრდობას მშობლიური ენის შესწავლის საქმეში და არა პ. უმიკაშვილის „ქართულმა ანბანმა“, რომელიც, როგორც პედაგოგიური, ასევე მეთოდური მხრით, დიდად ჩამორჩებოდა გოგებაშვილის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს.

4. ზ. მეგზეევშვილი კმაყოფილდება პუბლიცისტიკის პ. უმიკაშვილისეული განმარტებით, მაგრამ ეს არ არის სრული და მეცნიერული განმარტება. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ამ განმარტების შესახებ თავისი თვალსაზრისი მოეწოდებინა.

5. ეხება რა „არსენას ლექსს“, ზ. მეგზეევშილი შენიშნავს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პ. უმიკაშვილმა „მკაცრად გაილაშქრა კონსერვატიულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენელთა დრომოჭმული იდეურ-ლიტერატურული შეხედულებების წინააღმდეგ“ (გვ. 152).

ვფიქრობთ, საჭირო იყო ავტორს გაერკვია თუ რაში გამოიხატა ეს გალაშქრება და კერძოდ კონსერვატიულ-ლიბერალური ბანაკის რომელ წარმომადგენლებს დაუპირისპირდა პ. უმიკაშვილი?

6. ქართული თეატრის საკითხებზე მსჯელობის დროს ზ. მეგზეევშილი ეყრდნობა პ. უმიკაშვილის თეატრალურ წერილებს და შენიშნავს, რომ „დროება“ 1884 წლის სეზონში „ობიექტური შეფასებისა და სცენის მუშაკთა გამხნევების ნაცვლად ... ტენდენციურად აშუქებდა მსახიობთა დასში მომხდარ განხეთქილებას, რისთვისაც ანტრეპრენიორს აკისრებდა მთელ დანაშაულს“, რომ თეატრალურ საზოგადოებას, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, კ. ყიფიანი, რაფ. ერისთავი, გ. თუმანიშვილი და სხვანი, თავიდანვე უღონობა და უსაქმობა დაჰყვა და სხვა.

ეს შეიძლებოდა ეთქვა პ. უმიკაშვილს, მაგრამ ამ შეხედულების უკომენტაროდ დატოვება შეუძლებელია, რადგან საყოველთაოდ ცნობილია ის დაუღალავი შრომა და უდიდესი ამაგი, რაც თეატრალურმა საზოგადოებამ ქართულ თეატრს დასდო. ასევე შეუძლებელია ტენდენციურობა დაეწამოთ „დროებას“, რომელიც პირუთვნელად აკრიტიკებდა თეატრის საქმიანობას, თუკი მის ნაკლს შეამჩნევდა. თუ ქართული თეატრი სწრაფად დაადგა აღორძინების გზას, ამის ერთ-ერთი მიზეზი „დროების“ თეატრისადმი უანგარო, ობიექტური დამოკიდებულება იყო.

ზ. მეგზეევშილის შრომა — „პეტრე უმიკაშვილი — პუბლიცისტი და კრიტიკოსი“ — დაწერილია სიყვარულით, საქმის ცოდნით და იგი დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს ახალგაზრდობას პ. უმიკაშვილის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲠᲘᲔᲚ ᲥᲐᲕᲭᲭᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ

ნარკვევის ქარონმრივი თავისებურებების განხილვისას სპეციალისტები ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ. ზოგი ფიქრობს, რომ ნარკვევი მხატვრული ლიტერატურის სფეროს განეკუთვნება; ზოგის აზრით, იგი პუბლიცისტური ქარია; ზოგი ერთმანეთისაგან ასხვავებს და ერთმანეთს უპირისპირებს ე. წ. მხატვრულ ნარკვევსა და საგაზეთო ნარკვევს და ა. შ.

აზრთა ეს სხვადასხვაობა, ჩვენი ფიქრით, უმთავრესად იმით უნდა აიხსნას, რომ ცოდნის სხვა დარგებს შორის, ჟურნალისტიკის თეორია ჯერ კიდევ ახალგაზრდა დარგია, მას ჯერ კიდევ ბევრი რამ შესასწავლი და დასადგენი აქვს. ამიტომაა, რომ არა მარტო ნარკვევის თეორიულ გაგებაშია აზრთა სხვადასხვაობა, არამედ ზოგი სხვა ჟურნალისტური ქარიც სხვადასხვაგვარად არის ახსნილი და გაგებული.

ისიც ანგარიშგასაწევია, რომ სანამ ჟურნალისტიკის თეორია შეიქმნებოდა, უკვე დიდი ხნით ადრე არსებობდა ლიტერატურის თეორია, რომელმაც მოასწრო ნარკვევის „მოტაცება“ და ლიტერატურულ ჟანრად მისი აღიარება.

მაინც რა აქვს ნარკვევს ისეთი, რომელიც მას საზიაროდ, საცალობლად და გასაყოფად ხდის? ასეთი მას მართლაც გააჩნია. მასში თანასწორ ნაკადად, ერთნაირი ძალითა და უფლებით, შერწყმულია ორი საწყისი: მხატვრულობა და პუბლიცისტურობა.

მხატვრული ლიტერატურიდან ნარკვევს მოაქვს სინამდვილის მხატვრული ასახვის ფორმები და ხერხები, ხატოვანი თხრობის, ხასიათის მოხსნის, ტიპიზაციის თვისებები და, ამდენად, იგი მხატვრულ ლიტერატურას ენათესავება.

ჟურნალისტიკიდან მას მოაქვს რეალური, კონკრეტული მასალა — ფაქტები, მოვლენები, ადამიანები, რომელთაც სინამდვილეში აქვს ადგილი, მისამართი, კონკრეტული დრო და ადგილი. ჟურნალისტიკიდანვე ნარკვევს შეუსისხლხორცებია მგზნებარე პუბლიცისტურობა, მსჯელობა, მტკიცება, კვლევა. ყოველივე ამით ნარკვევი ჟურნალისტიკას განეკუთვნება.

ვფიქრობთ, ამ ორი საწყისის მიზეზითაა გამოწვეული, რომ ნარკვევს ლიტერატურათმცოდნენი თავიანთ ეწევიან, ჟურნალისტიკის თეორეტიკოსები კი თავიანთ.

არსებობს კომპრომისული პოზიციაც, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ და მიგვაჩნია, რომ საჭიროა ჟურნალისტიკისა და ლიტერატურების შერიგება, მათ შორის ზავის ჩამოგდება.

უნდა ითქვას, რომ რუსული ჟურნალისტიკის თეორეტიკოსები საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ ნარკვევს, მისი თავისებურებების დადგენას. ჩვენ ვერ მიმოვიხილავთ ყველა ავტორის თვალსაზრისს, ვიტყვით მხოლოდ, რომ მათი უმეტესობა უმთავრესად ემყარება მაქსიმ გორკის უფუძემდებლურ მოსაზრებებს ნარკვევის შესახებ. ცხადია, მათ თავიანთი საკუთარიც ბევრი აქვთ გამოთქმული. ბ. პოლევოის, კ. კოვალევსკის, ვ. ყურბინას და სხვა ავტორთა შრომებში ნარკვევის შესახებ მოსაზრებები საკმაოდ კვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული, თუმც ბევრ რამეში ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულ თვალსაზრისზე დგანან.

ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები, კრიტიკოსები და ლიტერატურის თეორეტიკოსებიც, ბუნებრივია, ეხებოდნენ ნარკვევს, მაგრამ მხოლოდ გაკვრით. ამ ბოლო წლებში დაიბეჭდა რამდენიმე წერილი და ერთიც პატარა წიგნი, რომელშიც ნარკვევის რაობას საგანგებოდ განიხილავენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი იოვაშვილის წიგნი [1], რომელშიც ყველაზე თანმიმდევრულად და ვრცლად არის გაშუქებული ეს საკითხი.

დასახელებულ წიგნში თავიდან ბოლომდე

[1] დ. ი ო ვ ა შ ვ ი ლ ი. თანმიმდევრე ქართული მხატვრული ნარკვევი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეცნები იმაზეა გადატანილი, რომ ნარკვევი მხატვრული ლიტერატურის ჟანრია. დ. იოფეშელი წიგნის სათაურშიც და მერეც ყველგან მხოლოდ **მხატვრულ ნარკვევს** განიხილავს, მაგრამ გარა ანრეობის **არამხატვრული ნარკვევი?** ავტორი გ. ნატროშვილის და ზოგი სხვა ჩვენი თანამედროვის რამდენიმე ნაწერს უწოდებს **ნარკვევ-მოთხრობას.** ეს ტერმინიც გარკვევას მოითხოვს, რადგან წიგნში არ არის იმისი ცდაც, რომ ნარკვევის ასეთი ტიპი თუ სახე გამიჯაოო და დაემტკიცებინა, რომ ასეთი რამ არსებობს.

ამრიგად, მიუხედავად ამისა, რომ ნარკვევის ირგვლივ არსებობს საკმაოდ მრავალი ნაშრომი, აეტორთა შორის მაინც არის შეუთანხმებლობა ამ ჟანრის თავისებურებათა, სახეთა და სხვ. საკითხთა დადგენაში.

ვეთვალისწინებთ რა არსებულ ლიტერატურას, შეეცდებით — ზოგი ჩვენი თვალსაზრისიც გავავითართო. ცხადია, პრობლემის ამოწურვის პრეტენზიას ჩვენ არ ვაცხადებთ.

ნარკვევის ჟანრობრივი თავისებურებანი

ამოსავალი დებულება, რომელსაც ჩვენ ნარკვევის ჟანრობრივი თავისებურებების დადგენისას ვემყარებით, არის შემდეგი: ნარკვევი მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრია.

მხატვრული ლიტერატურის ჟანრებს შორის ნარკვევი ყველაზე პუბლიცისტურია, ხოლო პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ ჟანრებს შორის იგი ყველაზე უფრო მხატვრულია.

ნარკვევის ჟანრობრივი სპეციფიკის ირგვლივ მსჯელობასას იყენებენ შედარების ხერხს. როგორც წესი, ნარკვევს უდარებენ მცირე ფორმის პროზაულ ნაწარმოებებს — მოთხრობას ან ნოველას და ადგენენ იმას, რაც საერთო ან განსასხვავებელია ნარკვევსა და მათ შორის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმჯობესია, ჯერ ნარკვევის სფუძველი მოგხაროთ, გავარკვიოთ, თუ რას ემყარება ის, რისი ასახვა-გაშუქება აქვს მიზნად, ხოლო ამის შემდეგ მიემართოთ სხვა ჟანრებს, შევუდარეთ მას და დავადგინოთ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავება.

ყოველ ჟურნალისტურ ჟანრს თავისი საყრდენი, თავისი საფუძველი გააჩნია, მაგალითად, ინფორმაციული ჟანრების საფუძველია ცხოვრებისეული ფაქტი თუ მოვლენა, რადგან ეს ჟანრები სწორედ ამ ფაქტებსა და მოვლენებს აშუქებენ; სტატიის საფუძველია დასმული პრობლემა თუ დებულება, რომლის განსჯა-მტკიცებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანასაც ეშასხურება ეს ჟანრი; ფელეტონი უმეტესად ცხოვრებისეულ მანკიერებასა და ნაკლოვანებებს ამხელს და ა. შ.

ნარკვევსაც აქვს თავისი საფუძველი თუ საყრდენი, ე. ი. ის, რასაც ეს ჟანრი ასახავს, რაზეც იგი ეფუძნება, რის გაშუქებასაც ცდილობს ისახავს მიზნად. ნარკვევისათვის ასეთი საყრდენი შეიძლება იყოს ცალკეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა, მოგზაურის თვალით ნანახი თუ განცდილი და ა. შ. ესენი ერთად რომ დ.ეგახასიაოოთ და მათთვის საერთო ნიშნები მოვძებნოთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ყველფერი ეს ფაქტობრივია, სინამდვილიდან აღებულია, ზუსტი მასალრთის მქონეა, კონკრეტულ სივრცესა და დროში მომხდარია.

საზოგადოებრივი ცხოვრება მდიდარ მასალას იძლევა ნარკვევისათვის. სახალხო მეურნეობის უამრავ დარგში, მეცნიერებაში, კულტურის ფრონტზე, სპორტში თუ სხვადან შრომობენ და მოღვაწეობენ შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც ნარკვევის გმირები შეიძლება გახდნენ; ცხოვრება აყენებს მრავალ პრობლემას თუ საკითხს, რომელიც შესაფერისი ნარკვევის განსჯის საგანი შეიძლება გახდეს; ყოველდღიურად საზოგადოების ცხოვრებაში მრავალი ფაქტი და მოვლენაა ისეთი, რაზეც ნარკვევი შეიძლება დაიწეროს და ა. შ. ერთი სიტყვით, ნარკვევი ასახავს ფაქტობრივ მასალას — რეალურ ადამიანებს, ცხოვრებიდან აღებულ ფაქტებსა და მოვლენებს, ავტორის მიერ სინამდვილეში ნანახსა და განცდილს. ამ საფუძველზეა დამყარებული ნარკვევი.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ფაქტობრივ მასალას მხოლოდ ნარკვევი არ ეყრდნობა. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ცხოვრებისეულ ფაქტებს და მოვლენებს, საზოგადოების რეალურ წვერებს ასახავს სხვა ჟურნალისტური ჟანრებიც. ეს გარემოებაა სწორედ საერთო ჟურნალისტური ჟანრების უმეტესობისათვის.

საერთო საფუძვლის მქონე ჟურნალისტურ ჟანრებს შორის განსხვავება: მდგომარეობს მასალის ასახვის ფორმებში. ერთი და იგივე სახის მასალის სხვადასხვაგვარი დამუშავება, გაშუქების სხვადასხვაგვარი ფორმის შერჩევა გვაძლევს სხვადასხვა ჟანრს. საგაზეთო-საჟურნალო პრაქტიკაში ისეთია როდი შემთხვევა, როცა ზუსტად ერთი და იგივე ფაქტის შესახებ გაგეგო დღეს მხოლოდ მოკლე ინფორმაციაც შენიშვნის მისეკმს, ხვალ და ზეგ კი ერეკლ ანგარიშს ან სხვა ჟანრის მასალას. ასეთ შემთხვევაში განსხვავებული თვით ფაქტი კი არ არის, არამედ მისი ასახვის ფორმაა.

ის გარემოება, რომ ნარკვევი ფაქტობრივ მასალას ემყარება, ამ ჟანრს ჟურნალისტურ ჟანრთა კატეგორიას განაკუთვნებს.

მაგრამ ნარკვევი მხოლოდ ამის გამო როდი განეკუთვნება ჟურნალისტიკას. ფაქტობრივი მასალის შესწავლა, შეფასება, მასზე მსჯელობა, მათი გაარზება, პუბლიცისტური მიდგომა,

ტარიელ კვანჭილავიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევა, განზოგადება, დასკვნის გამოტანა და მრავალი სხვა ატრიბუტი ნარკვევს აფრთვე ჟურნალისტურ ჟანრად ხდის.

ცნობილია, რომ ნარკვევი უმეტესად საზოგადოების განვითარების გარდატეხის, გარდამავალი პერიოდებისათვის ჩამოდგა გამოყენებული ჟანრია. სწორედ ამ პერიოდებისათვის, როცა განვითარება სწრაფი ტემპით ხდება, მოვლენები ზშირად და სწრაფად იცვლება, ნარკვევი, როგორც ლიტერატურის (ფართო გაგებით) სხვა ჟანრებს შორის უფრო ოპერატიული ჟანრი, ფეხდაფეხ მისდევს მოვლენების განვითარებას. ამიტომ ისეთ პირობებში ნარკვევს ეკისრება დიდი ტვირთი — ასახოს ეს მოვლენები მათი განვითარების კვალდაკვალ, მაშინვე, მოვლენათა ცხელ კვალზე.

ეს გარემოებაც გასათვალისწინებელია ნარკვევის ჟანრობრივი სპეციფიკის დადგენისას, რადგან იგი ნარკვევულ კვალს აჩენს ნარკვევს, როგორც იდეურ-მხატვრულობრივი, ასევე ფორმის თვალსაზრისითაც. გავიხსენოთ მ. კოლცოვის, ტ. ტაბიძის და სხვა ავტორთა ნარკვევები და ნათელი გახდება ამ მოსაზრების სისწორე. სწორედ გარდამავალი ეპოქის ამსახველ მათს ნარკვევებში მკაფიოდ ჩანს ეპოქისათვის დამახასიათებელი გზნებაც, თემატიკაც, პუბლიცისტური სიმახვილეც და სხვ.

მაქსიმ გორკი ხაზს უსვამდა ნარკვევის იმ დამახასიათებელ თავისებურებას, რომ იგი ფაქტობრივ მასალას ეფარება, ამაში დიდი მწერალი ნარკვევის ღირსებას ხედავდა. როცა ერთ-ერთი დამწყები მწერალი გორკის უქებდა თავის ნაწარმოებს და ამის საბუთად აცხადებდა, რომ ჩემს მოთხრობაში არცერთი ფაქტი გამოგნილი არაა, ვმირებსა ვკარგავდ კი ნამდვილია, ამაზე ა. მ. გორკი შემდეგს უპასუხებდა: ეს შეიძლება ნარკვევის ღირსება იყოს, (ხაზი ჩვენია — ტ. კ.), ეს აუცილებელია საკმაოდ კორესპოდენციისათვის, მაგრამ მოთხრობა განეკუთვნება მხატვრულ ლიტერატურას, რომელსაც სჭირდება გამონაგონი, შეთხზული, მოვლენათა და ხასიათთა ტიპიზაციაო [1].

გორკის ამ გამონათქვამიდან რამდენიმე საყურადღებო ზზრი გამომდინარეობს. ამათგან ორი უმთავრესია:

1) ნარკვევს სჭირდება ფაქტობრივი მასალა და ეს მისი ღირსებაა, 2) მხატვრულ ნაწარმოებს ახასიათებს შეთხზული, გამონაგონი. ამასთანავე, მოვლენათა და ხასიათთა ტიპიზაცია და უკანასკნელისათვის აუცილებელია.

ეს თვალსაზრისი იძლევად ნათელია, რომ მკითხველისათვისაც საკმაო არაფერი უნდა იყოს. ოღონდ შეიძლება დაიბადოს ასეთი ეჭვიანობა; ხომ არსებობს ე. წ. დოკუმენტური მოთხრობა, ისიც ხომ ფაქტობრივ მასალას ეფარება? ზზრონია შემთხვევა, როცა ზოგიერთი მოთხრობის ავტორი საბაჭთანავე მიანშნებს, რომ ეს ნამდვილი ამბავია. „ასეთი რამ მართლაც არის, მაგრამ მოთხრობაში, თუნდაც იგი დოკუმენტური იყოს, ფაქტის გაშუქების ფორმა, ფაქტის დამუშავებისა და მკითხველთან მიტანის ხერხი განსხვავებულია ნარკვევში გამოყენებული ხერხებისა და ფორმისაგან. სწორედ აქაც ჩანს თავს სპეციფიკა, რომელიც მოთხრობასა და ნარკვევს ერთმანეთისაგან მაშინაც კი ანსხვავებს, როცა ორივე მთავარს საფუძვლად თუნდაც ერთიდაიგივე ფაქტობრივი მასალა უდგეს. გავიხსენოთ ბ. პოლევოის მაგალითი, როცა მან ერთი და იგივე მასალაზე ჯერ ნარკვევი დაწერა, შემდეგ კი საქეეყნოდ ცნობილი „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“. ასეთივე მაგალითი შეიძლება დავასახელოთ ა. ფადეევთან და მრავალ სხვა მწერალთანაც.

ნარკვევის ჟანრობრივი თავისებურებების გარკვევისათვის ჩვენც მივმართოთ შეფარვის ტრადიციულ ხერხს და ვნახოთ რა საერთო და განსხვავებული მოთხრობასა და ნარკვევს შორის.

მ. გორკი ერთ ახალგაზრდა მწერალს სწერდა: მოთხრობა „წერილმანის“ მიხედვით არ შემიძლია გითხრათ, „ღირს თუ არა ხელი მოაკიდოთ ლიტერატურულ მეშაობას“, მაგრამ თქვენი ეს მოთხრობა საკმაოდ გარკვეულად ლაპარაკობს იმაზე, რომ თქვენ ასეთი მეშაობისათვის სულ-ტად მოიზიდველი ხართ. მთხრობა არ გამოგვიგიდათ იმიტომ, რომ ადამიანების მიმართ იგი დაწერილია მშრალად და უყურადღებოდ. თქვენს მოთხრობაში ადამიანები არ ჩანან, ისინი უსახონი, უთვალონი, ენესტების უქონელნი არიან. შესაძლოა ეს ნაკლი იახსნებოდეს ფაქტისადმი თქვენი ძლიერი სიყვარულით, მიდრეკილებით[2]. (ხაზი ჩვენია — ტ. კ.) და იქვე მიუთითებდა ახალგაზრდას, რომ „მხატვარი უნდა ფლობდეს განზოგადებას — სინთეზელის გამოეკრებითი მოვლენების ტიპიზაციის უნარს“.

როგორც ვხედავთ, დიდი მწერალი. ერთის მხრივ, მოთხრობას ნაკლად მიიჩნევს ფაქტთა გატაცებას, მეორეს მხრივ, მოითხოვს ფაქტების ტიპიზაციას. ამავე დროს მ. გორკი ხაზგასმით აღნშნავს, რომ საჭიროა მოთხრობაში ადამიანები ჩანდნენ ხელშესახებად, ისინი უსახონი და უთვალონი კი არ უნდა იყვნენ, არამედ სრულყოფილად დახატულნი.

თუ მოთხრობის ავტორისათვის შეთხზეა და გამოგონება აუცილებელია, ნარკვევის ავტორისათვის ეს უფლებები შეზღუდულია. მენარკვევე ფაქტობრივ მასალას გვაწვდის, მას მხოლოდ იმდენად და იმდენით შეუძლია ფაქტობრივიდან გადახვევა, რამდენიც და რამდენადაც ეს გადახვევა არ დაიზიანებს ფაქტობრივ სიმართლეს. ამ

[1] К. А. Ковалевский. очерк, «Газетные жанры» М., 1955 г., стр. 172.

[2] М. Горький. О литературе. Советский писатель М., 1953, стр. 385.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხზე კარგად გვიყვება ბ. პოლეკოი, როცა იგი ერთ კერძოიზულ შემთხვევას იგონებს. ის წერს: ერთ ძოწინავე მუშაზე დგებერე ნარკვევი. როცა მასთან საამქროში ვიყავი, ყურადღება არ მიმიქცევია მისი თმისთვის. წერის დროს, სახლში, გამიტაცა მისი გარეგნობის აღწერამ და დავწერე, თუ როგორ ამოიღო მან სავარცელი და თმა დაივარცხნა. ნარკვევის გამოქვეყნებადან რამდენიმე დღის შემდეგ ეს მუშა ჩემთან საყვედურით მოვიდა: რა მიქნენი, საამქროში რომ შევდივარ, ამხანაგები დამცინიან — აბა ამოიღე სავარცელი და ქოჩორი დაივარცხნეო. მე კი, როგორც მხედავთ, მელოტი გახლავართ!.

დაახლოებით მსგავსი რამ ჩვენც შეგვემთხვა. ამ ხუთიოდე წლის წინათ გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" გამოვქვეყნეთ ნარკვევი „ბაბე ქალო". ნარკვევის გმირი ბაბე მაზიაშვილი ყოველგვარი ქების ღირსია. ნარკვევში მისი ახალი ორსართულიანი ქვიტკირის სახლიც მოვიხსენეთ და მშვენიერი აეიჯიც. ასეთმა აღწერამ გაგვიტაცა და ტელევიზორიც ზედ მიგვიყოლებია. სინამდვილეში კი ოჯახს მაშინ ტელევიზორი ჯერ კიდევ არ ჰქონია. ნარკვევი რომ წაუკითხავს, ბაბე ძალო ჩვენთან თბილისში არ ჩამოსულა, მაგრამ მისი მეზობელი ჩემი ნათესავებისთვის უთქვამს: ტარიელს შეუთვალეთ, რომ ტელევიზორი მიყიდოს და დამიდგას, რაკი გაზეთში ჩამიწერაო. ჩვენი ერთი უზუსტობა, სინამდვილიდან გადახვევა კინაღამ ტელევიზორის ფასად დაგვიჯდა. ჩვენ კიდევ რა გვეპირდა, ტელევიზორი შეიძლება იყოდოს კაცმა, მაგრამ ბორის პოლევოის რა ეშველებოდა, იმ მუშას ქოჩორის ამოყვანა რომ დაეკისრებინა...

ეს დეტალი საკულსხვოა იმით, თუ რეალური სინამდვილიდან გადახვევას ნარკვევში როგორი გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს. მოთხრობის წერისას ეს გაუგებრობა გამორიცხულია, რადგან ნაწარმოების პერსონაჟი მწერლის გამოგონილია, მას შეუძლია ვინც ქოჩრიანად დაგვიხატოს კაცი, ვინც—მელოტად. მოთხრობის პერსონაჟს კონკრეტული მისამართი არა აქვს, იგი ბევრს ჰგავს, მაგრამ კერძოდ ერთი კონკრეტული არაა. ნარკვევის გმირი კი კერძო ერთი პირია, მკითხველს შეუძლია მასთან მივიდეს და ნახოს, ამავე დროს, როგორც დავინახეთ, მასაც შეუძლია ატორთან მივიდეს და მას ჰასუხი მოსთხოოოს.

ნარკვევსა და მოთხრობას შორის, ამ თვალსაზრისით, ისეთივე განსხვავებაა, როგორიც კერძოსა და ზოგადს, ერთ კონკრეტულსა და მრავალიდან აღებულ საერთო დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შორის.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნარკვევის ავტორი ასახვის ობიექტად ისდიდეს შემთხვევითს, რასაც წაიწყდება, თითქოს იგი არ ახდენდეს ს საზოგადოებისათვის დამახასიათებელს შერჩევას. საქმე ისაა, რომ მენარკვეველ დამახასიათებლიდან აირჩევს კონკრეტულ და მერე სიმართლით ხატავს ამ კონკრეტულს. ე. ი. საზოგადოების განვითარების აღებული ეტაპისათვის დამახასიათებელი ფაქტებისა და მოვლენების აუარება რიცხვიდან იღებს კერძოს, კონკრეტულს. მოთხრობაში კი სწორედ საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე: აუარება კონკრეტულიდან მწერალი ირჩევს განზოგადებულს, ტიპიზრებულს, რომელიც ჰგავს მრავალს, მაგრამ არცერთი მათგანი კი არ არის.

ეს ძალზე ხელშესახები და საყურადღებო განსხვავებაა:

ნარკვევსა და მოთხრობას შორის სხვაც ბევრია განსხვავება. თუ მოთხრობაში ტიპი სრულყოფილად არის ფაქტული, ნარკვევში მხოლოდ მონახსნია გმირის ხასიათისა. მ. გორკი აკი მიანიშნებდა ნარკვევის რუსული ტერმინის („Очерк") წარმომავლობაზე ზენიდან „მოხატვა" („очертать", „очерчивать"). მართლაც, ნარკვევში ფაქტის, გმირის ხასიათის თუ გარეგნობის მოხატვა, ძირითადი და უმთავრესი ნიშანთვისებების გაკვრით ჩვენება ხდება. აქ ერთგვარად გაკვრით მოიხატება ძირითადი და უმთავრესი, ნაცვლად დეტალური და დასრულებული ხატვისა და ჩვენებისა, რასაც მოთხრობაში აქვს ადგილი.

ამ თვალსაზრისით ნარკვევი შეიძლება შეავადარით ესკიზს, ხოლო მოთხრობა — დასრულებულ ფერწერულ ტილოს. გორკის ეს მითითება ალბუ მოხდენილი და მკაფიო ახლის დამტეკვია. იგი ნათლად მიგვანიშნებს იმ განსხვავებაზე, რაც ორსებობს მოთხრობასა და ნარკვევს შორის. ვინც მოსკოვში, ტრეტიაკოვის გალერეის ერთ-ერთ დარბაზში შეჩერებულა ივანოვის დიდებული ტილოს წინაშე და დაკვირვებია მასზე დახატული ადამიანების სახეებს, რომლებზეც აღბეჭდილია ქრისტეს გამოჩენით გამოწვეული სხვადასხვაგვარი განცდა, დარწმუნდებოდა, რომ მხატვარს ოსტატურად მიეგნია თვითეულისათვის დამახასიათებელი ზტრიხებისათვის, მათი შინაგანი სამყაროს გადმოცემის საიდუმლოებისათვის. ეს არის დიდი ოსტატის ხელით შექმნილი დასრულებული ნაწარმოებები, რომელზეც კეკითხლობთ მრავალი ადამიანის სულს, თვით მოვლენის დიდ შინაარსს.

იმავე დარბაზში კედელზე ჰკიდია რამდენიმე ათეული ესკიზი, რომელთა ხატვისთვის ივანოვს წლები შეუღია. ამ ესკიზებს თუ დაკვაკვირდებით, შეავმჩნევთ ძიებისა და შემოქმედებითი წვის რთულ პროცესს, დავინახავთ, თუ როგორ თანდათან ხდეწდა, სრულყოფილ ხდიდა მხატვარი თვითეული სახის ნაკვთს. ფერს, ზტრიხს და როგორ თანდათან უახლოვდებოდა იგი ჩანაფერის სრულყოფილებას. ისიც აშკა-

ტარიელ კვანჭილაშვილი
ნარკვევის თავისებურებანი

[1] Б. Полевой, «Очерк в газете». М., 1953 г., стр. 21—22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად შესამჩნევი, თუ რა დიდი სხვაობა ესკიზებსა და დასრულებული სურათის შესატყვის სახეებს შორის.

თუ ესკიზებში გაკვრით არის მოხაზული ადამიანის ხასიათის, სულის, ფიქრის, განწყობილების, რწმენის და ა. შ. გამომხატველი შტრიხები, ნახატში ყველაფერი ეს დასრულებული და სრულყოფილია, ამომშურავად შესრულებული. ანალოგიური ნარკვევი მოთხრობისთვის, როგორც ესკიზი დასრულებული ტილოსთვის. მაგრამ აქ ერთი კატეგორიული განსხვავებაცაა: თუ ესკიზი მხატვრული ტილოსთვის მხოლოდ დამხმარე მასალაა, სამაგიეროდ ნარკვევი თვითონაა დასრულებული ნაწარმოები. კოკალევსკი სამართლიანად წერს: „ნარკვევი დიდი ნაწარმოების „ნედლეული“, „შემოქმედებით შენიმზადი“ არ არის, მას სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს“ [1]. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ნარკვევების მხოლოდ უმეცრესნაწილი გადაქცეულა მოთხრობად ან რომანად, სამაგიეროდ, მათი ამსოლუტური უმრავლესობა რჩება დამოუკიდებელ ნაწარმოებად, რომლებსაც არა მარტო გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე უპოვიათ დგომი, არამედ წიგნებშიც, ნარკვევების ცალკეულ კრებულებშიც.

ესკიზისა და ნარკვევის შედარებისას უმთავრესად მხედველობაში უნდა გვქონდეს მხატვრულად ხატვის სრულყოფილების დონე და არა სხვა რაიმე მოსაზრება. ეს დონე მოთხრობასა და რომანში გაცილებით მაღალი და სრულყოფილია, ვიდრე ნარკვევში.

განსახილველი ქართის თავისებურებათა გარკვევისას ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ქართული სახელწოდებაც „ნარკვევი“. ამ სიტყვაში საფუძველად გამოყენებულია ზმნა „რკვევა“, „გამორკვევა“. აქედან მიღებული მიმღეობა „ნარკვევი“ გარკვეულ წილად განმარტავს ქართის ერთ თავისებურებას: იგი დაწერილია რკვევის შემდეგ, ე. ი. ატორმა შეისწავლა ფაქტი თუ მოვლენა, გაარკვია მისი ყველა მხარე და შერე დაწერა ნარკვევი. ამ თავისებურების თვალსაზრისითაც ნარკვევი წმინდა პუბლიცისტურ-ჟურნალისტური ქარნა, რადგან მასაც რეალური, ფაქტობრივი სინამდვილის რკვევა და მასზე წერა უსდგება, მსგავსად სხვა ჟურნალისტური ჟანრებისა.

იმის მაგალითს, თუ სანარკვევე მასალის როგორი შესწავლა და რკვევაა საჭირო, იძლევა ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი, რომლის კალამსაც ეკუთვნის ნარკვევი „კუნძული სახალინი“. ცნობილია, რომ მწერალმა იმოგზაურა ამ კუნძულზე და რაკი რაიმე მზა მასალა ვერ ნახა, თვითონ დაიარა ეს კუნძული, მოახდინა მოსახლეობის აღწერა და ჩაატარა ბევრი სხვა სამეშაო, გამოიკვანა ბევრი საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ დაწერა ნარკვევი, რომელშიც ნაჩვენებია კუნძულის ტერიტორია, მოსახლეობა, ცხოვრება და ა. შ.

შეიძლება გადაჭრით ითქვას შემდეგი: თუ რუსული ტერმინი „Очерк“ აქცენტს აკეთებს მხატვრული ასახვის თავისებურებაზე, რომ ნარკვევში ხასიათის მხოლოდ მოხაზვა, გაკვრით ხატვა ხდება, სამაგიეროდ ქართული „ნარკვევი“ აქცენტს აკეთებს ფაქტობრივი მასალისადმი დამოკიდებულებაზე, რომ მისი რკვევის შედეგად იწერება ეს ჟანრი.

შესაძლებელი რომ იყოს, ამ ჟანრის სრულყოფილად წარმოდგენისათვის აჯობებდა რუსული „ოჩერკისა“ და ქართული „ნარკვევის“ სიტყვიერი შინაარსის შერწყმა. ეს შერწყმული შინაარსი უფრო ამომწურავად გადმოგვცემდა განსახილველი ჟანრის რაობას, როგორც ფორმის, ასევე ფაქტობრივი მასალის დამუშავების თვალსაზრისითაც.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნარკვევი ჟურნალისტურ ჟანრებს შორის ყველაზე უფრო მხატვრულია, ხოლო მხატვრული პროზის ჟანრებს შორის — ყველაზე უფრო პუბლიცისტურია. საჭიროდ მიგვაჩნია ამ დებულების განმარტება, რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ჟანრის კიდევ ერთი სპეციფიკა.

ცნობილია, რომ მხატვრული ლიტერატურის ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოებში. თუ იგი რეალისტური, უეჭველად არის ტენდენციი, რაც ავტორის იდეური პოზიციიდან მოდის. მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში ეს ტენდენცია აშკარად და პირდაპირ კი არ არის მოწოდებული, არამედ გამოწყობილია მხატვრულ სამოსელში, იმალება ამ სამოსელის უკან და მკითხველი თავისი მიდის იმ დასკვნამდე, რომელთან მისი მიყვანაც ავტორს ეწადა. ამ საკითხზე შესანიშნავად წერდა ფ. ენგელსი: მით უკეთესი მხატვრული ნაწარმოებისათვის, ავტორის ტენდენცია რაც უფრო მეტადაა შენიღბული მხატვრული საშუალებებითო. რა თქმა უნდა, მხატვრული ნაწარმოები მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო ნაკლებია მასში პუბლიცისტური მსჯელობა, აზრების გაშიშვლებული მოწოდება, სილოგიზმებით აზროვნება.

ნარკვევში საქმე ამ მხრივაც სხვაგვარად წარმოგვიდგება. ნარკვევი კი იყენებს მხატვრული აზროვნების ხერხებს, უმთავრესად გარეშოსა და ადამიანთა გარეგნობისა თუ ხასიათის დასახატად, მაგრამ მასში პირდაპირი მსჯელობა, პუბლიცისტური ჩარევა ავტორისა, გასჩაჭა. ფიგსაება, დასკვნები და პუბლიცისტიკის სხვა ატრიბუტები უეჭველად არის გამოყენებული. ეს არა მარტო შეიძლება, საჭიროც არის. შეიძლება ითქვას, რომ ნარკვევში პუბლიცისტურობისა და მხატვრულობის ერთგვარი მონაცვლეობა უნდა იყოს.ასეთი მონაცვლეობით უკეთესად მიიღწევა ნარკვევის წინაშე დასმული ამოცანა.

---

[1] К. А. Ковалевский, очерк «Газетные жанры», М., 1955 г., стр. 174.

ასე გვესახება ის თავისებურებები, რომელიც ახასიათებს ნარკვევს, როგორც ერთ-ერთ სრულიად გამოკვეთილ და დამოუკიდებელ ჟანრს.

როგორც დავინახეთ, ნარკვევში შერწყმულია მხატვრული პროზისა და პუბლიცისტიკის ნიშან-თვისებები. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ გაჭირდება ამ ჟანრის მიკუთვნება რომელიმე მათგანისადმი? მაინც რას მივაკუთვნოთ ნარკვევი — მხატვრულ ლიტერატურას თუ პუბლიცისტიკას? ჩვენ შეგვიძლია ამ კითხვაზე კითხვითვე გვპასუხი: რას მივაკუთვნოთ კინემატოგრაფია, რომელშიც შერწყმულია ლიტერატურა, რეჟისერია, მსახიობთა თამაშიც, ოპერატორის მუშაობაც, მუსიკაც. მხატვრობაც და ა. შ.? ხომ შეუძლებელია მხატვრული კინოფილმის მიკუთვნება რომელიმე ამ ჩამოთვლილი ცალეული დარგისთვის?

რა მოხდა?

მოხდა ის, რომ ხელოვნების მრავალმა დარგმა შერწყმულდა, სინთეზურად მოიყარა თავი კინოსაწარმოებში, ყველა მათგანმა დაკარგა დამოუკიდებელი ფუნქცია, ყველა მათგანმა შეიქმნა ერთმანეთი და ხელი შეეწყო სრულიად ახალი ხელოვნების, სინთეზური ხელოვნების წარმოშობას, კინოხელოვნების წარმოშობას.

შეიძლება ვინმეს გაგდაფუქად მოეჩვენოს ამ მაგალითის მოტანა ნარკვევის ირგვლივ მსჯელობისას. როგორ, იტყვის ზოგიერთი, ამ ნაწარმის ავტორს ხომ არ სურს ნარკვევი გამოაცალკოს მხატვრული ლიტერატურიდანაც, პუბლიცისტიკიდანაც და სასუბით დამოუკიდებელ, ახალი სახის საწარმოებად მონათლოსსო. ჩვენ მაშინ ვიკითხავდით, რა დამავდება იმით, სწორედ ასეც რომ მოვიქცეთ? რა დამავდება, თუ ნარკვევს ერთგვარ შუალედურ ადგილს მივუჩენთ მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკას შორის?

ხომ იყო დრო, როცა კინომატოგრაფიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე მას ხან ფოტოგრაფიას, ხან რეჟისერს და ხან რას მიაკუთვნებდნენ? ხომ დადგა დრო, როცა კინემატოგრაფია სრულიად ჩამოყალიბებული, სავსებით ახალი დარგია ხელოვნებისა, ხელოვნების მრავალი დარგის სინთეზით წარმოშობილი ხელოვნებაა! ამაზე ხომ ალარ დავობენ!

შესაძლოა, დღეს ჩვენი პასუხი ნარკვევის მიკუთვნებულის შესახებ ამით შემოიფარგლოს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საკითხის დასმა მაინც ახლაც შეიძლება. ეგებ დადგეს დრო, როცა ნარკვევს გამოყოფენ მხატვრული ლიტერატურიდანაც, პუბლიცისტიკიდანაც, მას ცალკე განიხილავენ და ეგებ გაჩნდეს ტერმინი „ნარკვეული ლიტერატურა“.

ახლა კი შეიძლება დავასკვნათ:

ნარკვევი არის მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი, რომელიც ასახავს ფაქტობრივ სინამდვილეს, ფორმად იყენებს მხატვრული ლიტერატურის ელემენტებს, ეფუძნება ლიტერატურულ მასალის ანალიზის კრიტიკულ მასალებს — ეფუძნება ბალანსირებულ ანალიზს ეროვნული ინტერესებისთვის ემყარება პუბლიცისტურ მიდგომას.

ნარკვევის სახეები

ყოველდღიურ სიტყვაგამრავლაში ადამიანი გაიგონებს, რომ არსებობს „ნარკვევები ლიტერატურის ისტორიიდან“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ და სხვ. მრავალი ნარკვევი, რომელსაც საერთო არაფერი აქვთ იმ ჟანრთან, რომლის სპეციფიკაზეც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. სამეცნიერო ნარკვევი რიგის საკითხისა თუ პრობლემის მეცნიერული კვლევის შედეგია და ამიტომ ისინი არ უნდა აერიოთ მხატვრულ-პუბლიცისტურ ნარკვევთან.

ჩვენი მიზანია, შეეცადოთ მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევის შინაარსი ქვესახეების გამოყოფა, რამდენადაც ჟურნალ-გაზეთებში ყოველთვის გვხვდება ნარკვევები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო შინაარსითა და თემით, არამედ სხვა სპეციფიკითაც. ასეთი განსხვავება წარმოშობს იმის საჭიროებას, რომ თვით ჟანრის შიგნით მოხდეს კლასიფიკაცია.

სახეებად ნარკვევის დაყოფა ბევრმა სცადა. თითქმის ყველი ამ ცდის ნაკლი ისაა, რომ ვერ მოიძებნა ერთნაირი პრინციპი, რომელიც საფუძვლად დადებოდა ამ კლასიფიკაციას. ხოლო სანამ ერთნაირი პრინციპი არ მოიძებნება, შეუძლებელია რაიმე კლასიფიკაცია სრულყოფილად მიეგინიოთ.

მაგალითისთვის ავიღოთ ბორის პოლევოის კლასიფიკაცია. თავის ბროშურაში[1] ავტორი გამოყოფს ნარკვევის შემდეგ სახეებს: 1. სამოგზაურო ნარკვევი, 2. პორტრეტული ნარკვევი, 3. მოგლეწერი ნარკვევი, 4. პუბლიცისტური ნარკვევი, 5. ანალიტიური ანუ კრიტიკული ნარკვევი და 6. სამხედრო ნარკვევი.

როგორც ამ ჩამოთვლიდან დავინახეთ, აქ ეს სახეები სხვადასხვაგვარი საფუძველით არის გამოყოფილი. ავიღოთ მაგ., სამხედრო ნარკვევი. ბ. პოლევოის აზრით, იგი იწერება სამამული მოქმედებაზე. იგი ბაზს უსვამს დიდი სამამული ომის წლებში საბჭოთა ჟურნალისტების მიერ ოსტატურად დაწერილ ნარკვევებს, რომლებშიც საბჭოთა მეომრების ვმირობა იყო ნაჩვენები. ავტორი თვითონვე წერს: „ეარგ სამხედრო ნარკვევში მკითხველი პოულობდა ოპერაციის ტაქტიკურ გახსნასაც და ბრძოლის ველზე ჟურნალისტის უშუალო დაკვირვების შე-

[1] Б. Полевой, очерк в газете, М., 1953 г., стр. 14—21.

დგასაც. ზმირად სამხედრო ნარკვევი შეიცავდა მებრძოლ-გმირთა პორტრეტულ ჩანახატსაც და თითქმის ყოველთვის კი — მომხდარის შესახებ პუბლიცისტური განსჯასაც“ [1].

გამოდის, რომ სამხედრო ნარკვევში თავმოყრილი ყოფილა მოვლენური, პორტრეტული და პუბლიცისტური ნარკვევის თავისებურებანი. მართალია, სწორედ ბრძოლის ველზე, თუნდაც მშვიდობიან დროს — ჯარის ნაწილებში ბევრი მოვლენა ხდება, ბევრი მოწმინაე ადამიანი მოქმედებს და მოდავეწეობს, რომლებზეც შეიძლება ნარკვევები ამა თუ იმ სახის დაწერა. მაგ რაღა საფუძველია ამ სახის ნარკვევის ცალკე გამოყოფისათვის? ნუთუ მხოლოდ ის, რომ ამ ადამიანებს სამხედრო ფორმა აცვიათ. ზომ თვით ავტორიც ამბობს, რომ სამხედრო ნარკვევში გვიხატავენ მოვლენებსაც, პორტრეტებსაც, გვაქვს პუბლიცისტური მსჯელობანი.

ჩვენ მიგვანნია, რომ ე. წ. სამხედრო ნარკვევის ცალკე სახედ გამოყოფისთვის საფუძველი არ არსებობს. ამ გზას რომ გავუყვეთ, მაშინ უნდა გვქონდეს სამრეწველო ნარკვევი, სასოფლო-სამეურნეო ნარკვევი და ა. შ., რადგან სახალხო მეურნეობის ამ დარგებში დასაქმებულ ადამიანებსაც არ გააჩნიათ ნაკლები თავისებურებები, ვინემ ჯარის ნაწილებში დასაქმებულ ადამიანებს.

ბ. პოლეგოის კლასიფიკაციაში, როგორც დანახეთ, არის ე. წ. პუბლიცისტური ნარკვევიც. ავტორს მიაჩნია, რომ ეს არის ძალზე ტეგადი, შშეენიერი, ვრცელი ფორმა, რომელიც მენარკვევეს საშუალებას აძლევს, გამოეხმაურის ყველაზე საჭიროროტი მოვლენებს. ამ სახის ნარკვევში, ამბობს ბ. პოლეგოო, მენარკვევე აღწერს ნანახს. ის ცდილობს ისე აღწეროს, რომ მკითხველმა დაინახოს ეს მოვლენა, თითქოს თვითონაც მონაწილეობდა მოვლენის მსელლობაში. მენარკვევეს არ შეუძლია არ გაიზიაროს ეს ნანახი. ამგვარად, პუბლიცისტურ ნარკვევში თვით მოვლენა არის დიდი პუბლიცისტური ლაპარაკის თავისებური ტრამპლინი. ასე ესმის ბორის პოლეგოის ე. წ. პუბლიცისტური ნარკვევის არსი.

ჯერ ერთი, განა არსებობს ნარკვევის რომელმე სახე, რომელშიც არ იყოს პუბლიცისტური მსჯელობა? ასეთი ნარკვევი ჩვენ არ გვაგულებსა, თვით პორტრეტულიც კი. მეორე, ბ. პოლეგოი რეპორტაჟის ერთ თავისებურებას — მკითხველმა მოვლენა ისე დაინახოს, თითქოს ისიც ესწრებოდა მის მსჯელობას — მიაწერს პუბლიცისტურ ნარკვევს, რაც სწორად არ მიგვანნია. მესამე, ნანახის გაჯარება და მასზე მსჯელობა თითქმის ყველა სავაზეთო ჟანრში ხდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე ფორმის ინფორმაციულ ჟანრებს. გამოდის, რომ ბ. პოლეგოის მიერ ჩამოთვლილი არც ერთი თავისებურება, რომელიც თითქოს ე. წ. პუბლიცისტური ნარკვევისათვის არის დამახასიათებელი, სინამდვილეში მისი კუთვნილება არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, პუბლიცისტური ნარკვევის ცალკე სახედ გამოყოფისათვის საფუძველი არ გვქონია, მაშასადამე, ამ სახის ნარკვევიც ძნელი წარმოსადგენია.

რაც შეეხება ე. წ. ანალიტერ ანუ კრიტიკულ ნარკვევს, ჩვენ ამის შესახებ შემდეგი მოსაზრებები გაგვაჩნია.

ჯერ ერთი, საჭიროდ მიგვაჩნია გავყოთ ანალიტიკური და კრიტიკული, რადგან მათი გაგიგებები არ შეიძლება. განა ყველა ანალიზი კრიტიკულია? მოვლენის ან საკითხის, პრობლემის პოზიტიური ანალიზი განა გამოიჩიცხულია? მაგ რაღა საფუძველია ანალიტიზისა და კრიტიკულის ერთ სახედ გაერთიანებისათვის?

მეორე, ე. წ. ანალიტური ნარკვევი, ჩვენი ფიქრით, ცალკე არ შეიძლება არსებობდეს, რადგანაც რაიმეს ანალიზი ნარკვევის ყველა სახისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.

მესამე, თეორიულად ბეკრჯერ გეხდება ლაპარაკი ე. წ. კრიტიკულ ნარკვევზე, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი ნარკვევი თითქმის არ არსებობს. ეს გასაგებიცაა, რადგან რაიმეს გასკრიტიკებლად ვიყენებთ სხვა უფრო შესაფერ ჟანრებს, როგორიცაა კრიტიკული კორესპონდენცია და სხვ. რაღა ნარკვევის საშუალებით ვაკრიტიკოთ, როცა გვაქვს უკვე დასახელებული ჟანრი ანდა ფელეტონი, ან სატირის სხვა ფორმები? თუ ვინმე ფიქრობს, რომ ასეთი სახის ნარკვევში მთავარია პოზიციურის ჩვენება და გაკვრით კი რაიმე ნაკლსაც შეენიშნავთო, ეს ზომ სხვა ჟანრებშიც შეიძლება. ამდენად, ამას ნიშანდოლიე თავისებურად ვერ მივიჩნევთ.

ნათქვამი რომ დაეჯაჭვოთ, ჩვენ ფაქტიურად გამოვრიცხავთ ე. წ. სამხედრო, პუბლიცისტური და ანალიტური ანუ კრიტიკული ნარკვევების ცალკე სახეებად არსებობის შესაძლებლობას.

ბ. პოლეგოის კლასიფიკაციიდან დაგვრჩა სამი სახე: სამოგზაურო, პორტრეტული და მოვლენური. ამათზე კი ღირს ცალკე ვილაპარაკოთ.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ და ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ რაიმეს კლასიფიკაციას ერთნაირი საფუძველი უნდა დაეძებნოს. ბ. პოლეგოის კლასიფიკაციიდან ჩვენ გამოვრიცხეთ ე. წ. სამხედრო, პუბლიცისტური და ანალიტურ-კრიტიკული ნარკვევები იმიტომ, რომ ასეთი დაყოფა სულ სხვადასხვაგვარ საფუძველს ეყრდნობოდა: პირველი თემატიკას გულისხმობდა, მეორე მასალის დამუშავების ხერხს, მესამე კი მასალისადმი დამოკიდებულების პოზიციას.

ნარკვევის სახეებად დაყოფის დროს უნდა ვეძებდეთ ერთიან საფუძველს. თუ გავიზიარებთ ამ დებულებას და ამავე დროს შესაძლებლად მივიჩნევთ ე. წ. სამხედრო ნარკვევის არსე-

---

[1] იქვე, გვ. 19 — 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობას, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ არსებობს მხოლოდ ორი სახის ნარკვევი — სამხედრო და სამოქალაქო, რადგან სამხედროს საპირისპირო მხოლოდ არასამხედრო ანუ სამოქალაქოა; თუ ვირწმუნებენ, რომ არსებობს ე. წ. პუბლიცისტური ნარკვევი, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ არსებობს მხოლოდ სხვა ორი სახის ნარკვევი— პუბლიცისტური და არაპუბლიცისტური და ა. შ. სინამდვილეში კი ასეთი რამ არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მაშასადამე, სახელად ნარკვევის დაყოფის ეს საფუძველი არ გამოდგება და ამიტომ სხვა უნდა ვეძებოთ.

კლასიფიკაციის საფუძველად არც თემატიკა გამოდგება, რადგან ცხოვრებაში ძალზე ბევრი თემაა და ამას რომ გაეკეთო, მეკიუნებდით გაეგონრად ბევრ სახეს. ასეთი საფუძვლად არ გამოდგება არც შინაარსი, რადგან შინაარსიც ურიცხვი შეიძლება იყოს და მასაც თემატიკის ბედი ეწევა. ზემოთ უარყოფით მასალისადმი დამოკიდებულების, პოზიციის საფუძველიც (პოზიტიური თუ ნეგატური), უარყოფილ მასალის დამუშავების ხერხის საფუძველიც (პუბლიცისტური და არაპუბლიცისტური)... მაგრამ ცნობილია, რომ რაიმეს უარყოფა გაცილებით ადვილია, ვინემ მისი სანაცვლოს, ახლის შემოთავაზება. ასე რომ არ იყოს, ნარკვევის სახეების გამოყოფის საკითხიც დიდი ხნის გადაწყვეტილი იქნებოდა.

ჩვენ შესაძლებლად ვვესახება სახეებად ნარკვევის დაყოფის საფუძვლად მიეიჩნიოთ ერთი საფუძველი, რომელიც, მოსალოდნელია, ყველას მიერ არ იქნება გაზიარებული, მაგრამ, როგორც საკითხის გადაჭრის ცდა, შეიძლება შემოგთავაზოთ. ასეთად ჩვენ ვთვლით ასახვის ობიექტის თავისებურებას.

ასახვის ობიექტის თავისებურებებზე დაყრდნობით ნარკვევი შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეებად:

1. საწარმოო ნარკვევი,
2. სამოგზაურო ნარკვევი,
3. მოვლენური ნარკვევი,
4. პორტრეტული ნარკვევი.

I. საწარმოო ნარკვევი

ამ სახის ნარკვევში ასახვის ობიექტია საწარმოო პროცესები ანუ შრომითი პროცესები, განურჩევლად იმისა, თუ სად მიმდინარეობს ეს— ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში თუ სხვაგან. მართალია, ნარკვევის ყველა სახეში აუცილებელია ლაპარაკი ადამიანებზე, მაგრამ აქცენტის გამახვილებაა ვასაოვალისწინებელი — რა არის წამოწეული წინა პლანზე, შრომის პროცესი თუ ცალკეული პიროვნება. საწარმოო ნარკვევში ყურადღება მახვილდება რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც შრომის ანუ წარმოების პროცესში გვხვდება. ასეთი რამ კი ქვეყნის საკოლმეურნეო მინდვრებზე, ზვრებში, პლანტაციებში, ქარხნებში, კომბინატებში, ფაბრიკებში — ყველგან გვხვდება. ინერგება ახალი, იღებენ უზა მოსავალს, ახალ პროდუქციას, იყენებენ რაციონალურ მეთოდებს და ა. შ. სწორედ ამ შრომითი თუ საწარმოო ხასიათის მოვლენების ასახვას ემსახურება ამ სახის ნარკვევი. აქ ადამიანებზეცაა ლაპარაკი, მაგრამ ისინი როგორღაც უკანა პლანზე არიან გადაწეულნი. ეს ადამიანები მონაწილეობენ შრომით პროცესში, მოქმედებენ, მაგრამ ისინი ერთგვარ ფონს ქმნიან, წინა პლანზე კი თვით შრომითი მოვლენა გამოდის, აქცენტი მასზე კეთდება, განსხვავებით პორტრეტული ნარკვევისაგან, რომელშიც წინა პლანზე ცალკეული პიროვნება წარმოიწევა.

II. სამოგზაურო ნარკვევი

ნარკვევის ეს სახე საკმაოდ ძველი და გავრცელებულია. მასში ნაჩვენებია უცხო თუ საკუთარ ქვეყანაში მოგზაური ადამიანის დაკვირვებები და შთაბეჭდილებები ნანახ ქვეყანაზე— მის ეკონომიფიულ, ეთნოგრაფიულ, სოციალურ, პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ, კულტურულ და ა. შ. თავისებურებებზე. ასეთ ნარკვევში მოგზაური, ცხადია, ყველფერ იმის კი არ წერს, რასაც წაიწყდა თუ შეხვდა, არამედ არჩევს მთავარს, მნიშვნელოვანს, რომელიც საინტერესო იქნება იმ საზოგადოებისათვის, რომელმაც უნდა წაიკითხოს ეს ნარკვევი. ქართული სინამდვილიდან სამოგზაურო ნარკვევების კლასიკურ ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ სულხანსაბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“, გრ. ორბელიანის „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“ და სხვა. სამოგზაურო ნარკვევი განსაკუთრებულად გავრცელდა XX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაში.

III. მოვლენური ნარკვევი

მოვლენური ნარკვევის ასახვის ობიექტია რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა. ასეთი მოვლენები შეიძლება ხდებოდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, საერთაშორისო ურთიერთობაში, სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულებაში ომის დროსაც, და ა. შ., რომელთაც დიდი რეზონანსი და საყოველთაო ინტერესი აქვთ. ასეთი ნარკვევის ყურადღების ცენტრში ფუძ მოვლენა, რომლის ფართო გაშუქებასაც ისახავს ავტორი. პოლიტიკური სიმახვილე, პუბლიცისტური მეზნებრობა, საკითხის ანალიზის სიღრმე, შესატყვისი დასკვნები, მოვლენის ხელშესახები ხატვა — აი, ის თვისებები,

ტარიელ კვანტილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ამ სახის ნარკვევს უნდა ახასიათებდეს.

IV. პორტრეტული ნარკვევი

განურჩევლად იმისა, თუ საღ მოღვაწეობს ადამიანი, თუ იგი მოწინავე და სახელმოხვეჭილია, მასზე შეიძლება დაიწეროს ნარკვევი. აქ ნარკვევის გმირის სამოღვაწეო ასპარეზი შეუზღუდავია. იგი შეიძლება მუშაობდეს ქარხანაში თუ კოლმეურნეობაში, არმიაში თუ სამეცნიერო ლაბორატორიაში, თეატრში თუ სპორტში და ა. შ. პორტრეტული ნარკვევის მთავარი თავისებურებაა ადამიანის დახატვა, როცა მისი საქმიანობა ფონია, ხოლო პორტრეტი (ვარეგნული თუ შინაგანი) წინა პლანზეა წამოწეული. პორტრეტულ ნარკვევში ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარეშო, გმირის ირგვლივ მყოფი კოლექტივი — ყველაფერი ეს აისახება იმდენად, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს ნარკვევის გმირის წარმოჩენას, რელიეფურად დახატვას.

ვინც ამ კლასიფიკაციას დააკვირდება, შეამჩნევს, რომ აქ სახეების გამოყოფას საფუძვლად უდევს ასახვის ობიექტის თავისებურება. ერთში საწარმოო-შრომითი პროცესებია ასახვის ობიექტი, მეორეში — მეზობლის მიერ ნანახი და განცდილი, მესამეში — დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენები, მეოთხეში კი — ცალკეული ადამიანი, მისი პორტრეტი.

ჩვენი ფიქრით, რაც კი ნარკვევი დაბეჭდილა ან დაიბეჭდება, ყველა ისინი შეიძლება მოექცეს ამ ოთხი სახეობან რომელიმეში.

ასახვის ობიექტო, რომ ვამბობთ, ეს არ არის თემა. ამას მკითხველი ადვილად შეამჩნევდა. მაგალითად, პორტრეტულ ნარკვევში აუცილებელი თემა შეიძლება აისახოს. ასევეა სამოგზაურო, საწარმოო და მოვლენური. ეგებ ტერმინი „ასახვის ობიექტი" საკმაო სიზუსტით ვერ მივაგნიშნებს ამ აზრს, რომელიც ჩვენი კლასიფიკაციის საფუძველად მიეგინიეთ, მაგრამ თვით პრინციპი, ეფიქრობთ, გასაგები უნდა იყოს.

დასასრულ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთი რომელიმე ჟანრის შიგნით სახეების გამოყოფა რამდენადმე მაინც პირობითია, რადგან მათ შორის საერთო ძალზე ბევრია. ასე რომ არ იყოს, მაშინ დამოუკიდებელი ჟანრები ვვექნებოდა და არა ჟანრის სახეები. ყველაფერი ის, რაც საერთო და სპეციფიურია ნარკვევისათვის, ყველა სახის ნარკვევს მოაქცევს ერთი ჟანრის საზღვრებში. ყველაფერი ის კი, რაც ერთმანეთისაგან განასხვავებს სხვადასხვა ნარკვევს, ქმნის ჟანრის შიგნით სახეებს, თუმცა მათ შორის სადემარკაციო ხაზის მკაცრად გამოყოფა ყოველთვის ვერ ხერხდება.

რაც აქ თქვა ნარკვევის სახეებზე, ეს შეეხებოდა მხოლოდ საგაზეთო-საყურნალო ნარკვევს ანუ ნაბეჭდ ნარკვევს. სინამდვილეში კი ჟურნალისტურ პრაქტიკაში ჩვენ გვაქვს ფართოდ ცნობილი ნარკვევებიც. ესენია კინონარკვევი, ტელენარკვევი და რადიონარკვევი. მაშასადამე, საერთოდ ნარკვევიც ოთხი სახისა გვქონია.

საერთოდ, ნარკვევის სახეებად დაყოფას საფუძვლად შეიძლება დავუდოთ გამოსახვის ტექნიკური საშუალებანი, გამოსახვის ტექნიკა. ამ პრინციპის საფუძველზე გამოვყოფთ:

I. საგაზეთო-საყურნალო ნარკვევს, რომელიც იბეჭდება და მისი გამოსახვის საშუალებად გამოყენებულია პოლიგრაფიული ტექნიკა.

II რადიო ნარკვევი, რომელიც გადაიცემა რადიოთი, მსმენელთა მიერ აღიქმება მოსმენით და მისი გამოსახვის საშუალებად გამოყენებულია რადიოტექნიკა.

III ტელენარკვევი, რომელიც გადაიცემა ტელევიზიით, აღიქმება ხედვით (სმენითაც) და მისი გამოხატვის საშუალებად გამოყენებულია ტელეტექნიკა.

IV კინონარკვევი, რომელსაც უჩვენებენ კინოეკრანზე, აღიქმება ხედვით (სმენითაც) და მისი გამოხატვის საშუალებად გამოყენებულია კინოტექნიკა.

ბუნებრივია, რომ ტექნიკური საშუალებების სხვადასხვაობა თავისთავად იწვევს ნარკვევის ამ სახეთა თვისობრივ სხვადასხვაობასაც.

ამჟამად, ჩვენ განვიხილეთ ნარკვევის სახეები საერთოდ, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ნაბეჭდ ანუ საგაზეთო-საყურნალო ნარკვევზე, რომლის სახეებიც ცალ-ცალკე დავახასიათეთ.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხშირია შემთხვევა, როცა ერთ ნარკვევში შერწყმულია წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ნარკვევის თავისებურებები, ე. ი. გვაქვს კომბინირებული ტიპის საგაზეთო-საყურნალო ნარკვევიც.

ზოგი რამ ქართული ნარკვევის ისტორიიდან

მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევი, ისევე როგორც ყველა სხვა ჟურნალისტური ჟანრი, ჩაისახა და განვითარდა პეროიოდული პრესის გაჩენისა და განვითარების კვალდაკვალ. გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ხდებოდა ყველა ჟურნალისტური ჟანრის თანდათანობითი გამოკვეთა, თვითეული მათგანის მკაფიო ჟანრობრივი სპეციფიკის დადგენა და საბოლოო სახით ჩამოყალიბება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი დღესაც გრძელდება — ჩნდება ახალი ჟანრები, უფრო სრულყოფილად გამოიკვეთება ზოგი „ძველი ჟანრი" და ა. შ.

მაგრამ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ჯერ კიდევ პრესის ორგანოების გაჩენამდე ადამიანების ურთიერთობაში ზეპირსიტყვიერი ფორმით არსებობდა დღევანდელი ჟანრების წინამორბედი, მისი მსგავსი თხრობის ფორმები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ანანახის,

განცდილის, ადამიანის მიერ თავგადახდილის გადმოცემის თავისებურებებით. მართლაც, პრესის ორგანოების აღმოცენებამდე ადამიანები მოწმენი იყვნენ მრავალი ფაქტის, მოვლენის, თავგადასავლისა, რომელთა შესახებაც ერთმანეთს უამბობდნენ, უზიარებდნენ თავიანთ გრძნობებს, განცდებს, ტკივილებს, სიხარულს და ა. შ. უეჭველია, რომ ამ ნაამბობის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნებოდა.

ნადირობიდან თუ ომიდან დაბრუნებული ადამიანები შინ დარჩენილებს უამბობდნენ ნადირობისა თუ ბრძოლის ველზე მომხდარი ეპიზოდების შესახებ. მინდერებიდან თუ ტყიდან დაბრუნებული, შრომისაგან დაქანცული ადამიანებიც მოუყვებოდნენ ერთმანეთს თავიანთ ამბებს. რომელიმე გმირზე, მის საგმირო საქმეებზე ადამიანები ერთმანეთს გადასცემდნენ ამ ამბებს და ა. შ.

ზოგჯერ ეს მოყოლა იქნებოდა მოკლე და სხარტი, როგორც დღეანდელ ინფორმაციულ შენიშვნაში გვაქვს; ზოგჯერ ნადირობისა თუ ბრძოლის მთელ მსვლელობას ყვებოდნენ, მოკლენის მსვლელობის პროცესის შესახებისაც და აქ იქმნებოდა ჩანასახი, წინამორბედი რეპორტაჟისა; ზოგჯერ ცალკე ადამიანის თავგადასავლსა და საქმეებს, მის გარეგნობასაც და სულიერ სამყაროსაც დახატავდნენ და აქ საქმე გვექნებოდა ნარკვევის წინამორბედ თხრობის ფორმასთან და ა. შ.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვავითარებთ იმ აზრს, რომ ჯერ კიდევ პრესის აღმოცენებამდე ზეპირსიტყვიერი ფორმით ჩნდებოდა დღეანდელი ჟურნალისტური ჟანრების წინამორბედი ფორმები, რომლებშიც ჩანასახის, ელემენტების სახით მოცემული იყო რომელიმე ჟანრისათვის დამახასიათებელი თავისებურება.

ჩვენ გავვიჭირდება ამ დებულების დამტკიცება, მაგრამ თუ მოვიშველიებთ ანალოგიის მეთოდს, საკითხი უფრო ნათელი გახდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დამწერლობისა და წერილობითი ლიტერატურის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა ხალხური ზეპირსიტყვიერება, რომლის წიაღშიც ძველადვე ჩანასახა და აღმოცენდა ლიტერატურული ჟანრების წინამორბედი ფორმები. განა ეჭვს იწვევს, რომ ლექსი, სადევგმირო რომანი (როგორც რომანის წინამორბედი) ძველსაქელი ფორმებია და ისინი ლიტერატურული ჟანრების წინამორბედებია? სწორედ ასევე, დღეკანდელი ჟურნალისტური ჟანრების ჩანასახი, წინამორბედი ფორმები უეჭველად იქნებოდა ადამიანთა ურთიერთობაში, მაგრამ მათი კვალი არ შენახულა.

თუ პროფესიონალური თვალით დავუკვირდებით ფოლკლორულ ნაწარმოებებს — ზღაპრებს, გადმოცემებს, ლეგენდებს, შევამჩნევთ, რომ ყოველ მათგანში თხრობას სხვადასხვაგვარი ფორმა, ინტონაცია, რიტმი და სხვ. აქტიბუტია. თხრობის ამ განსხვავებულ ფორმებშიც შეიძლება შეიმჩნიოს მკრთალი, მაგრამ მაინც ერთგვარი კვალი დღეკანდელ ჟანრთა თავისებურებებისა.

შეიძლება უფრო შორსაც წავიდეთ. მომდევნო ეპოქებში, როცა დამწერლობა გაჩნდა და ჩანასახა სასისტორიო მწერლობა, მეფეთა ისტორიულებმა დიაწყეს სამეფო კარის ამბებისა თუ ომების აღწერა. ამ ნაწარმოებებშიც თავს იჩენს თხრობის სხვადასხვაგვარობა ფორმის თვალსაზრისით. ზოგან ეს თხრობა სტატიკური, მომხდარი ფაქტის შედეგია აღწერილი, ზოგგან კი დინამიური და თვით ფაქტის მიმდინარეობაა ნაჩვენები ხელშესახებად, დამსწრის თვალით ნანახის ისეთი გადმოცემაა, როგორიც დაახლოებით დღეკანდელ რეპორტაჟში შეგვხვდება. ამ ნაწერთა ჟურნალისტური ანალიზი საყურადღებო აზრების განვითარების საფუძველს მოგვცემს მომავალში.

უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლებიც, როგორიცაა „შუშანიკის წამება“, „ აბოს წამება“ და სხვ. საინტერესო დაკვირვებების საფუძველს იძლევიან. ამ ძეგლებში უეჭველად გვიძევს ელემენტები ნარკვევისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისა — ფაქტობრივი მასალა, სინამდვილიდან აღებული მოვლენები, კონკრეტული და რეალური პიროვნებები, ამბის ანალიზი, მაგზე მსჯელობა და ა. შ.1

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ პრესის ორგანოების აღმოცენებამდე ადამიანები სინამდვილის ფაქტებსა და მოვლენებს აღიქვამდნენ სხვადასხვაგვარად და, ზეპირი თხრობით თუ შემდეგში წერილობითაც, ნანახ ფაქტებზე და მოვლენებზე ყვებოდნენ სხვადასხვა ფორმით, რაც მომავალი ჟანრების ჩანასახად, ელემენტებად, წინამორბედებად მიგვაჩნია.

ხოლო, როცა გაჩნდა პრესის ორგანოები, ადამიანები უკვე შეშზადებული იყვნენ იმისათვის, რომ გაზეთებისა და შემდეგ ჟურნალების ფურცლებზე ყველაფერი ერთნაირი ფორმით კი არ აღეწერათ, არამედ განსხვავებული ხერხებითა და ფორმებით. ეს განსხვავებული ფორმები პირველ ხანებში ჯერ ნაკლებად გამიჯნული და არამკაფიოდ ჩამოყალიბებული სახის მქონე იყო, ხოლო შემდეგ თანდათან მოხდა მკვეთრად განსხვავებული ჟანრების წარმოშობა, ჩამოყალიბება, განვითარება.

* * *

ზემოთ ჩვენ მიეუთითეთ ომარ შურღაიას მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ ნარკვევის

1 ეს თვალსაზრისი თავის სადიპლომო ნაშრომში განავითარა ამჰ ო. შურღაიამ 1967 წ. 1 ნახევარში (ხელმძღვანელი პროფ. ტ. კვანჭილაშვილი).

ტარიელ კვანჭილაშვილი
ნარკვევის თავისებურებანი

ელემენტები შეიძლება შევამჩნიოო ქართულ ავტოგრაფიულ ძეგლებში. მართლაც, რომ ავიღოთ „ამოს წამება“ და ნარკვევის პოზიციიდან დავუკვირდეთ მას, დავინახავთ, რომ აქ პორტრეტული ნარკვევის ელემენტები საკმაო დოზით არის წარმოდგენილი. ამოს პიროვნება იმ დროინდელი ქართული საზოგადოებისათვის მეტად საინტერესო და საყურადღებო იყო. იგი თავისი მოქმედებით საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პერსონაჟი გახდა. იგი კონკრეტული, რეალურად არსებული პირია, აქვს თავისი თავგადასავალი, იდეა, მისთვის თავგანწირვა. ის მოქმედებს კონკრეტულ დროში, ადგილსა და გარემოში. მის გვერდით არიან რეალურად არსებული ადამიანები. ისტორიული ეპოქის ფონი კონკრეტული და ზუსტია. ყველაფერი ეს პორტრეტული ნარკვევის ბევრ დამახასიათებელ თვისებას შეიცავს. ამოს პორტრეტიც ხომ მშვენიერადაა დახატული ამ ნაწარმოებში.

მართალია, „ამოს წამებას“ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში საკმაოთლანად აქვს მიკუთვნებული თავისი ადგილი და ჩვენ ამ ადგილის შეცვლას არ ვაპირებთ, მაგრამ არც იმისი უთქმელობა და თვალის დახუჭვა არგებს ვინმეს, რომ ამ ნაწარმოებში საკმაოდ ძლიერადაა მოცემული ნარკვევის ელემენტები.

მაინც ქართული ნარკვევის სათავე სულხან-საბა ორბელიანიდან უნდა დავიწყოთ. ჰისი „მოგზაურობა ევროპაში“ უნდა მივიჩნიოთ ქართული კლასიკური სამოგზაურო ნარკვევის ნიმუშად. ბრძენი და განსწავლული სულხან-თავის ნარკვევში დღიურების სახით აკვიწერს ევროპის ქვეყნებში ნანახს, გადმოგვცემს თავის დაკვირვებებს და შთაბეჭდილებებს — ხალხების პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, სოციალური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

მწერალი თავის ნაწარმოებში აკვიწერს იმას, რასაც ხედავს, მხოლოდ რეალურს და საკუთარი მისამართის მქონეს. განსჯა და ნანახის გაანერება, აეტორის დამოკიდებულების გამჟღავნება — ყველაფერი ეს აგრეთვე ნარკვევისაა. ნაწარმოების სიუჟეტი ეითარდება მოგზაურობის კვალდაკვალ და თარიღების აღნიშვნით დღიურების ფორმაა გამოყენებული. ეს გარემოებაც ჩვენ „მოგზაურობაში“ სამოგზაურო ნარკვევს დაგვანახებს.

ამავე ასპექტში უნდა განვიხილოთ რაფიელ დანიბეგაშვილის თხზულება[1]. მან 1795—1813 წლებში იმოგზაურა თურქეთში, ომანში, ინდოეთში, ცეილონზე, ბირმაში, ჩინეთში, ციმბირში და ამ მოგზაურობისას ნანახი თუ თავგადასავალი გვიამბო ამ წიგნში. დასახელებული წიგნის წარმატებულობაში ეკითხეთობთ: „დანიბეგაშვილის ნარკვევი მცირე მოცულობის მიუხედავად მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს ავტორის მიერ ნანახი შორეული ქვეყნებისა და მათი ხალხების შესახებ“. ეს დახასიათება ძალზე ზუსტი და ლაკონური. ჩვენ აქ მკითხველის ყურადღებას იმაზე ვამახვილებთ, რომ რედაქციის იგი ნარკვევად მიიჩნია.

თხზულებაში თხრობა მიდის პირველ პირში: „ახალუახე რომ დავტოვე და გამოვიარე...“ ავტორი აგვიწერს თავისი მოგზაურობის მარშუტსა, გეოგრაფიულ გარემოს, ხალხებს, მათ მოსაქმეობას, ადათ-ჩვეულებს, ქონებრივ მდგომარეობას, პოლიტიკურ წყობას და ა. შ. ეს ყველაფერი ძვირფასი ცნობებია აღწერილი ქვეყნების მაშინდელი მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ამდენად, ამ ნარკვევს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

დიმიტრი იოვაშვილს ნარკვევად მიაჩნია ავრეთვე ოთარე ბაგრატიონის „ალმასობა“. „ოთარე ბატონიშვილის „ალმასობა“, რომელსაც ჩვენ აგრეთვე ვუკავშირებთ ქართული მხატვრული ნარკვევის სიწყისებს, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებების დაწერიდან ერთი საუკუნის შემდეგ შეიქმნა“ [2], წერს დ. იოვაშვილი.

ჩვენი ფიქრით, „ალმასობა“ ნარკვევის ფარგლებს სცილდება, თუმცა მასში ბევრი რამაა ისეთი, რომელიც მას ნარკვევად უთვლიდს. თხზულება დაწერილია 1813—1828 წლებში.

ჩვენ სავსებით ეეთანხმები „ალმასობის“ გვი მიქაძისეულ შეფასებას:

„ალმასობის“ მრავალფეროვანი შინაარსი გადმოცემულია ორიგინალური მხატვრულ-ლიტერატურული ფორმით. ის თავისებური სამოგზაურო ჟანრის თხზულებაა და დაწერილია დიალოგიური სახით.

„მიმოსელ“, ანუ სამოგზაურო ჟანრი ავტორმა მოიმარჯვა როგორც საკომპოზიციო ხერხი. მხატვრული დასაყრდენი, რის საშუალებითაც მას შესაძლებლობა ეძლევა თხზულების თავადი მოქმედი პირი — იონა ხელაშვილი მოატაროს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. შეახვედროს მისთვის საინტერესო ისტორიულ პირებს და მათთან გასაუბრებით გვიჩვენოს ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობა, მკითხველს დაანახოს სახელმწიფო მოხელეთა უარყოფითი მხარეები, ამხილოს ისინი, უჩვენოს საქართველოს დაკნინების მთავარი მიზეზები და გადმოგვცეს, როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის აღორძინება.

... თუ სამოგზაურო ჟანრის ადრინდელ მწერლობაში ძირითადად გეზგდება გეოგრაფიული პუნქტების, მნიშვნელოვანი ადგილებისა და ღირსშესანიშნაობათა აღწერა, „ალმასობაში“ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართვე-

---

[1] „თურქეთი წელი აზიის ქვეყნებში. რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963 წ.

[2] დ. იოვაშვილი, თანამედროვე ქართული მხატვრული ნარკვევი, თბილისი, 1965 წ. გვ. 42.

ლოს საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური სურათების აღწერას"[1].

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ გ. მიქაძე „კალმასობას" თელს სამოგზაურო ჟანრის თხზულებად, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს ნაწარმოები ნარკვევია. მკვლეველი მიუთითებს, რომ მასში შინაარსი გადმოცემულია „ორიგინალური მხატვრულ-ლიტერატურული ფორმით". მაგრამ ასეთი ფორმა ხომ შეიძლება ლიტერატურულ ნაწარმოებსაც ჰქონდეს და ნარკვევსაც? ჩანს, გ. მიქაძე თავს იკავებს ამ საკითხზე პასუხის გაცემისაგან, რადგან „კალმასობაში" მართლაც არის ბევრი ისეთი რამ (მაგ., სარწმუნოებრივი დამოძღვრებანი, ფილოსოფიური მსჯელობანი, იუმორის თავისებური გამოყენება...), რაც ამ ნაწარმოებს საგრძნობლად აცილებს ნარკვევის ჩარჩოებს.

მე-19 საუკუნის საქართველოში ნარკვევი კიდევ უფრო ვანვითარდა. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გრ. ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურგამდის", რომელშიც, გარდა ნანახის აღწერისა, მკაფიოდ გამოსჩენილ ავტორის პოლიტიკური მრწამსია.

სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ გამოთქმულია აზრი, რომ ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები", აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი", ალ. ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონება", გიორგი წერეთლის „მგზავრის წიგნები" („კიკოლეკი, ჩიკოლეკი და კუდაბზიკა") და ზოგი სხვა მწერლის ნაწერიც — ნარკვევია. ჩვენი ფიქრით, ეს დებულება დაზუსტებას მოითხოვს. ხელოვნებით ამ დებულების დამტკიცება გაჭირდება მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება შეთანხმება თვით ნარკვევის ჟანრის საბოლოო განსაზღვრაში. სწორედ იმიტომ, რომ ჟანრის თავისებურებები სხვადასხვა ავტორს სხვადასხვაგვარად ესმის, ამა თუ იმ ნაწარმოებსაც ზოგი ნარკვევს უწოდებს, ზოგი მოთხრობას და ა. შ.

ამ მოკლე ისტორიულ ექსკურსში შეუძლებელად მიგვაჩნია ყველა დასახელებული თხზულების დაწერილებითი ანალიზი, ამიტომ ამ საკითხის გარკვევას მომავლისათვის გადავდებთ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნაკოლაძის, გ. წერეთლის, ს. მესხის, ვ. ...ძეს, ე. ნინოშვილის და მრავალი სხვა მწერლისა თუ ჟურნალისტის პუბლიცისტური ...ვიდრეობაში ცოტა როდი გვხვდება ისეთი ნაწერები, რომლებიც მკაფიოდ გამოკვეთილი, ან მიახლოებით ნარკვევებია, მაგრამ მათი პროფესიონალური ანალიზი ჯერ არ მომხდარა, ეს საქმე მკვლეველს ელის.

კიდევ უფრო ვამრავლდა ნარკვევი XX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ამ ჟანრში თავიანთი კალამი სცადეს, როგორც ძველი თაობის, ასევე საშუალო და ახალგაზრდა თაობის ლიტერატორებმა თუ ჟურნალისტებმა. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც მარტო ავტორთა გვარები, რომ ნათელი გახდეს ახალი ქართული ნარკვევის მასშტაბები.

ნარკვევები დაგვიწერეს მიხეილ ჯავახიშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ილო მოსაშვილმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ირაკლი აბაშიძემ, ბორის ჩხეიძემ, სიმონ წეკერავამ, ელიზბარ ზედგინიძემ, ელიზბარ უბილავამ, სერგო ხარაზიშვილმა; გურამ რჩეულიშვილმა, სტეფანე მხარგრძელმა, და მრავალმა სხვა ავტორმა. მათი ნარკვევები განსხვავებულია თემატიკით, წერის მანერით, გამოსახვის ფორმებით და ეს სასეენთი ბუნებრივია. ამ ავტორთა ნარკვევებს საერთო ნიშნია ჟანრობრივი გამოკვეთილობა, ეპოქის შეატყვეისი პოზიცია, შემართება და პათოსი, საზოგადოებრივად ყველაზე მნიშვნელოვანნი მოგონებებისა თუ პრობლემების შერჩევა, ადამიანთა სამყაროს ჩვენების ხარისხი და ა. შ. ყველა მათგანში კარგად ეხვდავთ საბჭოთა მშენებლობის ძირითად ეტაპებს, ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანებს, ის საზოგადოებრივ გარდამქმნებს, რასაც ჩვენს ქეყანაში ჰქონდა ადგილი.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ პროფესიონალური დონის თვალსაზრისით თანამედროვე ნარკვევები ერთმანეთისაგან ძალზე ვანსხვავებულია. ზოგ მათგანს ეტყობა ნაჩქარობა, დაუსრულებლობა და ზოგჯერ შტამპაც. იგრძნობა, რომ ზოგი ავტორი თემატურ აქტუალობას ფარად იშველიებს, რათა მხატვრულ-პროფესიონალური ღირსებების უკმარობა დამალოს.

ნათქვამის მიუხედავად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ჩვენს თანამედროვეობაში დაიხვეწა, ჟანრობრივად გამოიკვეთა და განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა ქართული ნარკვევი. ამის თვამდენი ტიციან ტაბიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ირაკლი აბაშიძის და სხვ. ნარკვევები.

---

[1] „ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1966 წ., გვ. 710—711.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფუძცლები

თამარ ოქროშიძე

ცოტა რამ ეროვნებიდან

1958 წლის ზამთარში პირველად ვნახე გიორგი ლეონიძის ლამაზი სოფელი. ექსპედიციის წევრთა წინაშე გადაიშალა ნადარბაზევები და ნაარხალები, მარნები და ქვევრები, შუა სოფელში ამართული ბუტულაანთ კოშკი, წარსულის ნანგრევები და ახალი მშენებლობა, სოფლის ძველი და ახალი სახე, რომელიც ასე კარგად ჩანს გიორგი ლეონიძის პოეზიასა თუ პროზაში.

იქ გავეცანი პოეტის მეგობრებს გულიაანთ შაქროს, ვასო და გიგო ფიცხელაურებს, ტიტა და ვანტუა ჯიღაურებს, ელისო იანჭოშვილს, ონაანთ იის, თათრიშვილ ვალიოს, ცხვრიაანთ შაქროს, ანა ზუკაიშვილს, რომელმაც ძუძუ აწოვა ჩვილს, მაღალ, გამზდარ შავკაბიან ქალს, პატარძეულლები „სოფლის ეზრის“ რომ ეძახიან. ვნახეთ მაიო დეიდას ეზო და ნასახლარი.

ვეცნობოდით აქაური მშრომელ ხალხს, ესწავლობდით სოფლის ავ-კარგს.

— გოგლა ბავშობიდანვე გვიკითხავდა ისტორიულ ამბებს, — გვიამბობდნენ აქ, — გვაცნობდა ჩვენი ქვეყნის წარსულს. ზშირად ნახავდით ხის ძარში ბჯდომარე გოგლას წიგნით ხელში, გარშემორტყმული სოფლელებით, რომლებიც გატაცებით უსმენდნენ ყრმა პოეტს.

აი, რას წერს თოთხმეტი წლის ვაბუკი გიორგი ლეონიძე ამის თაობაზე თავის კორესპოდენციაში 1913 წელს, „ჩვენი დროების“ (№ 17) ფურცლებზე.

წიგნების გამომცემელი ამხ. „ციხერის“ საყურადღებოთ

ქართულ წიგნების გამომცემელ „ციხერის“ ამხანაგობა სთხოვდა გაზეთით ეცნობებინთ მისთვის დაინტერესებულ პირთ, მიაწოდონ მას ცნობა, თუ რა ხასიათის წიგნებს უფრო კითხულობს ხალხი. მე, ხშირად წამიკითხნია სოფელში ხალხისთვის ქართული წიგნები. (ს. პატარძეული, თბილისის გუბ. თბილისის მაზრა) ხალხი ყოველთვის თანაგრძნობით შეხვედრია ჩემგან წაკითხულ წიგნებს. ამ მიზეზით მე შემდეგი დასკვნა გამოვიყვანე: ხალხს უფრო მოსწონს ისტორიული ხასიათის წიგნები. მთ ერეანტტელი დაუფლით ხოლმე ტანში, როდესაც სამირო ამბავს გიიგონებენ. თითქოს იფეთქებს ხოლმე მასში სიმამაცის ნაპერწკალი. მე რამდენჯერმე მთხოვეს წამეკითხნა მათთვის ისტორიული წიგნები. წაუკითხე ილია ჭავჭავაძის — „დიმიტრი თავდადებული“. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ამ პოემამ ხალხში და იქ მდგომი მოხუცნი აატირა... წავიკითხე ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“, ცახელას „გურგენ რაინდი“, იაკობ გოგებაშვილის „თავდადებული ქართველი“. ყველა ამ წაკითხულ წიგნებზე დიდი მადლობა გადამიხადეს და გაიძახოდნენ: „ამოტოლა შაინი როგორ გამოიგონესო!“ ასეთია ხალხის გემოვნება, მაგრამ ჩვენ ცოტა გვაქვს ძალიან ისტორიული პოემა-მოთხრობები, მათი უმრავლესობა გაფანტულია მრავალს ქართულ პერიოდულ გამოცემებში...“ ხელს აწერს: გ — ძე (გ. ლეონიძე).

სოფლის ზემო კუთხეში ვმუშაობდი დილიდან. შუადღე ისე შემომპპარვოდა, არც გამიგია. ზღაპრებს ვიწერდი. ჩემი მასპინძელი, ენამტყველი ქალი, დაუღლელი მთხრობელი იყო, ბავშვმა შემოირბინა:

— აქ თამარი ყოფილა, მასთან მოვიდნენ და სთხოვენ, გამოვიდესო!

გამიკვირდა, ვინ მომაგნო-მეთქი. გამოვედი. ქვეკი, პატარა საყდრის ფონზე გოგლა დავინახე, წაშლილ საფლავებს შუა დადიოდა, რა-

ლაცას დაკვირვებით ეძებდა, გამეხარდა, მასთან მივრბინე. ძალიან ნასიამოვნები იყო, რომ დროს არ ვაცდენდით ექსპედიციის წევრები.

— მამაჩემის საფლავის ქვა დაკარგულია,— მითხრა დანანებით, — აი, აქ არის დასაფლავებული, — მიმითითა საყდრის წინ. — ახლა დედის საფლავი მინდა ვნახო. დედაჩემმა არ ინდომა ქმრის გვერდით, მოითხოვა, მე ხალხი მიყვარს, მუდამ მათთან ვიყავი და ხალხში დამასაფლავეთო! — მიამბობდა გოგული, — აი, აქ არის დედაჩემი! — თქვა მან და ქუდი მოიხადა.

პატარძეულში დიდძალი მასალა ჩავიწერეთ. ბევრი საინტერესო ზღაპარი მიამბო ახალგაზრდა ქალმა ზაირა როსტაშვილმა. ერთი დამამახსოვრდა განსაკუთრებით. ამ ჯადოსნური ზღაპრის მთავარი პერსონაჟი თამარ მეფეა, რომელიც აქ წარმოდგენილია ჩვეულებრივ ქალად, იგი აქ დედაა, ამქვეყნიური ენებებით, მაგრამ ამავე დროს იგი თავისუფლად მიდის ღმერთთან უშვილობის წამლის სათხოვნელად, პირმშოს უფაფლ ანათვლინებს, მზის საყვარელია. და, როცა ზაირას ეს უკანასკნელი ფრაზა უნდა წარმოეთქვა, იგი შეჩერდა, წამოწითლდა, თვალები ცრემლებით აევსო, უარი სთქვა განგრძობაზე: „თამარ მეფე მაგ არაკში არ გამოდის კარგი, თამარ მეფეს შეურაცხყოფას ვაყენებო, — თქვა მან და მერე შემეკითხა, „არ შეიძლება გადავაკეთოთ თამარ ქალად? თამარ ქალი და თამარ მეფე შორიშორ არიანო“. ბოლოს იმით დაინუგეშა თავი, ეს ხომ არაკიაო. მე ეს მომენტი სქოლიოში ჩავიტანე.

ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ლეონიძემ მოითხოვა გარე კახეთში ჩაწერილი მასალები. რამდენიმე დღე გულდასმით თავალიერებდა, კითხულობდა. ერთ დღეს მიხმო კაბინეტში შესვლისთანავე აღტაცებულმა მიმართა: — შენ იცი, ქალო, რომ ეს ერთი სქოლიო თამარ მეფეზე მთელ ექსპედიციად ღირს, ეს ხომ ჩვენი ხალხის შეხედულებაა მეფე ქალზე, ეს ხომ ხალხის გულია, რომელიც სათუთად უკლის თამარის სახელს, არავის მისცემს უფლებას მისი აუგად ხსენებისა. აი, ამ პატარა ქალის შეკრთომა, თამარ მეფის ხსენებაზე, მიწიერ ამბებთან დაკავშირებით, ხომ ამის მაჩვენებელია! — ძალიან ქმაყოფილი და გახარებული იყო პოეტი, თვალები უბრწყინავდა. ეს იყო 1958 წელს.

შემდეგ კი, 1964 წელს, როცა მე მას ხეცსურეთიდან და ფშავიდან დაბრუნებულმა ერთი მარტოხელა ქალის, კარგი მქსოველისა და ჩოხების მკერავის თავის თავზე დატირება წაუკითხე, ვიგრძენ, პოეტი შესძრა ამ სამსტრიქონანმა ტექსტმა:

გული გამოკლაო, მოტირალნო.
კარგ, უკეთესის კეთებამაო,
სუ სხვათა ტანის შეენებამაო.

სადაც უნდა შეეხვედროდი ამის შემდეგ გიორგი ლეონიძეს, ქუჩაში, სამსახურში, ოჯახში თუ სხვაგან, ყოველთვის მთხოვდა „აბა ის ნატირალი მითხარიო“. მოსმენის შემდეგ ღრმად ჩაფიქრდებოდა, ეგრძნობდი, სურდა სადღაც ჩაერთო იმ უბედო ფშაველი ქალის მარტოობის ნაღველი. არ დასცალდა.

ჩვენი დიდი პოეტის უდროოდ გარდაცვალებამაც ხომ ასეევე გამოკლა ყველა პოეზიის მოყვარულის გული, ქართველი ხალხის გული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლქრძი ჭეიშვილი

ჭრიჭინა

მოთხრობა

ფანჯრის რაფაზე იდაყვებით დაყრდნობილი, შილფად ჩაცმული ორმოცდაზუთიოდე წლის მამაკაცი მოპირდაპირე მხარეს მაღაზიის წითლად განათებულ აბრას გაკვირვებული მისჩერებოდა. მერე გაუპარსავ სახეზე დამცინავი ღიმილი გამოეხატა და საფეთქელი საჩვენებელი თითით მოიქექა. რუსული აბრის ერთ-ერთი ასოს წინა ფეხი არ ინთებოდა და წარწერას, ქართულად მოაზრიანებულთათვის, სულ სხვა მნიშვნელობა ეძლეოდა. ანდრო ჩხენკელი კი, ბუნებით პატოსანი კაცი იყო და წარწერა, პირველ რიგში, საკუთარი თავის შეურაცხყოფად მიიჩნია. უეცრად ისეთ გუნებაზე დადგა, მაღაზია დაკეტილი რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად ჩავიდოდა და უყურადღებობისათვის დირექტორს საკადრის მიუზღაედა.

ცოტა ხანს შუბლშეკრული იდგა. მერე გადაწყვეტა, ხვალამდე მაინც არაფერი გამოვაო, აბრას თვალი აარიდა და ქუჩაში დაიწყო ყურება. მსუბუქი მანქანები და საქალაქო ტრანსპორტი გრძელ რიგად მიმოდიოდა აქეთ-იქით. ტროტუარები ხალხით იყო სავსე. მაღალ ჭადრებს ბეღურები შესცოდნენ, ფრთების განუწყვეტელი ფრთხიალი და ჭიკჭიკი მოისმოდა.

ანდრომ ყურადღება ქუჩიდან ჭადრებზე გადმოიტანა. ჩიტების ჭიკჭიკი ყოველთვის კარგ გუნებაზე აყენებდა და ახლაც, მიუხედავად იმისა, მაღაზიის დირექტორზე იყო გაბრაზებული, მაინც გაეღიმა... მერე უეცრად საკუთარი გულის უცნაურად აჩქარებული ხმა მოესმა. დღეს უკვე, ალარც ახსოვს, მერამდენედ მოსდიოდა ასე. უკვირდა. ემნიოდა კიდეც რაღაც არ მომივიდესო. მაგრამ სასიამოვნო ნიაღვარი ძარღვებში რომ თბილად უელიდა, შიშსაც ავიწყებდა და იმ ტკივილსაც, სამსაზურიდან შინ დაბრუნებულს რომ მოპყვა.

ანდრომ თანდათან გადაავიწყდა მაღაზიის დამცინაგებული აბრა, ახმაურებული ქუჩა და ჭადრებიც გაერა მისი მხედველობიდან და ისევ გაწყვეტილ ფიქრს მიეცა იმ ქალიმილზე, დღეს რომ მათ დაწესებულებაში მოვიდა სამუშაოდ.

ქალიშვილი საშუალო ტანის იყო. გულამოჭრილი, უსაზღვრო კაბა და თეთრ, უწინდო ფეხებზე მაღალქუსლიანი წითელი ფეხსაცმელი ეცვა. ოთახში სახეგაბადრული შემოვიდა. იქ ანდროს გარდა არავინ დახვედრია და მისკენ გაემართა.

—გამარჯობათ, — თქვა ქალიშვილმა და ხელი გაუწოდა, — მე ახალი თანამშრომელი ვარ.

— კეთილი, — მიუგო ოდნავ დაბნეულად ანდრომ და ხელი ჩამოართვა.

ქალიშვილი მოურიდებლად შეასურებდა და ულიმოდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

ანდრომ უხერხულობა იგრძნო და მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს დაჰედა. უეცრ მოეჩვენა, რომ ეს ეგოო სასტიკად თავხედი იყო, მისთვის არც სირცხვილი არსებობდა და არც არაფერი.

„თუ ასე განაგრძო, სჯობია ახლავე მოუსვამ აქედან. ბოლოსდაბოლოს მაგის ხნის შვილი უნდა მყავდეს“, — ფიქრობდა შეურაცხყოფილი ანდრო.

მაგრამ შემდეგ და შემდეგ ქალიშვილის ლამაზმა სახემ, ჭკვიანურმა თვალებმა და თავისუფლმა, ძალდაუტანებელმა ლაპარაკმა სხვაგვარ გუნებაზე დააყენა ანდრო. ქალიშვილს ღიმილი არ შორდებოდა სახიდან და ანდრო უკვე ამ ღიმილის შესაფერ ეპითეტებზე ფიქრობდა: სათნო, კეთილი, ლამაზი.

— უკაცრავად, მეერი საქმე გაქვთ, არა? — კითხა უცებ ქალიშვილმა.

— დიახ... ასე ვთქვათ, — მიუგო ანდრომ.

ქალიშვილმა მიიხედ-მოიხედა და ყრუ კედელთან ჩამწკრივებული კარადებისაკენ გაემართა. სწრაფად ჩამოუარა ყველა მათგანს. მერე განყოფილების გამგის — ოთარ კახიანის მაგიდასთან მივიდა, იატაკზე გადმოსაკიდნად გამზადებული ქაღალდი გვერდზე მისწია და ტელეფონის ყურმილი აიღო.

ანდრომ გაიფიქრა, ახლა სადღაც დარეკავსო, მაგრამ ქალიშვილმა ყურმილი დადო და ისევ ანდროს მიუბრუნდა.

—მაპატიეთ, თქვენც ინჟინერი ბრძანდებით?

— დიახ, თქვენ?

— მეც. წელს დავამთავრე.

— აჰა.

ქალიშვილი ანდროს გვერდით, თავისუფალ მაგიდას დააცქერდა და კითხა:

— ამ მაგიდასთან ის თმაშეღებილი კაცი ხომ არ ზის?

— რომელი?!

— აქეთ რომ მოვდიოდი, დერეფანში შემხვდა.

— არ ვიცი, ვისზე მეუბნებით?

— ამ თოასმიდან გამოვიდა.

— აააა, ის ჩვენი მთავარი ბუღალტერია, — გაეცინა ანდროს, — კი მაგრამ, როგორ შეატყეთ, თმა რომ შეღებილი აქვს?

— მაგას რა შეტყობა უნდა, — ქალიშვილმა სკამი გამოსწია და ანდროს შეხედა, — შეიძლება აქ დავჯდე, არა?

— დაბრძანდით.

—გმადლობთ.

—მანც როგორ შეატყეთ? — კითხა ანდრომ.

— რა?

— ბუღალტრის თმაზე გეკითხებით.

— ჩვეულებრივად. სახე დანაოჭებული აქვს, თმა კი, ოცი წლის ბიჭივით შავი.

— მართალი ხარო, — ანდრომ კმაყოფილებით დაიქნია თავი, — მაგრამ ხომ ხდება, რომ თმის ფერი ღრმა მოხუცებულობაშიაც არ ეცვლებათ?

— იშვიათად. თუმცა შეიძლება შევცდი, იქნებ არც თქვენი მთავარი ბუღალტერი იღებავს თმას.

— როგორ არა, — ჩაეცინა ანდროს და ხმას დაუწია, — იღებავს.

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენც რომ შეიღებოთ, ისევე შეგეტყობათ...

—რა სისულელეა, მე არც გაპირებ, — გაუწყვეტინა ანდრომ, — ის ჩემზე ბევრად უფროსია.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— მე?

ანდრო წამით დაფიქრდა: რამდენი გუთხრა, ორმოცი თუ ცოტა ნაკლები. სანამ გადაწყვეტდა, ქალიშვილმა დაასწრო:

— ალბათ ორმოცდათორმეტის, შეიძლება ცოტა მეტისაც, არა?

ანდრო გაშრა. უარის თქმა დააპირა, მაგრამ ნერწყვი გადასცდა და ხველება აუტყდა. თვალებიც სახე წამოუწითლდა.

ამ დროს განყოფილების გამგე, ოთარ კახიანი შემოვიდა ოთახში, თავის მაგიდასთან მივიდა და უჯრაში რაღაცას დაუწყო ძებნა.

ანდრო გაუნძრეველად იჯდა, ღია ფანჯარაში იყურებოდა და ფიქრობდა: ნუთუ ასე გამოვიყურება? როგორ თქვა? — ორმოცდათორმეტის, შეიძლება ცოტა მეტისაცო. ცოტა მეტი რამდენნაირ? ორმოცდაცამეტი, ორმოცდათითხმეტი, რაღა აკლია ორმოცდათხუთმეტს.

მერე თავისი თავი წარმოიდგინა: გაჭაღარავებული თმა, მოგრძო, წუხანდელი სმისაგან დაბეჟვნებული სახე, გამშრალი ტუჩები, ოდნავ მელნისფერი რომ გადაკრავს, ამოლუფჯებული, დანაოჭებული უცქერი და დაწითლებული თვალები.

საშინლად დასწყდა გული, უცებ მოეჩვენა, რომ ყველაფერი დამთავრდა. კვდებოდა ანდრო ჩნენკელი, და ადარაფერ წასული ცოლ-შვილი ვერც კი დანახავდა, როგორ სძვრებოდა სული, შორდებოდა შეჩვეულ მზეს და ცას, ნაცნობებს, უცნობებს, ამ ღამაზ ქალიშვილს, ჯერ რომ სიამოვნებით აუვსო გული, მერე კი ყველაფერი ჩაამსამა... თვალებზე ცრემლები მოადგა

— არ გესმის? ანდრო!

განყოფილების გამგის ხმა მოესმა და გამოეფხიზა.

— ა?

— რა მოგიციდა?

ანდრომ უაზროდ გაიღიმა და თავი გააქნია, არაფერი.

— თუ იცი, სად ჯინდაბაში წავიდა მესტიის სასტუმროს პროფექტი, მმართველს უნდა ვანახო.

— მანდ იდო მაგიდაზე, — ანდრო სკამიდან წამოიწია, — ქაღალდების ქვეშ ნახე.

— აქ ყოფიხარ, არ გადაგყვევი ამის ძებნას! — ოთარ კახიანმა პროექტი აიღო და ოთახიდან გავარდა.

ანდრომ შურით გაყოფილა თვალი. წუხელ ერთად სვეს. ოთარს არც სუფრაზე და არც ახლა არაფერი ეტყობოდა, ანდრო კი, გუშინ ისე გამოიბრუკა, აღარც ახსოვს, როგორ მივიდა შინ.

გაოფლილ სახეზე ცხვირსახოცი მოისვა და ქალიშვილისაკენ გააპარა თვალი, იგი თავდახრილი იჯდა და რაღაცას წერდა.

ანდრომ ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო და ისევ დაფიქრდა. მას ახლა აინტერესებდა, წუხანდელი სმისაგან რომ არ ჰქონოდა ცხვირ-პირი დასიებული, რას იტყოდა ქალიშვილი, მაინც ათი წლით დაბერებდა?

— „რა თქმა უნდა, არა!" — დაასკვნა ბოლოს.

მერე კვლავ იმ პირველ შთაბეჭდილებას მოუტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალდა, ქალიშვილზე რომ მოახლინა მისმა გარეგნობამ და თავში ისევ აფრა ყველაფერი.

მაგრამ ეს გაბნყობილება დიდხანს არ გაჰყოლია. ნაუუადღვეს მერე სხვაგვარად დაიწყო ფიქრი. რაც მთავარია; საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ ახალი თანამშრომელი ძალიან მოსწონდა და საოცრად სასიამოვნო იყო ამაზე ფიქრი. საერთოდ, ოპტიმისტი კაცი გახლდათ. სჯეროდა, მონდომება საქმის ნახევარი იყო.

ანდრო, საბოლოოდ, ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდა: ამაღამ კარგად დაესვენა და დილით დაწყნარებული სახით გამოცხადებულიყო ქალიშვილის წინაშე...

გადასასვლელთან ბოძზე ჩამოკიდებულ ყვითელციფერბლატიან საათს გახედა.

„რა დრო გასულა!" — გაიფიქრა და გამობრუნდა. კარი ჩაკეტა. მერე ლოგინი გაშალა. სინათლის ჩასაქრობად რომ მივიდა, გაახსენდა, წვერი ჰქონდა გასაპარსი. დილით გავიპარსავო, გადაწყვიტა, სინათლე ჩაქრო და დაწვა.

რამდენიმე წუთს გულაღმა იწვა. მერე რული მოერია და თვალები რომ დახუჭა, ქალიშვილის სახე წარმოიუდგა: ერთ ღამეში საოცრად შეცვლილ, გაახალგაზრდავებულ ანდრის ვაოცებული შეესწრებოდა. სჯეროდა და არც სჯეროდა, თუ ის იყო.

ქმაყოფილი ანდრო მარჯვენა გვერდზე გადაბრუნდა. უეცრად იატაკზე რაღაცამ გაიფიანა, თითქოს ნახევრად ცარიელი ასანთის კოლოფი შემოეგდოთ ფანჯრიდან. წამოიწია. იმ ადგილს დააკვირდა, სადაც, მისი აზრით, ასანთის კოლოფი დაეცა. არც ასანთის კოლოფი ჩანდა იქ და არც არაფერი. ალბათ მოეჩვენაო, გაიფიქრა და დამშვიდებული საწოლზე დაეშვა.

შუაღამისას უცნაურმა ხმამ გამოაღვიძა. თვალები არ გაუხელია, ისე მიუგდო ყური: ნეტა რა უნდა იყოს?

— ჭრიალი-ჭრიალი...

ხმა მალე განმეორდა, იგი ტანსაცმელის კარადის მხრიდან მოისმოდა.

ანდრომ თვალები გაახილა.

— ჭრიალ, ჭრიალ, — ისევ წამოიწყო ჭრიენამ და გაჩუმდა.

ანდრო კარგახანს იყო ყურებდაცქვეტილი, უნდოდა ერთხელ კიდევ გაეგონა ჭრიენი, მაგრამ ჭრიენა, თითქოს გაწყვეტ აღარ იღებდა ხმას... ბოლოს, როგორც იქნა, გაამეტდიერა სახლის პატრონი, მაგრამ ჭრიენი ახლა გაცილებით მოკლე იყო, ერთი—„ჭრ" და მორჩა.

ანდროს მაინც ესიამოვნა და გაეღიმა. მერე ხელები თავქვეშ ამოიდო და ხმადაბალ, პაუზებით წარმოთქვა ბავშვობისას ნასწავლი სტრიქონები:

დაჭრიენენებდა,... დახტოდა...
ჭრიენობელა პატარა!

„მერე?"
მომდევნო სტრიქონები ვეღარ გაიხსენა. კარადას გახედა, ჭრიენის ძილი ნებისა უსურვა და ისევ მარჯვენა გვერდზე გადაბრუნდა.

ნახევარი საათი არც კი იქნებოდა გასული, რომ ჭრიენას ხმა ისევ მოესმა, ოღონდ ამჯერად კარადის მოპირდაპირე მხრიდან. ჭრიენა საწერი მაგიდის ქვეშ მოკალთებულიყო.

ანდრო გულაღმა გადმობრუნდა.

ჭრიენამ საწოლის ჭრილზე ალბათ რაღაც სამშიროება იგრძნო, ახტა და წიგნების კარადისკენ ისკუპა. ცოტა ხანში, ალბათ იქაც მოსწყინდა, და ისევ საწერ მაგიდასთან დაბრუნდა.

ანდრომ დაამთქნარა და დაიძინა. თუმცა, რაღას დაიძინებდა, ჭრიენამ ისევ გაუბა, ოღონდ ახლა გაცილებით ხმამაღლა და არხეინად.

ანდრო უსიამოვნდ შეიშმუშნა.

ჭრიენა კვლავ განაგრძობდა.

— ჭრიი-ჭრიი, ჭრიიი-ჭრიიი...

ანდრო გაბრაზდა. თვალები ისე დაჭყიტა, თითქოს ცივი წყალი შეასხესო. დაცდილი ჰქონდა, თუკი გაღვიძებისას ლოყებზე არასასიამოვნო სიცივეს იგრძნობდა, მერე აღარ დაეძინებოდა. შემფოთებულმა წამოიწია საწოლიდან:

— გაჩუმდი!

— ჭრი-ჭრიი...

— ხმა ჩაიწყვიტე!

— ჭრიი-ჭრიი, ჭრიიი-ჭრიიი...

ქალაქის საბჭოს საათმა სამჯერ დარეკა. ანდროს ელდა ეცა: სადაცაა გათენდებაო.

ანდრომ თავზე საბანი წაიფარა. მაგრამ მის დაძაბულ სმენას, ყურებიც რომ მაგრად დაეცო, მაინც მისწვდებოდა გამაღიზიანებელი ხმა.

— ჭრიი-ჭრიი, ჭრიი-ჭრიი...

ანდრომ მოთმინება დაკარგა.

— გაჩუმდი, შე საძაგელო! — დაიღრიალა და ყურთაბალიში საწერი მაგიდისაკენ ისროლა. ბალიში მაგიდის ფეხს მოხვდა და იქვე დაეცა. ჭრიენას აინუშშიაც არ ჩაუდგია, არც ანდროს გაბრაზება, არც მისკენ ნასროლი ბალიში, ემღერებოდა და მღერადა კიდევ.

—ჭრიი-ჭრიიი...

ანდრო საწოლიდან წამოვარდა და მაგიდისკენ გაქანდა. ქეჩის ნაჭერზე დაუკვირვებლად დაადგა ფეხი, გაცურდა და იატაკზე მოადინა ბრაგვანი. იდაყვები დაეტეტა, მაგრამ ახლა ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, მაგიდის ქვეშ ეგულებოდა ის უსაზიზღრესი არსება, რომელიც ასე უსინდისოდ ცდილობდა მისი რომანტიკული გეგმების ჩაშლას, და მისკენ მიიწევდა.

ჭრიენა თვალსა და ხელს შუა გაუძვრა და ტანსაცმლის კარადასთან გადასცუნდა.

— ჭრიიი-ჭრიიი...

ანდრო ხენეშით წამოიდგა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა კარადას.

ჭრიიი-ჭრიიი...

ჭრიჭინას ხმა ახლა საწოლის ქვემოდან მოესმა. ანდროს კინაღამ თავბრუ დაეხვა. მერე ნელ-ნელა დაიხარა, ფეხსაცმელი მოიმარჯვა და საწოლის ქვეშ შეხოხდა. უეცრად, ზამბარას შვერილი ზურგზე ვამოჟღო და მისური გაუხია...

— ჭრიი-ჭრიი, ჭრიი-ჭრიიი...

ჭრიჭინა ტელევიზორის მაგიდასთან „გალობდა“.

ანდროს სული შეეხუთა. ძლივს გამოძვრა საწოლის ქვემოდან და იქითკენ გაემართა.

ჭრიჭინას, თითქოს მოსწონდა ეს უცნაური თამაში, მარჯვედ იცვლიდა ადგილს.

ანდროს მეტი აღარ შეეძლო. მიხვდა, მაინც არაფერი გამოვაო და ხელი ჩაიქნია.

ექვსი საათი სრულდებოდა. ღონემისდაილი ანდრო საწოლზე დაემეა და მკვდარივით დაეძინა...

— უკაცრავად! — ქალიშვილის ნაცნობი ხმა მოესმა და მოიხედა.

— ეს თქვენა ხართ?! — ქალიშვილს გაოცება გამოეხატა სახეზე:

— დიახ, — გაეღიმა ანდროს.

— ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილხართ!

— მე? ვითომ?

— ძალზე ახალგაზრდად გამოიყურებით!

ქალიმვილი ახლა უფრო გულდაგულ დააკვირდა, მერე ქვედა ბაგე წინ წამოსწია და თავი გააქნია.

— მაპატიეთ, მე ანდრო ჩხენკელი მეგონეთ.

— ანდრო ვარ!

— როგორ გეკადრებათ!

— ანდრო ვარ, ვეფაცვალე.

— მართლა?!

ქალიშვილი უფრო მიიწია და ისევ დააკვირდა, ახლა თითქმის მკერდით ეხებოდა, ანდროს უცებ თავბრუ დაეხვა და... გაეღვიძა.

მოღრუბლული დილა იყო.

ერთხანს გაოგნებული იწვა.

მერე ყველაფერი გაახსენდა და მწარედ გაეღიმა. დამძიმებული ქუთუთოები ძლივს ასწია. თვალები ეწკოდა. იგრძნო, უპეები ახლა უფრო ამოლურჯებული, დანაოჭებული ჰქონდა, ვიდრე გუშინ. სარკეში აღარ ჩაუხედავს, არც აღძვრია ამის სურვილი. მას ახლა საოცარად ეზიზღებოდა საკუთარი სახე.

ფანჯრის რაფაზე ასანთის ნახევრად სავსე კოლოფივით დაეცა რალაც. ანდრო წამოიწია და ფარდის უკან თვალი მოჰკრა შავ, ხოჭოსმაგვარ მწერს, რომელიც მახლობელი ჭადრისკენ მიფრინავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲣᲪᲮᲝᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲛᲘᲙᲘᲡ ᲗᲝᲛᲝᲓᲝᲠᲐᲙᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ

გამომცემლობა „ნეიღს ლებენმა“ სპეციალურ სერიულ გამოშვებაში „პოეზიის ალბომები“ გამოსცა მიკის თეოდორაკისის სიმღერების კრებული. გარდა თეოდორაკისის ტექსტზე დაწერილი სიმღერებისა, კრებულში შეტანილია კომპოზიტორის მეგობრის, გამოჩენილი ბერძენი პოეტის, იანის რიცოსის ლექსებზე დაწერილი სიმღერები. წიგნს ერთვის გენერალ ოდისეუს აგელისის მიერ 1967 წლის 1 ივლისს ხელმოწერილი „ბძანება № 13“, რომელიც კატეგორიულად უკრძალავს და ცხით ემუქრება საბერძნეთის ყველა იმ მოქალაქეს, ვინც შეასრულებს ან მოისმენს თეოდორაკისის მუსიკას. საბერძნეთის მთავრობას მიაჩნია, რომ მიკის თეოდორაკისის სიმღერები „ახლო კავშირშია კომუნიზმთან“.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚ-ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲡ ᲮᲚᲝᲕᲜᲐ

ცნობილი დასავლეთგერმანელი მწერლის ლეონჰარდ ფრანკის 85 წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობა „აუფბაუმ“ ხელახლა გამოსცა რომანი „მარცხნივ, სადაც გულია“. ეს წიგნი დაწერილია მწერლის ქვრივის შარლოტა ფრანკის მიერ, რომელმაც შეაგროვა საინტერესო დოკუმენტური მასალა და ბევრი იმუშავა რომაზზე. წიგნში შეტანილია ფრანკისა და მისი ახლობლების ფოტოები, ფაქსიმილე, ფრანკის მიერ გამოქვეყნებული წიგნების და თეატრის აფიშების ფოტოები.

რომანი „მარცხნივ, სადაც გულია“ ფრანკის პოეტური აღსარებაა.

მწერალ-ჰუმანისტის, ფრანკის სამპატიები ყოველთვის იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეს. ალბათ სწორედ ამიტომ გამოიცა მისი წიგნი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც უყვართ და აფასებენ მას.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

500 ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲘᲮᲔᲚ ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲗᲐᲜ

„რის გაკეთება შეუძლია ადამიანს მშვიდობის შესანარჩუნებლად? როგორია მისი ძალა და შესაძლებლობა?“

ასეთი შეკითხვებით მიმართა კრებულს „ომი გახდა მიუღებელი“ შემდგენელმა მიხელ ანდერსმა ოთხი წლის წინ გაზეთ „დოიჩე ფოლკსციეტუნგეთ“ ცნობილ მწერლებს, მეცნიერებს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, ზოგიერთ დაწესებულებას. ამ ხნის განმავლობაში ანდერსმა მიიღო ხუთასზე მეტი პასუხი. მათ შორის არიან ჰაინრიხ ბიოლი, მაქს ბრიდი, ოიმპენეს დიკმანი, მარია დომმროვსკაია, მარია ლეიზა კაშნიცი, ჯონ კენედი, მარტინ ნიმიოლერი, პაპი პავლე VI, ერვინ პისკატორი, უ. ტანი, კარლ იასპერსი და სხვები.

ეს ავტორები მიხელ ანდერსმა გააერთიანა თავის კრებულში, რომელსაც მიმდინარე წელს გამოსცემს გამომცემლობა „დიკსი-პრეს-დინსტ-გ. გერმესი“.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲐᲮᲛᲔᲓ ᲜᲔᲚᲩᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ანკარის ლიტერატურულმა ჟურნალმა „დოსტმა“ გამოაქვეყნა ცნობილი ჟურნალისტის ილმან სელჩუკის სტატია გამოჩენილი თურქი მწერლის ახმედ ნესინის შესახებ. სელჩუკი პროტესტს უცხადებს თურქეთის პოლიციას, რომელიც დევნის და ავიწროვებს ნესინს. „ბატონებო! — წერს სელჩუკი. — თქვენ ვერ იხსნით ქვეყანას მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეთა დაპატიმრებით. ისინი არ არიან დამნაშავენი დღევანდელ თურქეთის მდგომარეობაში. თუ თქვენ გაანალიერებთ მწერლების დევნას, ამით არ შემცირდება სახელმწიფოში სპეკულაცია, არც ხალხის ექსპლოატაცია, არ მოისპობა სიღატაკე. პირიქით! უკეკ მერამდენედ ანატიმრებთ ნესინს. მერე რა? განა შეიცვალა რამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთში? მოისპო შავი ბირჟა, შეწყდა ვაჭრობა ბავშვებით, ქალებით? მოისპო მოგაჯდინებელი სნეულებანი, შემცირდა უსწავლელთა რიცხვი? განა მუშის ოჯახში ისევ ძველებურად არ იხარშება მტკნარი წყალი კერძის ნაცვლად?

ერთ-ერთი გაჩხრეკის დროს პოლიციამ ნესინის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა წითელყდიანი წიგნი. პოლიციის აგენტმა ნესინს ჰკითხა:

— რა არის ეს?

— „ლარუსი“.

— აბა, ლა — წინდებულია, რუსი კი რუსს ნიშნავს, მაშ არაფერი შეცვლილა თქვენს ცხოვრებაში?

— ბატონებო! — განაგრძობს სელჩუკი — არაფერი არ შეიცვლება მანამ, სანამ არ მოისპობა სპეკულაცია, სანამ პოლიცია თავს არ დაანებებს მწერლების დევნასა და დაპატიმრებას.

იტალია

„კომუნისტური სიმღერები“

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც იტალიელი მშრომელები მღერიან რევოლუციურ სიმღერებს, რომელთა ავტორია სახალხო პოეტი სპარტაკუს პიჩენუსი. სპარტაკუს პიჩენუსი პოეტის ფსევდონიმია და ნიშნავს პიჩენოელ სპარტაკს. იტალიელები ამ სიმღერებს მღეროდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს, მღეროდნენ ციხეებში, გადასახლებაში. ბევრ მათგანს ახლაც მღერიან იტალიაში. ეს სიმღერები არა ერთხელ გამოუციათ ნოტებთან ერთად, მაგრამ პატარა ტირაჟით. ახლა სპარტაკუს პიჩენუსის სიმღერები გაერთიანებულია ერთ დიდ კრებულში და დამატებად ერთვის კომუნისტურ ჟურნალს „კალენდარიო დელ პოპოლოს“ სათაურით — „კომუნისტური სიმღერები“.

მასტროიანი ლონდონში

გამოჩენილი იტალიელ მსახიობს მარჩელო მასტროიანის ხშირად იწვევდნენ გადაღებებზე ლონდონში, ჰოლივუდში, მაგრამ ყოველთვის უარს აცხადებდა. მას უნდოდა ეთამაშა მხოლოდ და მხოლოდ იტალიურ ფილმებში. ბოლოს და ბოლოს მასტროიანიმ თანხმობა განაცხადა რეჟისორთა მიწვევაზე. ლონდონში, ცნობილ ინგლისელ მსახიობ რიტა გეშნეგემთან ერთად მას იღებენ ფილმში „ბრილიანტები საუზზე“.

ლიტერატურა კინოში

იტალიელი კინემატოგრაფისტები ყოველთვის ცდილობდნენ და ცდილობენ ეკრანზე გადაიტანონ ის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც წარმატებით სარგებლობენ მკითხველთა შორის. ამჟამად წარმოებს გადაღება ლეონარდო შაშის ნარკვევისა „ბუს დღე“ და ალბერტო ჩერვის წერილებისა, „ჩემი შვიდი ვაჟიშვილი“. ფილმს „ბუს დღეს“ იღებს რეჟისორი დამიანი. გადაღება წარმოებს სიცილიაში — პალერგოში, პარტინიკოში, უჩარდნოს ციხეში — იქ, სადაც მიმდინარეობს ნარკვევის მოქმედება. ფილმში მთავარ როლს ასრულებს ცნობილი იტალიელი მსახიობი კლაუდია კარდინალე.

ბევრმა იტალიელმა კინორეჟისორმა არა ერთხელ განიზრახა გადაეღო იტალიელი გლეხის, იტალიის ეროვნული გმირის, ემილიო ალრიდე ჩერვის დოკუმენტური მოთხრობა „ჩემი შვიდი ვაჟიშვილი“, მაგრამ ცენზურისა და თანხების უქონლობის გამო არა ერთხელ აუღიათ ხელი ამ განზრახვაზე. რეჟისორმა ჯანი პუჩინიმ გადწყვიტა ამ ნაწარმოების გადაღება. ფილმში მონაწილეობენ ცნობილი იტალიელი და ფრანგი მსახიობები ჟან-მარია ვოლონტე, სერე რეჯანი, კარლა გრავინა, ლიზა გასტონი, ანდრეა კეკი და სხვები. გადაღებები წარმოებს რეგიონ ლიციის რაიონში. იქ, სადაც ცხოვრობდნენ და ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩერვი და მისი ვაჟები.

პოლონეთი

ბრძოლა შემოქმედება

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო გრაფიკულ ნამუშევრებზე. კონკურსის თემა „ომი და მშვიდობა“. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 80 სახელმწიფოს მხატვრებმა. მათ შორის, ასმა პოლონელმა მხატვარმა. ნაშრომისათვის „ვიეტნამი“ პირველი პრემია მიენიჭა პოლონელ მხატვარს ხალინა ბაიორსკაია-ფლისსკოვას. შეკითხვაზე, რატომ აირჩია მხატვარმა თემად ვიეტნამი, ხალინამ უპასუხა: „ვიეტნამელი ხალხის ტრაგედია ახლოს ყველა იმ ადამიანთან, ვინც განიცადა უკანასკნელი ომის საშინელება და ოკუპაცია. მე ფფიქრობ, სწორედ ამიტომ იქცა კონკურსზე წარმოდგენილ ნამუშევრათა მთავარ თემად ამერიკელ აგრესორთა მოქმედება ვიეტნამში და ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლა მათ წინააღმდეგ“.

„ჩემი ვიეტნამი“

ახალგაზრდა პოლონელი მწერალი ანჯეი ბრიხტი გასულ ზაფხულს იყო ვიეტნამში და საკუთარი თვალით დარწმუნდა ამერიკელ აგრესორთა ბარბაროსობაში. სამშობლოში დაბრუნებისთანავე პოლონეთის ჟურნალ „კულტურაში“ დაიბეჭდა მისი რეპორტაჟების სერია „ჩემი ვიეტნამი“.

„ყველა ამ მოქმედებას მე ვუწოდებ ბანდიტიზმს და ყველა ამერიკელს, რომელიც ასრულებს თავისი უფროსის განკარგულებას — ბანდიტს!“ — აღნიშნავს ბრიხტი ერთ-ერთ თავის რეპორტაჟში. შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი იხსენებს ჯონ სტეინბეკის ვიეტნამში ყოფნის ამბავს და წერს: „უდაოდ დიდი მწერალია, მაგრამ სად არის მისი ადამიანობა? მე მასზე ფიქრი არ მასვენებს ვიეტნამში ჩამოსვლის დღიდან. მე აქა ვარ მისი გულისათვის. მე მაინტერესებდა დამენახა სტეინბეკი, როდესაც იგი საიგონში იყო და ამერიკის პრესის მასალებს უგზავნიდა.

მე მაინტერესებდა დამენახა სტეინბეკი, როდესაც იგი ყუმბარებთთან და ავტომატებთან შეიარაღებული საბრძოლო დავალებით ჩაფრინდა ვიეტნამში.

მე მინდოდა დამენახა მისი სახე, როდესაც იგი ადამიანებს ესროდა!“

საბერძნეთი

ფაშიზმუნდა თუ არა მილოსელი ხელმძღვანელი?

საბერძნეთის სარდლობის ბრძანებით 300 ბერძენი ჯარისკაცი კუნძულ მილოსის მაზლობლად ზღვაში ეძებს ვენერა მილოსელის ხელებს, რომლებიც მათ დაკარგეს ქანდაკების საბერძნეთიდან გატაცების დროს.

საოჯახო ფილმი

ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი როჟე ვადიმი იღებს ახალ ფილმს „ბარბარელა“. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ რეჟისორის მეუღლე ჯენი ფონდა და ჟალიშვილი ჩენრი ფონდა.

სენტ-ეკზუპერი

ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სამხედრო მფრინავი ანტუან დე სენტ-ეკზუპერი მორიგი გაფრენის შემდეგ ალარ დაბრუნებულა აეროდრომზე. საფრანგეთის ნაციონალური გმირი სენტ-ეკზუპერი აღიარებულია თანამედროვე ლიტერატურის კლასიკოსად. მაგრამ საფრანგეთში მწერლის შემოქმედებაზე დღემდე გაცხარებული კამათი მიმდინარეობს. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პარიზში, პიერ ბელფონის გამომცემლობაში გამოვიდა წიგნი „სენტ-ეკზუპერი: მოიხრენი და მოწონაადმდეგნი“. წიგნის პირველი ნაწილი მთლიანად შეიცავს ჟურნალ „კოფფლიუანის“ (1947 წ.) სპეციალურ ნომერს მწერალ-ფრონტავეზე. მეორე ნაწილში სენტ-ეკზუპერი დღეს, შეტანილია ცნობილი მწერლებისა და კრიტიკოსების: ჟან ლეი ბორის, ფრანსხუა ნურისიეს, პიერ დე ბუადეფრის, მარკ საპორტას, კაზამაიორის სტატიები.

ვინ არის სენტ-ეკზუპერის წინააღმდეგი?

ახალგაზრდა მწერალი ჟან კო რატომღაც ეკზუპერის პროზას უწოდებს „სასტიკად მოსაწყენს“ და მისი აზრები მიაჩნია „საოცრად უსუსურად“. ბურეუაზიული გაზეთის „ექსპრესის“ ლიტერატურული მიმოხილველი პუბლიციტი ჟან ფრანსხუა რეველი ცინიკურად ამტკიცებს, რომ სენტ-ეკზუპერიმ ალმოაჩინა, როგორ შეიძლება იქცეს მრავალსიტყვიერი სისულელეც ფილოსოფიურ სინამდვილედ, თუ მას 7000 მეტრის სიმაღლეზე ავიტანთ“.

რეველის ცინიზმი ადვილი ასახსნელია: ეკზუპერი ფრანგი ახალგაზრდობის ერთ-ერთი საყვარელი მწერალია. მწერლის წიგნებში ახალგაზრდობას იზიდავს სიმართლისა და ჰუმანიზმის კეთილშობილური ქადაგება.

კრებულის ვერც ერთმა ავტორმა ვერ გაბედა ექვი შეეტანა ეკზუპერის, როგორც ადამიანის სიდიადეში, ფრანსხუა ნურისიე წერს: „საჭიროდ მიმაჩნია შეგახსენოთ, რომ სენტ-ეკზუპერი იყო გაბედული ადამიანის. სიყვარული, რომელიც მის მიმართ აქვთ ყველაზე ახალგაზრდა მკითხველებს, უმეტესად ახსნება მათი პატივისცემით ეკზუპერის-ადამიანის მიმართ. 18 წლის ახალგაზრდას... მეტისმეტად სჭირდება გმირი. ბოლოს და ბოლოს ადამიანს, რომელიც ხშირად მიდის რისკზე ცხოვრებისათვის, გაცილებით მეტი ცოდნა აქვს, ვიდრე ფილოსოფიის მაჩუქებელს... და თუ მეტი არა, ყოველ შემთხვევაში სხვაგვარი.

კაზამაიორი აღნიშნავს „სენტ-ეკზუპერი არ წასულა ჩვენგან, იგი მოვიდა ჩვენთან და მის ადგილს ვერავინ დაიჭერს“. ფრანგი მწერლებისა და კრიტიკოსების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ შთამომავლობის მეხსიერებაში სენტ-ეკზუპერი მუდამ დარჩება, როგორც არაჩვეულებრივი ადამიანი და ბრწყინვალე მწერალი.

გარეკანი და ტიტული თ. მირზაშვილის, ო. ჯიშკარიანის.

ჟურნალი გაფორმა დ. ზარაფიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. ამდფუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 71.

ტელეფონები. რედაქტორის — 5-08-75. პ/მგ. მდივნის — 5-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/II-68 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 72. უე 01915. ტირ. 21.700.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის ტერ. 14.

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲞ.

б 31/42

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236